

ზ. ჭურღაძე

ზეპირი გეგყვედების კუღჳუჩის საკითხები

დამტყიკა სჳჳართელოს სსრ უმალესა და
საშუალო სჳეციალური განათლების სამინისტ-
როს კოლეგიამ დამხმარე სახელმძღვანელოდ
ფილოლოგიისა და პედაგოგიკის ფაკულტეტის
სტუდენტებისათვის.

ადვილად შესათვისებელი, რაც შეიძლება უფრო თვალსაჩინო და მტკიცედ დასახსოვებელი“.¹

როგორც ვხედავთ, ზეპირი სიტყვის მომზადებისათვის სათქმელის შინაარსის შეგნებულ ცოდნასთან ერთად აუცილებელია სიტყვის თქმის ხელოვნების საფუძვლიანად შესწავლაც.

ახლა, ბუნებრივია, ვიკითხოთ: სწავლების რომელ საფეხურზე ან რა სისტემის საფუძველზე უნდა დაეფუძვნოს მომავალი სპეციალისტები მკვევრი სიტყვის ხელოვნებას?

ძირითადი საფეხური, სადაც მეცნიერების ზოგად საფუძვლებთან ერთად ახალგაზრდობა ზეპირი სიტყვის ხელოვნებას ეუფლება, საშუალო სკოლაა.

რას აძლევს საშუალო სკოლა მოსწავლეებს ზეპირი მეტყველების კულტურის დასაუფლებლად? როგორია ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ მხრივ შეინიშნება ჩვენს მუშაობაში? როგორც აღენიშნეთ, მოსწავლეები ზეპირი მეტყველების საფუძვლებს ძირითადად საშუალო სკოლაში სწავლობენ, მაგრამ უაქტია, რომ ჯერჯერობით ამ ამოცანის გადაწყვეტა მართოდენ ამ საფეხურზე ძნელია. საშუალო სკოლის მოსწავლეთა ზეპირ მეტყველებაში შემჩნეული ნაკლი მრავალი სუბიექტური და ობიექტური მიზეზით აიხსნება. მხატვრული ლიტერატურის სწავლების მთლიან კომპლექსში ჯერჯერობით ვერ ხერხდება სასურველ დონეზე მკვევრი სიტყვის დაუფლება. მართალია, ცალკეული ქრესტომათიული დავალებისა და მასწავლებელთა მოთხოვნების მიხედვით მოსწავლეები სწავლობენ მხატვრულ ნაწარმოებთა შინაარსის თხრობას, საზეპირო ადგილებს, არკვევენ რამდენადმე ძნელად გასაგები ტექსტუალური მასალის ქვეტექსტებს, წერენ გმირის დახასიათებასა და თავისუფალ თემებს და სხვ., მაგრამ ეს საკმარისი არ არის, მოსწავლე ისე დაამთავრებს საშუალო სკოლას, რომ შეიძლება წარმოდგენაც არ ჰქონდეს ჩვენს მდიდარ მრავალსაუკუნოვან მკვევრმეტყველებაზე. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ორი მკვევრი სიტყვა; ისინი სავალდებულო წასაკითხი ლიტერატურის

¹ ვ. ი. ლენინი, ლოზუნგების შესახებ, ტ. 5, გვ. 405—406, 1949.

სიაშია შეტანილი. მისასაღმებელია აგრეთვე ისიც, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში სათანადო ადგილი დაეთმო ზეპირი და წერილობითი მეტყველების განვითარების პრაქტიკულ საკითხებს. მაგრამ აქ ხაზგასასმელი ისაა, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა ხდება მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული თხზულებების საფუძველზე.

საშუალო სკოლის მოსწავლეს ძალიან სერიოზული ნაკლოვანებები ელობება მჭევრიანი სიტყვის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დაუფლებაში, მაგრამ ცოდნის შეძენის ეს საფეხური არ შეიძლება ამ წხრივ უმაღლეს სასწავლებელს შევადაროთ. უმაღლესში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები სწავლობენ დარგობრივ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ციკლის საგნებს. რაც შეეხება მომავალი სპეციალისტების სულიერი ფორმირების ისეთ მოთხოვნას, როგორცაა ზეპირი და წერილი მეტყველების კულტურის განვითარება, მას ჩერჯერობით საჭირო ყურადღება არ ექცევა.

რადგან უმაღლეს სასწავლებლებში ზეპირმეტყველების დონის ასამაღლებლად სპეციალური კურსი არ ისწავლება, საჭიროა სტუდენტებთან ლექტორებმა სანიმუშო ლექციები ჩაატარონ, რათა სტუდენტები კონსპექტებზე არ იყვნენ მიჯაჭვულნი, შესძლონ რაიმე აზრის ცოცხალი, მიმზიდველი ენით გადმოცემა.

დავაკვირდეთ ჩვენს ტელეგადაცემებს. ბევრ შესანიშნავ სპეციალისტს ეძლევა საშუალება ცისფერი ეკრანიდან ებაასოს ხალხს თანამედროვე ცხოვრებისა და მეცნიერების განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. და რა დასანანიია, რომ იშვიათად ვხვდებით ისეთ მოუბართ. რომლებიც თავიანთი ზეპირი სიტყვით ატკობდნენ მსმენელს.

ასეთია ზოგადად ის არასასიამოვნო შედეგი, რომელიც გამოწვეულია საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა. თვალსა და ყურს შორის შეუთანხმებელი მუშაობით. დიდი პედაგოგი გვასწავლის: „უგუნურებას ჩაიდენს ის მასწავლებელი, რომელსაც ცოცხალი სიტყვისათვის წელი წყდება და მარტო წიგნზედ არის მინდო-

ბილი“.¹ ქართული პედაგოგიკური მეცნიერების კლასიკოსის ამ მოთხოვნას დღესაც უდიდესი საგანმანათლებლო ღირებულება აქვს.

ზეპირსიტყვათმცოდნეობის სპეციალური კურსის შემოღებას ფართო მასშტაბით აუცილებელს ხდის, აგრეთვე, ამ უკანასკნელ ხანს ეგრეთ წოდებული ახალგაზრდა ლექტორთა სკოლის დაარსება უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მოქმედი პროგრამით საგანგებო ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ლექტორთა ზეპირი მეტყველების კულტურას.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და მეთოდის ერთ-ერთი მეტად საშური საქმეა ჩვენი მომავალი სპეციალისტების ზეპირი მეტყველების დონის ამაღლება.

ამ ფრიად საპატიო ამოცანის გადასაწყვეტად თითქმის ორი ათეული წელია გულდასმით ვსწავლობთ მოსწავლეთა და, განსაკუთრებით, პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ზეპირ-მეტყველებას. მოპოვებული მასალების მიხედვით მოსწავლეთა და სტუდენტთა ზეპირ მეტყველებაში შეიმჩნევა ძირითადად სამი სახის ნაკლოვანება. პირველი ეხება ზეპირი სიტყვის შინაარსს, მეორე — ზეპირი სიტყვის ფორმას, ხოლო მესამე — ზეპირი სიტყვის მომზადებისა და თქმის ხელოვნებას, ე. ი. ზეპირი სიტყვის წარმოთქმის ტექნიკურ მოთხოვნებს.

შინაარსობრივი თვალსაზრისით ზეპირი სიტყვა ნაკლულოვანია, როდესაც მოუბარს: ა) უჭირს სიტყვის გამართვისათვის მოტივირების მოძებნა, ბ) უძნელდება ამა თუ იმ სათქმელი სიტყვის შინაარსის თემატიკისა და მისგან გამომდინარე იდეური შინაარსის გამოკვეთა, გ) ვერ ახერხებს სათქმელი ამბიდან ძირითადი და არაძირითადი მოვლენებისა და ფაქტების გამოყოფას, დ) არ ფლობს საფუძვლიანად წარმოსათქმელი თემატიკის შინაარსს და სხვ.

ზეპირი სიტყვა ნაკლულოვანია ფორმის თვალსაზრისით, როდესაც მოუბარი: ა) ვერ ახერხებს რაიმე სათქმელი შინაარსის ერთ მთლიან ლოგიკურ ქარგაში ჩამოყალიბებას, ბ) არ უყუთებს დასკვნას ძირითად გადმოსაცემ აზრს, გ) სათქმელი შინაარსის გადმოცემისას უმიზნოდ იმეორებს ერთსადაიმავ

სიტყვას, დ) მეტყველებაში ხშირად ჩაურთავს არაფრის-
მტკმელ სიტყვებსა და დაუნაწევრებელ ხმიანობას, მაგალი-
თად, ისაა.., უუმ.., იმ.., მაშ, მაშასადამე, ესე იგი, რა ქვიან და
სხვ., ე) მეტყველებისას მოძრაობს ადგილზე, ამოძრავებს ხე-
ლებს) (იღებს ხან თავზე, ხან სახეზე, ხან ისრესს ორივე ხელს
და სხვ.).

ზეპირ სიტყვაში არ არის დაცული ტექნიკური მოთხოვ-
ნები, როდესაც მოუბარი: ა) არ იცავს მეტყველებაში მახვილს,
ტონაციას, ტემპს, მელოდიკას, ტემბრს და, საზოგადოდ, ხმის
მოძრაობის სხვა აუცილებელ მოთხოვნებს, ბ) არ გამოკვეთს
თავის დამოკიდებულებას ყველაფერ იმისადმი, რაც მოსა-
წონია ან დასაწუნია სატკმელ სიტყვაში, გ) არ იცის, როგორ
ააგოს და წარმოთქვას ზეპირი სიტყვა სხვადასხვა დროსა
და სხვადასხვა აუდიტორიაში, დ) არ ზრუნავს ზეპირ მეტ-
ყველებას შეუხამოს ქესტ-მიმიკა, როგორც აუცილებელი
დამხმარე საშუალება, ე) არ ითვალისწინებს აუდიტორიაში
თუ სხვა შესაკრებ გარემოში მსმენელთათვის საურთიერთო
სიერცობრივსა და მანძილობრივ მიმართულებას და სხვ.

მოსწავლეთა და სტუდენტთა ზეპირ მეტყველებაში შემ-
ჩნეული აქ დასახელებული ნაკლოვანებანი არსებითად შეი-
ძლება გაერთიანდეს, ერთი მხრივ, ზეპირი სიტყვის კულტუ-
რის შესწავლის ზოგადმეთოდოლოგიურსა და ზოგადპედაგო-
გიურ სფეროში და, მეორე მხრივ, ზეპირი სიტყვის დაუფ-
ლების წმინდა მეთოდიკური მეცნიერების ფარგლებში.

განვიხილოთ ეს საკითხები.

ზეპირმეტყველების ზოგადმეთოლოგიური და ზოგადვადაზობიკური საკითხები

აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობის საკითხი ფილოსოფოსების, ფიზიოლოგების, პედაგოგების, ფსიქოლოგებისა და ლინგვისტების ერთ-ერთა უმნიშვნელოვანესი კვლევის საგანია. ამ პრობლემის ჭეშმარიტი მეცნიერული შესწავლის საფუძველი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შექმნეს. „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“ (ვ. მარქსი). „ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა“ (ვ. ი. ლენინი).

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ენისა და აზროვნების ერთიანობა ეჭვმიუტანელი ფაქტია, მაგრამ ენისა და აზროვნების ერთიანობა არ შეიძლება მივიჩნიოთ მათ იგივეობად... აზროვნება არ არის მეტყველება, მაგრამ ადამიანის აზროვნება მეტყველების დაუხმარებლად ვერ განხორციელდება; ადამიანის აზროვნება ვერბალური აზროვნების სახით გვევლინება: სიტყვებად ჩამოყალიბებამდე ცნობიერებაში მოგვეპოება სათქმელი,—აზრის შინაარსი და არა მზამზარეული აზრი“. (არნ. ჩიქობავა).

ასე რომ, აზროვნება და ენა დიალექტიკურ ურთიერთობაში განიხილება. მაგრამ მაინც უნდა განვასხვაოთ ეს ორი ფენომენი ერთიმეორისაგან.

არჩევნ მეტყველების ორ სახეს: შინაგან, ანუ „თავისთვის მეტყველებას“ და გარეგან — ხმიერ, ბგერებისაგან შედგენილი სიტყვების საშუალებით მეტყველებას. მეტყველების ეს ორი სახე განაპირობებს ერთიმეორის წარმოშობასა და სრულყოფას.

«Внутренняя речь возникает из внешней, является ее психологической трансформацией, в которой наибольшее значение имеет даже не столько ее «беззвучность», сколько ее более фундаментальные психологические характеристики, и прежде всего ее крайняя ситуативность, обобщенность и вытекающая из них словесная фрагментарность... Вместе с тем, совершенно очевидно также и функциональная зависимость внешней речи от внутренних. Это следует хотя бы из того, что при всех более или менее отсроченных сообщениях своих мыслей (предметных и словесных ассоциаций) мы предварительно фиксируем их с помощью внутренней речи, составляя с ее помощью мысленный план или нечто вроде конспекта будущего высказывания. Еще более определенно это наблюдается при письменном изложении, когда каждой написанной фразе и даже слову предшествует их мысленное произнесение с последующим отбором наиболее подходящих»¹.

დ. უზნაძემ მართებულად მიუთითა იმაზე, თუ რა როლს ასრულებს მეტყველების ენობრივი ფაქტის რეალობა, მისი ფიზიკური მხარე რაიმე გადმოსაცემი შინაარსის აზრობრივი ფორმის (ზოდელის) ჩამოყალიბებაში „...სიტყვაა, რომ სხვისთვისაც მისაწვდომს ხდის ხატოვან აზროვნებას და თვითონ სუბიექტსაც შესაძლებლობას აძლევს თვალყური ადევნოს თავის საკუთარ აზრს და, სადაც საჭიროა, სათანადო ცვლილება შეიტანოს მასში“.²

დ. უზნაძის ეს დებულება ფართო შესაძლებლობას ჰქმნის აზროვნებისა და მეტყველების ურთულესი საკითხების პედაგოგიკური თვალსაზრისით შესწავლისათვის, ძალასა და რწმენას მატებს ადამიანს, მიენდოს თავის სიტყვას და მასზე გონებრივი თვალყურის დევნებით სასურველი მდინარეა მისცეს საკუთარ აზრს.

შეპირმეტყველების პრინციპები

შეპირ სიტყვას, როგორც აზრის გადმოცემის სპეციფიკურ სახეს, გარკვეული პრინციპები აქვს. ეს პრინციპებია:

¹ А. Н. Соколов, Внутренняя речь и мышление, стр. 55—56, 1968.

² დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 372, 1946.

1. ზეპირი სიტყვის თქმის მოთხოვნილება და იდეურობა; 2. გარკვეული აზრის ზეპირად და მიზეზ-შედეგობრივ კავშირში გადმოცემა; 3. ემოციური ელემენტის შეტანა ზეპირ სიტყვაში; 4. ზეპირი სიტყვის ფორმისა და შინაარსის შესაბამისობის პრინციპი.

ზეპირი სიტყვის მოთხოვნილებისა და იდეურობის პრინციპი. ამ პრინციპის თავისებურება ისაა, რომ მოუბარს ზეპირი სიტყვის წარმოთქმა ყოველთვის და ყველაფერზე მომენტალურად, სათანადო სურვილის გარეშე არ შეუძლია. პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ყოველ მოუბარს რაიმე მოვლენისადმი საკუთარი შეხედულებების გამოთქმის იმპულსს უქმნის საგანგებო მდგომარეობა ან შემთხვევა, რომლის გაცნობიერების შემდეგ უჩნდება სურვილი, სიტყვიერად გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რაც ნახა ან განიცადა. მოუბრის ასეთ მდგომარეობას შეიძლება ზეპირი მეტყველების პრობლემური სიტუაცია ვუწოდოთ. ეს სიტუაცია გამოწვეულია, ერთი მხრივ, გარკვეული ობიექტური პირობებით, რომლებიც, როგორც მასტიმულირებული ფაქტორი, მოქმედებენ მოუბარზე და, მეორე მხრივ, თვით სუბიექტის—მეტყველის შინაგანი მოთხოვნილებებით, რაც უპირატესად გარკვეული ობიექტური ფაქტორის ზემოქმედებით სტიმულირდება სუბიექტში. დ. უზნაძე წერს: „ყოველი ახალი სიტუაცია, რომელიც მოთხოვნილების მქონე სუბიექტზე მოქმედებს, პირველ რიგში მას შესატყვის განწყობას უქმნის“. ამ მოსაზრებას უკანასკნელ ხანს ახალი არგუმენტებით მხარს უჭერენ ა. მათიუშკინი, პ. ლერნერი, ტ. ნაპოლნოვა, ე. მიზნაზოვი და სხვები.

ზეპირი სიტყვის წარმოთქმის მოთხოვნილების წარმოშობისთანავე მოუბარს უჩნდება სათქმელი შინაარსისათვის გარკვეული იდეური მიმართულების მიცემის სურვილი. ე. ი. იგი იწყებს მსჯელობას რაიმე მოვლენაზე არა ინერტულად, განურჩევლად, არამედ გარკვეული თვალსაზრისით. გასაგებია, რომ ეს თვალსაზრისი უნდა შეესაბამებოდეს მკვევრმეტყველის მსოფლმხედველობით და მხატვრულ-ესთეტიკურ ინტერესებს. ზეპირი მეტყველების ამ თავისებურებას წარმოსათქმელი სიტყვის იდეურობას უწოდებენ.

სათქმელი სიტყვის შინაარსის მიზეზ-შედეგობრივ კავშირში გადმოცემა. ზეპირ სიტყვას სოციალურ-ესთეტიკურ ღირებულებას უპირველესად ზეპირად თქმა და სათქმელი შინაარსის მიზეზ-შედეგობრივ კავშირში ჩამოყალიბება ანიჭებს. როგორც წესი, რაიმე სათქმელი შინაარსი ზეპირად წარმოთქმისას მსმენელს ხშიერების საფუძველზე გადაეცემა, მაგრამ, თუ დაეუშვებთ, რომ ზეპირი სიტყვის საგანი არ არის მსმენელისათვის ღირსშესანიშნავი, მაშინ ასეთი სიტყვა ვერ დააკმაყოფილებს მას. ანდა, თუ ავიღებთ ზეპირი სიტყვის საგნად რაიმე ღირსშესანიშნავ შინაარსს და ამ შინაარსის გადმოცემისას არ იქნება გამოყენებული გეგმაზომიერი ლოგიკური მსჯელობა, ასეთ შემთხვევაშიც ზეპირი სიტყვა დაკარგავს თავის სოციალურ ღირებულებას.

ყოველივე ამის გამო ზეპირი სიტყვის მომზადებისათვის აუცილებელია მსმენელისათვის ღირსშესანიშნავი შინაარსის შერჩევა, მისი ზეპირად თქმა და სათქმელი შინაარსის მიზეზ-შედეგობრივ კავშირში გადმოცემა. თუ ზეპირ სიტყვას ამ კომპონენტებიდან რომელიმე აკლია, მაშინ იგი მიზანს ვერ მიაღწევს.

დავაკვირდეთ გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებაზე წარმოთქმულ კოლხი ორატორის სიტყვას. ამ სიტყვაში გაკრიტიკებულია გუბაზ მეფის საწინააღმდეგოდ წარმოთქმული ბრალდება. კოლხი ორატორი ბრალდებას იწუნებს იმის გამო, რომ მას ზეპირი სიტყვის მეორე პრინციპის კომპონენტებიდან აკლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. აკლია დამარწმუნებელი საბუთიანობა.

„ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ. მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საქმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოს. მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩენი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით, და ამიტომ ჩვენ შევუდგებით საქმის ვითარების განზარტებას... შეუწყნარებელია ამის ატანა: თვი-

თონვე აშკარად ამბობენ. რომ მოკლეს ის კაცი, და თანაც სტყუიან, რომ ამით უდიდესი სარგებლობა მოუტანეს სახელმწიფო საქმეებს. როგორ თავსდება მათ თავში ეს წინააღმდეგობა. ან როგორ შეგვიძლია ჩვენ, რომლებიც ამ საქციელს საზიზღარს ვუწოდებთ, შევაქოთ მისი ჩამდენი და ვთქვათ რომ მისი მიზანი იყო სახელმწიფოსათვის სარგებლობა მოეტანა? იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ. სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურყვინელი, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი“.¹

ამ მაგალითში ნათლად ჩანს, რა როლს ასრულებს მჭევრმეტყველებაში რაიმე შინაარსის მიზეზ-შედეგობრივ კავშირში გადმოცემა.

ზეპირი სიტყვის ემოციურად გადმოცემის პრინციპი. ემოციურობა ადაძინანის განცდას, მგრძნობელობას, სულიერ მღელვარებას გულისხმობს.

ზეპირი სიტყვის ემოციურობა, პირველ რიგში, სათქმელი შინაარსისადმი თვით მოუბრის სუბიექტური დამოკიდებულებით გადმოიცემა. ამ შემთხვევაში საზომი ასეთია: თუ მოუბარი სწორად გამოხატავს მეტყველების პროცესში გადმოსაცემი შინაარსის იდეურ აზრს, მის მიმართებას მსმენელებისადმი, მაშინ ასეთი სიტყვა მსმენელში ემოციურობას იწვევს. მაგრამ, თუ ზეპირ სიტყვაში არ ჩანს მეტყველი პიროვნება, მისი განწყობილება და დამოკიდებულება სათქმელი შინაარსისადმი, მაშინ ასეთ სიტყვას აკლია საცხოველე, ასეთი სიტყვა ვერ აქმაყოფილებს მსმენელს. მაშასადამე, ასეთი სიტყვა არ იქნება ემოციური.

სათქმელ შინაარსს, მის ძირითად აზრს რომ უნდა შეესადაგებოდეს მოუბარის განწყობილება, ამას ნათლად ადასტურებს ქართული ფოლკლორული მასალაც:

¹ ქართული მჭევრმეტყველება, ძეგლები და მასალები შეკრება, ნაკვეთი წაუძღვარა და სძიებელი დაურთო ნიკოლოზ კანდელაკმა, 1958, გვ. 116—117—118.

„დარდისას გეტყვი, დარდისას,
გულში რო ნალვლად დიოდეს;
სიხარულს ვერ მიეკარო,
სული სიმწრითა გტკიოდეს;
დილა-საღამო სხეულში
შაე სვეტად ჩამოდოდეს;
ცას ბროლის წვიმა უწვიმდეს,
შენ ტალახადა გდიოდეს;“

საანალიზო მასალის პირველ ორ ტაეპში „დარდისას გეტყვი, დარდისას, გულში რო ნალვლად დიოდეს“, მითითებულია არა მარტო სათქმელი მასალის შინაარსზე, არამედ ერთგვარად მისი თქმის როგორობაზეც. ზეპირი სიტყვის თემატიკისა და თქმის სახეობრიობის ასეთი განსაზღვრა კი სათქმელი შინაარსისადმი მთქმელის ემოციურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. ამიტომ სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ისეთი მკვევრი სიტყვაა ემოციური, რომელშიც ნათლად ჩანს მეტყველის მთლიანი პიროვნება და მისი სათანადო მიმართება მსმენელისადმი.

ზეპირი სიტყვის ფორმისა და შინაარსის შესაბამისობის პრინციპი. ზემოთ განხილული პრინციპები ერთგვარად ამზადებენ საფუძველს ზეპირი სიტყვის ფორმისა და შინაარსის კანონზომიერებათა შესაბამისობის გარკვევისათვის. ახლა, როდესაც ვიცით, თუ რა როლს ასრულებს ზეპირი სიტყვის მიზნობრივად გააზრება-ჩამოყალიბებაში, ერთი მხრივ, იდეურობისა და მოთხოვნილებას, მეორე მხრივ, გარკვეული აზრის ემოციურად და მიზეზ-შედეგობრივ კავშირში გადმოცემის დიდაქტიკური პრინციპები, ბუნებრივია, უფრო ფართოდ შეგვიძლია ვიმსჯელოთ თვით სიტყვის გარეგნული ფორმისა და ამ ფორმის საშუალებით გადმოცემული შინაარსის ურთიერთობაზე.

ჩვეულებრივ ლიტერატურულ თუ ხელოვნების ქმნილებათა ფორმისა და შინაარსის ახსნა-განმარტებისას უპირატესად მხედველობაში აქვთ გადმოსაცემი იდეურ-თემატიკური შინაარსი, რომელიც ასახულია ამა თუ იმ ქმნილებაში და ამ შინაარსის მასებამდე მიმტანი ისეთი მორფოლოგიური ელემენტები, როგორიცაა, მაგალითად, მიზნობრივად შექმნილი სი-

ნამდვილისეული სურათები, სიუჟეტი, კომპოზიცია, ენა და სხვ.

ასე რომ, ასეთ შემთხვევაში ჩვენი დაკვირვების ობიექტი მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ნაწარმოების შინაარსი და ამ შინაარსის გადმომცემი ფორმაა. ერთი შეხედვით, ზეპირ სიტყვაშიც გადმოსაცემ შინაარსსა და მის გადმომცემ ფორმას შორის ანალოგიური შესატყვისობაა, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი აქ საქმე გვაქვს რაიმე გადმოსაცემი აზრის მსმენელამდე მიტანის, პირობითად თუ ვიტყვით, გაორებულ ფორმასთან, ორ მორფოლოგიურ ფენომენტთან. კერძოდ, სათქმელი შინაარსის გადმომცემ კომპოზიციურ კომპონენტებთან — სიუჟეტი, კომპოზიცია, ენა, მხატვრულ სახეთა სისტემა და, მეორე მხრივ, თვით მოუბრის მეტყველების ტექნიკურ შესაძლებლობასა და სხეულის მიზნობრივ კომპლექსურ მოძრაობასთან.

ზეპირი სიტყვის წარმოთქმის თავისებურებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ ორი ფორმობრივი მხარის სრული შესატყვისობით მიიტანოს მსმენელამდე სათქმელი სიტყვის შინაარსი, მისი იდეური აზრი. ცხადია, თუ ზეპირი მეტყველების დასახელებული კომპონენტებიდან რომელიმე არ იქნა გამოყენებული, მაშინ დაირღვევა ზეპირი სიტყვის ფორმისა და შინაარსის შესაბამისობა.

ზეპირი მეტყველების შინაარსისა და ფორმის ეს თავისებურებანი კარგად შეათვასა პ. ლესგაფტმა: «Выражение лица, интонация голоса, форма речи, положение тела, походка, различные привычки и жесты служат нам обыкновенно основанием первого впечатления, производящего на нас новым лицом».¹

კიდევ მეტი, ზეპირი სიტყვის ფორმობრივი მხარე გულისხმობს მოუბრის მსმენელისადმი მიმართების სივრცობრივ პარამეტრებსაც; კერძოდ, რაც უფრო ახლო და ყურადღების ცენტრშია ზეპირად მეტყველი პიროვნება აუდიტორიაში, მით უფრო დიდია მისი სიტყვის მსმენელზე ზემოქმედების ძალა.

ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი რუსი მწერალი და პე-

¹ П. Ф. Лесгафт, Собрание педагогических сочинений стр. 209, 1953.

დაგოგი ლ. ტოლსტოი წერდა: იმისათვის, რომ ბავშვებმა სწორად გაიგონ ზეპირად ნათქვამი, ისინი ახლოს უნდა იყვნენ მოუბართან, ხედავდნენ მისი სახის გამომეტყველებას, ყოველგვარ მოძრაობას. მე არაერთხელ შემინიშნავს, რომ მსმენელებს ყველაზე კარგად ახსოვთ ზეპირი სიტყვის მოსმენისას ის ადგილი, სადაც მოუბარი აკეთებს გადმოსაცემი შინაარსის შესაფერის ექსტსა და ინტონაციას.¹

მშობლიური ენისა და მხატვრული ლიტერატურის როლი ზეპირმეტყველების განვითარებაში

ქართული ენის, მისი გრამატიკული კანონზომიერებისა და მხატვრული მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობის ცოდნის როლი განუზომელია ზეპირი სიტყვის ხელოვნების დაუფლებისათვის. ვისაც შეგნებულად არ შეუსწავლია და არ შეუისისხლ-ჯორცებია სამეტყველო ენის მდიდარი ლექსიკური ფონდი და მისი გრამატიკული კანონები, ცხადია, ის ვერ შეძლებს აზრის უნაკლოდ და მიმზიდველად ზეპირად გადმოცემას. მაშასადამე, აზრის ენობრივი საშუალებებით ხელოვნების დონეზე გადმოცემა ყოველი მოუბრის ხანგრძლივი, თანმიმდევრული და მიზნობრივი მეცადინეობის შედეგია.

ზეპირი სიტყვის კანონზომიერებათა ცოდნის ამ მეტად საპატიო ამოცანის გადაწყვეტისას საყრდენს მშობლიური ენის მდიდარი ლექსიკური ფონდისა და მისი გრამატიკული წყობის შესწავლა წარმოადგენს. მაგრამ, არც ეს კმარა ზეპირი სიტყვის ცოდნის ხელოვნების დაუფლებისათვის, ვინაიდან ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელ ზეპირ სიტყვას მარტოოდენ სალაპარაკო ენის ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული კანონზომიერების ცოდნა ვერ უზრუნველყოფს... შეიძლება მოუბარი შესანიშნავად ფლობდეს სალაპარაკო ენას, მაგრამ თუ იგი ამასთან ერთად კარგად არ იცნობს სალაპარაკო ენის ორთოეპიას, არ იმდიდრებს თავის ცოდნას საუკუნოვანი მხატვრული მწერლობის საგანძურით, ძნელად ერკვევა ცხოვრებისეულ წამყვან ტენდენციებში და, ბოლოს, არ აქვს შეძენილი.

¹ Л, Н, Толстой, педагогические сочинения, стр. 195—196, 1953,

ზეპირი სიტყვის წარმოთქმის ტექნიკურ-ორგანიზაციული ჩვევები, მაშინ მისი მეტყველება ვერ მიაღწევს ენამზეობის სასურველ დონეს.

ზეპირი მეტყველების ამ კანონზომიერებათა დაუფლებაში უხსოვარი დროიდან დიდ როლს ასრულებდა მხატვრული ლიტერატურა. ზეპირი სიტყვის საიდუმლოებათა დაუფლებაში მხატვრული მწერლობის ამ საპატიო როლის შესახებ სპეციალურად აღნიშნა ახალი ქართული პედაგოგიკური მეცნიერების მამამთავარმა იაკობ გოგებაშვილმა: „ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენს სასწავლებლებში გრამატიკა იოსელიანისა ქართული ენის სახელმძღვანელოდ იყო მიღებული. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ჭირივით მეჩავრებოდა ქართული ენის გაკვეთილები და რა სიძულვილი ჩამისახა გულში დედაენის ამ გრამატიკამ იმ დრომდინ, ვიდრე იგი არ შემაყვარეს ჩვენმა მალაღნიჭიერმა პოეტებმა და პოლიტიკატორებმა.“¹ (ხაზი ჩვენია—შ. ქ.).

ზოგიერთს არასწორად ესმის ლიტერატურული ენის რაობა და ფუნქცია: ლიტერატურულ ენად თვლიან მხოლოდ და მხოლოდ ტროპულ მეტყველებას; არჩევენ ავტორისა და ცალკეული გმირის სალაპარაკო ენის თავისებურებას, არ ითვალისწინებენ ლიტერატურული ენის მთავარ ფუნქციას—ცხოვრებისეული სინამდვილის მწერლისეულ გაშუალებულ, განზოგადებულ გადმოცემას და სხვ. გასაგებია, რომ მხატვრული თხზულების ენისადმი ასეთი დამოკიდებულება ვერავითარ საზრდოს ვერ მისცემს ზეპირ მეტყველებას.²

დავაკვირდეთ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ წინადადებას: „რაკი ვლადიკავკასიდან გამოვედი და ჩემის ქვეყ-

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 90, 1954.

² მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ვ. რამიშვილი, მოწაფეთა წიგნიერების დონის ამაღლების საკითხები, 1975. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, 1957. მ. ზანდუკელი, ქართული ლიტ. სწავლების მეთოდოლოგია 1959, აკ. თოფურია, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია, 1974. გ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია 1965, გრ. გაბედავა, ზეპირი მეტყველების განვითარების საკითხები დაწყებით კლასებში, 1972 და სხვ.

ნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვა-რიგად დამიწყო ფეთქა“. ამ წინადადებაში არ არის მხატვრული განსაზღვრებები და ტროპები, მაგრამ იგი მაინც ჩინებული პოეტური აზროვნების ნიმუშია. აქ თითოეული სიტყვა და სიტყვათა შეერთება კონკრეტულ მხატვრულ ფორმაში გვიხატავს ილია ჭავჭავაძის შთამბეჭდავ სახეს. ვნახოთ კიდევ უფრო კონკრეტულად ცალკეულ სიტყვათა შორის ნავარაუდები მხატვრული აზრობრივი მიმართება. „რაკი ვლადიკავკასილამ გამოვედი...“ ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ მწერლისათვის „ვლადიკავკასის“ ცნებას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, როდესაც სამშობლოსაკენ მოემგზავრება, და სულ სხვა—საწინააღმდეგო პირობებში. ასევე შეიძლება ვთქვათ ზმნაზე „გამოვედი“ და არა „გავედი“, რაც ემოციურად დედსამშობლოსთან მწერლის სიახლოვესა და განუყრელობაზე მიგვიბრუნებს.

„...ჩემი ქვეყნის სიომ დამკრა“. აქაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“ აძლიერებს წინადადების დასაწყისში გამოყენებულ სიტყვათა შეერთების მხატვრულ-პატრიოტულ ელერადობას.

დაახლოებით ასეთია მოტანილი ლიტერატურული მასალის მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულება, რომლის ამოცნობა, რასაკვირველია, მკითხველის სპეციფიკურ მომზადებას მოითხოვს.

კიდევ უფრო ძნელი ამოსაცნობია და ზეპირ მეტყველებაში ძნელად გასათვალისწინებელი ლიტერატურულ თხზულებათა ავტორისეული და პერსონაჟების კოლორიტული მეტყველება. ავიღოთ ნიმუშისათვის პეპიასა და თამროს დიალოგის ერთი მომენტი:

— ეი, შენ, ეი! პატარა ეშმაკო! — ეუბნებოდა პეპია თამროს და თითს უქნევდა, — ეგრეები ჩაგიდენია, ჰა? მე ვიცი შენი

— რას ამბობ, ადამიანო, ნეტავი ვიციოდე? — უპასუხა თამრომ და შეაქყიტა თავისი მაცვალი თვალები, — რა ჩამიდენია?

ამ დიალოგში მელოდიკის, ინტონაციისა და ხმის ტემბრის სიუხვესთან ერთად ავტორისეული მხატვრული უშუალობა და პოეტური განზოგადება შექმნილია ისეთი ენობრივი მასალე-

ბის გამოყენებით, როგორცაა „პატარა ეშმაკო“ და „შეაჯყი-
ტა თავისი მაყვალი თვალები“.

ლიტერატურულ თხზულებათა ენის ასეთ თავისებურებათა
სწორად ამოცნობას, საფუძვლიანად შესწავლასა და მიზნობრი-
ვად გამოყენებას დიდი საგანმანათლებლო და აღმზრდელობი-
თი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ახალგაზრდობის ზეპირი მეტყვე-
ლების კულტურის ამალღებისათვის.

მაგრამ აქვე უნდა იყოს გათვალისწინებული ისიც, რომ
სალიტერატურო ენა არ არის ერთფეროვანი თავისი შემადგენ-
ლობით. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მოთ-
ხოვნილებით თანდათანობით ვითარდება, მდიდრდება და იხვე-
წება. ამ გარდუვალი პროცესის გამო საუკუნეების მანძილზე
„ენის ძველ საფეხურებზე მიჩნეული რომელიმე ნორმა შესაძ-
ლოა შემდეგ დიალექტიკურ მოვლენად იქცეს“ (შ. ძიძიგური)
ანდა, პირიქით. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა „ცვლის ეს პრო-
ცესი მიზანშეწონილად წარემართოთ; შევინარჩუნოთ და და-
ვიცვათ ყველაფერი, რაც ფასეული შეუქმნია ქართული ენის
მრავალსაუკუნოვან ისტორიას... და სალიტერატურო ქართულ
ენას შევუნარჩუნოთ სათანადო კავშირი ცოცხალი ხალხური მე-
ტყველების უშრეტ წყაროსთან“.¹

ვლიმენტარული ცნობები ლოგიკის შესახებ

ზეპირი სიტყვის დაუფლების ზემოთ მოცემული თეორი-
ული საკითხების განხილვასთან ერთად აუცილებელია იმის
გათვალისწინებაც, თუ რა როლს ასრულებს ადამიანის მეტყვე-
ლების კულტურის სრულყოფაში ცოდნა ისეთი მეცნიერების
მონაცემებისა, როგორცაა ლოგიკა.

როგორც ცნობილია, ადამიანთა ინტელექტუალური განვი-
თარებისათვის მნიშვნელობა აქვს არა ყოველნაირ აზროვნე-
ბას, არამედ სწორი, ობიექტური სინამდვილის საფუძველზე
აღმოცენებულ, მსმენელთათვის მიზანმიმართულსა და დამარ-
წმუნებელ აზროვნებას. ასეთ აზროვნებას სწავლობს სპეცი-
ალური მეცნიერება, რომელსაც ლოგიკას უწოდებენ.

¹ არნოლდ ჩიქობავა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, 1972,
გვ. 13.

მეორე მხრივ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის ლოგიკის შესახებ ელემენტარული ცნობების მიწოდება აუცილებელი ხდება იმის გამო, რომ ეს მეცნიერება ამჟამად არ ისწავლება ბევრ სპეციალობაზე.

ლოგიკის ამოცანა და მნიშვნელობა. როგორც აღნიშნეთ, სწორი აზროვნება მოუბარს ეხმარება ჭეშმარიტების დადგენაში. ბუნებასა და საზოგადოებაში არსებული სინამდვილე სწორი აზროვნებით შეიმეცნება, მაგრამ აზრთა სისწორეს განასხვავებენ აზრთა ჭეშმარიტებისაგან. შეიძლება აზრთა თანამიმდევრობა, მისგან გამომდინარე შედეგი სწორი იყოს, მაგრამ ჭეშმარიტი არ იყოს. მაგალითად, ორი აზრიდან 1) ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია და 2) რკინა ლითონია—გამომდინარეობს მესამე აზრი: რკინა ელექტრობის გამტარია, ეს უკანასკნელი სწორი აზრია არა იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტია, სინამდვილის ამსახველია, არამედ იმიტომ, რომ ის მოცემული (1 და 2) აზრებიდან გამომდინარეობს. ახლა განვიხილოთ მეორე შემთხვევა: აზრი შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ, ჭეშმარიტებას არ წარმოადგენდეს: ორი აზრიდან: 1) ყველა ლითონი სითხეა, 2) რკინა ლითონია—გამომდინარეობს მესამე აზრი: რკინა სითხეა. ეს უკანასკნელი არ არის ჭეშმარიტი აზრი, მაგრამ ის სწორია, რადგან მოცემული (1 და 2) აზრებიდან გამომდინარეობს“¹.

მაშასადამე, აზროვნების სისწორისათვის საჭირო ყოფილა აზრთა სწორი მდინარეობა, აზრების ერთიმეორიდან გამომდინარეობა, ხოლო ჭეშმარიტებისათვის ამასთან ერთად აუცილებელია, აზრი სწორად ასახავდეს სინამდვილეს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი გამოდგება, აგრეთვე, აზროვნების მოდელის სტრუქტურის გასათვალისწინებლადაც. 1—2 აზრებს—წინამძღვრებს უწოდებენ, ამ აზრების საფუძველზე მიღებულ შედეგს კი—დანასკვს.

აღნიშნულთან ერთად სტუდენტთა ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მეცნიერება, ადამიანთა კულტურა ჭეშმარიტებათა უბრალო თავმოყრას კი არ წარმოადგენს, არამედ უაღრესად დასაბუთებულსა და სწორი აზ-

¹ კ. ბაქრაძე, ლოგიკა, გვ. 5, 1947.

როვნების საფუძველზე მიღებულ ცოდნას. მაგალითად: უკანასკნელ ხანს მეცნიერებმა არა მარტო წამოაყენეს აზრი კოსმოსის ათვისების შესახებ, არამედ კიდევაც დაასაბუთეს და პრაქტიკულადაც შეუდგნენ მის ათვისებას; ვ. ი. ლენინმა არა მარტო წამოაყენა აზრი ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა, არამედ კიდევაც დაასაბუთა და პრაქტიკულადაც განხორციელდა ჩვენს პირობებში. ერთი სიტყვით, დასაბუთების გარეშე არ არსებობს მეცნიერება. ლოგიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს დასაბუთებას, მის კანონებსა და წესებს. აი, სწორედ ამში მდგომარეობს მისი როგორც მეცნიერების, შესწავლის მნიშვნელობაც.

ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა. განასხვავებენ ფორმალურსა და დიალექტიკურ ლოგიკას, ე. ი. აზროვნების ფორმების, წესებისა და კანონებისადმი ფორმალურსა და დიალექტიკურ მიდგომას. ს. წერეთლის აზრით, „ორივე ეს ლოგიკა ერთი და იგივე ლოგიკის განვითარების საფეხურებს წარმოადგენს; ფორმალური ლოგიკა არის ლოგიკის განვითარების დაბალი საფეხური, დიალექტიკური ლოგიკა კი უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს“.¹ მისივე შენიშვნით, ის გარემოება, რომ ფორმალური ლოგიკის განვითარება, თუ ის სწორად წარიმართა, აუცილებლად მიდის დიალექტიკურ ლოგიკამდე.

აზროვნების ფორმები. აზროვნების ფორმებია ცნება, მსჯელობა და დასკვნა. აზროვნების ეს ფორმები იისახება ნებისმიერ აზრთა კავშირში, სადაც ერთი აზრი გამომდინარეობს სხვა აზრებიდან. მაგალითად, ავიღოთ ასეთი აზრთა კავშირი:

1. ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია.
2. რკინა ლითონია.
3. მაშასადამე, რკინა ელექტრობის გამტარია.

აზრთა ასეთ კავშირს დასკვნას უწოდებენ. მოტანილ მაგალითში დასკვნა სამი აზრისაგან შედგება. თითოეულ ამ აზრს მსჯელობა ეწოდება. მსჯელობაში „ლითონი ელექტრობის გამტარია“ ორი ცნებაა: „ლითონი“ და „ელექტრობის გამტარო-

¹ ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 31, 1965.

ბა“. გასაგებია, რომ დასკვნის კანონებისა და წესების შესწავლისათვის საჭიროა, პირველ რიგში, მისი შემადგენელი ნაწილების—ცნებისა და მსჯელობის დაუფლება. „ცნებას, მსჯელობასა და დასკვნას აზროვნების ფორმები ეწოდება“ (კ. ბაქრაძე).

საგნის ან მოვლენის ნიშანი. ცხოვრებისეული თუ ბუნებისეული საგნებისა და მოვლენების განხილვისას ვამჩნევთ, რომ ერთი საგანი ან მოვლენა ჰგავს მეორეს ან მისგან განსხვავდება.

მაგალითად, ატენის სიონი ჰგავს სვეტიცხოვლის ტაძარს, მაგრამ მისგან განსხვავდება კიდეც; ვაშლი ჰგავს ლიმონს, მაგრამ მათ შორის სხვაობაცაა. ორი საგნის ან მოვლენის იმ თვისებას, რითაც ისინი ერთმეორეს ემსგავსებიან ან განსხვავდებიან, ნიშანს უწოდებენ.

ჩვენი მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს განსაზღვრება შეიძლება ასე გავიგოთ: ვაშლი და ლიმონი ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ ორივე ერთი გვარის ცნებაში—„ხილის“ ცნებაში ერთიანდება, მაგრამ მათ შორის სახეობრივი სხვაობაცაა. ლიმონი ციტრუსოვან ხილთა სახეს ეკუთვნის და ვაშლი კი — არა. ასევე შეიძლება ვთქვათ პირველ მაგალითზეც; ატენის სიონი და სვეტიცხოვლის ტაძარი ერთმეორეს ემსგავსება დანიშნულების მიხედვით—ორივე ქრისტიანული რელიგიის საკულტო ნაგებობაა, მაგრამ მოცულობითა და არქიტექტურული გაფორმებით მათ შორის სხვაობაა.

შესაძლებელია ერთმეორეს ემსგავსებოდნენ ან ერთმეორისაგან განსხვავდებოდნენ არა მარტო ცალკეული საგნები, არამედ საგანთა ჯგუფი. ავიღოთ ცნობილი მაგალითი—კვადრატები ემსგავსებიან სწორკუთხედებს და ამავე დროს განსხვავდებიან კიდეც მათგან: მსგავსებას იწვევს ის გარემოება, რომ კვადრატებიც და სწორკუთხედებიც ოთხკუთხედებს წარმოადგენენ, ხოლო განსხვავდებიან იმით, რომ კვადრატებს ოთხივე გვერდი ტოლი აქვთ, სწორკუთხედებს კი — არა. ნიშანი შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ზოგადი, პირველი მათგანი გადმოგვცემს მხოლოდ ერთი საგნის თვისებას, ხოლო მეორე — საგანთა ან მთელი კლასისას.

„საგანს ბევრი ნიშანი აქვს და ამ ნიშნებიდან ჩვენ ერთს მეტ მნიშვნელობას მივაწერთ, ვიდრე მეორეს“ (კ. ბაქრაძე). მაგალითად. ადამიანისათვის ნიშანი „იარაღების კეთებისა“ აუცილებელია: ამ ნიშნის გარეშე ადამიანი წარმოუდგენელია. რაც შეეხება კანის შავ ან თეთრ ფერს, ეს არ არის აუცილებელი: ადამიანი ადამიანად რჩება, მიუხედავად მისი ფერის სხვაობისა.

ადამიანის დასახელებული ნიშნებიდან პირველ მათგანს არსებითი ხასიათის ნიშნებს უწოდებენ, ხოლო მეორეს (ე. ი. ადამიანის ფერს)—არაარსებითს.

ცნება და ტერმინი. ცნებას უწოდებენ საგნის ან საგანთა ჯგუფის არსებითი ნიშნების ასახვას აზროვნებაში. როგორც ცნობილია, ამა თუ იმ საგანსა თუ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ნიშანი, რომლებიც ერთიმეორესთან ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ აქედან ცნების განსაზღვრებისას ჩვენთვის მთავარია მხოლოდ საგნის ნიშანი ან ნიშნები, რომლებიც საგნის არსს—ბუნებას წარმოადგენენ.

მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც საგნის ან მოვლენის არსებით ნიშნებს არ ვიცნობთ, მაგრამ ჩვენ მაინც გამოვთქვამთ მის შესახებ აზრს. ასეთ შემთხვევაში ჩვენი მოსაზრება ემყარება ამა თუ იმ საგანზე არა მის არსებით ნიშნებს. არამედ არაარსებითს, რაც შედარებით უფრო ადვილად ამოიცნობა და აისახება ადამიანის აზროვნებაში. ამიტომ ასეთ ვითარებაში ამბობენ, რომ ჩვენ მხოლოდ წარმოდგენა გვაქვს საგნის შესახებ და არა ამ საგნის არსებითი ნიშნების ცოდნა.

ადამიანის ცნების არსებითი ნიშნებია: „გონიერი“, „მეტყველი“, „საზოგადოებრივი“, „იარაღების მკეთებელი ცხოველი“, „გარკვეული ეპოქისა და კლასის წარმომადგენელი“ და სხვ. ხოლო ადამიანის წარმოდგენაში შეიძლება იგულისხმებოდეს კანის ფერი, სიმაღლე, სახის მოყვანილობა, თვალების ფერი, თმის ფერი და სხვ.

ცნებები გამოიხატება სიტყვებით. ცნების გამომხატველ სიტყვას ტერმინი ეწოდება. მაგრამ ყოველი სიტყვა კი არ არის ტერმინი. სიტყვა ტერმინის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გამოხატავს ამა თუ იმ საგნისა თუ მოვ-

ლენის არსებითი ნიშნების საფუძველზე აღმოცენებულ აზრს.

შედგენილობის მიხედვით ტერმინი შეიძლება გამოიხატოს ერთი, ორი ან მეტი სიტყვით; „ადამიანი“, „კაცი“, „ქალი“, „სოციალიზმი“ და სხვ. ასეთ ტერმინებს მარტივ ტერმინებს უწოდებენ. ხოლო „პიონერული ორგანიზაცია“, „გარეული ცხოველი“. „კოსმოსური რაკეტა“, „სინათლის სხივის მოძრაობა“ და სხვ. რთული ტერმინებია.

ცნებათა სახეები. შინაარსობრივად ცნებები შეიძლება იყოს:

1. ინდივიდუალური და ზოგადი. აქედან ინდივიდუალური (ერთეული) ცნება ასახავს ერთეული საგნის არსებით ნიშნებს. მაგალითად, ასეთი ცნებებია: ილია ჭავჭავაძისა, მდინარე მტკვრისა, ბორჯომის ხეობისა და სხვ. ხოლო ზოგადი ცნება ასახავს არა ერთი საგნის, არამედ საგანთა ჯგუფის არსებით ნიშნებს. ასეთია ცნება მდინარისა, ხილისა, ტყისა და სხვ.

2. როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური ცნება შესაძლებელია გაგებული იქნას როგორც კოლექტიური ცნება. მაგალითად, ხილის ცნება ზოგადია, როდესაც ის მოაზრებულია როგორც ხილის სხვადასხვა ჯიშების არსებითი ნიშნების ერთობლიობა. ასევე ტყის ცნება კოლექტიურია, როცა მასში იგულისხმება საგანთა ერთობლიობა და სხვ.

3. კოლექტიური ცნებისაგან უნდა განვასხვაოთ ცნების გაყოფითი აზრით ხმარება. ავიღოთ ორი გამოთქმა: „ყველა ვაშლი ამ კალათში იწონის 10 კგ.“ და „ყველა ვაშლი ამ კალათში მწიფეა“. აქ პირველ შემთხვევაში „ყველა ვაშლი“ მოაზრებულია როგორც კოლექტიური ცნება, მეორეში კი იგულისხმება თითოეული ვაშლი ცალკე.

4. არსებობს კონკრეტული და აბსტრაქტული ცნებები. კონკრეტული ცნებები საგნებსა და მოვლენებს ასახავენ მათ მთლიანობაში, მაგალითად, ასეთი ცნებებია: ბავშვი, კაცი, სკამი, ბურთი და სხვ.

აბსტრაქტული ცნებები ასახავს არა საგანს ან მოვლენას მათ მთლიანობაში, არამედ მის თვისებას, რაიმე მხარეს. მაგალითად, ასეთი ცნებებია: სიმამაცე, სიკეკლუცე, სიკეთე, ჰუმანიზმი და სხვ.

5. გამოყოფენ აბსოლუტურსა და მიმართებით ცნებებს. აბ-

სოლუტური ცნება მოიაზრება სხვა ცნებასთან კავშირის გარეშე. მაგალითად, ქვის, ბურთის, წიგნის, ადამიანის ცნება არ მოითხოვს სხვა ცნების მოაზრებას, მაგრამ განსხვავებულია დედის ცნება, რომელიც გულისხმობს შვილის ცნებას და პირიქით. შვილის ცნება გულისხმობს მამის ცნებას. ასეთ ცნებებს მიმართებით ცნებებს უწოდებენ.

ცნების მოცულობა და შინაარსი. ცნება უაღრესად ტევადი ტერმინია. მასში შეიძლება ვიგულისხმოთ ერთი საგანიც, რამდენიმეც და უამრავიც. მაგალითად, პლატონის, თბილისის, სურამის ციხის ცნებაში იგულისხმება თითო-თითო საგანი. ხოლო ვარსკვლავთა სამყაროს, ადამიანის, ქალაქის ცნებაში — უამრავი საგანი. ცნება ერთია, რა მრავალიც უნდა იყოს საგანთა ის რიცხვი, რომელსაც ეს ცნება გულისხმობს.

საგანთა ერთობლიობას, რომელიც ცნებაში იგულისხმება, ცნების მოცულობა ეწოდება... არსებითი ნიშნების ერთობლიობას ცნების შინაარსი ეწოდება. მაგალითად, კვადრატის ცნების შინაარსი არის შემდეგი ნიშნების ერთობლიობა: ოთხკუთხედობა, ტოლი გვერდები, სწორი კუთხეები“ (ჯ. ბაქრაძე).

გ ვ ა რ ი და ს ა ხ ე. მოცულობის თვალსაზრისით ცნებათა შორის შეინიშნება გარკვეული მიმართება. კერძოდ, შეიძლება ერთ ცნებას უფრო დიდი მოცულობა ჰქონდეს, მეორეს კი — მცირე. მაგალითად, ხილის ცნების მოცულობა უფრო დიდია, ვიდრე, ვთქვათ, ვაშლისა, ვინაიდან პირველი ცნების მოცულობაში, გარდა ვაშლისა, ხილის სხვა მრავალი სახე ერთიანდება, ხოლო მეორეში მარტო ვაშლის სახეობები იგულისხმება. ასე რომ, ვაშლის მოცულობა შედის როგორც ნაწილი ხილის მოცულობაში.

დიდი მოცულობის ცნებას გვარს უწოდებენ, ხოლო მასში შემავალ მცირე მოცულობის ცნებას — სახეს.

თვალსაჩინოდ გვარისა და სახის დამოკიდებულება შეიძლება ასე გამოიხატოს:

1. მწვერვალი
2. იალბუზი
3. მყინვარწვერი
4. უშბა

ამ ცნებებში პირველი ცნება „მწვერვალი“ გვარია, ხოლო

დანარჩენი კი—სახეები. უნდა აღვნიშნოთ, რომ გვარისა და სახის ცნებები ერთმანეთის მიმართ შედარებით დამოკიდებულებაშია. შესაძლებელია, რომელიმე ცნება გვარი იყოს ერთი ცნების მიმართ და სახე მეორის მიმართ. მაგალითად, რუსის ცნება გვარია ბელორუსის ცნების მიმართ, მაგრამ სახეა ადამიანის ცნების მიმართ. ასევე ქართულის ცნება სვანის ცნების მიმართ გვარია, ხოლო ადამიანის ცნების მიმართ—სახე.

მსჯელობა. მსჯელობა რაიმე აზრის უარყოფას ან მტკიცებას წარმოადგენს. მსჯელობის პროცესში მოუბარი მოვლენებს განიხილავს არა ერთიმეორისაგან იზოლირებულად. არამედ ერთმანეთთან კავშირსა და ერთიმეორისადმი გარკვეულ მიმართებაში. მაგალითად, ჩვენ ხშირად ვამბობთ, დღეს კარგი ამინდია, შოთა რუსთაველი არის გენიოსი პოეტი, პეტრე კარგი ფეხბურთელია, იალბუზი არის მწვერვალი, ქ. გორი მდინარე მტკვრისა და ლიახვის სანაპიროზე მდებარეობს და სხვ. მოყვანილ მაგალითებში გამოთქმულია მოსაზრება, რაც შეინიშნება ადამიანების მიერ საგნებზე დაკვირვებისას. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს. ერთი მხრივ, ქ. გორის მდინარე მტკვრისა და ლიახვის სივრცობრივი მიმართება, ხოლო მეორე შემთხვევაში საგნისა და მისი თვისებების მიმართება—შოთა რუსთაველის გენიოსობა, პეტრეს კარგი ფეხბურთელობა, იალბუზის სიმაღლე.

საგანთა და მოვლენათა შორის ასეთ მიმართულებას მსჯელობას უწოდებენ. ასე რომ, პირობითად რომ ვთქვათ—მსჯელობაა სწორედ ის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ამა თუ იმ ცნებების შესაბამისი საგნები ან რაღაცას ადასტურებენ, ან უარყოფენ.

მსჯელობის ნაწილები. მსჯელობაში სამ ნაწილს გამოყოფენ. აქედან ორი ცნებაა და ერთი მიმართება. მაგალითად, „იალბუზი არის მწვერვალი“—აქ დადასტურებულია სათანადო მიმართება საგანსა (იალბუზი) და მის სპეციფიკურობას შორის (მწვერვალი). მეორე მაგალითი: „კალმახი არის თევზი“; ამ მსჯელობაშიც დადასტურებულია საგნის (კალმახი) მიმართება საგანთა იმ კლასს შორის, რომელშიც კალმახი შედის (თევზთა კლასი). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახისა და

ჯვარის მიმართებასთან; სახეა კალმახი, გვარი კი—თევზთა კლასი; მაგრამ მსჯელობაში—„სელაპი არ არის თევზი“—
.ჟარყოფილია სახისა და გვარის მიმართება.

აზროვნების კანონები. სპეციალურ ლიტერატურაში აზროვნების შემდეგ კანონებს გამოყოფენ; იგივეობის, წინააღმდეგობის, გამორიცხული მესამისა და საკმაო საფუძვლის კანონებს.

იგივეობის კანონი. ეს კანონი გულისხმობს ტერმინების იგივეობრივ მოაზრებას მსჯელობაში. თუ ეს პირობა არ იქნა დაკული, მაშინ წანამძღვრებისაგან მიღებული დასკვნა არ იქნება სწორი. კ. ბაქრაძეს ამ დებულების დასამტკიცებლად განხილული აქვს ასეთი მაგალითი:

ყველა ურემს აქვს თვალი.
თვალი მხედველობის ორგანოა.

მაშასადამე, ყველა ურემს აქვს მხედველობის ორგანო. როგორც ვხედავთ, დასკვნა არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ წანამძღვრებში არ არის ტერმინების იგივეობრივი მოაზრება. ამგვარად, „ტერმინების იგივეობის“ გარეშე შეუძლებელია დასკვნა. ამ პრინციპს, რომლის შესრულების გარეშე დასკვნა შეუძლებელი ხდება, იგივეობის პრინციპი, ანუ კანონი, ეწოდება (კ. ბაქრაძე). წინააღმდეგობის კანონი. ავილოთ ასეთი მაგალითი:

ყველა ადამიანი მოკვდავია.
პეტრე ადამიანია.
პეტრე არ არის მოკვდავი.

ამ მსჯელობაში მიღებული დასკვნა არ არის სწორი. სწორი არაა იმიტომ, რომ დასკვნები ეწინააღმდეგება წანამძღვრებს. დანასკვი არ გამომდინარეობს წანამძღვრების აზრთა მდინარებიდან. ყოველივე ამის გამო მიუთითებენ, დასკვნის სისწორის ერთ-ერთი პირობაა, ჩვენს აზრებს შორის წინააღმდეგობა არ იყოს დაშვებული. სწორი აზროვნების ამ პირობას წინააღმდეგობის პრინციპი, ანუ კანონი ეწოდება.

გამორიცხულის მესამის კანონი. ყოველ მსჯელობაში სუბიექტს შეიძლება მივაწეროთ ან არ მივაწეროთ რაიმე ნიშანი:

შესამე შესაძლებლობა არ არსებობს. მაგალითად, ლითონი არ ატარებს ელექტრობას ან ატარებს, საგანი ან მწვანეა ან არაა მწვანე, ვარდი ან წითელია ან არაა წითელი, ან ერთი, ან მეორე; მესამე შესაძლებლობა გამორიცხულია. აზროვნებაში მესამე შესაძლებლობის ასეთ გამორიცხვას გამორიცხულის მესამის კანონი ეწოდება.

საკმაო საფუძვლის კანონი. პირველი სამი კანონის აღმოჩენა არისტოტელეს სახელთანაა დაკავშირებული, ეს მეოთხე კანონი კი ლაიბნიცმა აღმოაჩინა. ამ კანონის მიხედვით რაიმე დებულების დასაბუთებისას ჩვენ უნდა მოვიხმოთ ისეთი წანამძღვრები, რომლებიდანაც დასკვნა აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს. მაგალითად, მსჯელობაში—ტოლფერდა სამკუთხედში სამივე გვერდი ტოლია—საკმაო საფუძველია იმის მტკიცებისათვის, რომ ვთქვათ, „ამ სამკუთხედში სამივე კუთხე ტოლია“. მაგრამ მსჯელობაში—აბიტურიენტმა ვერ გამოამყდავანა საკმაო ცოდნა ავადმყოფობის გამო და ამიტომ იგი შეიძლება შეფასდეს დადებითად—ასეთი დასაბუთება არ იქნება საფუძვლიანი აბიტურიენტის დადებითად შეფასებისათვის. ამ შემთხვევაში აბიტურიენტის ავადმყოფობა შეიძლება გამოდგეს მხოლოდ მისი მოუწინააღმდეგობის ასახვად.

ყოველივე ამის გამო აღნიშნავენ, რომ მსჯელობაში ჭეშმარიტი დასკვნის გაკეთებისათვის აუცილებელია წანამძღვრების საფუძვლიანობა, რეალურობა.

ანალიზი და სინთეზი. ანალიზი და სინთეზი აზროვნების მთავარი არხებია. ანალიზი ნიშნავს რაიმე ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის მიღებას, სინთეზი კი — კერძო მოვლენაზე დაკვირვებით ზოგადი დებულების მიღებას. ფსიქოლოგ ს. რუბინშტეინის აზრით, ყოველი ადამიანის აზროვნებაში მნიშვნელოვანია სინამდვილის შეცნობის სწორედ ეს ორი მექანიზმი, რომლის საფუძველზე წარმოიშობა აღქმული სინამდვილისეული მოვლენების აბსტრაქცია და განზოგადება.

ანალიზსა და სინთეზს სპეციალურ ლიტერატურაში დელუქციასა და ინდუქციას უწოდებენ. აზროვნების ეს მეთო-

დები „ცალ-ცალკე ვერ უზრუნველყოფენ სინამდვილის მოვლენათა შემეცნებას. ისინი ერთმანეთის გარეშე ცალმხრივ მეთოდებს წარმოადგენენ. დედუქცია საჭიროებს ზოგად მსჯელობას, რომელზედაც დაყრდნობით შეიძლება დანასკვის გაკეთება რომელიმე კერძო შემთხვევის მიმართ. ხოლო ეს ზოგადი მსჯელობა მიიღება ინდუქციის გზით“. (კ. ბაქრაძე).

ბოლოს ლოგიკით დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ ზემოთ განხილული საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით წაიკითხონ შემდეგ წიგნებში: კ. ბაქრაძე, ლოგიკა, 1947, ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, 1965; ამ წიგნების საფუძველზე დაიწერა ჩვენი შრომის ეს ქვეთავი.

მოკლე ცნობები ზეპირმეტყველების კულტურის ბანკითარების შესახებ

ისტორიულად ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარებას ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა. ამ თვალსაზრისით ძვირფასი ცნობებია დაცული მდიდარ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და წერილობით წყაროებში. ქვემოთ წარმოდგენილია ამ წყაროებში დაცული მასალების შესწავლის ცდა კონკრეტული მასალების განხილვის საფუძველზე.

ცნობები ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან. როგორც ირკვევა, კოლექტიური შემოქმედი—მშრომელი ხალხი ცალკეული ზეპირსიტყვიერი ნიმუშის შექმნასთან ერთად სპეციალურად გამოყოფს რაიმე აზრის მსმენელამდე მიტანის კონკრეტულ პედაგოგიურ მოთხოვნებსაც. ამ მოთხოვნებიდან აღსანიშნავია: 1. მოუბრის დაოსტატება სიტყვა-პასუხის ცოდნაში. 2. აზრის ზეპირად გადაცემის წინასწარი მოთხოვნის გაჩენა მოუბარში. 3. მსმენელთა დაინტერესება გადასაცემი ამბით და სხვ.

ზეპირი მეტყველების საიდუმლოების ცოდნა, მსმენელისათვის რაიმე შინაარსის შესაფერისი ენობრივი მასალით გადაცემა, ხალხის შეფასებით, ადამიანის მაღალი კულტურის მაჩვენებელია. მეტიც, ხალხი სიტყვა-პასუხში დაოსტატებულს მოწიფულ ადამიანად მიიჩნევს.

„სიტყვა-პასუხში ნასწავლი,
ვაჟკაცად გამოზრდილია,
ძმა-კაცის მოსიყვარულე,
ძოლაპარაკე ტკბილია“.¹

ხალხმა იცის, რომ მიმზიდველად და ოსტატურად რაიმე შეინაარსის გადმოცემა მხოლოდ „ჭკვიანი კაცის“ საქმეა.

„ჭკვიანი კაცის ნათქვამი
სიტყვა ძვირფასად ღირსაო“ (გვ. 132).

ასეთ სიტყვას ხალხი უფროთხილდება, თავისი ცხოვრების მეგზურად იხდის, ცდილობს, კარგად ნათქვამი სიტყვით იამაყოს, ყველას კუთვნილება გახადოს იგი.

„მაგთესავ ქვეყანაშია,
სიტყვაო ბახისაო“ (გვ. 87).

ჩამოყალიბებული აზრიანი მეტყველება და „ენა მოკლედ“ მეტყველება, ხალხური ზეპირი სიტყვების მიხედვით, ერთიმეორისაგან დიდად განსხვავდება. ეს სხვაობა სააზრო მეტყველსა და „ენა მოკლეს“ შორის ისეთივეა, როგორც ვთქვით, განსხვავება. ორლესულ და ცალპირზე ალესილ ხმალს შორის.

„თუშმა თქვა: ენა მოკლეი,
სიტყვა — გრძელი და ხმიანი,
ყველა თანაბრად ვერ გაჭრის
ხმალი ცალპირზე ფხიანი“ (გვ. 99).

სიტყვა-პასუხის მართებულად ცოდნა და ზრდილობა ადაშიანის ზნე-კეთილობის მაჩვენებელია. მაგალითად, ერთ ლექსში გასათხოვარი ქალი მიმართავს დედას; რად მინდა ისეთი ქმარი, რომელიც „ვეფხვად ნაზარდი“ არ იქნება, არ ეცოდინება ხელოვნება აბჯრისა და ფარის გამოყენებისა და, ამასთან ერთად,

„სიტყვა-პასუხსა უფროზობდეს
მწყრად იყოს ზრდილობასაო“ (გვ. 105).

¹ ხალხური სიბრძნე, ტ. IV, გვ. 238, 1965. ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ქსენია სიხარულიძემ. ქვემოთ ფოლკლორული მასალები მოტანილია ამ გამოცემის მიხედვით.

კარგი, საამო, მსმენელთათვის მოსაწონებელი მეტყველება ხალხურ ანდაზებშიც ადამიანის გონებრივი და ზნეობრივი სრულყოფილების მაჩვენებელია. ხალხური სიბრძნე ამბობს: „ენადმრავალმა აჯობა ხელითპრავალსო“, „ენადმრავალმან აჯობა მუხლადმრავალსო“, „ენამ მოკამა სოფელი და ამოღებულმა ხმალმა ვერაო“ და სხვ. ზეპირი სიტყვისადმი კოლექტიური შემოქმედების ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო საფუძვლიანი ხდება მას შემდეგ, როცა ვითვალისწინებთ, რომ ხალხს ზეპირი სიტყვა, მისი შინაარსი და ფორმა შეფასებული აქვს არა მოუბრის მთლიანი პიროვნული შესაძლებლობისაგან იზოლირებულად, არამედ მასთან კავშირში და მხოლოდ მისი სიტუაციური განწყობილების მონაცემების საფუძველზე. ხალხური სიბრძნე არ იცნობს არც ერთ საამონათქვამს, რომელიც არ შეეხატყვისება თვით მთქმელის შინაგან მოთხოვნას, მისი გულის ნაფიქრალს...

„სიტყვა ფიქრია მღელვარე,
ჩემ გული — კალმის წვერია,
ქალღმერთზე შავი მელანი—
დამდნარი გულის წვენი“.

სხვა ლექსში კი ნათქვამია:

„რა ექნა, რომ ლექსი არა ვთქვა,
ჯულს მომედება ალია“ (გვ. 82).

მეორე მხრივ, იგივე ზეპირსიტყვიერი მასალებით დასტურდება, რომ მთქმელს რაღაც მძიმე ოჯახური თუ საზოგადოებრივი გარემოება უკარგავს სურვილს ლაღად საუბრისას და ამ საპატიო მიზეზის გამო მის ენას „ბორკილი დასდებია“.

„ალარ მწადიან, ვიუბნო,
რაღაც ღრღნის გულის ფიცარსა,
მთას მთობა ალარ სწადიან,
ალარც თუ ბარსა ბარობა.
ვაი, ჩემს ამ ღრთ მოყრასა,
ჩემს ამის მოხილებასა
ენას დამედვა ბორკილი,
თვალთ მიშლის ახილებასა“.

ყოველი სახალხო მთქმელი და ავტორ-მთქმელი რაიმე ამბის გადაცემის წინ მსმენელთა ყურადღების მობილიზებისა და დაინტერესებისათვის ნაირფეროვან საშუალებებს მიმართავს. ამ საშუალებებიდან შეიძლება გამოვყოთ:

ა) ზეპირ სიტყვაში გადასაცემი შინაარსის მთქმელზე მითითება:

„ამას ამბობენ თუშები,
ნამოგვიტონა მთანიო,
ჩვენ მტერი ვერას დაგვაკლებს,
რომ არ ექნება გზანიო“ (გვ. 145).

ბ) სათხრობი შინაარსის უანრის აღნიშვნა:

„არაკი გიოხრა, ზურაბო,
ფშავლების ხელი სენია“ (გვ. 185).

გ) უსულო საგნების ამეტყველება:

„—იამბე, ციხის ნაშალო,
რა დრო გაქ გამოვლილიო,
ჯისი რა აგებული ხარ,
ვისი რა ჩამოშლილიო“ (გვ. 189).

დ) მსმენელისა და მთქმელის დიალოგი რაიმე სათქმელი ამბის გადმოცემაზე:

„— დაქეჲ, გვიამბე, მოხუცო,
თუ თავ რა გადაგხვევია,
ვერთხარი, ჩვენსა სამშობლოს
რა განსაცდელი სწვევია,
სულ დაწვრილებით გვიამბე
რა ფეო ბედი ჩენია.
—აბა, რა გითხრათ, შვილებო,
სიტყვა სათქმელად ძნელია,
ეზივარ მოხუცი ხის ძირში
ენაც არა მაქვს სველია“... (გვ. 206).

ე) პროზაულ ქმნილებაში — ზღაპრებში, ნოველებში და სხვ. — თხრობითი რეალისტური და რელიგიურ-ხოტბითი დასაწყისი, რაც „თავიდანვე განსაზღვრავს გადმოცემის მანერას“ (მ. ჩიქოვანი) და სხვ.

ზეპირი მეტყველების, კერძოდ, საწარმოთქმო საშუალებე-

ბათა დახვეწისათვის უნდა იყოს შექმნილი ისეთი ლექსიკური მასალა, როგორცაა „ენის გასატეხი“. ძირითადად ენის გასატეხის საშუალებით ბავშვები ეუფლებიან მათთვის ძნელად წარმოსათქმელ მრავალთანხმოვნიან სიტყვებსა და, აგრეთვე, ფრაზების სწორად თქმას. მეთოდი ენის გასატეხის შესრულებისა — სწრაფად, ე. ი. ჩქარად თქმასა და სათქმელის რამდენჯერმე გამეორებაში მდგომარეობს. ის, ვინც ამა თუ იმ ენის გასატეხს სწრაფად იტყვის და თან უშეცდომოდ გაიმეორებს რამდენჯერმე (ვთქვათ, სამჯერ ხუთჯერ, ათჯერ და მეტჯერ), გამარჯვებულად ითვლება, ხოლო ის, ვინც ამ ამოცანას მართებულად ვერ შეასრულებს, ახლობელ-მეგობართა სიცილისა და გაკილვის ობიექტი ხდება.

ენის გასატეხი შინაარსობრივი თვალსაზრისითა და, განსაკუთრებით, მისი შესრულების ფორმის მიხედვით, უფრო მეტად მცირეწლოვანი და საშუალო ასაკის ბავშვების კუთვნილებაა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კოლექტიურმა შემოქმედმა მისი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნით გამოყენება ბავშვების თამაშს—გართობას დაუქავშირა და არა წმინდა გონებრივი ხასიათის წვრთნას.

დაახლოებით ასეთია მოკლედ ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარების ის მონაცემები, რომელიც ხალხს შეუქმნია და შემდეგ, საუკუნეების მანძილზე, ყველასათვის თითქმის ერთგვარი საერთო ენობრივი სტილისტიკურ ნორმათა სახე მიუღია. როგორც ვნახეთ, მთქმელი და ავტორ-მთქმელი შკაცრად იცავს ზეპირი მეტყველების ამ ნორმებს, რადგან იგი—ეს ნორმები „ხალხის შუაგულიდანაა გამოსული და მთელი თავისი შესაძლებლობით ასახავს ხალხის ენის სამეტყველო საშუალებებს“.¹

ცნობები წერილობითი წყაროებიდან. ხალხის მიერ შექმნილი ზეპირი მეტყველების ნორმები ბუნებრივ დაცვასა და განვითარება-სრულყოფას მწერლობაში პოულობს. ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში დაცულია არაერთი საყურადღებო ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ აუთვისებიათ და შემდგომი დროის შესაფერისად განუვითარებიათ ზეპირი

¹ ა. ლლონტი, ქართული ხალხური ნოველა, გვ. 340, 1966.

მეტყველების ის ტრადიცია, რაც მემკვიდრეობით მიუღია დამწერლობას ხალხური პოეტური შემოქმედებიდან. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამჯერად ჩვენ განვიხილავთ არა საერთოდ ქართულ კლასიკურ მჭევრმეტყველებას, როგორც ცალკე დარგს ჩვენი კულტურისას, რაც საფუძვლიანადაა შესწავლილი¹, არამედ ორატორულ ძეგლებსა და სხვა წერილობით წყაროებში მოცემულ მეთოდოლოგიურ მითითებას მჭევრი სიტყვის მომზადებისა და შესრულების თაობაზე. ამბის თხრობის და, საერთოდ, მჭევრმეტყველების ხელოვნებაზე ცალკეული მითითებანი სპორადულად ეროვნული მწერლობის პირველივე ძეგლებში შეიმჩნევა. მაგრამ ჩვენი კულტურის ამ სფეროს შემდგომი განვითარების ერთგვარ საფეხურებრივ მიჯნად შეიძლება IX—X საუკუნეების ძეგლები მივიჩნიოთ, ვინაიდან ამ პერიოდის წერილობით წყაროებში ვპოულობთ მდიდარ ცნობებსა და თეორიულად დასაბუთებულ წესებს მჭევრი სიტყვის კანონზომიერებათა შესახებ. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში დიდად საყურადღებოა გრიგოლ ხანძთელის ზეპირი მეტყველების დახასიათება, რომელიც წარმოდგენილია გიორგი მერჩულის ცნობილ ძეგლში: „სიტყუაი მისი იყო შეზავებულ მარლითა მადლისაითა, რაჟამს იტყვიან—ბრძნად ალაღის პირი თვისი და წესი განუჩინის ენასა თვისსა“. ამ ცნობაში აშკარად ჩანს ცოდნა ზეპირი მეტყველების იმ წესისა, რომელიც ყოფილა გრიგოლ ხანძთელის დროინდელ ქართულ სკოლებში და, რაც გრიგოლს ბრწყინვალედ აუთვისებია. ენისათვის „წესის გაჩენა“ ნიშნავდა ამ დროისათვის როგორც ზეპირი მეტყველების, ისე გამომეტყველებითი კითხვის კანონზომიერებათა ცოდნასაც.

მართლაც, ამ პერიოდში რომ სათანადო პატივით სარგებლობდა ამბის თხრობის კანონზომიერებათა გარკვეული წესისა თუ წესების ცოდნა, კარგად ჩანს ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობებითაც. ეს თხზულება ერთ-ერთი საინტერესო წერილობითი ძეგლია, რომელშიც ავტორი საგანგებოდ გამოყოფს თხრობის მეთოდის

¹ ამ საკითხის შესახებ იხ. ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, 1961.

განმსაზღვრელ ტერმინოლოგიასა და გარკვეულ თეორიული ნასიათის დასაბუთებასაც აძლევს მას. ბასილის აზრით, მთელი იმ პედაგოგიკურ ღონისძიებათა მექანიზმს, რომლითაც მკითხველი თუ მსმენელი ითვისებს თხზულების შინაარსს, „წესი თხრობისა“ ეწოდება.

„წესი თხრობისას“ ერთ-ერთი მეთოდოლოგიური მოთხოვნა იყო აგრეთვე ის, თუ სათხრობი მასალა რა თანმიმდევრობით გადაეცემოდა მკითხველს, ბასილს ეს გარემოება თავიდანვე აქვს გათვალისწინებული და მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ეგრეთ წოდებული „შემდგომითი შემდგომად“ თხრობის აუცილებლობაზე, რაც, როგორც აღვნიშნეთ, თანმიმდევრული თხრობის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს. მაგრამ ეს ტერმინიც რომ არ შემოეტანა ავტორს თავის თხრობის წესში, მაინც ნათელია, რომ საანალიზო ძეგლში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სათხრობი მასალის შინაგანი მიზნობრივი ერთიანობის დაცვას. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად კვლავ უნდა დავიმოწმოთ ავტორის არაერთგზისი განცხადება ცალკეული ეპიზოდების მოტივირებისა თუ „ნეშტი თხრობისაის“ (დარჩენილი სათხრობი მასალის) უკვე ნათქვამთან („პირველსავე სიტყვასთან“) დაკავშირების შესახებ, რის საშუალებითაც მკითხველთა წარმოდგენაში კვლავ ერთიანობაში, ურთიერთმიზნობრივ კავშირში ლაგდებოდა სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები. ერთი სიტყვით, საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ძეგლში ყურადღება ექცევა გარკვეული ამბის ერთ მთლიან ლოგიკურ ასპექტში გადმოცემას და ამ პროცესის ყველაზე დამახასიათებელი ტერმინი „შემდგომითი შემდგომად“ თხრობაა.

ბასილ ზარზმელისეული თხრობის წესის მცოდნეს უნდა ჰქონოდა ნათელი წარმოდგენა არა მარტო რაიმე ამბის გადმოცემის კანონზომიერებაზე, არამედ მის ცალკეულ ნაწილებზეც, ვთქვათ, რაიმე ამბის დასაწყისზე, ამბის დასასრულზე და სხვ. საანალიზო თხზულებაში ბასილ ზარზმელი სათხრობი ამბის ამ საფეხურისათვის ასეთ ტერმინოლოგიას სთავაზობს მკითხველს:

1. „დასაბამი თხრობისა“ ანუ თხრობის შესავალი: „რამეთუ იწყებს სიტყუაი დასაბამსა ცხორებისა მისისასა“.

2. „პირველდაწყებული სიტყუაი“, „პირველ ვთქუთ“ და სხვა ნიშნავდა „თვით შინაარსისა და მოთხრობის უკვე აღწერილს ნაწილს“.¹

3. „ნეშტი თხრობისაი“, როგორც ზემოთაც ითქვა, ნიშნავდა გადმოსაცემი ამბის იმ ნაწილს, რაიმე ეპიზოდს, რის თხრობაც შემდეგ იყო მოსალოდნელი: „ამიერ კულად ვიპყრათ ნეშტი იგი თხრობისაი და პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ“.

4. „დასასრული თხრობისა“ ნიშნავდა ამბის დამთავრებას, თხრობის დასასრულს.

თუ როგორ დიდ ინტერესს იჩენდნენ ამბის გადმოცემის კანონზომიერებათა სრულყოფა-განვითარებისათვის XI—XII ს-ში, ამას ნათლად ადასტურებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. პოემაში სპეციალური ყურადღება ექცევა ამბის გადმოცემის თემატიკას, მის იდეურ გამიზნულობას, მოცულობას, გადმოსაცემი შინაარსის ლოგიკურობასა და თხრობას, და, ბოლოს, გადაცემული მასალისადმი მსმენელთა აკადემიურსა და საჭირო ორგანიზებულ მიმართებას.

თეორიული თვალსაზრისით შოთა რუსთაველის ამ შეხედულებათა უტყუარი დადასტურებაა მე-12 სტროფი.

„შიაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღრმთო, საღრმთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ეარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“.

გარკვეული შინაარსის თხრობის სახით გადმოცემის უდიდეს ხელოვნებაზე მიგვანიშნებს ის უმდიდრესი ტერმინოლოგია, რომელიც პოემაში ამბის გადმოცემასთან დაკავშირებით გამოიყენება.

გავეცნოთ უფრო კონკრეტულად პოემაში გამოყენებულ ტერმინოლოგიას:

¹ ივ. ჭავჭავაძის, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წ. I, გვ. 21, 1945.

ა

- დ ვ ი ლ ა დ თ ხ რ ო ბ ა : აწ მეტად ძნელსა საქმესა მწუკავ ადვილად თხრობასა, 231, 311.¹
- ა ვ ი თ ა თ ბ გ რ ი : თქვენი თათბირი აეიკა სხვისა კარგისა მჯობია, 38,2.
- ა ვ ი ს ი ტ ყ ვ ა : ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა, 30,4.
- ა თ ა ს ი ე ნ ა : ავთანდილის მაქებელთა ათასიკა ენა უნდა, 1036,1
- ა მ ბ ა დ ნ ა თ ქ ვ ა მ ი : აქამდის ამბად ნათქვამი... 7,4.
- ა მ ბ ა ვ ი ნ ა თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი ; ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, 9,1.
- ა მ ბ ა ვ ს ა ს ც ნ ე ვ დ ი : ამბავსა სცნევდი, მაცნევდი, წიგნითა მეუბნებოდი, 1557,3.
- ა მ ო კ ა უ ბ ნ ა რ ი ა : გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია, 34,4.
- ა რ -ს ა ს მ ე ნ ლ ი ს ა ა მ ბ ა ე ი : არ-სასმენლისა მოსმენა არს უმეავესი წმახისა, 886,4.
- ა რ -ნ ა ც ქ ა ფ ა ე ი ა მ ბ ა ვ ი : მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არ-ნაცქაფავი, 1302,1.
- რ -ა ჯ ე ბ ი თ უ ბ ნ ო ბ ა : მათ კილობანი მოჰქონდა, ეუბნეს არ აჯებიითა, 573,3.
- ა ს ი გ ა გ ო ნ ე ბ ა : ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის არ ერთხელი, 654,2.

ბ

- ბ რ ძ ნ ა დ მ ო უ ბ ა რ ი : იარნეს დღენი მრავალნი ლალთა, ბრძნად მოუბარეთა, 1481,2.
- ბ რ ძ ნ ა დ ნ ა კ ა ზ მ ი ს ი ტ ყ ვ ა : დაუწყო თხრობა მეფესა სიტყვისა, ბრძნად ნაკაზმისა, 1505,4.

გ

- გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ი თ უ ბ ნ ო ბ ა : გაკვირვებით ეუბნების, არის მისგან სათამამოდ, 1501,3.
- გ ა ა მ ა ლ ლ ნ ე ს ... ხ მ ა ნ ი : ყველაკაი ღმერთსა მადლობას, გაამაღლნეს მათნი ხმანი, 1495,3.
- გ ლ ა ხ , ე ნ ი თ კ ა დ რ ე ბ ა : მითხრეს, თუ „ხარო ყმაწვილი, ბერნი მით გკადრებთ, გლახ ენით, 417,2.
- გ რ ძ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ა : გრძელი სიტყვა საწყინოა, ასრე მოკლედ მოგახსენო. 234,3.

¹ მასალები დამოწმებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან.

დ

- დანაყბედი სიტყვა; ქალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბელსა 112,1
- დიაცურად თქმა: ესე ამბავი მას თანა ვთქვი დიაცურად, ხელურად, 1194,1.
- დრამის წონის ამბავი: მისნა ვერა ვცნენ ამბავნი ვერცა დრამისა წონანი, 582,3.
- დუხქირი საუბარი: ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვად, ან დუხქირად, 126,1.

ე

- ენატკბილი: გველსა ხერელით ამოიყვანს ენატკბილად მოუბარი, 891,4
- ენაკლეზული: ენა მის დღისა შვებასა ყოლა ვერ იტყვის კლებულდი, 667,4.
- ენაბევრი: მე ვინ ვაქებ? ათენს ზრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი, 685,4,
- ენამოეცა: ეუშველეთ, ენა მოეცა სიტყვისა გამომგებარე, 1020,2.
- ენამეტ: ესეგვარი დია მიხვდეს სიტყვა-მცთარსა, ენამეტსა, 1094, 1.
- ენაერთისა წამისა: ვით გაეხარნეს, ვერ იტყვის ენა ერთისა წამისა, 1493,2.
- ენა-დაუშრობელი; დილარგეთ-სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა; 1587,3.
- ენის დაშვრობა: ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჭერების, 1285,1.
- ენის მოყივნება: შეის ხასობს, გაის ქუშობს ენა ასრე მოაყიენებს, 752,3.
- ენახელისა: რა კირნი დასთმნა, ვერ იტყვის აწ ენა ესე ხელისა, 988,3.
- ენით ლალობა: ვაზირი ლალობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა, 59,4.
- ესეზომისიტყვა: მან პასუხი არა მითხრა მე სიტყვათა ესეზომთა.
- ერთგან სასაუბნარო: უბრძანა „გკითხავ საქმესა, ერთვან სასაუბნაროსა, 35,1.
- ეუბნატკბილითა საუბარითა: გვერდსა დაისვა, ეუბნატკბილითა საუბარითა, 1169,1.

ვ

- ვერ-სათქმელი: ფრიდონ მოსთქვამს: „რა შეგახსნათ, ვერ საქებო, ვერ სათქმელო“. 995,1.

ვიუზნო მრავლად: არას ვარგებ, არ დაედგები, სხვა ვიუზნო რაღა მრავლად. 921,4.

ზ

ზენართ ეუზნებოდ: აეთანდღლს ასმათ ჩამოქყვა, ზენართ ეუზნებოდა. 651,1

ჩ

თ

თავითგან თხრობა: თავითგან გითხრობ ყველასა, თქვენ სმენად დაემზადენით, 1108,4.

თქმა არ ეგების ენითა: მისელა ებრძანა, ეამა, თქმა არ ეგების ენითა. 683,4.

თხრობა... კრელისა: რადმცა რა ეჰაკდრე შეფესა თხრობა რასაცა კრელისა! 1475, 3.

ი

იღუმალ ეუზნა: იღუმალ ცოლსა ეუზნა, მართ ჩემგან უცოდნელია. 468,1.

იტყვის გრძლად: მოშაირე არა ჰქეიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად. 17,4.

კ

კაცთა ენა: ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა. 906,1.

კეკლუც-სიტყვა: ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვად, არ დუხჭირად. 126,1.

კიდ ენით თქმა: ხელი მოჰკიდა, „დადეგო“, ესეცა ჰკადრა კიდ ენით, 205,2.

ლ

ლამაზი ენა: სიტყვა-მჰვეერო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო, 1258,3.

ლამაზი სიტყვა: აეთანდღლს გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზებიო, 282,1.

- ლალნი და უკადრონი სიტყვანი: სიტყვანი შემოეთვალნეს
 ლალნი და უკადრონია, 393,2.
 ლმობიერი სიტყვა: ცისკრად მიხშეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა
 ლმობიერსა, 462,3.

მ

- მართლად გითხრობ: ყოველსავე მართლად გითხრობ, არ სიტყვასა
 საკეხელსა, 727,1.
 მართლად გკადრებ: რაცა ვიცი, მართლად გკადრებ, მრუდი არა
 არ გემცნების, 1052,4.
 მალვით უბნობა: ერთი კაცი უკმორე-სწყდა, მოდგა, მალვით მე-
 უბნების. 425,2.
 მეკეთა ესეთათბირი: მეკეთა ესეთათბირი, სიბრძნე გულისა მი-
 სისა. 377,1.
 მისანდლონი სიტყვანი: ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტ-
 ყვანი მისანდლონია. 239,4.
 მკვახედ მოუბარნი: მოსნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვა-
 წიფნა. 204,4.
 მკვახე სიტყვა: თურქნი ვნახენ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გა-
 ემკვახა. 288,2.
 მითვე პირითა: აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა,
 406,2.
 მოკლედ მოხსენება: გრძელი სიტყვა საწყინოა, ასრე მოკლედ
 მოგახსენო. 234,3.
 მოამბე: დარბოდეს და სხვაგნით სხვათა მოამბეთა მოასხმიდეს.
 172,2.
 მოიუბნეს: ასმათ უხმო მოიუბნეს: ქალი მოდგა, მითხრა ყურსა.
 388,3.
 მოშიშარი ენა: რაცა იცოდა, ყველაი ჰკადრა მოშიშრად ენითა.
 746,1.
 მოხსენების შემართება: შეუშინდა, საწყენელსა მოხსენება ვერ
 შემართა. 743,3.
 მხიარულად მოუბნარი: ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად
 მოუბნარი. 131,2.
 მშვიდად თქმა: აეთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა
 მშვიდითა. 123,2.
 მცოარი სიტყვა: ზოგჯერ შმაგად წამოვიქრო, სიტყვა მეთარა წა-
 მერია. 345,3.

ნ

- ნათლად თქმა: ჩვენ მათიუა გვეამების, რაცა ოდენ თქვენ ნათელად.
 17,3.

ნაღიქნი სიტყვა: რომე გკადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდად ნა-
ლიქნია. 524,1.

პ

პასუხი არ-ნაგრძელები: რა გაიგონა, შესთვალა პასუხი არ-ნაგ-
რძელები. 807,2.

პასუხი ერთი: რათგან არ მომკალ, პასუხი ერთი გკადრო მე ბარე.
523,4.

პირითა გამქუშავით თქმა: ავთანდილს უთხრა დაღრეჯით,
პირითა გამქუშავითა. 754,2.

პირმან არმეუზრახემან; კკადრე; „ვინ გაქოს ყოველმან პირმან
არ მეუზრახემან!“ 729,1.

პირ-ბნელად მოსმენა: მე ამბავი საკვირველი მომასმინე არ პირ-
ბნელად. 1233,2.

ს

სასარგებლო საუბარი; სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო
საუბარი. 653,4.

სამბობლად დამირიგლა: სამბობლად დამირიგდა, თავი მისი
გაამჩივნა. 590,4.

საუბარი დაამეხ: მოეგებნეს, აკოცეს და საუბარი დაამეს. 1527,2.

საბრალოსა საუბრისად: დაჯდა წერად ანდერძისად, საბრა-
ლოსა საუბრისად. 779,1.

საკვირველი ამბავი: პირზე გაკვირდა ფატმანის ამბითა საკ-
ვირველითა. 1267,1.

სანატრელი ამბავი; მე ამბავი სანატრელი მომასმინე არ პირ-ბნე-
ლად, 1233,2.

საუბარისასად აგება: ერთგან დასხდეს, ილაღობეს საუბარი ასად
აგეს. 136,1.

საუბარი არამქისი: ერთგან სხდიან, უბნობდიან საუბარსა არა
მქისსა. 1068,3.

სამუდარი სიტყვა: თმობა ვსთხოვე შემოქმედსა, ვკადრე სიტ-
ყვა სამუდარი 346,4.

საკვეხელი სიტყვა: ყოველსავე მართლად გითხრობ, არ სიტ-
ყვასა საკვეხელსა. 727,1.

საკვირველი სიტყვა: ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა საკვირვე-
ლითა. 280,3.

სალაღობო ამბავი: კკადროთ რამე სალაღობო, რასათვისმცა გაგ-
ვაწბილა? 58,4.

- საუბარნი სიტყვა—ხშირნი: რა გათენდა, კვლა დაიწყეს სა-
უბარნი სიტყვა—ხშირნი. 914,1.
- საუბართა ესოდენტთა: ფრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესო-
დენტთა. 1393,1.
- საუბარსა ზედა რთვიდა: არა ჰკადრა შეცილება, საუბარსა ზედა
რთვიდა. 1477,2.
- საუბარი შევნიერი: შეაქცევს და ეუბნების საუბართა შევნიერ-
თა. 883,1.
- საუბარსა მათსა ფერსა: ეამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა
ფერსა. 462,2.
- საუბარის ჰკიდებთ: ჰკითხა, თუ „ვინ ხართ, ვაჰარო?“—მათ საუბა-
რი ჰკიდესა. 1017,4.
- სიტყვა ასეზი: ტარიელ ეტყვის ავთანდილს: „ისმინე სიტყვა ასეზი“.
1351,1.
- სიტყვანი აწინდელანი: დიდად, მუამნეს ამბავნი, სიტყვანი აწინ-
დელანი. 1237,4.
- სიტყვა ბრძენი: ამას ზედა გაიცინნეს მათ წყლიანთა, სიტყვა-ბრძენ-
თა. 1393,2
- სიტყვის გამოგნება: მან საბრალოდ შემომტირნა, ძლივ სიტყვანი
გამოაგნა. 562,3.
- სიტყვა უმეცრული: ოდენ სიტყვა უმეცრული უმეცრულად დაიყ-
ბედნეს. 749,2.
- სიტყვის შემცირება: კვლა პირ-მზე ეტყვის ვაზირსა: „მე სიტყვა
შევამცირეო. 732,1.
- სიტყვა მქისი: უბნობენ ლანი, წყლიანნი არა სიტყვითა მქისითა.
686,3.
- სიტყვა ბრძენნი: იაგუნდნი ქარვის-ფერნი, სიტყვა-ბრძენნი, ცნობა-
შმაგნი. 659,2.
- სიტყვა... სწებებოდა: ერთმანეთსაცა უკვერეტდეს, სიტყვაცა აგრე
სწებებოდა. 505,2.
- სიცილით მითხრა: სიცილით მითხრა: „წამოვდე, მოგელის ლომსა
მთვარეო“. 400,4.
- სიცილით უბნობა: ერთმანეთსა: თუ: „მე გჯობო“, სიცილით ეუბ-
ნებოდეს. 78,1.
- სიტყვა-ხშირი საუბარი: გასაღდეს და გაამრავლეს საუბარი სიტ-
ყვა-ხშირი. 135,2.
- სიტყვა-ნაზი მოუბარი: ესე წიგნი გასრულა წყლიანმა და სიტ-
ყვა-ნაზმა. 168,1
- სიტყვის გავაქოლება: მე უკეთ მოვკალ, მე გჯობო, სიტყვანი ვა-
ვაქილენით. 198,3.
- სიტყვა-მცთომელი: ავთანდილ უხმო, ეუბნი კაცსა არ სიტყვა
მცთომელსა. 1051,3.

- სიტყვის გამეტადება: მან უბრძანა: „ალარ გაწყენ, არცა სიტყვა გამეტადდეს. 928,1.
- სიტყვა...მრავალი: ტარიელ ეტყვის: „რად უნდა სატყვისა თქმა მრავალისა? 915,1.
- სიტყვა...არმალული: შერასმე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არმალული. 885,1.
- სიტვის გაკვლადება: აწ მითხარ, თუ რას იტყოდი, თქვი და სიტყვა გააკვლადე. 806,4.
- სივრცელე ენისა: მუნა მე ხრმალი არ მიკვეთს, არცა სივრცელე ენისა, 1463,3.
- სიტყვანი ნათალნი: რომე მწადდეს, ვერ დაწერენ მე სიტყვანი ნათალნი, 1559,4.
- სიტყვა... არ-ნათნები მოდი, უთხარ ჩემ მაგიერ სიტყვა ჩემგან არ-ნათნები. 1467,1.
- სიტყვა დანაზებავი: ავთანდილ ეტყვის ტარიელს სიტყვათა დანაზებაეთა. 1496,2.
- სიტყვის გატრუობება: მე არ მიზამს არაბთა მეფე, რომე სიტყვა გავატრუო. 1468,3.
- სიტყვები გულისა: ტარიელ ფრილონს უბრძანა დღე ერთ სიტყვები გულისა. 1455,1.
- სიტყვები არ პირმკვახები: კვლა ერთმანეთსა მიუგეს სიტყვები არ-პირმკვახები.
- სიტყვის დამტკიცება: კვლა ამტკიცებდეს სიტყვათა, მათ პირველ დანამტკიცართა. 1434,2.
- სიტყვის გამონდობა: ერთმანეთისა დად-ფიცნი, სიტყვისა გამონდობილნი. 1554,2.
- სიტყვა-მკვეერი: სიტყვა-მკვეერო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზენაო. 1258,3.
- სიტყვა ნატიფი, მკვეერები: ტარიელ მოთქვა ტირილით სიტყვა ნატიფი, მკვეერები. 1323,1.
- სიტყვა... ნარნარი: მათ მდაბლად მაღლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნარითა. 1409,3.
- სიტყვა სათნევი: ესე მე დამსურის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა. 1389,4.
- სიტყვები ორები: ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვებო ორები. 1550,1.
- სიტყვა ტკბილი: ტარიელ მაღლი უბრძანა, ლაღმან სიტყვითა ტკბილითა. 1453,4.
- სიტყვა წბილი: ბოლოდ ვექმენ სახლსა ჩემსა, სიტყვანია ჩემნი წბილნი. 1091,4.

ტ

- ტკბილმოუბარი: კელა ვეუბნებოთ მას მზესა ტკბილ-მოუბრითა ენი-
თა. 1217,1.
- ტირილითმოუბარი: მათ უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოუბა-
რეთა. 196,2.
- ტკბილ-ქართული: ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიყეთისა ხე-
ლის მხდელი. 701,1.
- ტურფასიტყვითა, ენითა: ტარიელ მადლსა გარდისდის ტურფა
სიტყვითა, ენითა. 1427,1.
- ტყუილად გეუბნები: ამა წიგნმან გაგამართლოს, არ ტყუილად
გეუბნები. 1266,3.

უ

- უამესისიტყვა: ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისა უამესი.
249,1.
- უბნობდა თვალ-დაფახული: აეთანდილს ცრემლი უყოფდა, უბ-
ნობდა თვალ-დაფახული, 658,3.
- უთხრა დაღრეჯით: აეთანდილს უთხრა დაღრეჯით, პირითა გამქუ-
შავითა. 754,2.
- უთხრა სიცილით: ვაზირმან უთხრა სიცილით; „ქრთამი შენ გქონ-
დეს შენია. 733,1.
- უმეცრული ლაპარაკი: ნ. სტ. 749,2.
- უმეცარი საუბარი: საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს.
212,2.
- უთხრა წერილად: მან უთხრა წერილად ყველაი, თქვენ ხართ რა-
თაცა კირითა. 1270,2.
- უუბარი: მიბრძანა; „ძოლან გეწყინა გაშვება უუბარისა. 404,1.

ფ

- ფიცით გეტყვი: თავმან მისმან, ფიცით გეტყვი შენ, ვაზირსა, ოს-
ტასრასა. 728,2.
- ფიცით გითხრობ: ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რა-
ცა ქმარი. 132,1.

ქ

- ქება სრული: მიეგება, თაყვანი-სცა, ჰკადრა სრულსა ქება სრული.
720,2.

ქვე-ქვე თქმა: მე თუ ზებირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იღუმაღლა:
405,3.

ქუშ-ქუშად უბნობა: ქუშ-ქუშად გვეუბნებოდა კუშტი, თავისა
მკრძალავი. 1219,8.

ქმნა საუბარისა: ავთანდილს მადლი უბრძანა, ქმნა უყო საუბარისა.
1340,1.

შ

შაბაშ სიტყვა: შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ-საქმე მისგან ქმნილი.
750,4.

შესაქცევით საუბარი: არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შე-
მაქცევრად. 269,3.

შვილისიტყვა: მონათა და ამა ასმათს სიტყვა ვუთხარ შვილი თუ რვა.
642,3.

ც

ცადენით საუბარი: ვთქვით, თუ „მზეაო ქვეყანად, ნუ ვეუბნებით
ცადენით. 202,2.

ცნობიერი სიტყვა: ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობისა რასმე
მზრახმან. 884,4.

ცხადი ამბავი: არცა რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი. 1219,1.
ცხადად უთხრა: ცხადად უთხრა: „შევეჯდებიო, მომიყვანე ცხენი
წინა. 882,1.

ძ

ძალი თქმისა: მართ გააგონა, რაც ოდენ შეეძლო ძალსა თქმისასა.
936,1.

ძვირ-ძვირად უბნობა: ძვირ-ძვირად გვეუბნებოდა სიტყვასა რასმე
წყნარებსა. 1216,3.

ძნელად სათქმელი: ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა.
20,2.

წ

წბილისიტყვა: ავთანდილს უძღვნა ყველაი არა სიტყვითა წბილითა.
1453,1.

- წვევათქმისა: მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათგან ვგრე არ ეგების.
298,2
- წვრილად ჰკადრა: წვრილად ჰკადრა, რა იყოდა, რა ნახელად, რა
ნასმენად. 691,1.
- წვრილად უამბო: წვრილად უამბო ამბავი მან, მისმან მონასმონამან.
680,4.
- წყობილი ამბავი: აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.
7,4.
- წყლიანი მოუბარი: თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლი-
ანი. 32,4.
- წყლიანობა: მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შე-
იურეებს. 755,2
- წყნარი სიტყვა: ნუ მოჰკევს მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა
წყნარისა. 66,4.
- წყნარად გიამბობ: უფროვე წყნარად გიამბობ, თუ ეამი ჩვენ გვე-
ქონების. 602,2.
- წყნარი ხმა: გულ-ამოხეინჩვით ატირდა მით რამე ხმითა წყნარითა.
1128,2.

ჰ

- ჰრელად თხრობა: ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ,
არა ჰრელად. 160,1.

ხ

- ხაფი სიტყვა: ვუბრძანე ჩაცმა აბჯრისა ლაღმან სიტყვითა ხაფითა.
434,1.
- ხმა მალლად გახმამყივარდა: შენ დაგიზახნა: „მიხმეთო,“
ხმამალლად გახმამყივარდა. 565,2.
- ხოტბა სრული: მოახსენა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზნენი.
1018,2.
- ხმის დამალვა: დაკოდილნი მკვდართა შუა იმალვიან, მალვენ ხმასა.
1032,4.
- ხმა-მდაბლად ჰკადრებს: ხმა-მდაბლად ჰკადრებს; „ისია სრა მისი,
ეძებ რომელსა. 1101,2.
- ხმა-ხაფი: მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი. 1302,3.
- ხმა... ხაფისა: კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა
1402,1.

ჰკადრეს ზენაარი: ზოგთა ჰკადრეს ზენაარი: „ნუ დაგვბოცო, შენსა სჯულსა“. 1033,2.

ჰკადრა ხოტბა: ჰკადრა ხოტბა ქებად მისად, სასახავნი დიდნი სახნა. 1035,4.

ჰკადრეს ქება: ჰკადრეს ქება უსაზომი მას ტურფასა საქებელსა. 1037,2.

პირდაპირი დანიშნულების მიხედვით პოემაში ფიქსირებული თხრობისა და საუბრის ძირითადი ტერმინოლოგიური მასალები ერთ მთლიანობაში შეიძლება ასე დალაგდეს:

1. სათხრობი და სასაუბრო ამბავის თემატიკა- შეიძლება იყოს: ავი, ამო, არ-სასმენელი, არ-ნაცქაფავი, დრამის წონის, კარგი, საკვირველი. სანატრელი, სალალობო, მრთელი, სრული, შესაბრალები. ძნელი, წყობილი, ცხადი.

2. მოუბარი შეიძლება იყოს: ბრძენი, ლალი, სიტყვა-ნაზი, კეკლუც-სიტყვა, ტბილი, ტირილით, სიცილით, წყლიანი.

3. სიტყვა შეიძლება იყოს: არ მალული, არ-ნათნები, არ-პირმკვახები, არ-ნაგრძელევი, აწინდელანი, ბრძნად ნაკაზმი, ბრძნული, გავაქილებული, გამეცადებული, გაკვლადებული, გამონდობილნი, გაცრუებული, გულისა, დანაყბედი, დანაზებავი, დამტკიცებული, ესეზომი, ერთაი, ვერ-სათქმელი, ლამაზნი, ლაღნი. ღმობიერი, მისანდონი, მკვახე, მცთარი, ნათალნი, ნალიქნი, ნარნარი, ნატიფი, ორები, რვა, სათნევი, საკვირველი, საკვეხელი, სამუდარი, ტბილი, ტბილ-ქართული, უამესი, უმეცრული, უკადრონი, ფიცით ნათქვამი, შემეცირებული, ცნობიერი, წბილი, წყნარი, ხაფი.

4. ენა შეიძლება იყოს: ათასი, გლახ ენა, ვრცელი, ენა-ბევერი, ენა-დაუშრობელი, ენა-კლებული, ენა-მეტი, ენა-ხელისა, ენა ერთისა წამისა, ლალი, ვრცელი, კაცთა, კიდ ენა, ლამაზი, მოშიშარი, მოყივნებული, ტბილი, ტურფა, ცად ენა.

5. თხრობა შეიძლება იყოს: ადვილად, არ-აჯებით, გაკვირვებით, გამქუშავი, გრძელად, დამალულად, დიაცურად, თავითგან, თვალ-დაფახული, მართლად, მოკლედ მრავლად მხიარული, სიცილით, ფიცით, ქვე-ქვე, ქუშ-ქუშად, კრელად, ხმა-ხმა მალლად.

6. საუბარი შეიძლება იყოს: ასად აგებული, არა-მქისი, გახ-
მაყივრებული, დაამებული, დაღრეჯით, დამალულად, ღუხ-
პირი, ესოდენი, ერთგან სასაუბრანო, ზენაართ, ზედ დართუ-
ლი, იღუმალი, მათ ფერი, მკვახე, მალვით, სასაუბნარო, სა-
სარგებლო, სიტყვა-ხშირნი, სიცილით, ნათლად, უმეცრული,
ფიცით, შვენიერი, შესაქცევი, ცხადად, ძვირ-ძვირად, წვრი-
ლად, წყნარად.

ჩვენი დაკვირვებით პოემაში მოცემული თხრობისა და სა-
უბრის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიით დახასიათებულია:

ა) მოუბრის ზეპირი მეტყველების ბგერითი გამომსახველო-
ბითი და შინაარსობრივი მხარე:

„ვაზირი ლაღობს ენითა წყლიანად მოუბნართა“.

„ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც სიტყვად არ ღუხპირად“.

„ესე წიგნი გაასრულა წყლიანმა და სიტყვა ნაზმა“.

ბ) განსაზღვრულია გადმოსაცემი შინაარსის თემა, მისი რა-
ობა:

„საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გაამჟავოს“.

„ოდეს სიტყვა უმეცრული ულაგოდ დაიუბღენეს“.

„არცარა ცხადი ამბავი, არცარა დასამალავი,
არა არ გვითხრა ვინ იყო, ან ვისგან ნამუხთალავი“.

გ) მინიშნებულია საუბრის ფორმაზე—სახეზე.

„მათ უთხრეს მათი ამბავი ტირილით მოუბარეთა“.

„მისნი მკვახედ მოუბარნი, მათრახითა შეგვაპწიფა“.

„ხელი მოჰკიდა დადგო, ესოდენ ჰკადრა კიდ ენით“.

„მიუთხრეს, თუ ხარო ყმაწვილი, ბრძენი მით გკადრებთ
გლახ ენით“.

„ფრიდონ თქვა ესე სიტყვანი მოთქმითა შვენიერთა“.

„ქუშ-ქუშად გვეუბნებოდა, კუშტი თავისა მკრძალავი“.

„არცარა ცხადი ამბავი, არცარა დასამალავი,
არა არ გვითხრა ვინ იყო, ან ვისგან ნამუხთალავი“.

დ) გამოკვეთილია გადმოსაცემი ამბის ან სიტუაციური სა-
უბრის მოცულობა:

„გრძელი სიტყვა საწყინოა, ასე მოკლედ მოგახსენო“.

„წვრილად ჰკითხა რა იცოდა, რა ნახული, რა ნასმენი“.

„ყმაშან უთხრა: „ალარ გაწყენ, არცა სიტყვა გამეცადღეს,
აბ მოისმენ, რა ზომიცა საუბარი მიდიადღეს“.

ე) მკითხველისა და მსმენელის ყურადღება გამახვილებულია რაიმე ამბის თხრობის ტემპზე:

„გადახდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა ხშირი?“.
„უფროე წყნარად ვიამბობ, თუ უამი ჩვენ გვექონების“.
„მან საბრალოდ შემომტირნა, ძლივ სიტყვანი გამოაგნო“.

ვ) მოცემულია გადმოსაცემი ამბის ხმის ძალის დახასიათება:

„ეუბრძანე ჩაცმა აბჯრისა, ლაღმან სიტყვითა ხაფითა.“
„მისნი მკვანელ მოუბარნი, მათრახითა შეგვემწიფნა“.
„ათვანდილს ასმათ ჩამოჰყვა, ზენარით ეუბნებოდა“.

ზ) თხრობის გადმომცემი ტერმინოლოგია გამოყენებულია წარმოების პერსონაჟთა სხვადასხვა განწყობილების მხატვრულ ასპექტში გასაცნობად:

„შეაქცევს და ეუბნების საუბართა შვენიერთა,
მისთვის სძვრიდა სასაუბროდ მათ ბაგეთა ძოწის ფერთა“.
„ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა საკვირველითა“.
„ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობთა ოხვრა-ახმან,—
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობსა რასმე მზარახმან“.

თ) მინიშნებულია ზეპირი მეტყველებისა და, საერთოდ, საუბრისათვის სათანადო ფსიქოლოგიური სიტუაციის შექმნის აუცილებლობის შესახებ:

„ასმათ უთხრა: „ცრემლით ლომო, მაგა ცეცხლსა რა ეგების!
მე ვითა ვთქვა წვევა თქმისა, რათგან ეგრე არ ეგების“.
„ვთქვი: „უფამოდ არ წესია მოყვანა და მზისა ხმობა,

ხმობა უნდა უამიერად, სააჯოსა ყოვლსა თხრობა,
რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უფამობა“ და სხვ.

ამბის გადმომცემი და, აგრეთვე თხრობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის ასეთი სიუხვე, რაც მოცემულია ვეფხისტყაოსანში, ერთხელ კიდევ ამტკიცებს ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარების იმ დონეს, რასაც ადგილი ჰქონდა XII ს-ის საქართველოში.

გვიანფეოდალურ საქართველოში ზეპირი სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებას საგანგებოდ შეეხო მამუკა ბარათაშვილი,

რომელმაც „ლექსის სწავლის წიგნში“ აღნიშნა: „თუ კარგს იტყვი სიტყვის სიმარჯვითა და ცოდნის ძალითა... მთქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის... მაგრამ თუცა ურიგოდ თქვა ქებისა და მოგონების ნაცვლად, საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვაცა მიძიე“¹.

ცხადია, მამუკა ბარათაშვილის ამ შეგონებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს არამარტო აზრის წერილობითი ფიქსირებისა და წაკითხვისათვის. ამ მითითებაში, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო კონკრეტდება მჭევრი სიტყვის წარმოთქმის კანონზომიერებათა ცალკეული მოთხოვნები. კერძოდ, სათქმელი სიტყვის თემატიკა, მისი წარმოთქმის ინტონაციური მხარე, ზეპირი სიტყვის წარმოთქმისას მთქმელისა და ზეპირი სიტყვის ურთიერთმიმართება და სხვ.

XVIII ს-ის მესამოცე წლებიდან ზეპირი მეტყველების კულტურის კანონზომიერებათა შემდგომ სრულყოფას გარკვეულად შეუშალა ხელი იმ გარემოებამ, რომ „ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში გაწყდა. ეს დაკავშირებულია ანტონ კათალიკოსისა (ანტონ პირველი) და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ამ სკოლის ხელში იყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში—მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე“².

სამი სტილის თეორიამ, ნებით თუ უნებლიეთ, გარკვეული ასახვა ჰპოვა მჭევრმეტყველებაში. მაგალითად, ამ პერიოდის ცნობილი ორატორული ძეგლები, რომელთა ავტორები — გაიოზ რექტორი, ამბროსი ნეკრესელი და სხვები—ანტონის სკოლის მიმდევრები არიან, უპირატესად შედგენილია მძალა სტილის მოთხოვნით.

ახალი ქართული ენის ბუნებრივი განვითარების გზით წარმართვის პრობლემა მეცნიერული პრინციპულობით დაისვა XIX ს-ის მესამოცე წლებიდან. ისტორიულად აუცილ-

¹ ქართული პოეტიკის კრესტომათია (XVIII—XIX სს.), გივი მიქაძის ხელაქციითა და შენიშვნებით. გვ. 7. 1954.

² არნ. ჩიქობავა, იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 20, 1950.

ბელი, მეცნიერულად სწორი და გამართლებული ამ მიმართულების სულის ჩამდგმელი იყო ილია ჭავჭავაძე.

ი. ჭავჭავაძე წერდა: „სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად არ გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს საღმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“.¹ ილია იმ პირების მიმართ, რომლებიც „ანბანთ თეორეტიკას ჩასჰიდებოდენ“ და მხოლოდ და მხოლოდ კონსერვატული შეხედულებებით საზრდოობდნენ, აღნიშნავდა: „კაცის ენა კერძობით პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უუარგისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არ ჰგავს ძველ კაცსა“².

ილია ჭავჭავაძის ეს შეხედულებანი გაიზიარეს და განავითარეს სამოციანი წლების ცნობილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა — აკ. წერეთელმა, კ. ლორთქიფანიძემ, ი. გოგებაშვილმა, ნ. ნიკოლაძემ და სხვებმა.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი თავიანთი შესანიშნავი ორატორული სიტყვებით ნიმუშს იძლეოდნენ იმისას, თუ რა გზით უნდა განვითარებულიყო ქართული მკვერმეტყველური კულტურა.

მეორე მხრივ. ქართველ ხალხს სანიმუშო მკვერი სიტყვის დაუფლებაში, როგორც მასტიმულირებელი ფაქტორი, თავისთავად დიდ შთაგონებას აძლევდა ჩვენი მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი მკვერმეტყველება, რომლის სახელმძოვნილი წარმომადგენლები იყვნენ: ფარსმან პირველი, ბაკური, გუბაზ მეფე, აიეტი, ფარტაზი, იოანე საბანისძე, იოანე ბოლნელი, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე, არსენ ბერი, სულხან-საბა ორბელიანი, ზაქარია გაბაშვილი, ანტონ კათალიკოსი, საბა ნინოწმიდელი, გაიოზ რექტორი, სოლომონ ლიონიძე, ამ-

¹ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, ტ. I, შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, გვ. 206.

² იქვე, გვ. 208.

ბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი, იოანე ბატონიშვილი, იოანე ხელაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, გაბრიელ ქიქოძე, ნიკო დადიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები.

დოგმატიკური რიტორიკა და შეგნებული, შემოქმედებითი ზეპირმეტყველება. ძველ საქართველოში რიტორიკა იყო ერთ-ერთი დარგი, რომელსაც ეკისრებოდა აღსაზრდელთა ზეპირი მეტყველების კულტურის შესწავლა. რიტორიკა. როგორც მეცნიერება. ზეპირი მეტყველების სწავლებისა, ამჟამად ჩვენი სკოლისათვის გარკვეულად განვლილი საფეხურია: მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზეპირი მეტყველების სწავლების ამ ძველ დარგს მაინც ვეხებით, ვეხებით მხოლოდ იმის გამო, რომ შეგნებულად დავძლიოთ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც შეინიშნება ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მეტყველებაში.

რიტორიკის მანკიერება და უსუსურობა მეცნიერულად დასაბუთეს აზროვნების ისეთმა კორიფეებმა, როგორიც იყვნენ ბ. ბელინსკი, ი. ჭავჭავაძე და სხვები.

რიტორიკის მთავარი ნაკლი იყო: სწავლებაში დოგმატიზმი, ცხოვრების მოთხოვნილებისაგან მოწყვეტა, აღსაზრდელთა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა, მეთოდოლოგიური რეკომენდაციების ხელოვნურობა, სასწავლო მასალის შერჩევის ტრაფარეტულობა და ცალმხრივობა; ამასთან რიტორიკა მოითხოვდა მოსწავლეებისაგან არა მარტო რაიმე მასალის თხრობის გარკვეული დოგმატიკური წესების ცოდნას, არამედ, რაც არსებითია, სათხრობი მასალის შეთხზვას, გამოგონებას.

რიტორიკის სწავლების ამ გარემოებათა გამო ბ. ბელინსკი წერდა: „ბიჭს აძლევენ თემას: „მანკი ისჯება, სათნოება ზეიმობს“... თხზულება წარმოდგენილი უნდა იქნას სამ დღეში, ზოგჯერ კი მეორე დღესაც. რა შეიძლება იცოდეს ბავშვმა მანკის ან სათნოების შესახებ? მისთვის ეს განყენებული და გაურკვეველი ცნებებია; მის გონებაში არავითარი წარმოდგენა არაა მანკსა და სათნოებაზე. მაშ რას დაწერს იგი მათ შესახებ? ნუ სწუხართ, მას რიტორიკა იხსნის, ის დაუსვამს ჯადოსნურ კითხვებს; ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ და

ა. შ. კითხვებს, რომლებსაც საქმარისია მან პასუხი გასცეს, რათა მეცნიერების ყველა წესის მიხედვით მოჩმახოს ყოველგვარი სისულელე იმის შესახებ, რაც მან არ იცის. რიტორიკა ასწავლის მას, აილოს დამამტკიცებელი საბუთები მიზეზიდან, საწინააღმდეგოდან, მსგავსიდან, მაგალითიდან, დადასტურებიდან, შემდეგ კი დასკვნა გამოიყვანოს. ფრაზიორობის საკვირველი სკოლაა! ცხადია, რომ „რიტორიკა არის მეცნიერება ლამაზად წერისა ყველაფერზე, რაც არ იცი, რასაც არ გრძნობ, რაც არ გესმის“. საკვირველი მეცნიერებაა! იგი აქცევს ბლუს — მშვენეირ მოუბრად, ბრიყვს — მოაზროვნედ, მუნჯს — ორატორად, და ამიტომ, როცა წაიკითხავენ დრამას, რომელშიც გაქორილია ადამიანის გული, ამბობენ: რიტორიკააო! როცა წაიკითხავენ რომანს, რომელშიაც გაყალბებულია მასში გამოხატული სინამდვილე, ამბობენ: რიტორიკააო! როცა წაიკითხავენ გრძნობასა და აზროკლებულ ლექსს „ამბობენ“ რიტორიკააო!“¹

რიტორიკის შესახებ აქ წარმოდგენილი ბელინსკის ვრცელი მოსაზრებიდან ნათელია, რომ ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარებისათვის ახალგაზრდობასთან მიზნობრივი მუშაობა უნდა ჩატარდეს ცოდნის დონის იმ საფუძველზე, რაც მას აქვს, რასაც ის გრძნობს, რის მიდრეკილება და მოთხოვნაც მას გასჩენია გარკვეული პედაგოგიური სიტუაციის მიხედვით. ერთი სიტყვით, ახალგაზრდობას უნდა განუვითაროთ ზეპირი მეტყველების კულტურა არა უცნობიდან და გონებრივად მიუწვდომელი მდგომარეობიდან, არამედ მათთვის ნაცნობიდან და მისაწვდომიდან უცნობის გაგებისა და მიუწვდომელის დაძლევის გზით.

ცხადია, ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარების ამ გზაზე ძირითადად უნდა ვიხელმძღვანელოთ პროგრესული პედაგოგიური მოსაზრებებითა და განსაკუთრებით კი საბჭოთა პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებით. მაგრამ, ამასთან ერთად, საჭიროა გამოვიყენოთ შემოქმედებითად რიტორიკული ცოდნის მემკვიდრეობიდან ყველაფერი ის, რასაც ლი-

¹ ბ. ბელინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, გვ. 173, 1950.

რებულემა ეძლევა ჩვენი დროისათვის. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, არ შეიძლება რიტორიკის სიავეარგეზე ვიმსჯელოთ მხოლოდ კოშანსკის კონსერვატიული და რეაქციული რიტორიკით. აქ გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტიც, რომ რიტორიკის თეორეტიკოსებს შორის იყვნენ ისეთი მოაზროვნეები, როგორცაა, მაგალითად: არისტოტელე და ციცერონი ძველ საბერძნეთსა და რომში, რუსეთში—ლომონოსოვი, სპერანსკი,¹ ხოლო საქართველოში — დოდაშვილი. მათი პროგრესული მემკვიდრეობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში სტუდენტთა ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარებისათვის.

ამასთან ერთად, როდესაც რიტორიკული ცოდნის ზოგიერთ დადებით მემკვიდრეობაზე მიუთითებენ, უპირველესად გულისხმობენ ზოთხოვნას ზეპირ სიტყვაში გადმოსაცემი რაიმე აზრის ლოგიკურად გამართვის შესახებ, გადმოსაცემი აზრისათვის შესაფერისი მაგალითების შერჩევას, გარკვეული დარგის წარმომადგენელთა ცნობილ შეხედულებათა მიზნობრივად გამოყენებას, მეტყველებაში მსჯელობითი ელემენტის კანონზომიერებათა ცოდნას, საჭიროებისას რაიმე გადმოსაცემი აზრისათვის შესაფერისი ფორმის ძიებას² და სხვ.

ახალი ეტაპი ზეპირი მეტყველების ხელოვნების განვითარებაში. ახალი ეტაპი მჭევრი სიტყვის ხელოვნების განვითარებაში უშუალოდ უკავშირდება მარქსიზმ-ლენინიზმის წარმოშობას, მის თეორიულ შეხედულებათა ფართოდ ათვისებასა და პრაქტიკულად გამოყენებას მსოფლიოში ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების აშენებისათვის.

სოციალისტური ეპოქის მჭევრი სიტყვა თავისი იდეური მიზანდასახულებითა და შესრულების მრავალსახოვნებით არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიული ეპოქის გაბატონებული კლასების დამცველ ორატორთა ხელოვნებისაგან. „პროლეტარიატის ორატორული ხელოვნება პრინციპულად სულ სხვაა აზრის, ვიდრე ბურჟუაზიული ორატორული ხელოვნება.

¹ В. В. Голубков, Общие вопросы развития устной речи. Стр. 20, 1967.

² იქვე, გვ. 18.

ბურჟუაზიული ორატორები ცდილობდნენ დაემალათ ხალხისათვის სიმართლე, მთავარ პრინციპად მათ მიაჩნდათ დარწმუნება და. სხვათა შორის—საყოველთაოდ ცნობილია, რომ დარწმუნება არის ორატორული ხელოვნების ბუნება. რიტორიკის ერთ-ერთი პირველი ავტორი კორაქსი ამბობს, რომ „ორატორული ხელოვნება დარწმუნების მუშაა“. ასევე ახასიათებენ ორატორული ხელოვნების მიზანს ციცერონი და დემოსთენე, ბოლშევიკური ორატორული ხელოვნება პირველ პლანზე აყენებს სიმართლის, ჭეშმარიტების გამორკვევას.¹

ახალი ეპოქის — სოციალისტური ეპოქის მჭევრი სიტყვა ფორმით ნაციონალურია და შინაარსით სოციალისტური. სოციალისტური ეპოქის მჭევრი სიტყვის მეთოდოლოგიურ საფუძველს, მისი გამოყენების იშვიათ ნიმუშებს ვხვდებით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებსა და ზეპირ გამოსვლებში.

ახალი ეპოქის ზეპირი მეტყველების საგანძური გაამდიდრეს და გაამრავალფეროვნეს თავიანთი ღრმად პარტიული და მაღალოსტატური მჭევრი გამოსვლებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისეთმა ცნობილმა მოღვაწეებმა, როგორც იყვნენ: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი, ფ. ე. ძერჟინსკი, ს. მ. კიროვი, მ. ი. კალინინი, ს. გ. ორჯონიკიძე, ა. ბ. ლუნაჩარსკი და სხვები.

ახალი ეპოქის მჭევრი სიტყვის მაღალი ამოცანები და ნიშან-თვისებანი შესანიშნავადაა დახასიათებული ვ. ი. ლენინის მითითებაში: „ყოველი პროპაგანდისტისა და ყოველი აგიტატორის ორატორობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საუკეთესოდ იმოქმედოს ამა თუ იმ აუდიტორიაზე, რომლისთვისაც ცნობილი ჭეშმარიტება უნდა გახადოს, რაც შეიძლება უფრო დამაჯერებელი, რაც შეიძლება ადვილად შესათვისებელი, რაც

¹ ე. ადამოვი, რუსული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან, იხ. კრებული „ორატორული ხელოვნება“, გვ. 101—102, 1961.

წეიძლება უფრო თვალსაჩინო და უფრო მტკიცედ დასახსო-
მებელი“.¹

3. ი. ლენინი—ახალი ეპოქის უდიდესი ორატორი

ვ. ი. ლენინის ორატორული მეტყველება უშუალო გაგრძელება და ორგანული განვითარებაა ახალ ისტორიულ ეპოქაში იმ პროგრესული, ახალი მჭევრმეტყველური ტრადიციებისა, რომლებიც შექმნეს კომუნისტური პარტიის მანიფესტის ცნობილმა ავტორებმა. ბოლშევიკური პარტიის შემქმნელისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის მჭევრმეტყველების შინაარსი, უპირველესად, მშრომელი მასების მრავალსაუკუნოვანი ინტერესების სწორად შეფასებასა და მიზნობრივად გამოხატვაში ელინდება. პარტიულობა, ღრმა იდეურობა, ხალხურობა, გადასაცემი შინაარსის შესატყვისი დალაგება და ჩინებული ფორმის შერჩევა, ზრუნვა მსმენელთა დამარწმუნებელი მრავალსაზოვანი სიტყვიერი საშუალებების ძიებისათვის,—აი, რა ახასიათებს, ძირითადად, ვ. ი. ლენინის რევოლუციური შინაარსის პროპაგანდისტულ ენამზეობას...

სპეციალურ ლიტერატურაში ვ. ი. ლენინის ზეპირი გამოსვლების ორატორული ხელოვნება ჯერჯერობით არასრულყოფილადაა შესწავლილი.² სამწუხაროდ, ვ. ი. ლენინის ზოგიერთი ზეპირი სიტყვის არასრულყოფილი ჩაწერა გარკვეულად აძნელებს ამ პრობლემის საფუძვლიანად დამუშავებას, მაგრამ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავისთავად ასეთი ხასიათის მასალებიც ძვირფას ცნობებს გვაძლევენ ვ. ი. ლენინის პროპაგანდისტული ორატორული ხელოვნების მეთოდოლოგიური და მეთოდიკური ანალიზისათვის.³

ჩვენი აზრით, ვ. ი. ლენინის ორატორული ხელოვნების შესწავლისათვის ძირითადად უნდა იქნას გამოყენებული:

¹ ვ. ი. ლენინი, ლოზუნგების შესახებ, თბულებანი, ტ. 5, გვ. 405—406, 1949.

² Ю. Фишевский, «Ленин-мастер пропаганды», стр. 1971.

³ იქვე, გვ. 5.

1. დიდი ბელადის თანამედროვეთა შთაბეჭდილებანი და მოსაზრებანი მისი ორატორული მეტყველების თაობაზე; 2. თვით ვ. ი. ლენინის დაკვირვებანი და მითითებანი ზეპირი და, აგრეთვე, წერილი მეტყველების თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებზე და, ბოლოს, 3. ვ. ი. ლენინის ზეპირად წარმოთქმული სიტყვები.

აქედან პირველი ორი წყარო საშუალებას გვაძლევს, თეორიულ ასპექტში შეგნებულად შევიცნოთ და ნათლად წარმოვიდგინოთ ვ. ი. ლენინი, როგორც რევოლუციური მუშათა კლასის შეუდარებელი ორატორი და განუმეორებელი თეორეტიკოსი, ხოლო მესამე ჩვენ თვალწინ გადაშლის გარკვეულ სიტუაციურ პირობებში იმ დიდ ვირტუოზულ ძალასა და ნებბას, სიტყვიერი ქსოვილის საშუალებებით უაღრესად ძნელად შესაცნობი აზრის მსმენელამდე მიტანის ორიგინალური ხერხების ნაირსახეობას, რომელსაც ლენინური მჭევრმეტყველება ეწოდება.

ვ. ი. ლენინის ორატორული ხელოვნების ამ წყაროებს (თითოეულს ცალ-ცალკე და სამივეს ერთად) უთუოდ საგანგებო მნიშვნელობა აქვს და არა მარტო ერთი მკვლევარის, არამედ მკვლევართა ხანგრძლივ, სპეციალურ მუშაობას მოითხოვს მისი საფუძვლიანად გამოვლინება-შესწავლა.

ქვემოთ წარმოდგენილია ამ საკითხის მოკლე, სქემატური შესწავლის ცდა.

როგორც აღვნიშნეთ, ვ. ი. ლენინის უბადლო პროპაგანდისტული ორატორული მეტყველების შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებისათვის ჩვენთვის უაღრესად საყურადღებო ცნობებია დაცული მისი მახლობელი მრავალი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის მოგონებებში. რუსეთის პროლეტარიატის მხატვრული მემკატიანე მ. გორკი ვ. ი. ლენინის ენაწებობისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემს: „აი, სიჩქარით ავიდა კათედრაზე ვლადიმერ ილიას ძე... მე პირველად გავხდი იმის მოწმე, რომ პოლიტიკის ურთულეს საკითხებზე შეიძლებოდა ასე უბრალოდ ლაპარაკი“. ლენინი, გორკის თქმით, არ თხზავდა ფრაზებს, არამედ ყოველ სიტყვას იძლეოდა თითქოს ხელისგულზე გადაშლილს და საოცარი სიმ-

სუბუქით აშიშვლებდა მის ნამდვილ მნიშვნელობას. „ძალიან ძნელია იმ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებების გადმოცემა, რომელსაც იგი იწვევდა. მისი წინ გაშვებული ხელი და ცოტათი მაღლა აწეული ხელისგული, რომელიც თითქო წონიდა ყოველ სიტყვას,—ყოველივე ეს არაჩვეულებრივი იყო და ლაპარაკობდა ლენინი თითქოს როგორღაც არა თვითონ, არამედ მართლაც ისტორიის კარნახით. მისი ძარღვიანი, პირდაპირი, დასრულებული და ძლიერი სიტყვა, თვითონ ის, კათედრაზე მდგომი, თითქოს კლასიკური ხელოვნების ნაწარმოებიაო: ყველაფერი ადგილზეა, არაფერია ზედმეტი, არავითარი მოკაზმულობა, და თუ ასეთი რამ იყო, არ ჩანს, ეს ისევე ბუნებრივია და საჭირო, როგორც სახეზე ორი თვალი ან ხელზე ხუთი თითი. ჩემს უკან აღტაცებით ჩურჩულებდნენ:

„სქლად ლაპარაკობს“. არ ემჩნეოდა, რომ მტრული გამოსვლები მას აღელვებდა. იგი ლაპარაკობდა გატაცებით, მაგრამ საფუძვლიანად, მშვიდად. ხანდახან ეჩვენებოდათ. რომ მისი ოლის დაუცხრომელ ენერგიას ნაპერწკლებად აფრქვევდნენ მისი თვალები და ამ ენერგიით აღჭურვილი მისი სიტყვები ეღვარებდნენ ჰაერში. მისი სიტყვა ყოველთვის იწვევდა უცილობელი სიმართლის ფიზიკურ შეგრძნებას.“¹

წარმოდგენილ მასალაში უდაოდ ჩინებულადაა დახასიათებული ვ. ი. ლენინის ორატორული მეტყველების მაღალი ოსტატობა და გენიალობა. ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტ ცნობებს იძლევა თვით ვ. ი. ლენინის შეხედულებანი რაიმე აზრის შესაფერისი ზეპირი სიტყვით გადმოცემის შესახებ. უნდა აღვნიშნოთ. რომ ასეთ მითითებებში გატარებულა აზრი მომეტებულად არა უბრალოდ, საერთოდ ვისიმე ზეპირი სიტყვის საერთო სააკვარგეზე. არამედ, რაც ჩვენთვის დიდად საყურადღებოა. დასაბუთებულა ის. თუ ესა თუ ის სათქმელი შინაარსი როგორ უნდა გადმოიცეს და როგორ არა. მაგალითად, როდესაც ვ. ი. ლენინი აფასებს პლენაროვის დამოკიდებულებას ბაზაროვისა და ბოგდანოვის მიმართ, პრინ-

¹ მ. გორკი, თხზ. კრებული, ტ. 17, გვ. 13—14, 1952 წლის გამოცემა რუსულ ენაზე. უფრო ვრცლად იხ. „ორატორული ხელოვნება“, გვ. 104-1961.

ციულად მიუთითებს, რომ საერთოდ „პლენანოვი არსებითად სავსებით მართალია მათ წინააღმდეგ“.¹ მაგრამ არაა მოსაწონი ის, რომ მას „არ შეუძლია ან არ სურს, ან ეზარება ამის თქმა კონკრეტულად, დალაგებით, უბრალოდ, საზოგადოების ზედმეტად დაუშინებლად ფილოსოფიური სიმახვილით“ და იქვე დასძენს: „და მეც, რა დაცუნდა დაჯდეს, ვიტყვი ამას ჩემებურად“.²

„ჩემებურად თქმა“—თავისთავად ეს ხომ საკუთარი ზეპირი მეტყველების შინაგანი საიდუმლოების გახსნაა. და აკი გახსნა კიდევ იგივე შენიშვნაში დიდმა ბელადმა, როდესაც ზეპირი სიტყვის და, საერთოდ, მეტყველების საზომად აღიარა უბრალოება, კონკრეტულობა, სიცხადე, პარტიული მიზანსწრაფულობა, მსმენელთათვის მხოლოდ ჰეშმარიტებისა და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

აშკარაა, ვ. ი. ლენინმა კარგად იცოდა თავისი აზროვნებისა და მეტყველების ღირსებები. იცოდა ყოველივე ეს და „ჩემებურად“, აშკარად თქმას უპირისპირებს პლენანოვისეულ შეფარვით მსჯელობას. „რა „შერიგება“ შეიძლება აქ, ძვირფასო ა. მ.? მაპატიეთ, ამაზე კრინტის დაძვრაც კი სასაცილოა. ბრძოლა აბსოლუტურად გარდუვალა... როგორ ვქნათ ეს? „ნეიტრალობით?“ არა. ასეთ საკითხში ნეიტრალობა შეუძლებელია და არც იქნება“³.

ვ. ი. ლენინმა პლენანოვის მსჯელობისა და აზროვნების თაობაზე გაკეთებულ ამ შენიშვნებში ნათლად ჩამოაყალიბა სათქმელი აზრის გადმოცემის პიროვნული ხელოვნების არსი.

ზემოაღნიშნულთან ერთად ვ. ი. ლენინი რაიმე აზრის გასაგებად და ნათლად გადმოცემისათვის საგანგებო ყურადღებას აქცევდა ვადმოსაცემი შინაარსის სათანადო გეგმის შედგენას. დიდი ბელადი ამ საკითხთან დაკავშირებით ინესა არმანდს წერს: „ძვირფასო მეგობარო! ძალიან რაც შეიძლება დაწვრილებით დაწეროთ. უამისოდ ძალიან ბევრი რამ გაურკვეველია“.⁴

1. ვ. ი. ლენინი, ლიტერატურის შესახებ, გვ. 157, 1945,

2 იგივე, იქვე.

3 იგივე, იქვე.

4 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 35, გვ. 178, 1953

გადმოსაცემი აზრის რაიმე შინაარსის შემეცნებითი მხარის გაძლიერებისათვის ლოგიკურად მკაცრად ჩამოყალიბებულ გეგმას დიდი ღირებულება აქვს. ეს ჩანს, აგრეთვე, იმ მითითებებიდან, რომლებსაც ლენინი სპეციალურად უგზავნიდა ოფიციალურ პირებს. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი მოკლე ბარათი კარპინსკისადმი. აი, ისიც:

ვ. ა. კარპინსკი.

26, I, 1922.

ამხ. კარპინსკი!

ვერ მოპწერთ მოკლედ (maximum 2—3 ფურცელი), რამდენი წერილია „ბენდოტაში“ გლეხებისაგან?

რა არის მნიშვნელოვანი (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი) და ახალი ამ წერილებში?

განწყობილება?

საჭირობოროტო საკითხები?

არ შეიძლება ორ თვეში ერთხელ მივიღო ასეთი წერილები (შემდეგი 15, III, 1922-სათვის?).¹

დიდი დაკვირვება არაა საჭირო, რომ ამოვიცნოთ, ამ მოკლე ბარათში ფაქტიურად მოცემულია გეგმა ინფორმაციის იმ ძირითადი საკითხებისა, რომლებიც აინტერესებდა ვ. ი. ლენინს.

კიდევ მეტი, ვ. ი. ლენინის მოღვაწეობაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ოფიციალურ პირებს თვითონვე უდგენს გეგმას ამა თუ იმ პრობლემური, პარტიული თუ სახელმწიფოებრივი საკითხების თანმიმდევრულად გადაცემისა და. აგრეთვე, ნათლად, ერთ მთლიანობაში წარმოდგენისათვის. ასეთი გეგმის საინტერესო ნიმუშია მოცემული წერილში კომინტერნის აღმასკომისადმი. „საჭიროა კიდევ III კომინტერნის აღმასკომს ინტერნაციონალის II ყრილობისათვის დაიწეროს თეზისები საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ხომ არ შეიძლება დაგვაღოს წინასწარი მონახაზის გაკეთება ლაპინსკის ან კიდევ ვინმეს ამ თეზისების დაახლოებით ასეთი გეგმით.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 35, გვ. 579,

1. მთელი დედამიწის გაყოფა (როგორც საბანკო და საფინანსო კაპიტალის გავლენის სფეროების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო სინდიკატებისა და კარტელების თვალსაზრისით, აგრეთვე კოლონიებისა და ნახევარკოლონიების ხელშეწყობის თვალსაზრისით) იმპერიალიზმის, მე-20 საუკუნის ეკონომიკის ძირითადი ფაქტია.

2. აქედან გარდუვალობა საერთოდ იმპერიალისტური ომებისა და კერძოდ 1914—1918 წლების 1-ლი იმპერიალისტური ომისა.

3. ამ ომის შედეგები:

ა) საქვეყნოდ ძლიერ სახელმწიფოთა რიცხვის შემცირება, სუსტ, გაძარცულ, დაყოფილ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვის გადიდება;

ბ) ყველა კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გიგანტური გამწვავება როგორც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, ისე ქვეყნებს შორის;

გ) განსაკუთრებით, კაპიტალიზმის ორივე პოლუსის გამწვავება მსოფლიო მასშტაბით;

კაპიტალის ერთი მუჭა მაგნატების ფუფუნების გადიდება: გადიდება გაჭირვებისა, სიღატაკისა, გაჩანაგებისა, შიმშილისა, უმუშევრობისა, არსებობის უზრუნველყოფის სრული უქონლობისა;

დ) მილიტარიზმის გაძლიერება, ეკონომიურად გარდუვალი ახალი იმპერიალისტური ომებისათვის მზადების გაძლიერება და დაჩქარება; მთელ მსოფლიოში ომების რიცხვის გადიდება და ამასთან განსაკუთრებით რევოლუციური ომებისა;

ე) ერთა ლიგის სრული კრახი, მისი სიცრუის გამოაშკარავება; „ვილსონიზმის“ კრახი. ბურჟუაზიული დემოკრატიის კრახი.

4. სრულიად მოკლე განმარტება, რისთვისაც დახასიათებულ იქნეს (შდრ. პ. ლევის 1920 წ. 14. IV-ის მოხსენება): ინგლისი და ამერიკა,

საფრანგეთი,

იაპონია,

ევროპისა და ამერიკის დანარჩენი ნეიტრალური ქვეყნები, დამარცხებული ქვეყნები (უმთავრესად რუსეთი და გერმანია), კოლონიები.

ნახევრადკოლონიები (სპარსეთი, თურქეთი, ჩინეთი).

5. ნედლეული, — მისი გამოლევა.

მრეწველობა, — მისი დაუძღვრება (სათბობი და სხვ.).

ვალუტა—მისი კრაზი, ვალები, ფულის გაუფასურება.

მსოფლიო მეურნეობის მთელი სისტემის „მოშლილობა“ და დაშლა.

6. შედეგი—მსოფლიო რევოლუციური კრიზისი.

კომუნისტური მოძრაობა და საბჭოთა ხელისუფლება“.¹

ეს გეგმა მრავალმხრივია საყურადღებო: პირველი, მასში ნათლადაა წარმოდგენილი ვ. ი. ლენინის მსჯელობისათვის დამახასიათებელი რკინისებური ლოგიკა და მოვლენების შეფასების ღრმა ობიექტურობა, მეცნიერული არგუმენტებით ნაჩვენებია XX საუკუნეში მსოფლიო რევოლუციური კრიზისი და პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობა. მეორე, გეგმის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში ბუნებრივადაა წარმოდგენილი განსახილველი ძირითადი და დამხმარე საკითხების ურთიერთმიმართება, მოცემულია მითითება რიგი საკითხის შინაარსობრივი მხარის მოცულობითი განსაზღვრისათვისაც:

გეგმაში ჩანს აგრეთვე, რა თვალსაზრისით უნდა შეფასდეს მოცემულ შემთხვევაში ესა თუ ის მოვლენა. ამ მხრივ საინტერესოა მე-5 პუნქტი.

ზეპირსა და წერილობით მეტყველებაში მსმენელთა და მკითხველთა ესთეტიკური და ეთიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რაიმე გადმოსაცემი აზრისათვის შესაფერისი ენობრივი ქსოვილის შერჩევას. ბონჩ-ბრუევიჩი გადმოგვცემს, როდესაც ვ. ი. ლენინს არ მოეწონებოდა ენობრივი თვალსაზრისით რაიმე ნაშრომი, გულმოსული ამბობდა: „რა ენაზეა ეს დაწერილი?“

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 35, გვ. 477—478.

განა ეს უაზრობა არ არის? აბდაუბდაა და არა ტოლსტოისა და ტურგენევის ენა!“¹ |

ზეპირსა და წერით მეტყველებაში ვ. ი. ლენინისათვის იდეალი იყო გადასაცემი აზრის ნათლად და გასაგებად თქმა.

თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ მოძებნის ისინი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ“ იგი სასტიკად დასცინოდა ლიბერალური ნაროდნიკების ხელმძღვანელებს (კრივენკოს, იუჟაკოვსა და სხვებს) იმის გამო, რომ მათ არ შეეძლოთ სინამდვილის სწორად და პირდაპირ დახასიათება. „ხალხის მეგობრების ჩვეულებრივი ხერხია—უქმი და უაზრო ფრაზების გადმოსროლა იმის მაგიერ, რომ სისწორითა და პირდაპირ დაახასიათონ სინამდვილე“.

პროლეტარიატის ბელადი „ვერ იტანდა ენის გაუბრალოებასაც და შეუპოვრად იბრძოდა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც პოპულარობისა და გასაგებად წერის საბაბით აუბრალოებდნენ მუშათა რევოლუციურ ამოცანებსა და მიზნებს. ასეთი ტიპის „მწერლები“ ნაცვლად იმისა, რომ გაელვიძებინათ მკითხველებში საღი აზრი და გემოვნება სერიოზული მეცნიერების გასაცნობად და ასათვისებლად, აკნინებდნენ მას.“² ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი 1901 წლის შემოდგომაზე შენიშენაში ეგრეთწოდებულ „რევოლუციონერ-სოციალისტთა“ ჯგუფის მიერ გამოცემული ჟურნალ „სვობოდას“ შესახებ წერდა: „პაწია ჟურნალი „სვობოდა“ ყოვლად უვარგისია. მის ავტორს—ჟურნალი სწორედ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს თავიდან ბოლომდე ერთი პირის დაწერილი იყოს—„მუშებისათვის“ პოპულარულად წერის პრეტენზია აქვს. მაგრამ ეს არის არა პოპულარობა, არამედ დაბალი ხარისხის პოპულარობანა. ერთ უბრალო სიტყვასაც ვერ იპოვნით, სულ მანჭიობაა... პოპულარიზაცია, ვეტყოდით ჩვენს ავ-

¹ იხ. მასალებისა და მოგონებების კრებული — „ლენინი—ჟურნალისტი და რედაქტორი“, გვ. 344, 1960.

² ი. ნატროშვილი, ვ. ი. ლენინი ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორი, რედაქტორი და ჟურნალისტი, გვ. 242, 1972.

ტორს, ძალიან დაშორებულია ვულგარიზაციას, პოპულარობანას“.¹

როგორც ზეპირი, ისე წერილობითი მეტყველების გაქდინების წყაროდ ვ. ი. ლენინს რუსული ხალხური ზეპირსიტყვიერება და კლასიკური მწერლობა მიაჩნდა. დიდად საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ბელადის წერილი ამხ. ლუნჩარსკისადმი რუსული ენის ლექსიკონის შედგენის თაობაზე. „ამასწინათ მე მომიხდა, ჩემდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ პირველად, — გავცნობოდი დაღრს სახელგანთქმულ ლექსიკონს.

საუცხოო რამ არის, მაგრამ ეს ხომ ოლქობრივი ლექსიკონია და მოძველებულია. განა დრო არ არის შეიქმნას ნამდვილი რუსული ენის ლექსიკონი, ვთქვათ, იმ სიტყვების ლექსიკონი, რომლებიც იხმარება ახლა კლასიკოსების მიერაც. პუშკინიდან გორკამდე“.²

მსმენელთა და მკითხველთა ზეპირი და წერილობითი მეტყველების კულტურის გამდიდრებისათვის და, რაც მთავარია, იდეური აღზრდისათვის ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსული დემოკრატიული მწერლობის წარმომადგენელთა შემოქმედების სპეციალურ ახსნა-განმარტებას. კერძოდ, ასეთი ახსნა-განმარტებით მკითხველისათვის ნათელი უნდა გამხდარიყო მათთვის საჭირო ცალკეული ნაწარმოების ფორმა და შინაარსი, მწერლისეული პოზიცია და ნაწარმოების საერთო იდეურ-მხატვრული ჟღერადობაც. „ესარგებლობ შემთხვევით, — წერდა „პრავდის“ რედაქციას ვ. ი. ლენინი, — რათა ამხ. ვიტიმსკის (იმედი მაქვს, არ გაგიჭირდებათ ამ წერილის გადაცემა მისთვის) მივულოცო იმ შესანიშნავი მოხდენილი სტატიისათვის, რომელიც მოთავსებულია დღეს ჩემს მიერ მიღებულ „პრავდაში“ (№98). თემა აღებულია ფრიად დროულად და ჩინებულად, არის დამუშავებული მოკლე, მაგრამ მკაფიო ფორმით. საერთოდ კი კარგი იქნება, თუ დროგამოშვებით მოვიგონებთ, დავიმოწმებთ და განვმარტავთ „პრავდაში“ შჩედრინის ან „ძველი“ ნაროდნიკული დემოკრატიის სხვა მწერლებს. „პრავდის“ მკითხველისათვის — 25000-თვის — ეს იქნებოდა დროული, საინტერესო

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 5, გვ. 386.

² იგივე, გვ. 200.

და, გარდა ამისა, მუშათა დემოკრატიის ახლანდელი საკითხების გაშუქებაც გამოვიდოდა სხვა მხრით, სხვა ხმაზე“.¹

ავერჩენკოს წიგნაკისათვის „თორმეტეული დანა რევოლუციის ზურგში“ დაწერილ შენიშვნაში („ნიჭიერად დაწერილი წიგნაკი“) ბელადი საგანგებოდ გამოყოფს, მსმენელამდე რაიმე გადასაცემი აზრის მიტანაში რა როლს ასრულებს ავტორისეული გულწრფელობა, მხატვრულად ასასახავი მასალის ცოდნა, სტრუქტურულად მოქნილი და შინაარსობრივად ხატოვნად აგებული ფრაზა და სხვ. „წიგნაკის დიდი ნაწილი მიძღვნილია ისეთი თემებისადმი, რომლებსაც არკადი ავერჩენკო ჩინებულად იცნობს, რომლებიც მას განუცდია, მოუფიქრებია, შეუგრძენია. და გასაოცარი ნიჭიერებით არის დახატული ჭამით გამსკდარი, ძველი, მემამულური და მეფაბრიკული, მდიდარი რუსეთის წარმომადგენლის შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი. ასე, სწორედ ასე უნდა ეჩვენებოდეს რევოლუცია მბრძანებელი კლასების წარმომადგენლებს. რისხვით აღგზნებული სიძულვილი ავერჩენკოს მოთხრობებს ზოგჯერ, და მეტწილად გასაოცრად მკაფიოს ხდის. არის პირდაპირ საუცხოო რამეები, მაგ., „ჩექმებით მოთელილი ბალახი“, ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ, რომლებმაც განიცადეს და განიცდიან სამოქალაქო ომს. მაგრამ ნამდვილ პათოსს ავტორი მხოლოდ მაშინ აღწევს როცა ჭამაზე ლაპარაკობს, როგორ სჭამდნენ მდიდრები ძველ რუსეთში... აი ეს მან იცის, აი ეს განუცდია და შეუგრძენია მას, აი აქ შეცდომას აღარ დაუშვებს. საქმის ცოდნა და გულწრფელობა არაჩვეულებრივია“.²

ვ. ი. ლენინის ამ მითითებებში დასაბუთებულია სიტყვისა და ფრაზის შემოქმედებითად გამოყენების აუცილებლობა რაიმე შინაარსის გადაცემაში. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ იყენებდა ვ. ი. ლენინი პრაქტიკულად თავის ორატორული მეტყველების შესაძლებლობებს აუდიტორიაში, მსმენელის წინაშე, დავუკვირდეთ მის მიერ წაკითხულ ცნობილ ლექციას „სახელმწიფოს შესახებ“.

ამ ლექციაში, გადმოსაცემი შინაარსის შეგნებულად ათვისებისათვის ვ. ი. ლენინი უპირველესად იყენებს ორატორული

¹ ვ. ი. ლენინი ლიტერატურის შესახებ, გვ. 195, 1945.

² იქვე, გვ. 182, 1945.

მეტყველების ისეთ მოთხოვნას, როგორცაა, მაგალითად, მსმენელთა დარწმუნება. ჩანს, ეს მოთხოვნა მას მსმენელთა გულისა და გონების მონადირების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიაჩნდა. მისი აზრით, სწორედ დარწმუნებამ, ე. ი. ადამიანში რაიმე მოვლენის შესახებ ჩამოყალიბებულმა, სწორმა შეხედულებამ უნდა განსაზღვროს მსმენელის ქცევის შინაარსი და არა შემთხვევითმა გარემოებამ. ამ საკითხთან დაკავშირებით 1908 წლის 24 მარტს ვ. ი. ლენინი ა. მ. გორკის სწერს: „თქვენ უნდა მიხვდეთ და მიხვდებით, რა თქმა უნდა, რომ, რაკი პარტიის კაცი დარწმუნდება განსაზღვრული ქადაგების დიდ უსწორობასა და მავნებლობაში, იგი ვალდებულია, გაილაშქროს მის წინააღმდეგ. მე არ ავტეხდი ხმაურს, უეჭველად რომ არ დავრწმუნებულებიყავი (და ამაში დღითი-დღე სულ უფრო ვრწმუნდები, რაც უფრო ვეცნობი ბაზაროვის, ბოგდანოვისა და კომპ. სიბრძნის პირველ წყაროებს“.¹

ზემოთ აღნიშნულ ლექციაშიც ვ. ი. ლენინი სწორედ ამდაგვარი მიდგომით ცდილობს, მსმენელს აღუძრას გარკვეული ინტერესი პრობლემისადმი, რომელიც თავის მხრივ, „ერთ-ერთი ურთულესი და უძნელესი საკითხია და თითქმის ყველაზე უფრო დახლართულია ბურჟუაზიულ მეცნიერთა, მწერალთა და ფილოსოფოსთა მიერ“.² ამ რთული პრობლემისადმი მსმენელთა ინტერესის აღძვრისათვის დარწმუნებულობასთან ერთად ვ. ი. ლენინს ლექციაში გამოუყენებია მთელი კომპლექსი ორატორული ხელოვნებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია უბრალოება და ბუნებრიობა, გადმოსაცემი საკითხის მოტივირება და გეგმიანობა, პედაგოგიური ელემენტი, ანუ გადმოსაცემი შინაარსის მთავარი საკითხების მრავალგზის და მრავალმხრივი ახსნა-განმარტება, პრინციპული, პარტიული მიდგომა ფაქტებისა და მოვლენებისადმი, ლოგიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აუცილებლობა და ბოლოს, რევოლუციური ოპტიმიზმი და მაღალი ეფექტურობა მეტყველებაში და სხვ.

¹ ვ. ი. ლენინი ლიტერატურის შესახებ, გვ. 157, 1945.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 552, 1952.

ქვემოთ ვნახოთ კონკრეტული მასალების საფუძველზე, როგორაა ასახული მკვევრი სიტყვის აქ დასახელებული მოთხოვნები ვ. ი. ლენინის მიერ წაკითხულ მთლიან ლექციაში.

1. **გადმოსაცემი საკითხის მოტივირება და გეგმა.** სახელმწიფოს წარმოშობის „საკითხს თქვენ მით უფრო ადვილად დაუბრუნდებით, რომ იგი მთელი პოლიტიკის იმდენად ძირითადი, იმდენად მთავარი საკითხია, რომ არათუ ასეთ მშფოთვარე, რევოლუციურ დროს, როგორსაც ჩვენ ახლა განვიცდით, არამედ უპარესად მშვიდობიან დროსაც ყოველ გაზეთში ყოველი ეკონომიური თუ პოლიტიკური საკითხის გარშემო თქვენ მუდამ წააწყდებით კითხვას: რა არის სახელმწიფო, რა-შია მისი დედაარსი, მისი მნიშვნელობა და როგორია ჩვენი პარტიის დამოკიდებულება, კაპიტალიზმის დამხობისათვის მეტრძოლი პარტიისა, კომუნისტების პარტიის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, — ამ საკითხს თქვენ ყოველდღე დაუბრუნდებით ამა თუ იმ საბაბის გამო“ (გვ. 553).

მოტანილ მასალაში ავტორს გადასაცემი საკითხის ემოციურობისა და ლოგიკურობის გადიდებისათვის გამოუყენებია აგრეთვე ორატორული მეტყველების შემდეგი ხერხები—ფიქსირებული ფორმის განმეორება და კონტრასტი. მაგალითად, ფიქსირებული ფორმით „იმდენად“ და „ყოველის“ ორ-ორჯერ განმეორებით უფრო ძლიერდება ლოგიკური უღერადობა წარმოთქმული სიტყვის მსჯელობითი ფორმისა. ხოლო დაპირისპირების ხერხით — სახელმწიფოს საკითხი „ისეთი მთავარი საკითხია, რომ არა თუ ასეთ მშფოთვარე, რევოლუციის დროს, არამედ მშვიდობიან დროსაც... აქტუალურია“, ვ. ი. ლენინმა მსმენელს კონკრეტულად უჩვენა გადასაცემი პრობლემის შესწავლის უდიდესი აქტუალობა.

2. **ბუნებრიობა და უშუალობა მეტყველებაში.** „...დღევანდელი ჩვენი საუბრის საგანს იმ გეგმით, რომელიც აქ მიიღეს და მე მაცნობეს, წარმოადგენს სახელმწიფოს საკითხი. არ ვიცი, უკვე რამდენად იცნობთ ამ საკითხს. თუ არ ვცდები, თქვენი კურსები ახლახან გაიხსნა, და თქვენ გიხდებათ ამ საკითხს სისტემატურად პირველად მიუდგეთ. თუ ეს ასეა, ადვილად შესაძლებელია პირველ ლექციაში ვერ მოვახერხო ბევრი

მსმენელისათვის ამ ძნელი საკითხის საკმაო სიცხადით და გასაგებად გადმოცემა. და თუ ასე მოხდა, გთხოვთ ეს ნუ შეგაფიქრიაჩნებთ, იმიტომ რომ სახელმწიფოს საკითხი ერთ-ერთი ურთულესი და უძნელესი საკითხია“ (გვ. 552).

როგორც ვხედავთ, აქ ვ. ი. ლენინი წარმოთქმულ სიტყვას უდიდეს შთამბეჭდაობას და გულწრფელობას მატებს, ერთი მხრივ, მსმენელის მდგომარეობის გათვალისწინებით (კერძოდ, იმის აღნიშვნით, რომ ის პირველად ისმენს სახელმწიფოზე ლექციას), მეორე მხრივ, თავისი პიროვნული შესაძლებლობის უპრეტენზიოებით. დავაკვირდეთ ლექციის ავტორის სიტყვებს: შეიძლება „ვერ მოვახერხო ბევრი მსმენელისათვის ამ ძნელი საკითხის საკმაო სიცხადით და გასაგებად გადმოცემა“.

3. პედაგოგიური ელემენტი, ანუ გადმოსაცემი შინაარსის მიზნობრივი ახსნა-განმარტება. „საკითხი იმდენად რთულია და ისეა დახლართული ბურჟუაზიულ მეცნიერთა და მწერალთა მიერ, რომ ყოველი ადამიანი, რომელსაც სურს ამ საკითხს სერიოზულად ჩაუფიქრდეს და დამოუკიდებლად შეითვისოს, აუცილებლად რამდენჯერმე უნდა მიუდგეს მას, ისევე და ისევე დაუბრუნდეს, მოისაზროს საკითხი სხვადასხვა მხრივ, რომ იგი ნათლად და მტკიცედ გაიგოს“. (გვ. 553). განსახილველი საკითხის შინაარსის ასეთი ასპექტით დაყენებას მოსდევს ვ. ი. ლენინის მკვევრი სიტყვისათვის დამახასიათებელი დაწვრილებითი ახსნა-განმარტება, რასაც დიდ მეცნიერულ ძალასა და დამაჯერებლობას მატებს საკითხთან დაკავშირებული ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენების გაანალიზება. მაგალითად: „მონობის ისტორიამ იცის ბევრი ისეთი ომი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა მონობისაგან განთავისუფლებისათვის. სხვათა შორის, სახელი „სპარტაკელები“, რომელიც ახლა დაირქვეს გერმანიის კომუნისტებმა, — გერმანიის ამ ერთადერთმა პარტიამ, რომელიც ნამდვილად იბრძვის კაპიტალიზმის უღლის წინააღმდეგ, — იმიტომ დაირქვეს; რომ სპარტაკი იყო ერთ-ერთი დიდად გამორჩენილი გმირი მონების ერთ-ერთი

უდიდესი აჯანყებისა, რომელიც მოხდა დაახლოებით ორა ათასი წლის წინათ. თითქოს ყოველისშემძლე რომის იმპერია, რომელიც მთლიანად მონობაზე იყო დამყარებული, მთელი რიგი წლების განმავლობაში ირყეოდა და დარტყმებს განიცდიდა მონების უდიდესი აჯანყების გამო; მონები შეიარაღდნენ და შეერთდნენ სპარტაკის წინამძღოლობით, მათ შექმნეს უდიდესი არმია. ბოლოს და ბოლოს ისინი მიწათმფლობელებმა ამოწყვეტეს, შეიპყრეს და აწამეს. ეს სამოქალაქო ომები წარმოებდა კლასობრივი საზოგადოების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. მე ახლა დაგისახელებ მონათმფლობელობის ეპოქის ყველაზე უდიდესი სამოქალაქო ომის მაგალითი“ (გვ. 567—568).

4. პრინციპული, პარტიული მიდგომა ფაქტებისა და მოვლენებისადმი. „თქვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიოთ ეს ძირითადი ფაქტი—საზოგადოების გადასვლა მონობის პირველყოფილი ფორმებიდან ბატონყმობაზე და, ბოლოს, კაპიტალიზმზე, რადგან მხოლოდ მაშინ, როცა მოიგონებთ ამ ძირითად ფაქტს, როცა ამ მთავარ ჩარჩოში მოაქცევთ ყველა პოლიტიკურ მოძღვრებას, მხოლოდ მაშინ შესძლებთ, სწორად შეაფასოთ ეს მოძღვრებანი და გაერკვეთ რას ეხებიან ისინი, რადგან კაცობრიობის ისტორიის თვითეული ეს დიდი პერიოდი — მონათმფლობელური, ბატონყმური და კაპიტალისტური — მოიცავს ათეულ და ასეულ საუკუნეებს და წარმოადგენს ისეთ უამრავ პოლიტიკურ ფორმას, სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ მოძღვრებას, შეხედულებას, რევოლუციას, რომ ყველა ამ უდიდეს სიჭრელესა და უღარეს მრავალფეროვნებაში გარკვევა, — რაც განსაკუთრებით დაკავშირებულია ბურჟუაზიულ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ და სხვ. მოძღვრებასთან, — მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სახელმძღვანელო ძირითად გეზად მტკიცედ აიღებთ საზოგადოების ამ დაყოფას კლასებად, კლასობრივი ბატონობის ფორმების შეცვლას და ამ თვალსაზრისით გაერკვევით ყველა საზოგადოებრივ საკითხში — ეკონომიურ, პოლიტიკურ, სულიერ, ჯეოგრაფიულ და სხვ. საკითხებში“ (გვ. 561).

ძირითადი ფაქტებისა და მოვლენების არაძირითადისაგან

გამოყოფითა და მეცნიერული გამიჯვნით, აგრეთვე, ფიქსირებული ფორმების „მხოლოდ მაშინ“ და „როცა“ რამდენჯერმე განმეორებით სიტყვის ამ ნაწილში მსმენელის წინაშე უფრო კონკრეტულად და ნათლად ისახება სახელმწიფოს წარმოშობის რთული მეცნიერული არსი და ამის საფუძველზე უფრო ადვილი გასაგები ხდება იგი.

5. მიზეზ-შედგობრივი კავშირის მოთხოვნა მოვლენებისა და ფაქტების შეფასებაში. „სახელმწიფო ყოველთვის წარმოადგენდა გარკვეულ აპარატს, რომელიც გამოყოფილი იყო საზოგადოებიდან და შედგებოდა იმ ადამიანთა ჯგუფისაგან, რომელთა საქმეც მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ, ანდა უმთავრესად ის იყო, რომ ისინი მართავდნენ. ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად—ვისაც მართავენ და მართვა-გამგეობის სპეციალისტებად, რომლებიც საზოგადოებაზე მალა დგებიან და რომლებსაც მმართველებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს უწოდებენ. ამ აპარატს, ამ ჯგუფს ადამიანებისას, რომლებიც სხვებს მართავენ, ყოველთვის ხელთუპყრია იძულების, ფიზიკური ძალის განსაზღვრული აპარატი,—სულ ერთია, ამ ძალმომრეობას ადამიანების მიმართ გამოხატავს პირველყოფილი კეტი, თუ მონობის ეპოქაში—უფრო გაუმჯობესებული ტიპის შეიარაღება, თუ ცეცხლსასროლი იარაღი. რომელიც შუასაუკუნეებში გაჩნდა, თუ, ბოლოს, თანამედროვე იარაღი, რომელმაც XX საუკუნეში ტექნიკურ სასწაულებს მიაღწია და რომელიც სავსებით თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს ემყარება. ძალმომრეობის ხერხები იცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის. როცა სახელმწიფო არსებობდა, თვითეულ საზოგადოებაში იყო ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მართავდნენ, ბრძანებლობდნენ, ბატონობდნენ და რომლებსაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელთ ჰქონდათ ფიზიკური იძულების აპარატი. ძალმომრეობის აპარატი, ის შეიარაღება, რომელიც შეეფერებოდა თვითეული ეპოქის ტექნიკურ დონეს. როცა ვუკვირდებით ამ საერთო მოვლენებს და ვკითხულობთ, რატომ არ არსებობდა სახელმწიფო მაშინ. როცა არ იყვნენ კლასები, როცა არ იყვნენ ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულები, და რატომ წარმოიშვა იგი

მაშინ. როცა კლასები წარმოიშვნენ,—მხოლოდ მაშინ ეპო-
ულობთ გარკვეულ პასუხს კითხვაზე სახელმწიფოს დედაარ-
სისა და მისი მნიშვნელობის შესახებ“ (გვ. 562—563).

ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის ექსპლოატატორუ-
ლი ბუნების კონკრეტულად და ემოციურად დასახატავად სა-
ანალიზო მასალაში გამოყენებულია ზმნები: „მართავდნენ“,
„ბრძანებლობდნენ“, „ბატონობდნენ“. ვნახოთ უფრო კონკრე-
ტულად კონტექსტში: „თვითეულ საზოგადოებაში იყო ჯგუ-
ფი ადამიანებისა, რომლებიც მართავდნენ, ბრძანებლობდნენ,
ბატონობდნენ“. აღნიშნულთან ერთად ჩვენს ყურადღებას
იქცევს, აგრეთვე, ისიც, რომ მსჯელობაში განმარტებითი ელე-
მენტის შეტანისას ოსტატურად არის გამოყენებული პირო-
ბითი შინაარსის წინადადებათა ერთიდაიგივე საკავშირებელი
სიტყვა „თუ“. მაგალითად: „ამ აპარატს, ამ ჯგუფს ადამიანე-
ბისას, რომლებიც სხვებს მართავენ, ყოველთვის ხელთ უბყრია
იძულების, ფიზიკური ძალის განსაზღვრული აპარატი,—სულ
ერთია, ამ ძალმომრეობას ადამიანების მიმართ გამოხატავს პირ-
ველყოფილი კეტი, თუ მონობის ეპოქაში — უფრო გაუმჯო-
ბესებული ტიპის შეიარაღება, თუ ცეცხლსასროლი იარაღი,
რომელიც შუასაუკუნეებში გაჩნდა, თუ, ბოლოს, თანამედროვე
იარაღი, რომელმაც XX საუკუნეში ტექნიკურ სასწაულებს მი-
აღწია“... სიტყვის ამ ევ მონაკვეთში ვ. ი. ლენინი ხშირად მი-
მართავს ცალკეული სიტყვების — „მხოლოდ“ და „ამ“ გა-
მეორებასაც. ყველაფერი ეს, თავისთავად, ცხადია, გადმოსაცემ
აზრს უფრო მეტ სინათლესა და დამაჯერებლობას მატებს.

6. რევოლუციური ოპტიმიზმი და გადმოსაცემი აზრის ნათ-
ლად გამოხატვის ეფექტურობა. „იმ მანქანას, რომელსაც სა-
ხელმწიფო ეწოდებოდა, რომლის წინაშე ადამიანები ცრუმორ-
წმუნეობრივი მოკრძალებით ჩერდებიან, სჯერათ რა ძველი
ზღაპარი, რომ ეს საყოველთაო-სახალხო ბატონობა არისო,—
პროლეტარიატი ამ მანქანას უკუაგდებს და ამბობს: ეს ბურჟუ-
აზიული სიცრუეა. ჩვენ ეს მანქანა კაპიტალისტებს წაეარ-
თვით, ხელთ ავიღეთ. ამ მანქანით ანუ კეტით ჩვენ გავანადგუ-
რებთ ყოველგვარ ექსპლოატაციას, და, როდესაც ქვეყნად
აღარ დარჩება ექსპლოატაციის, შესაძლებლობა, აღარ დარ-

ჩებიან მაწათმფლობელნი, ფაბრიკების მფლობელნი, აღარ იქნება ისე, რომ ზოგნი ყელამდე მაძლარი იყვნენ, ზოგნი კი მშინერი, — ნხოლოდ მაშინ, როცა ამის შესაძლებლობა აღარ იქნება, ჩვენ ამ მანქანას დასამსხვრეველ გადავაგდებთ. მაშინ აღარ იქნება სახელმწიფო, აღარ იქნება ექსპლოატაცია. აი ჩვენი კომუნისტური პარტიის თვალსაზრისი“... (გვ. 576—577).

გადმოსაცემი აზრის ეფექტურობასა და პოეტურობას ლექციის დასასრულს ხელს უწყობს, ერთი მხრით, ხალხური გამოთქმების და ცალკეული გავრცელებული ლექსიკური ერთეულების („კეტი“, „ძველი ზღაპარი“, „ყელამდე მაძლარი“ და სხვა) გამოყენება და, მეორე მხრივ, უარყოფითი ფიქსირებული ფორმის „აღარ“ მრავალჯერ (ხუთჯერ) ზედიზედ გამეორება.

ამრიგად, გაანალიზებული მასალების საფუძველზე, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც ნათელია ვ. ი. ლენინის პროპაგანდისტული ორატორული მეტყველების შინაარსი, მისი მიზანსწრაფულობა და ემოციურობა. მაგრამ, რასაკვირველია, ყოველივე ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს შევეძლით დიდი ბეღადის პროპაგანდისტული ორატორული მეტყველების ყველა მონაცემის ამოცნობა და გაანალიზება, რაც ცხადია, არც შეიძლება მოხერხდეს ერთი ლექციის ანალიზის მიხედვით. ბუნებრივია, სხვა სიტყვებსა და გამოსვლებში მოცემული ორატორული მეტყველების მაგალითების გათვალისწინება კიდევ უფრო სრულსა და ღრმა წარმოდგენას მოგვცემს ვ. ი. ლენინის მარად ცოცხალი ორატორული მეტყველების მდიდარი საუნჯის შესახებ.

II თ ა ვ ი

ზეპირი სიტყვის შინაარსობრივ-სტრუქტურული მხარე

ზეპირი მეტყველების იდეურ-თემატიკური სარჩული. ზეპირი სიტყვის იდეურ შინაარსსა და მიზანსწრაფვას უშუალოდ განსაზღვრავს ერთი მხრივ, ეპოქის მოთხოვნები და, მე-

ორე მხრივ, თვით სათქმელი შინაარსის თემატიკური მხარე. რამდენადაც ნაცნობია და მისაწვდომი მოუბრისათვის სათქმელი მასალის იდეურ-თემატიკური მხარე, იმდენად გამოკვეთილი და ნათელია მისი იდეური მიზანსწრაფვა. მაგალითისათვის დავაკვირდეთ აკაკის ცნობილ ორატორულ სიტყვას, რომელიც დიდი ილიას ცხედრის წინაშე წარმოითქვა:

„ახალ-მოდრობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენოთ?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარებას გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ველარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო!—გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სანარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნის ისტორიას. შენი საქმეებო და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ველარც არას დააკლებს და ველარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუღწარ მის სიკვდილს და თვალით ველარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოდრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე... ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო!.. საუკუნოდ იყოს ღსენება შენი...¹“

ამ ბრწყინვალე ორატორული სიტყვის თემა დიდი ილიას სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის შეფასებაა. „გან-

¹ ქართული მკვებრმეტყველება, გვ. 294—295, 1958.

თიადის“ ავტორი ოსტატურად ფლობს ამ თემას და ბუნებრივად აყალიბებს ეპოქისათვის შესატყვის შემდეგ იდეურ აზრს: ილიას ვერაგულად მკვლევლობას ყოველმა ქართველმა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა და თავისუფლების მოპოვებისათვის შეურიგებელი ბრძოლით უნდა უპასუხოს, რადგან სწორედ ასეთ ბრძოლაშია ხსნა და პატივისცემა როგორც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მაღალი სასიცოცხლო იდეალებისა, ისე თვით ამ იდეალების შეუდარებელი მესიტყვის—დიდი ილია ჭავჭავაძის ჯვარცმული სახელისა.

ამრიგად, ზეპირი სიტყვის მომზადების პროცესში პირველსავე საფეხურზე ყოველი მოუბრისათვის კარგად უნდა იცოს გარკვეული, რა იდეურ-თემატიკურ მასალაზე მოუწევს საუბარი და, მეორე, ადგილისა და დროის ტენდენციების გათვალისწინებით დაადგინოს, რა მიზანსწრაფულობა უნდა მიეცეს არჩეულ მასალაზე დაყრდნობით ზეპირ სიტყვას. ანდა პირიქით, შეიძლება მოუბარს გაუჩნდეს სურვილი ან დაავალონ, წარმოთქვას სიტყვა ამა თუ იმ იდეური აზრის დასაცავად. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ზეპირი სიტყვის შემოქმედი გარკვეული მოდელის მიხედვით არჩევს სათანადო ფაქტებს, მასალებს, ქმნის მისი გადმოცემის კომპოზიციურ ქარგას და ინდივიდუალური შესაძლებლობის მიხედვით ითვალისწინებს წარმოსათქმელი სიტყვის მსმენელამდე მიტანის სხვა საჭირო ტექნიკურ მხარესაც.

ერთი სიტყვით, ჩვეულებრივ ზეპირი სიტყვის თემატიკურ მხარესა და მის იდეურ შინაარსს შორის ნიადაგ არსებობს სათანადო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რის შედეგადაც ერთ შემთხვევაში რაიმე ამბავი ან მოვლენა ხდება ზეპირი სიტყვის იდეური შთაგონების საფუძველი, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით: სწორედ წინასწარ შერჩეული იდეური აზრი ავალებს მოუბარს, დაძებნოს და გააანალიზოს ისეთი თემატიკური მასალა და ფაქტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მას წინასწარ მოფიქრებულ იდეური აზრის მსმენელამდე ცხოვლად მიტანაში.

სავარჯიშო 1. გაეცანით წარმოდგენილ მასალას, გაარკვიეთ მისი თემატიკა და ამის შემდეგ დაადგინეთ, რა ისტორიული და

სარწმუნოებრივ-ზნეობრივი კრიტერიუმებით უსაბუთებს თამარ მეფე ნუქარდინს ქართველი ხალხის სამართლიან, თავდაცვით ომში გამარჯვების აუცილებლობას. აღნიშნეთ, როგორაა გამოხატული მის მსჯელობაში მთლიანი სიტყვის იდეური აზრი?

წერილი რუმის სულთანის ნუქარდინის მიმართ:

„ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, და მარადის ქალწულისა მარიამის მეედრებელმან, და პატროსნისა ჟუარისა სასოებით მოსავმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ოინუქარდინ, და ვსცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჳე ღმერთი იყოს; არა გაამიესა, რამეთუ „ყოველი ცრუდ მფუტავი სახელსა ღმრთისასა და მის მიერ აღიხოცოს“?

შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილი ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმერთისასა, ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხუასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ. არამედ ძალსა ღმრთისასა ყოვლისა მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჟუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ.

ესე-რა-ვითარი შემოგეთუალა, წარმომივლენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე. არა შენდა თაჳუანისცემად, არამედ დამხობად შენდა ზუავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა. იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი! ხოლო მე უწყი დანსნილობა მსახურთა შენთა. ამისთვის წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხნი ადრე მოგართუას და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფეხნი ესერა კართა შენთა ზედა დგანან.“¹

მოტივირების როლი ზეპირმეტყველებაში. მოტივი ფრანგული სიტყვაა და მოქმედების აღმძვრელ მიზეზს, მოსაზრებას, საბუთს, არგუმენტს ნიშნავს. სიტყვა მოტივიდანაა წარმოშობილი მოტივირება, რაც რისამე დასამტიკებლად საბუთების, არგუმენტების მოტანა-დასაბუთებას გულისხმობს. რაიმე დე-

¹ ნ. კანდელაკი, „ქართული საელჩო მკვერამეტყველება“, გვ. 261. 1966.

ბულების დამტკიცება თუ უარყოფა კი ზეპირი მეტყველების აუცილებელი მოთხოვნაა.

ზეპირი სიტყვის ეს ელემენტი კარგად არის შენიშნული კლასიკური მქვერმეტყველების თეორიასა და პრაქტიკაში. ზეპირი სიტყვის ამ ელემენტს ძველ ქართულ მწერლობაში „მიზეზი სიტყვისას“ უწოდებენ.

როგორც კლასიკური ზეპირმეტყველების ნიმუშების შესწავლიდან ირკვევა. მოტივირება გულისხმობს ორ მთავარ კითხვას: რა თემას ან საკითხს ეხება მოუბარი და რა მიზანი აქვს ამა თუ იმ თემაზე აღძრულ სიტყვას.

დავაკვირდეთ დავით აღმაშენებლის ცნობილ სიტყვებში აღძრულ ძირითადი აზრის მოტივირებას: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ“.¹

სტრუქტურული თვალსაზრისით მოტანილ მასალაში ძირითადი აზრის სათქმელად დავით აღმაშენებელი მსმენელთა ყურადღებას მიაქცევს ორ გარემოებას. პირველი, დიდგორის ბრძოლა სახალხო, სამართლიანი თავდაცვითი ბრძოლაა. და. მეორე, ამ ბრძოლაში ქრისტეს ერთგულებით „თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ“.

ახლა ვნახოთ იგივე მომენტი მზექაბუჯ ორბელიანის სიტყვაში: „ნუ ჰყოენი. მეფეო! მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის!“² პირდაპირ შეიძლება ითქვას. ამ მიმართვაში. რომელიც მოტივირების ფუნქციას ასრულებს ზეპირ სიტყვაში. ნათლად ჩანს მხურვალე პატრიოტიზმი, მისწრაფება ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი განკერძოებულობის დაგმობისა და ერთიანი, ძლიერი საქართველოს სახელმწიფო წყობილების აღდგენისა. წარმოთქმული სიტყვის აღნიშნული მოტივირების შინაარსი დიფერენცირებულად ზეპირ სიტყვაში ასე გადმოიცემა: საქართველოს გაერთიანებას მთელი ქართველი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მეფემ უნდა შეძლოს ქვეყნისა და ხალხის სასიცოც-

¹ ქართული მქვერმეტყველება, გვ. 154.

² იგივე, გვ. 206.

ხლო ინტერესების სწორად და დროულად შეცნობა, გონივრული ღონისძიების განხორციელება ამ მაღალი მისიის შესასრულებლად.

ასეთია დაახლოებით ყოველი ზეპირი სიტყვის მოტივირების მიმართება გადმოსაცემი შინაარსის ძირითადი იდეისადმი.

სავარჯიშო 2. წაიკითხეთ გულდასმით წარმოდგენილი სიტყვა. გამოყავით ფიქსირებული მოტივირების გადმომცემი ტექსტუალური მასალა და, ბოლოს, დაადგინეთ, რამდენად ლოგიკურია მოცემული ზეპირი სიტყვის საერთო იდეურ-მხატვრული შინაარსისათვის აღნიშნული მოტივირება.

ილიას სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორაპლიანის დასაფლავებაზე

აჰა, ჩვენ წინაშე მდებარეა საუკუნოდ განსვენებული კაცი, რომლის მიცვალებამ გლოვის ზარით გაიხმაურა მთელს საქართველოში და ყოველის ჭეშმარიტის ქართულის გული შესძრა მართლდაა ჭეშმარიტის მწუხარებითა.

მისმა წარჩინებულმა სახელმა შეჰკრიბა აქ ყოველი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნისა. აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჯაბუყი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე. მცირე და დიდი, გლეხი და მუშაკი, რათა ერთად, შეერთებულის გლოვით, ამ უკანასკნელს ჟამს საქართველოს ერი, მაგათგან ესეთის ერთობით წარმოდგენილი, გამოეთხოვოს თავის სასიკადაულო კაცს, სახელოვანს შვილს, სიტყვა-მაღალს მოძღვარს, საუკუნოდ ჩვენგან წასულსა.

არა მარტო მისმა ხარისხმა და ნამსახურობამ, არა მარტო მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქეობისამ მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ჰასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა. იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებულის, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ—სასოებით მისი მსმენელნი...

იქნებ ზოგმა სთქვას, ყოველი ეგე სიტყვაა და არა საქმეო.

მაგრამ არიან ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზეგარდამო მადლით ცხებულნი“, რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულთ-მოქმედი ძლიერება. იგი სასწაულთ-მოქმედი ძლიერება თითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმნის. ერთი იმათგანი, ერთი იმ რჩეულთაგანი, ერთი იმ ზეგარდამო მადლით ცხებულთაგანი იყო იგი, ვისაც დღესა ესტერიით და ამიტომაც მისი სიტყვაც თითონ საქმეა.

ჩვენს მშვენიერს ქვეყნით თავმოწონებულმა ალტაცებით წარმოსთქვა: „სხვა საქართველო სად არისო!“ და, ეჰა, ეხლა თითონ საქართველო დაჰყურებს შენს საფლავს, და სასო-წარკვეთილებით, გლოვით იძახის: „სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არისო“.

შენ აღარ ხარ და შენს საყვარელს საქართველოს გულში ჩასწყდა კიდევ ერთი ძარღვიცა.

ფუჭია იგი სიცოცხლეო, რომელიც ვერა რას არგებსო მამულსაო, — სთქვი შენ, ჩვენ მაგას შენზედ ვერ ვიტყვიო.

შენ განვლიე შენის ცხოვრების გზა და აღბეჭდეცა ნავალი.

შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს. რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდევ, რომ ჰყვანდი და აღარ ეყოლები.

მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულის-შვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო!“¹

მოტივირებაში აღძრული საკითხის დასაბუთება და დასკვნა. ყოველი ზეპირი სიტყვა, მეტად თუ ნაკლებად, მოტივირების ჩამოყალიბების შემდეგ შეიცავს აღძრული საკითხის ან საკითხების მსჯელობით გადმოცემას, ახსნას, ამ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი მოვლენის ერთი ლოგიკური თანამიმდევრობით დალაგებასა და ურთიერთმიზნოშედეგობრივ კავშირში განხილვას.

ზეპირი სიტყვის ეს ნაწილი სტრუქტურულად უშუალოდ გამომდინარეობს მოტივირებისაგან, ავითარებს და ავრცობს

¹ ი. ჰავეჟაძე, თხზ. ტ. III, გვ. 247, 248, 249.

მასში აღძრულ საკითხებს, უფრო ღრმად და შეგნებულად არ-
წმუნებს მსმენელს სიტყვის დასაწყისში დასმული საკითხის
ღირებულებაში და, ბოლოს, რაც მთავარია, ქმნის პირობებს
მთლიანი სიტყვის ძირითადი აზრის სწორად გაგებისათვის.

მაგალითად. ი. ჯავჭავაძე გრ. ორბელიანის გარდაცვალებით
გამოწვეულ ქართველი ხალხის მწუხარებას ამგვარად ასაბუ-
თებს:

„არამარტო მისმა ხარისხმა და ნამსახურობამ, არა მარტო.
მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქეობისამ მოიწვია აქ,
ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა,
სქესისა, ხარისხისა და ჰასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო
თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეუფე“
ჩვენის სიტყვების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო
მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცნებულნი. იგი იყო
მოძღვარი ჩვენი და ჩვენ სასოებით მისი მსმენელნი.

იქნებ ზოგმა სთქვას, ყოველი ეგე სიტყვაა და არა საქმეო.
მაგრამ არიან ქვეყანაზე იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზეგარ-
დმო მადლით ცნებულნი“, რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი
სასწაულთ-მოქმედი ძლიერება. იგი სასწაულთ-მოქმედი ძლი-
ერება თითონ სიტყვასაც საქმედ აქმნის. ერთი იმათგანი. ერ-
თი იმ ზეგარდმო მადლით ცნებულთაგანი იყო იგი. ვისაც
ღღესა ვსტირით და ამიტომაც მისი სიტყვაც თითონ საქმეა“.

როგორც ვხედავთ, სტრუქტურული თვალსაზრისით ზეპირი
სიტყვის ამ ნაწილში გადმოცემულია არსებითად სიტყვის ძი-
რითადი იდეური აზრი. ყოველივე ამის გამო ფაქტიურად ზე-
პირი სიტყვაც სწორედ აქ მთავრდება, მაგრამ არის ხოლმე
ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოუბარი ამის შემდეგაც
მსმენელის ყურადღებას მიაპყრობს იმ პერსპექტივაზე, რო-
მელიც დაისახება სათქმელ სიტყვაში გადმოცემული ძირითა-
დი აზრის ჩამოყალიბების შემდეგ. ანდა გამოხატავს თავის
დამოკიდებულებას ყველაფერი იმისადმი, რაც უკვე ითქვა და
ამით ერთგვარად კიდევ უფრო აღრმავებს წარმოთქმული ზე-
პირი სიტყვის იდეურ-შემოქმედებით ძალას.

მაგალითად, დიდმა ილიამ ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმო-

სვენებაზე თავისი ცნობილი სიტყვის იდეური აზრი ფიგურალურად შემდეგი ფრთიანი ფრაზით გამოხატა: „დიდბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყვივართ დღეს და აკი იწინასწარმეტყველა კიდეც:

„უდად ხომ მაინც არა ჩაივლს
ეს განწირულის სელის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება...“

და დარჩა კიდეც. ეგ გზა უვალი თვითეული ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჰდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი“.

ილიას ამ სამგლოვიარო სიტყვის ძირითადი იდეური აზრი არსებითად ციტირებულ მასალაშია გადმოცემული. მაგრამ ამის შემდეგ მას მაინც საჭიროდ ჩაუთვლია ერთგვარი ახსნავანმარტებითი შემდეგი შინაარსის დამატებაც: „ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას; ხოლო რა დასადარია ხელთუქმნელი ძეგლი, თუნდა დიდფასიანი, იმ ხელთუქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებვანობამ ჩვენ გულში ალაგო.

მე არ ვიტყვი საუკუნოდ ხსენებას. იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

„სატრფოს ცრემლის წინ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვაენი მყივარნი მივალალებნო“, აღსრულდა ეს წინასწარ-თქმული მისი მაშინ, და დღეს კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს. მის საფლავს, დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა, და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი.“¹

ამრიგად, განხილული მასალებიდან ჩანს, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით ზეპირი სიტყვა შეიცავს შემდეგ ძირითად საფეხურებს:

1. მოტივირებას;
2. მოტივირებაში აღძრული საკითხების მსჯელობის გზით დასაბუთებას;
3. სიტყვაში აღძრული ძირითადი იდეური აზრის განზოგა-

¹ ქართული მკვებრმეტყველება, გვ. 285—286. 1958.

ღებულნი ფორმულის სახით გადმოცემასა და, ბოლოს,

4. დასკვნას.

რომ უფრო კონკრეტულად გავარკვიოთ, თუ როგორ აისახება ჩვენ მიერ წარმოდგენილ მოდელში ამა თუ იმ ზეპირი სიტყვის შინაარსი, დავაკვირდეთ ზოგიერთი მჭევრი სიტყვის შინაარსსა და ფორმას.

მზეჭაბუკ ორბელიანის სიტყვა, თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე:

„ნუ ჰყოფნი, მეფეო! მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის! ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა, ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოულო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო, ქვეყნისათვის, დამლუპავი ქვეყნისა, ვითარ მოელო მეფობა ქართლისა ქართლისათა მეფეთა და რაი დაჰკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოელო შეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი? ვითარ მოელო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა კავშირი“.¹

მოტანილი ზეპირი სიტყვის სტრუქტურულ-კომპოზიციური ქარგა ასეთია:

1. მოტივირება: „ნუ ჰყოფნი, მეფეო! მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის!“

2. მოტივირებაში აღძრული საკითხის დასაბუთება: „ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოულო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამლუპავი ქვეყნისა,—ვითარ მოელო მეფობა ქართლისა ქართლისათა მეფეთა და რაი დაჰკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოელო შეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა საერის-

¹ ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 206—207.

თავო არაგვი? ვითარ მოელო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერის-
თავთა?“

III. იდეური აზრის განზოგადებულად გადმოცემა და
დასკვნა: „ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მე-
ფობისა არის ერთა დაკავშირება!“

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ზეპირ სიტყვაში ძირითადი
იდეური აზრის ფორმულის სახით გადმოცემა და დასკვნა ერ-
თი-მეორეს ემთხვევა. სწორედ ასეთი შემთხვევაა, მაგალითად,
ფიქსირებული მწეჭაბუკ ორბელიანის სიტყვაში, ზოგჯერ კი
დასკვნას ფინალის მსგავსად ცალკე გამოეყოფა მოუბრის ახს-
ნა-განმარტებითი სიტყვა და თავისთავად, დამოუკიდებელი
კომპოზიციური საფეხურის სახით გამოიკვეთება. ასეთია, მა-
გალითად, ილიას სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლის ნეშტის გადმოსვენებისას.

სავარჯიშო მ. წაიკითხეთ ყურადღებით წარმოდგენილი
სავარჯიშო მასალა, გამოყავით ზეპირი სიტყვის იდეური შინა-
არსის გადმოცემისათვის შერჩეული კომპოზიციური ქარგა
შესაბამისი საფეხურებით, დაადგინეთ, რა ურთიერთმიმართება
შეინიშნება საანალიზო სიტყვის კომპოზიციური ქარგის ცალ-
კეულ კომპონენტებს შორის და, ბოლოს, აღნიშნეთ, როგორ
უწყობს ხელს მიკვლეული კომპოზიციური ქარგა წარმოთქმუ-
ლი სიტყვის იდეური აზრის მიზნობრივად და ემოციურად გად-
მოცემას.

ილიას სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ
ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე

„თვითეული ცემა გულის ძარღვისა გეჭრის და გვაწყულ-
ლებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყ-
ვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფი-
ლიყო“, — სთქვა ერთმა ბრძენმა.

ღმერთი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვალით გად-
მოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხე-
ბულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდე-
ბა ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმე-
ლი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარ-

ტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ახლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა. ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენ-და ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობად, და უბრძანა, — წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუწითეო.

კიდევ ვიტყვი, პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ ხომ ჰხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის. დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვნმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაუღალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო, და ყველაფერს შევსწირავ განწირულის სულის კვეთებამდგო. ამ განწირულობამ, გარდაცვალების ერთი წლის წინად, ეს სიტყვები ამოაკენესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაეჭა ბოლოს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტვირთოს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის!..
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდებლთა შორის ტილის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით; ღრიალით მიწას მომაყრის!..
სატრფოს ცრემლის წილ მკედარსა, ოხერსა,
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სეაენი მყივარნი.

ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა. იგი არ დამარხა თავის მამულში. მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შვილისა. ეს ჭავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებ-

ბელმა კაცმა, და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეის ამას იქით მისმა საშობლო ცამ თავისი ნამი ცრემლად ზედ აღინოს. მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოც-და-შვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნება სთქვან, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოც-და-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარმომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერი აღმალეულია სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუა-გახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდბუნებოვან კაცისა.

დიდბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყივართ დღეს, და აკი იწინასწარმეტყველა კიდევცა:

ცუღათ ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირულის სულ-ს კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

ჟ

და დარჩა კიდევც. ეგ გზა უვალი თვითეული ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას; ხოლო რა დასადარია ხელთქმნილი ძეგლი, თუნდა დიდფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებოვანობამ ჩვენ გულში ალაგო.

მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

„სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სეაენი მყივარნი მივაღალეებენო“. აღსრულდა ეს წინასწარ-თქმული მისი მაშინ, და დღეს-კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა, და ამათს

ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი.“¹

ნათლად თქმა. ნათლად, გასაგებად რაიმე გადმოსაცემი აზრის თქმა ზეპირი სიტყვის ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნაა. შოთა რუსთაველი გვასწავლის: „ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“. ზეპირი სიტყვის ნათლად თქმა დიდი ხელოვნებაა. იგი, უპირველესად, გულისხმობს სათქმელი შინაარსისათვის ადეკვატური ლექსიკური მასალების შერჩევას, თითოეული შერჩეული ლექსიკური ერთეულის ცალკეულ წინადადებაში სათანადო ადგილზე გამოყენებასა და, მაშასადამე, აზრობრივ დატვირთვას.

ნათლად თქმისათვის მიუღებელია გაზვიადებული სტილი და არაბუნებრიობა. დიდი ილია საგანგებოდ ებრძოდა არაბუნებრივი ფორმებით მეტყველებას. ამ მხრივ საგულისხმოა გლახა ჭრიაშვილის მეტყველების ნიმუში, რითაც ილიამ შკაცრად დასცინა მათ, ვისაც არ ძალუძს ნათლად თქმის ხელოვნების დაუფლება.

სავარჯიშო 4. გაეცანით წარმოდგენილ ტექსტულურ მასალებს და გაარკვიეთ: რა განსხვავებაა მათ შორის აზრის გადმომცემ ენობრივ საშუალებათა გამოყენების თვალსაზრისით.

„ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე. სიჩქარით, შენი ჭირიმე, თქვენც კარგად მოგეხსენება, სოფელი არავის მოუჭამია. მოსამართლე ხელმწიფის ყურია, უნდა ყველაფერი თავიდან ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სათავეში აიძვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის, ამიტომაც მინდა ისევ თავიდან დალაგებით მოგახსენო, იმიტომ, რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავიდანვე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსათვის გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, თორემ მენა ამებებისა რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხი კაცი ვარ. ჩემს დღეში სიმართლის კარი არც-კი დამინახავს, რა ფერია: წითელია, თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს, ვინ იცის? მენა ის თვალითაც არ მინახავს. მაღალი ღმერთის ღმრთის-რისხვა და თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, მართალს მოგახ-

¹ ქართული მკვიერმეტყველება, გვ. 284, 285, 286.

სენებ. აი, ამიტომაც მინდა თავი დამ დავიწყო. ისე სჯობია, თავი დამვე დალაგებით მოგახსენო: პაპაჩემი აზნაური გზლებიათ — ეს დიდი ხნის ამბავი გახლავს—ნუგზარ ერისთავის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო, ასე ამბობენ, თქვენი რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა შეცოდინება? დიდი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია, წვერულვაშში ჰალარა გამომრეცია, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედავთ, რომ გავთეთრებულვარ. ჯაფამ გამტეხა, შენი ჭირიმე, ჯაფამ. რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოვკრიბო, ზღვა იქნება, თქვენი ღმთის რისხვა არა მაქვს, თორემ რა გამტეხდა აგრე მალე...“¹

„—აკი იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! — სთქვა ღიმილით და თავილითაც პეტრემ—ჩემზედ ახია: ისე როგორ დავიქინე, რომ ვერც კი გავიგე. აი, დალაზვრა ღმერთმა სიბერე! არა, შეილო, ეხლა ჩემი შეილდი უნდა ძირს დავდო. ტყუილად კი არ მეუბნებოდა ჩემი უფროსი შეილი: მამი, დაჰბერდი. შორს გზაზედ მეურმეობაში ველარ გამოდგებო. აკი ველარ გამოვდეგ, მე კი მეგონა აღზევანსაც წავალმეთქი კიდევ მარილზედ. ჰაი ტა, ტა, ტა... დავბერდი, დაეჩაჩანაკდი... სირცხვილით შინ როგორღა მივიდე, მეურმე კაცი, ქალაქს მიმავალი ღვინის ურმით, გამქურდეს! მერე ვინა? ძუძუთა ბავშვებმა!.. ჯიბე მომჭრეს, ჯიბე. ვაი შენ ჩემო თავო!“²

მოუბრის ინდიფერენტული და აქტიური მიმართება სათქმელი შინაარსისადმი. ზეპირი მეტყველებისას სათქმელი შინაარსისადმი მოუბარი ყოველთვის ერთნაირ მიმართებას არ იჩენს. არის შემთხვევა, როდესაც მოუბარი ისე გადასცემს მსმენელს რაიმე შინაარსს, რომ ნაკლებად ან სრულებით არ ჩანს მისი დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რაზეც მსჯელობს, ანდა პირიქით, საგანგებოდ გამოკვეთს თავის სუბიექტურ მიმართებას სათქმელი შინაარსისა თუ მოვლენისადმი.

მოუბრის ასეთ დამოკიდებულებას სათქმელი შინაარსისადმი პირველ შემთხვევაში შეიძლება ვუწოდოთ ინდიფერენტულ-

¹ ი. ჰავჭავაძე, თხზულებანი, გვ. 390—391. 1957.

² იგივე, იქვე, გვ. 325.

ლი. ხოლო მეორე შემთხვევაში — აქტიური. აქედან პირველ შემთხვევას ინდიფერენტულს ვუწოდებთ იმის გამო, რომ აქ ზეპირსიტყვიერ ქსოვილში არ ჩანს ან ნაკლებად ჩანს მთქმელის პირადი დამოკიდებულება სათქმელი შინაარსისადმი, ხოლო მეორე შემთხვევაში სათქმელი სიტყვის შინაარსისადმი მოუბრის დამოკიდებულება აქტიურია იმის გამო, რომ ზეპირსიტყვიერ ქსოვილში სხვადასხვა ენობრივი ნიუანსებით აშკარად ვლინდება მისი პოზიცია.

მაგალითად, დავაკვირდეთ ილიას ცნობილ სიტყვას:

„ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იწრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო საგსეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია: ეს ყველაფერი გვაქვს... მაშ რაღად ვართ ღარიბნიო? — მკითხავთ თქვენ“.¹

მოტანილ მასალაში ავტორი უპირატესად ეპიურად მსჯელობს. ამ სიტყვაში ჭარბობს ილიას მიერ ქართველი ხალხის ცხოვრებისეული ყოფითი და კულტურულ-ინტელექტუალური მონაცემების ზოგადი აღნიშვნა. ერთი სიტყვით, აქ გამოკვეთილად ნაკლებად ჩანს მოუბრის აქტიური მიმართება სათქმელისადმი

სულ სხვა ვითარებაა ამ მხრივ სოლომონ ლიონიძის ცნობილი სიტყვის დასასრულს. აი ისიც:

„ხელმწიფევე დედოფალო და მეფის ძენო! გაფიცებთ მეფის ერეკლეს დღეგრძელობას, სიმართლეს, გამარჯვებას! — ორში ერთი მოწყალეობა მოიღეთ: ან მომაკვლევინეთ და მეფის ერეკლეს უმადლესი ცხედრის ფიცრად დამდევით, რომ იმისი სანატრელი კუბო ჩემს გულზე იდგეს, მეფის ერეკლეს

¹ ქართული მკვებრმეტყველება, გვ. 281, 1958.

ძლიერი ტანი ჩემს გულზე ირღვეოდეს, — ჩემთვის ის დღე იქნება, რომ დღე და ღამე ათი და თხუთმეტი საათი სახსოვარს მეფეს ნიჰადაგ მარტოკა ვახლდი ხოლმე; იქ ბატონყმობა სადღა იყო, იქ გაუვლელი ბატონყმობის სიკეთე როგორღა დარჩებოდა! უღრმესად იფიქრეთ, უმაღლესნო, ისე შემიბრალებთ, — ან ამ ქვეყნიდამ დამკარგეთ, რომ სადაც მეფის ერეკლეს სამხედროს რაინდობაზე თვალი დამრჩომია, სადაც იმისის გამარჯვებულის დროშისათვის მიმსახურნია, თუ სადმე იმის წინ სისხლი დამიქცევია, სადაც მეფის ერეკლეს ბედნიერი საღამი შემცვარებია და იმის სახსოვარს მეჭლიშში ჩემთვის უღირსის ხელმწიფურის ალერსით ჩემგან ხუმრობა ჰყვარებია და თუ სადმე სახელმწიფოს მასლაათით მიმსახურნია. — ის ადგილები აღარ ვნახო, ამ ცეცხლებით აღარ დავიწვია.

ხელმწიფევე მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევე ირაკლი! ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანის უზომო ტრფიალება?! ვის დროშას ვემსახურო?! ვინ შევიწყვარო?! ვისთვის მოვკუდე?! ვისთვის ვიცოცხლო შენს უკან სიცოცხლე საზრახხავად განმწარებულმან?!“¹

ამ მასალაში ავტორი აშკარად გამოყოფს საერთო-სახალხო სევდისაგან თავის პირადულ განწყობილებას. მას მეფე ერეკლეს გარდაცვალება თავისი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დასასრულად მიაჩნია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოლომონ ლიონიძეს ეს პირადული, თუ შეიძლება ითქვას, ლირიკული ელემენტი, ისე მოჭარბებით და, რაც მთავარია ისეთი ელფერით შეაქვს მთელ სიტყვაში, რომ მასში ძნელი არაა საკუთარ ტკივილებსა და უბედურებასთან ერთად განზოგადებულად იმ დროის პროგრესული საზოგადოების განწყობილებაც ამოვიცნოთ.

საერთოდ კი ზეპირი სიტყვა თავისი სპეციფიკის გამო ძნელი წარმოსადგენია იყოს ან წმინდა ეპიური, ან ლირიკული, ვინაიდან ყოველი სიტყვა წარმოითქმის მხოლოდ მაშინ, როდესაც, როგორც აღვნიშნეთ, მოუბარს უჩნდება მოთხოვნილება, რაიმე თქვას, ე. ი. თავისი აზრი გამოხატოს ამა თუ იმ მოვ-

¹ ქართული მკვებრმეტყველება, გვ. 246.

ლენის შესახებ. ეს გარემოება კი თავიდანვე ქმნის საფუძველს ზეპირ სიტყვაში ეპიური და ლირიკული ელემენტების ურთიერთშეხვედრისას...

ამ შემთხვევაში ორივე ელემენტის დოზირებას განსაზღვრავს თვით მოუბარი, მისი ერთდირება და ზეპირი სიტყვის წარმოთქმის ხელოვნება. დავაკვირდეთ ილიას ვერაგულად მოკვლასთან დაკავშირებით აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვის პირველ აბზაცს:

„ახალ-მოძრობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძეგს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს. თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხეჩხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარებას გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ველარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე“.

ამ ბრწყინვალე სიტყვაში ეპიური და ლირიკული ელემენტების ბუნებრიობა განსაზღვრავს ერთიმეორის შინაარსობრივ სისრულესა და სიკეთეს. ემოციურობასა და პოეტურობას...

მეორე მხრივ, მოტანილი მასალით ნათელია ისიც, რომ ეპიურ თხრობას ზეპირ სიტყვაში მაშინ შეერწყმის ლირიკული ელემენტი, როდესაც გარკვეული დაჭიმული, ამადლეგებელი ან დიდად სასიხარულო გარემოებების გამო მოუბარს უჭირს მშვიდად, მატინანისეული თხრობით, საკუთარი განწყობილების მიღმა ესაუბროს მსმენელს.

სავარჯიშო 5. გაეცანით წარმოდგენილ მასალას და გაარკვიეთ, როგორ ელინდება მასში იდეური შინაარსის გადმოსაცემად ზეპირი სიტყვისათვის დამახასიათებელი თხრობის ეპიური და ლირიკული ელემენტების ურთიერთშეხვედრა. აღნიშნეთ, რა უდევს საფუძვლად ზეპირ სიტყვაში ავტორისეულ ლირიკულ გადახვევას.

აკაკის სიტყვა, თქმული თელავში სადილზე

„ბატონებო!

მე რომ დარწმუნებული არ ვიყო ადამიანის არარაობაზე საზოგადოდ და კერძოდ ჩემსაზე, ჩემი თავი თქვენ ხელში რა-

დაც მეგონებოდა!.. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ვიცნობ ჩემს თავს და თქვენი გრძნობის უხვებაც გათვალისწინებული მაქვს და აღარ ვსტყუვდები.

განსვენებულმა გრიგოლ ორბელიანმა, ქართველებს რომ ახასიათებდა, სთქვა: „ერი გულადი, პურადი, მტერთა მიმცემი რისხვისაო!“ ეს უკანასკნელი სიტყვები გადავდოთ! დღეს დრო და ეპი ხელს არ გვიწყობს, რომ გავამარტოოთ!.. მაგრამ „გულადობა“ და „პურადობა“ კიდევ გვაქვს შერჩენილი. „გულადობას“ ვამტკიცებთ მითი, რომ დღეს ამისთანა უკუღმართ დროში, ჯერ კიდევ გული არ გაგვიტეხია და სასიცოცხლოდ ვფართხალობთ!.. და „პურადობას“ კი დღევანდელი ნადიმი გვიმტკიცებს. მაშ თუ ასეა. რატომ ვეღარ ვახერხებთ. რომ დღევანდელ მოთხოვნილებას პასუხი გავსცეთ? ამის მიზეზი სულ სხვა არის: ქართველი ჭირშიაც და ლხინშიაც ისტორიულად პირდაპირობას არის ნაჩვევი, ტყვილა კი არ ამბობს ალექსანდრე ჭავჭავაძე „ან მოჰკლავს, ან შეაკვდებაო.“ დიახ: პირდაპირობას არის ნაჩვევი და ვეღარ ახერხებს დღევანდელ მოთხოვნილებას პასუხი გასცეს! ვეღარ ახერხებს, მაგრამ თანაგრძნობით კი მოელის მოპასუხეს. ამას წუხანდელი „ილიას საღამო“ და დღევანდელი ნადიმი ამტკიცებს. თქვენს გადაქარბებულ სურვილს წარმოუდგენივართ ჩვენ გმირებად — მე ჩემს თავზე მოგახსენებთ—მაშინ, როდესაც ჩვენ მხოლოდ აჩრდილი ვართ იმ გმირების. რომელსაც თქვენ მოელით და თქვენ გეკადრებათ. დიახ, ჩვენა ვართ მხოლოდ წინამორბედი, ძალიან სუსტი წინამორბედი და მახარობელი მათი!.. შემძლია გიმახარობლოთ. რომ ის გმირი მოგვევლინებათ. ამ შავ დღეში, როგორც ახალგაზრდა ქალებში. ასე ახალგაზრდა კაცებშიაც მე ვხედავ ნიშნებს! ის ნიადაგი ის ხალხი, რომელმაც წარმოშვა: ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე. დიდი მოურავი, მთაწმინდელეები, პეტრიწი, რუსთაველი და სხვები... მსოფლიო გმირები... კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს, რომელნიც თქვენ გეჰქირვებათ და მოელით. სვიმონ მოხუცებულმა, რომ ქვეყნის მხსნელი მიიჩქვა, წარმოსთქვა „აწ განმიტევე მონა შენიო“ და განისვენა. მე ვერ მოვესწრები იმ მომავალ გმირის მიჩქმას, მაგრამ გულში იმედებით კი ჩავალ საფლავში და ჩემი

უკანასკნელი სიმღერა იქნება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ მეთქი. და ახლა კი, ამ უზომო თანაგრძობისათვის გულთად მადლობას გწირავთ ბატონებო, იმ გმირის სახელით, რომელსაც თქვენ მოვლით“.¹

ზეპირი სიტყვის სტილისტიკური მოთხოვნა. ზეპირი სიტყვის სტილისტიკური მოთხოვნა არსებითად გულისხმობს ისეთი მხატვრულ-სტილისტიკური და ტექნიკური საშუალებების შეგნებულად დაუფლებას, როგორცაა: ტროპული სახე, რიტორიკული მიმართვა, ბგერითი კეთილხმოვანება, ინტონაცია, ხმის მოძრაობა—ტემპი, მახვილი, ეესტმომიკა და სხვ.

ზეპირი სიტყვის შინაარსის გადმომცემ საშუალებათა ასეთი სიუხვე გამოწვეულია არსებითად მსმენელთა ინტელექტუალური და ემოციურ-მგრძობელობითი მოთხოვნილებებით. ყოველი ზეპირი სიტყვა მიზნად ისახავს, დაიპყროს მსმენელის ინტელექტი და გული. ასეთ შემთხვევაში მკვერი სიტყვა ვეღარ ეტევა ჩვეულებრივი მეტყველების საზღვრებში. მოუბარი გადმოსაცემ მოვლენას ან შინაარსს აფერადებს თავისი და მსმენელის ინტერესის მიხედვით და ამის საფუძველზე ბუნებრივად იკვეთება გადმოსაცემი შინაარსის ტროპებისა და ფიგურების მრავალსახოვანი ენობრივი ცისარტყელა.

ზეპირი სიტყვის ენობრივი სამყაროს ამ საუნჯიდან ამგვრად განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმები. ზეპირი სიტყვის ემოციურობისა და მისი ექსპრესულობის გაძლიერების მიზნით ჰარბად გამოიყენება ფრაზეოლოგიზმები.—მყარ სემანტიკურ სიტყვათ შეერთებას (ანდაზა, აფორიზმი, იდიომი, ფრთოსანი თქმა) დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ამა თუ იმ ზეპირი სიტყვის იდეური აზრის მწყობრად გადმოსაცემად და განაძლიერებლად.

მაგალითად, ი. ჭავჭავაძის ცნობილ სიტყვაში, რომელიც წარმოითქვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დაარსების გამო, მთავარი აზრის მწყობრად გადმოსაცემად გამოყენებულია შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: „უხვი კალთის და-

¹ ქართული მკვერმეტყველება, გვ. 295—296.

„ბერტყვა“, „ხერხი სჯობია, ღონესაო“, „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“...

აქედან, პირველი ფრაზეოლოგიური შესიტყვება მოხმობილია გადმოსაცემი შინაარსის მოტივირებისათვის. მეორე, მესამე, და მეოთხე—ზეპირი სიტყვის ძირითადი აზრის დასაბუთებისათვის, ამრიგად, ნათელია, რომ ფრაზეოლოგიზმები ზეპირ მეტყველებაში გარკვეული აზრის ხატოვანად გადმოცემასთან ერთად გამოიყენება საერთოდ სიტყვის ძირითადი შინაარსის ლოგიკურ-კომპოზიციური ქარგის საშენ მასალადაც.

ბუნებრივია, ზეპირი სიტყვის მომზადებისას ფრაზეოლოგიზმების გამოყენების ამ თავისებურებასაც აუცილებლად უნდა მიეჭყეს ჯეროვანი ყურადღება.

სავარჯიშო ნ. გაეცანით ი. ჭავჭავაძის სიტყვას, თქმულს იოსებ დავითაშვილის გარდაცვალებაზე, და გაარკვიეთ, რა ფრაზეოლოგიზმებს ხმარობს ავტორი სიტყვის ძირითადი იდეური აზრის გადმოსაცემად. როგორია ამ ფრაზეოლოგიზმების შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება სიტყვაში გამოხატული შინაარსის მხატვრული აღქმისათვის.

მჭევრმეტყველების გვარობრივად და სახეობრივად დაყოფისათვის

მჭევრი სიტყვის სტრუქტურულ-შინაარსობრივი არსის შეგნებულად შესწავლისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი გვარობრივი და სახეობრივი დაყოფის ტრადიციული და ახლანდელი პრაქტიკა. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროფესორ ნ. კანდელაკისა და გ. აპრესიანის მიერ მოცემული ორატორული მეტყველების გვარობრივად და სახეობრივად დაყოფის ცდა.

პროფ. ნ. კანდელაკისეული მჭევრი სიტყვის გვარობრივად დაყოფა უფრო მეტად ტრადიციულია, ხოლო გ. აპრესიანისა კი—თანამედროვე. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ მჭევრ-მეტყველების ასეთი დაყოფა დასახელებული მკვლევარების მიერ შეპირობებულა იმ გარემოებით, რომ პირველმა მათგან-

მა ეს დაყოფა მოახდინა ძირითადად ისე, როგორც იყო ისტორიულად, მეორემ კი გაითვალისწინა როგორც ისტორიული, ისე თანადროული სიახლე და ერთგვარი მოდერნიზებული სახე მისცა მას.

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო კონკრეტულად. ისტორიულად ჩამოყალიბებულია მკვევრმეტყველების შემდეგი დარგები:

1. სამქადაგებლო მკვევრმეტყველება;
2. სადარბაზო მკვევრმეტყველება;
3. სამხედრო მკვევრმეტყველება;
4. სამოსამართლო მკვევრმეტყველება;
5. სადღესასწაულო მკვევრმეტყველება.
6. სამგლოვიარო მკვევრმეტყველება.¹

მკვევრმეტყველების თანამედროვე გვარობრივად დაყოფა კი ასეთია:

1. სოციალ-პოლიტიკური მკვევრმეტყველება;
2. აკადემიური მკვევრმეტყველება;
3. სასამართლო მკვევრმეტყველება;
4. სოციალურ-ყოფითი მკვევრმეტყველება;
5. საღმრთო-საეკლესიო მკვევრმეტყველება.²

მკვევრმეტყველების წარმოდგენილი სქემების უბრალო შედარებითაც კი ნათელია, რომ მათ შორის შეინიშნება როგორც შინაარსობრივი, ისე ტერმინოლოგიური სხვაობა. მაგალითად, მკვევრმეტყველების ნ. კანდელაკისეულ დაყოფაში სრულად არ გვხვდება „აკადემიური“, სოციალ-პოლიტიკური და სოციალურ-ყოფითი დარგობრივი მკვევრმეტყველება“. მეორე მხრივ გ. აპრესიანისეულ სქემაში არ ჩანს დარგობრივად გამოყოფილი სადღესასწაულო, სამხედრო და სადარბაზო მკვევრმეტყველება.

რით აიხსნება ყოველივე ეს? ჩვენი აზრით, წარმოდგენილ სქემებში ასეთ ტერმინოლოგიურ სხვაობას იწვევს თვით საკვლევი საკითხისადმი ორივე მკვლევარის სპეციფიკური მიდგომა. და მართლაც, ისტორიულად პოლიტიკური აზრების

¹ ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მკვევრმეტყველება, გვ. 99—202.

² Г. З. Апресян, Ораторское искусство. стр. 62, 1972.

ჩასახვისა და პოპულარობის საყოველთაოდ აღიარებულ ადგილს წარმოადგენდა სახელმწიფო დარბაზი. ამიტომაც პროფ. ნ. კანდელაკისეული ზემოთ წარმოდგენილ სქემაშიც წარმოთქმული ზეპირი სიტყვების გვაროვნულ ნიშნად ადგილის აღმნიშვნელი ტერმინი „სადარბაზო მქვერმეტყველება“ შეირჩა. ანდა ავიღოთ მეორე ტერმინი—„სადღესასწაულო მქვერმეტყველება“. ეს ტერმინიც იმ უამრავ რელიგიურ და საერო დღესასწაულებზე წარმოთქმულ ქადაგებებთან, ოდებსა და სიტყვებთან არის დაკავშირებული, რასაც ადგილი ჰქონდა ძველ საქართველოში.

სულ სხვა ვითარებაა დღეს. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე არნახულად დაიხვეწა და განვითარდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცალკეული დარგები. წარმოიშვა ახალი ტერმინოლოგია ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესატყვისად, ყოველივე ამან ასახვა პოვა ჩვენ მიერ დასახელებულ მეორე სქემაში. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სქემა არაა აბსოლუტურად სრულყოფილი. ვფიქრობთ, გ. აპრესიანისეული მქვერი სიტყვის გვაროვნული და სახეობრივი სქემა საჭიროებს როგორც ტერმინოლოგიურ, ისე შინაარსობრივ გადასინჯვას. საქმე ისაა, რომ რატომღაც გ. აპრესიანის ზემოთ წარმოდგენილ მქვერმეტყველური სიტყვების მოდელში ცალკეა გამოყოფილი „სოციალურ-ყოფითი მქვერი სიტყვა“. ზეპირი სიტყვის ამ გვარში შეტანილია საიუბილეო, სამაგიდო და საფლავზე წარმოსათქმელი სიტყვები. შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ გვარში დასახელებული ყველა სიტყვა სოციალურია, ასახავს კონკრეტულ სიტუაციას და მოვლენასთან დაკავშირებულ ხალხის განცდებს, სიხარულსა თუ ტკივილებს.

მეორე მხრივ, ყველა ეს სიტყვა, მეტად თუ ნაკლებად, ძნელია ჩამოვაშოროთ ცხოვრებისეულ სასიცოცხლო ინტერესებს. პირიქით, სწორედ იუბილეზე, სუფრასა და საფლავზე წარმოთქმული სიტყვები მხოლოდ მაშინ იწვევენ მსმენელში ღრმა ესტეტიკურსა და ეთიკურ ტკბობას, როდესაც მათში კონკრეტული ყოფითი მოვლენები ცხოვრებისეულ იდეურ-პოლიტიკურ დონემდე მალღდება და მოწინავე იდე-

აღების თვალსაზრისით განიხილება. ამიტომ უფრო მართებულ-
ლი იქნება, „სოციალურ-ყოფითი“ მკვევრი სიტყვის გვარში
წარმოდგენილი ზეპირი სიტყვები გაერთიანდეს „სოციალურ-
პოლიტიკური“ შინაარსის სიტყვების გვარობრივ დაყოფაში.

წარმოდგენილი შენიშვნების შემდეგ, ჩვენი აზრით, მკვევრი
სიტყვის გვაროვნული და სახეობრივი დაყოფა მიიღებს ასეთ
სახეს:

1. სოციალურ-პოლიტიკური მკვევრმეტყველება;
2. აკადემიური მკვევრმეტყველება;
3. სასამართლო მკვევრმეტყველება;
4. საეკლესიო-საღვთისმსახურო მკვევრმეტყველება.

სოციალურ-პოლიტიკურ მკვევრმეტყველებაში სახეობრივი
თვალსაზრისით გაერთიანდება: მოხსენება სოციალურ-პოლი-
ტიკურსა და პოლიტიკურ-ეკონომიურ თემაზე, კონფერენცი-
აზე ან ყრილობაზე წასაკითხი საანგარიშო მოხსენება, პოლიტი-
კურ-დიპლომატიური სიტყვა, მიმოხილვა საერთაშორისო სა-
კითხებზე, სამხედრო-პატრიოტული სიტყვა, მიტინგზე წარმო-
სათქმელი სიტყვა, საიუბილეო სიტყვა ან რაიმე არასასიამოვნ-
ო შემთხვევასთან დაკავშირებულ თანაგრძნობის გამომხატ-
ველი სიტყვა.

საეკლესიო-საღვთისმსახურო მკვევრმეტყველებაში სახე-
ობრივი თვალსაზრისით გაერთიანდება: ქადაგება და სიტყვა
წარმოთქმული ეკლესიასა და ზოგჯერ საფლავზეც (ღვთისმსა-
ხურის მიერ).

ზეპირი სიტყვის საშემსრულებლო საკითხები

მკვევრი სიტყვის სტრუქტურულ-შინაარსობრივი და გვა-
რობრივ-სახეობრივი საკითხების განხილვას ბუნებრივად უკავ-
შირდება მისი საშემსრულებლო პრაქტიკულ-დიდაქტიკური სა-
კითხების შესწავლა. ამ შემთხვევაში მკვევრი სიტყვის დამუ-
წავება-შეთხზვის თეორიულ დებულებათა პრაქტიკულად ათ-
ვისება-გამოყენება, პირველყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ შეგ-
ნებულად ვასწავლოთ სტუდენტებს, როგორ აიგოს მკვევრი
სიტყვა, როგორ წარმოითქვას იგი და, ბოლოს, რით, რა საშუა-
ლებებით გამოხატოს მოუბარმა თავისი აქტიური მიმართება

გადმოსაცემი მასალის ძირითადი იდეური შინაარსისადმი.

განვიხილოთ ეს საკითხები ცალ-ცალკე. ზეპირი სიტყვის შეთხზვა, ანუ აგება, გულისხმობს რაიმე სათქმელი შინაარსის შესაფერისი ლოგიკურ-კომპოზიციური მოდელის ძიებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებისათვის პირველ რიგში ცნობილი იქნება სიტყვის იდეურ-თემატიკური მხარე, რის საფუძველზეც მათ დამოუკიდებლად უნდა გაარკვიონ: რა თვალსაზრისით, რა იდეური მიზანდასახულობით დაიწყონ მუშაობა ზეპირი სიტყვის ჩამოსაყალიბებლად საჭირო მასალის ძიებისათვის, კერძოდ, ამ ეტაპზე იგულისხმება სიტყვაში ასახული ძირითადი იდეური შინაარსისათვის მოტივირების სათანადო სტილისტიკურ საშუალებათა შერჩევა, ზეპირი სიტყვის ძირითადი შინაარსის მსმენელამდე მიტანის შესაფერისი გზების დადგენა და სხვ.

ზეპირი სიტყვის მომდევნო საფეხური ითვალისწინებს სიტყვაში აღძრული ძირითადი აზრის დასაბუთებისათვის საჭირო მასალების ძიებას. რასაც ორგანულად უნდა დაუკავშირდეს სიტყვის დასასრულისათვის გადმოცემული შინაარსის შესაფერისი განზოგადებული ხასიათის დასკვნის ან დასკვნების გაკეთება.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა შრომატევადი და სპეციფიკური სამუშაოა ჩასატარებელი ჩვეულებრივი ზეპირი სიტყვის მომზადებისათვის, ნიმუშისათვის დავაკვირდეთ აზრის მდინარებას ი. ჰავკავაძის იმ სიტყვისას, რომელიც წარმოთქვა ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე.

დიდი ილია ამ სიტყვას დედუქციური გზით იწყებს. მსმენელთა ყურადღებას პირველად საზოგადოდ პოეზიის საგანმანათლებლო და მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებაზე ამახვილებს. სქემატურად სიტყვის ეს ნაწილი ასე გადმოიცემა:

1. პოეზიას საზოგადოდ და, კერძოდ, ნიჭიერ პოეტს თავისი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

2. სიტყვის დასაწყისის ასეთი საზოგადო შესავლის შემდეგ ილია მიუთითებს მსმენელებს იმის შესახებ, რომ სწორედ ასეთი იყო ქართველი ხალხისათვის პოეზია ნ. ბარათაშვილისა. რომელსაც „ღმერთმა... უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის“ და „გულს ჩაუდგა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობად“.

ზეპირ სიტყვაში აღძრულ მოტივაციას ორგანულად ერწყმის შემდეგი დასაბუთება:

ა) ნ. ბარათაშვილმა პირადული ინტერესები დაუმორჩილა ხალხის ინტერესებს;

ბ) ხალხი არასდროს არ დაივიწყებს პოეტის ასეთ პატრიოტიზმს და დიდ პატივს სცემს მის ნეშტს;

გ) ნ. ბარათაშვილის პოეზიისადმი პატივისცემა — ეს ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესების პატივისცემაა;

დ) პოეტი თავისი პოეზიის დიდ ღირსებას სწორედ ხალხის სამსახურში ხედავდა.

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“...

და, ბოლოს, სიტყვის დასკვნა:

ნ. ბარათაშვილის საბრძოლო-პატრიოტულ სულისკვეთებაში მთელი ქართველი ხალხის საბრძოლო სულისკვეთებაა გამოცემული. პოეტის სიტყვებით „ეგ გზა უვალი თვითეული ქართველის გულია, საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააქდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი“.

ასე იკვეთება ძირითადად ამ მკვერი სიტყვის შთამაგონებელი საფეხურებრივი ქარგა.

ეს ქარგა თუ მოდელი შეიძლება ამავე სიტყვის ჩვეულებრივ გავრცობილ გეგმადაც მივიჩნიოთ, ვინაიდან სხვა დანარჩენი მასალა, რაც სიტყვაშია მოცემული, მხოლოდ ამ მოდელის თითოეული საფეხურებრივი მონაკვეთის ფართოდ და დამაჯერებლად წარმოჩენას ემსახურება.

მეორე მხრივ, ჩვენი ასეთი დაკვირვება აღნიშნული სიტყვის აგების პროცესზე ნათლად ადასტურებს იმასაც, რომ ყოველი მკვერი სიტყვის შეთხზვის უპირველესი მოთხოვნილებაა სპეციალური, ძირითადი საფეხურებრივი საკითხების ლოგიკურ-კომპოზიციურ გეგმაში წარმოსახვა, ე. ი. ზეპირი სიტყვის მომზადებისას უნდა ვიზრუნოთ არა მარტო რაიმე სათქმელი შინაარსის ძირითადი საფეხურებრივი საკითხების შეგნებულ ცოდნაზე, არამედ ამასთან ერთად ამ საკითხების თანმიმდევ-

რული და მიზნობრივი ასახვისათვის სპეციალურ გეგმაში.

ზეპირი სიტყვა შინაარსობრივი წყობის მიხედვით ძირითადად შეიძლება იყოს აღწერითი, მსჯელობითი, ახსნა-განმარტებითი, პაექრობითი, თხოვნა-ბრძანებითი, დანანებითი, მოწოდებითი და სხვ.

ცხადია, ზეპირი სიტყვის შინაარსობრივი თვალსაზრისით ასეთი დაყოფა ზირობითია; გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ ყურადღება ექცევა სიტყვაში წარმოდგენილ შინაარსობრივ მხარეს და არა მის იდეურ-სტილისტიკურსა და ეთიკურ სპეციფიკას, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მრავალსახოვანია.

ზეპირსიტყვიერ პრაქტიკაში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული მსჯელობითი, პაექრობითი, ახსნა-განმარტებითი, მოწოდებითი და ხოტბითი სიტყვები, ხოლო თხრობითი, აღწერითი და დანანებითი სიტყვები — შედარებით ნაკლებად. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით არ არსებობს ზეპირსიტყვიერ პრაქტიკაში აბსოლუტურად მსჯელობითი ან პაექრობითი თუ სხვა სახის სიტყვები.

თუ რომელიმე წარმოთქმულ სიტყვას შედგენილობით ამა თუ იმ განსაზღვრებას ვაძლევთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მასში რაიმე აზრის გადმოცემისას ჭარბობს სხვა შინაარსობრივ ფენასთან ერთად, ვთქვათ, მსჯელობითი ან პაექრობითი მდინარება შინაარსისა და მიტომაც პირობითად მას ვუწოდებთ ერთ შემთხვევაში მსჯელობითს, მეორე შემთხვევაში კი—პაექრობით სიტყვას.

ბუნებრივია, ზეპირ სიტყვათა აგებულების თვალსაზრისით ამგვარი დეფინიცია გულისხმობს, რომ, ვთქვათ, ხოტბით ან ახსნა-განმარტებით ზეპირ სიტყვაში გარკვეული მოცულობით იქნება წარმოდგენილი გადმოსაცემი შინაარსის აღწერაც, თხრობაც, თხოვნა-მოწოდებითი მომენტებიც, როგორც დამხმარე ელემენტი. აქედან, ადვილად მისახვედრია, რომ იმ სიტყვაში, რომელშიც თხრობის ან აღწერის მომენტი სჭარბობს, სიტყვის შინაარსობრივი აგებულების განმსაზღვრელი სწორედ ეს მომენტები იქნება, ხოლო სხვა—დამხმარე. მაგალითად, ს. ლიონიძის ცნობილი სიტყვა „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“, როგორც ცნობი-

ლია, ქართული კლასიკური სახოტბო ზეპირი მეტყველების იშვიათი ნიმუშია, რომელშიც მთლიანად შინაარსი გადმოცემა მსჯელობითი და დანაწევრებითი მომენტების ურთიერთშერწყმით, მაგრამ ამასთან ერთად მასში გარკვეული ადგილი უკავია სათქმელი შინაარსის აღწერით გადმოცემასაც. აი ისიც:

„დღეს ქვეყანა, აღსრული გულისწყრომისა ტახტსა ზედა, ცხებული სისხლითა ცესარისა დიდისა ეკატერინასითა.—დღეს იცხებს კუალად უფასოსა სისხლსა სახსარსა ივერიელთა გვარისასა“. მეორე ნიმუში: „დიდის მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო, თეიმურაზ პირველისაგან ამალღებულო სახლო, წმინდის ქეთევან დედოფლის სისხლით ცხებულო სახლო, —სადაც ხმა იყო სინარულისა და ცხოვრებისა და იყავ საყოფელი მართალთა, რომელშიაც სანატრელი მეფე თეიმურაზ და დედოფალი თამარ მეფის ერეკლეს შობაზე იხარებდნენ, რომლისაც საწოლში მეფის ერეკლეს სადღესასწაულო შობა იდიდებოდა, და სადა სახსრად ქართველთა ნათესაეთა მეფე ერეკლე—ლომი იუდასი—დავითის სახლში იზრდებოდა, რომელშიაც ჩვეულება იყო ტაძრობისა, სადაცა ხმა ისმოდა დავითის ქნარისა—აქამდის შენს მეჯლისში მეფის ერეკლეს სახსოვარი ყმაწვილკაცობა ქვეყანას აკვირვებდა, რომლისაც სიქაბუჯე ქვეყნის ძლიერთ სჩაგრავედა; აქამდის შენს მეჯლისში მეფის ერეკლეს ტახტზე ჯდომა იხილვებოდა, იმისი ხელმწიფური დარბაისლური ხუმრობა მიმოითქმოდა, მეფის ერეკლეს მრავალსაგალობელი ისმოდა“.

ზოგიერთი მეთოდოლოგიური რეკომენდაცია ზეპირი სიტყვის მომზადებისათვის. მომავალი მასწავლებლის ზეპირი სიტყვით გადმოსაცემი შინაარსის თემატიკა მრავალფეროვანია. აქედან ზეპირი სიტყვის ერთი თემატიკა უშუალოდ უკავშირდება არჩეული სპეციალობის ცალკეული საკითხების სწავლებას, ხოლო მეორე—მისი მოღვაწეობის ფართო საზოგადოებრივ-კულტურულ სარბიელს. მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით შეიძლება სტუდენტები ვამუშაოთ შემდეგ თემებზე:

1. რატომ ავირჩიე ჩემი სპეციალობა?
2. ჩემი საყვარელი მწერალი;

3. ჩემი საყვარელი გმირი;

4. ჩემი საყვარელი ლექსი ან რაიმე პროზაული თხზულება;

5. აფორიზმები და ხატოვანი თქმები (სხვადასხვა მწერალთა პოეტური მემკვიდრეობიდან და ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან).

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ზეპირი სიტყვის მომზადებისათვის მარტოოდენ თემატიკის შერჩევა არ კმარა. ხშირად მოუბრისათვის თემატიკა ცნობილია, მაგრამ არაა იგი დაუფლებული ზეპირი სიტყვის აგების ხელოვნებას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, თემატიკის შერჩევასთან ერთად განემარტოთ, რა მთავარ იდეურ-თემატიკურ საკითხებს ითვალისწინებს ზეპირი სიტყვის მომზადება. ე. ი. სტუდენტებს უნდა მიეცეთ სათანადო გეზი ზეპირი სიტყვის მომზადებისათვის.

განვიხილოთ ნიმუშისათვის რამდენიმე საილუსტრაციო მასალა:

1. „ლ ე კ ვ ი ლ ო მ ი ს ა ს წ ო რ ი ა, ძ უ ი ყ ო ს თ უ ნ დ ა ხ ვ ა დ ი ა“.

ამ აფორიზმის იდეური შინაარსის ზეპირად გადმოცემისას სტუდენტებმა უნდა გაითვალისწინონ, რას გულისხმობს პოეტი მოცემულ აფორიზმში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით? რატომ დაისვა ეს საკითხი შოთა რუსთაველის ეპოქაში? როგორი იყო ამ საკითხის გაგება შოთა რუსთაველის წინარე ეპოქის მწერლობაში? როგორაა გადაწყვეტილი ეს საკითხი პოემაში? რა მნიშვნელობა აქვს საკითხის რუსთველისებურ გაგებას XII საუკუნის ქართული ჰუმანისტური იდეების დასაბუთებისათვის? რა მიმართებაა აღნიშნული აფორიზმის იდეურ შინაარსსა და თანამედროვეობის მაღალ სოციალურ-ჰუმანურ იდეებს შორის? და სხვ.

2. მ ი თ ო ლ ო გ ი უ რ ი ა მ ი რ ა ნ ი ს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ს ა ხ ე ა კ . წ ე რ ე თ ლ ი ს პ ო ე ზ ი ა შ ი .

ამ თემის ზეპირად მომზადებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს: რა მაღალ იდეალებს ხედავს ქართველი ხალხი ამირანის მითოლოგიურ სახეში? როდის გახდა განსაკუთრებით პოპულარული ქართული მწერლობისათვის ამირანის ლეგენდარული სახე და რატომ? რომელ ნაწარმოებებში შე-

ეხო აკაკი წერეთელი ამირანის გმირულ სახეს? რა იდეურ-მხატვრული დანიშნულებით იყენებს მას „განთიადის“ ავტორი? როგორ შეესიტყვება ამირანის გმირული მითოლოგიური სახე პოეტის მგზნებარე პატრიოტიზმს? და სხვ.

3. ჩ ე მ ი ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი გ მ ი რ ი.

თემის დამუშავებისას უნდა გაირკვეს: რატომ მომწონს ან მიყვარს ესა თუ ის გმირი? აქ სტუდენტმა კონკრეტულად უნდა გაითვალისწინოს არჩეული გმირის ის იდეურ-მხატვრულ-ესთეტიკური და ეთიკური მხარეები, რაც მოწონებას იმსახურებს. აქვე უნდა იქნეს გათვალისწინებული არჩეული გმირის ზასიათის ან ქცევის ჩამოყალიბების კონკრეტული გარემო, მისი მთლიანი მხატვრული პიროვნება და ავტორისეული დამოკიდებულება მისადმი. და, ბოლოს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რა ღირებულება აქვს თანამედროვე პირობებში ჩვენ მიერ არჩეული გმირის იდეალებს.

მეორე მხრივ, ზეპირად წარმოსათქმელი თავისუფალი თემის დამუშავებისათვის სტუდენტთა ყურადღება უნდა გამახვილდეს ეგრეთ წოდებულ ფიგურალურ ლექსიკურ გამონათქვამზე, როგორც საშენ მასალაზე, რაც, თავის მხრივ, ერთგვარ გეზს მისცემს მოუბარს მოსამზადებელი სიტყვის იდეურ-თემატიკური შინაარსის სწორად გაგებასა და გადმოცემაში. მაგალითად, თავისუფალი თემის — „შ რ ო მ ა ჩ ვ ე ნ ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი დ ი დ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე ა“ — ზეპირად მომზადებისათვის სტუდენტებს გეზის მოძებნისათვის შეიძლება მოვაგონოთ არჩეულ თემასთან დაკავშირებით შემდეგი ბრძნული გამონათქვამები: „შრომამ შექმნა ადამიანი“, „შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“ ან ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილიდან“ შრომის სუფევაზე გამოთქმული შემდეგი შესანიშნავი აზრი:

„შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ლელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ქეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—

და დაიმსხვრევა იგი ბოცილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კელავ აყვავლების“.

მეორე მაგალითი: ვთქვათ, დაევაღათ სტუდენტებს, მო-
აშაღონ ზეპირად წარმოსათქმელი სიტყვა თემაზე—„პატ-
რიოტიზმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“. ამ თემაზე მუშა-
ობისას სასურველად მიგვაჩნია, მთელი სიტყვის ღერძად გა-
მოყენებული იქნას პოეტის მოწოდება:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილების,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკედარსაც კი გაეცინების“.

ზეპირი სიტყვის მომზადებისათვის აქ წარმოდგენილი სა-
ვარჯიშოები, უპირველესად, დაწყებითი განათლებისა და ქარ-
თული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტთა სტუდენტების
სპეციალურ სამუშაო სფეროში შედის. მაგრამ ამასთან ერთად,
როგორც აღინიშნა, მომავალი მასწავლებლები უნდა ფლობ-
დნენ, აგრეთვე, ფართო საზოგადოებრივ-კულტურულ გარე-
შეშეობაში სხვადასხვა მოვლენასა თუ საკითხთან დაკავშირებით სა-
თანადო ზეპირი სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებას. კერძოდ,
სტუდენტები უნდა ფლობდნენ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელე-
ბული სხვადასხვა სახეობის ზეპირ სიტყვათა მომზადებისა და
შესრულების თეორიულსა და პრაქტიკულ მოთხოვნებს.

ქვემოთ მოკლედ განხილულია ზეპირი სიტყვის ყველაზე
გავრცელებულ ზოგიერთ სახეზე მუშაობის თავისებურებანი.

მოხსენება და მისი მომზადების სპეციფიკა. მოხსენება
თემატიკური თვალსაზრისით ზეპირი სიტყვის ცნობილ სახე-
ებს შორის ერთ-ერთი პოპულარული და მრავალფეროვანი სა-
ხეა. შინაარსობრივი თვალსაზრისით მოხსენება შეიძლება აშუ-
ქებდეს და აანალიზებდეს, ერთი მხრივ, იმ ნაკლოვანებებს,
რაც შეინიშნება საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურსა
და სულიერ სფეროში და, მეორე მხრივ, ეხებოდეს აქტუალურ
თეორიულსა და ყოფითი ხასიათის პრობლემებს, რომელთა

დაწერილებითი ანალიზი საჭიროა თანადროული ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჩვეულებრივ, ყოველი მოხსენება დროის მიხედვით ერთგვარად შეუზღუდველია, ე. ი. მოხსენებაში შეიძლება, ამა თუ იმ მოვლენის ანალიზისათვის მოხმობილ იქნას ცნობები ადამიანთა სულიერი და მატერიალური ცხოვრების შესახებ ნებისმიერი ეპოქიდან, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მისი ჩატარების ადგილსა და მსმენელზე. ყოველ მოხსენებას შინაარსობრივი და მოცულობის თვალსაზრისით გარკვეულად შემოფარგლავს და არეგულირებს ჩასატარებელი ადგილის მოთხოვნა და მსმენელთა ინტერესი.

მოხსენების მოსმენით მსმენელს ეძლევა არა მარტო ინფორმაცია განსახილველი საკითხის შესახებ, არამედ კონკრეტული ამოცანებიც ცხოვრებისეული აქტუალური საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის. ყოველივე ამის გამო ზოგჯერ ამა თუ იმ მოხსენებაში დაყენებულ საკითხებს ხალხი ღებულობს როგორც სახელმძღვანელო მითითებას ცხოვრებისეული საქმიანობის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

მოხსენებას კითხულობს ერთი პიროვნება. ჩვეულებრივ ეს პიროვნება ან ხელმძღვანელია პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა დაწესებულებათა, ანდა სპეციალისტია ამა თუ იმ დარგობრივი მეცნიერებისა და ვიწრო სააგიტაციო-საგანმანათლებლო თვალსაზრისითაა გათვალისწინებული მისი მოხსენება.

მოხსენების მომზადებაში, როგორც წესი, მომხსენებელთან ერთად მონაწილეობენ, საჭიროების მიხედვით, სათანადო ორგანიზაციებისა თუ დაწესებულებათა სადანაყოფო რგოლების ხელმძღვანელებიც.

მოხსენების ძირითადი პრობლემური თემატიკური საკითხის ან საკითხების მიხედვით გულმოდგინედ და დაწერილებით შეისწავლება წარმოდგენილი მასალები; სათანადო გაჩხრეკა-განალიზების საფუძველზე ლაგდება იგი საერთო მოხსენების იდეურ-თემატიკური შინაარსის ეფექტურად გადმოცემისათვის შერჩეული სქემა-კომპოზიციის მიხედვით. ამის შემდეგ ერთ მთლიანობაში ჩამოყალიბებული მოხსენება განიხილება ორგა-

ნიზაციათა ან დაწესებულებათა მშრომელთა და ხელმძღვანელი ამხანაგების შედარებით ვიწრო წრის მონაწილეობით, დაიხვეწება საერთო მოთხოვნების მიხედვით და ამგვარად მიეცემა მას დასრულებული სახე.

საგარეო 7. წაიკითხეთ ვ. ი. ლენინის მოხსენება მიმდინარე მომენტზე, წარმოთქმული 1917 წლის 24 აპრილს (7 მაისს, თხზულებანი. ტ. 24, გვ. 261—281; 1951) და გაარკვიეთ, როგორ ანალიზს უკეთებს ბოლშევიკური პარტიის ბელადი შექმნილ მდგომარეობას, როგორ აფასებს იგი ორხელისუფლებიანობას? რატომ მოითხოვს ძალაუფლების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებზე გადაცემას? და სხვ.

ამოწერეთ ამ მოხსენებიდან რამდენიმე ისეთი დებულება, რომელთაც, თქვენ გამოიყენებთ ბოლშევიკური პარტიის, როგორც რუსეთის მუშათა კლასის ერთადერთი ხელმძღვანელი ბირთვის, რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის დასახასიათებლად.

საანგარიშო მოხსენება. საანგარიშო მოხსენება ისეთი ზეპირი სიტყვის სახეობაა, რომელიც წერილობითი სახით წარედგინება ოფიციალური პირის მეშვეობით რომელიმე ორგანიზაციის ან დაწესებულების კრებას, კონფერენციასა და ყრილობას გარკვეულ პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ. ამ სპეციფიკურობის გამო მოხსენებაში, ბუნებრივია, ლაპარაკია აღებულ პერიოდში ორგანიზაციის ან დაწესებულების მთლიანი კოლექტივის მიერ მოპოვებულ წარმატებებსა და ნაკლოვანებებზეც.

ასეთი მოხსენების შინაარსი და დასკვნები, როგორც წესი, არა მარტო მოისმინება და განიხილება, არამედ შეიძლება მოხდეს ზოგიერთი მისი ნაწილის ან დასკვნების კორექტირება და მთლიანად შესწორება, რის საფუძველზეც საბოლოო მსჯელობის შემდეგ იგი მიიღება სამოქმედოდ.

საანგარიშო მოხსენების კომპოზიცია ერთი მთლიანი წამყვანი იდეით არის ჩამოყალიბებული. ამასთან, მისი თითოეული ნაწილი თემატიკურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით განსხვავდება ერთიმეორისაგან და მკაცრად განსაზღვრული არგუმენტირებით თავისთავად დამოუკიდებელ სახესღებუ-

ლობს. როგორც მიუთითებენ, ასეთი სახის მოხსენებაში არ გამოიყენება ორატორული მეტყველების ისეთი ხერხები, როგორცაა ექსპრომტი და იმპროვიზაცია.

განხილული ზეპირი სიტყვის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს კომუნისტური პარტიის გამოჩენილ ხელმძღვანელთა მიერ წარმოთქმული საანგარიშო ზოხსენებები. კერძოდ, მაგალითისათვის სტუდენტებს შეიძლება მიუთითოთ სსრკ კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წაკითხულ მოხსენებაზე და სხვ.

სააგიტაციო სიტყვა. სააგიტაციო სიტყვა ზეპირსიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. იგი განსხვავდება ზემოთ განხილული ზეპირი სიტყვისაგან მოცულობით, გადასაცემი შინაარსის ახსნა-განმარტებითი სიჭარბით, მრავალთემიანობითა და ამ თუ იმ შინაარსის გადმომცემა ნაირფეროვანი პოეტური გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით.

სააგიტაციო სიტყვის თემა ყოველთვის ცხოვრებისეული აქტუალური საკითხი ან საკითხებია. ამ საკითხების განხილვას აგიტატორი, პირველ ყოვლისა, მსმენელთა განწყობას უხამებს, ზრუნავს იმისათვის, რომ შეუქმნას მათ გარკვეული მოთხოვნილება ჩასატარებელი საუბრის შინაარსის შეგნებულად ათვისებისათვის.

სააგიტაციო საუბრის შინაარსის სიცხოველე განისაზღვრება თვით აგიტატორის პარტიულ-სახელმწიფოებრივი პრინციპული დამოკიდებულებით სასაუბრო თემად შერჩეული მასალისადმი. სააგიტაციო მუშაობის ამ სპეციფიკას საგანგებოდ გაუსვა ხაზი ვ. ი. ლენინმა სიტყვაში, რომელიც 1918 წელს. 6 თებერვალს, პროვინციაში გასაგზავნი აგიტატორების წინაშე წარმოითქვა. ამ სიტყვაში კომუნისტური პარტიის ბელადი პირველ რიგში ფსიქოლოგიურად ამზადებს პროვინციაში გასაგზავნი აგიტატორებს, რისთვისაც სიტყვის დასაწყისში მათ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების უმრავლესობამ უკვე აღიარა საბჭოთა ხელისუფლება და რომ ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა „სავსებით გასაგებია ყველასათვის, ვინაიდან თვალხილულმა

გამოცდილებამ ცხადყო, რომ მხოლოდ ამ ხელისუფლებას, თვით მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს. თავიანთ საბჭო-ებში გაერთიანებულთ, შეუძლიათ გამოიყვანონ რუსეთის ყველა მშრომელი თავისუფალი ცხოვრების გზაზე“.¹

ამასთან ერთად, პროვინციაში გასაგზავნ აგიტატორებს ეძ-ლევით დაკონკრეტებული სააგიტაციო თემატიკაც: „ჩვენ წი-ნაზე ორი. ძლიერი მტერია: პირველი—ეს არის საერთაშორისო კაპიტალი... მეორე მტერია ნგრევა“²

ამრიგად მოტანილ მასალაში ჩვენთვის საინტერესოა ორი მომენტი: პირველი — საბჭოთა ხელისუფლების უეჭველი გა-მარჯვების პერსპექტივების დასახვითა და დასაბუთებით აგი-ტატორებს მიეცათ ამომწურავი ანალიზი გასაშუქებელი სა-კითხის შესახებ და, მეორე, დაკონკრეტდა თვით ჩასატარებე-ლი საუბრის თემატიკა.

სააგიტაციო საუბრის იდეურ-თემატიკური მასალის ღრმად ცოდნასთან ერთად აგიტატორისათვის აუცილებელია სააგიტა-ციო სიტუაციისა და თვით ესმენელთა განწყობილების გათვა-ლისწინება. ცხადია. ამასთან წარმატების მოპოვება დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე. თუ რამდენად სწორად იქნება შერჩეული აგიტაციის ჩატარების დრო და ადგილი, რამდენად ბუნებრივი და გულითადი იქნება აგიტაცია და სხვ.

სააგიტაციო მუშაობის ჩატარების აღნიშნულ მოთხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მიხეილ კალინინმა ფრონტელ აგიტატორებთან საუბრის დროს. „როდესაც ბუნებრივ სა-უბარზე ვლაპარაკობ, მე მხედველობაში მაქვს ისეთი საუბარი. როცა ადამიანები არაფრით არ არიან შებოროტნი, გვეითხები-ან ყველაფრის შესახებ, რაც მათ აინტერესებთ და არ გრძნო-ბენ იმას, რომ აგიტატორი მათთან გარკვეული მიზნით მივიდა. ცნობილია, რომ აგიტატორებს მრავალი დაჯალება აქვთ სპე-ციალურ თემატიკაზე და მასაც შესრულება უნდა. მაგრამ ბუ-ნებრივი საუბრის დროს, რომლის შესახებაც ჩვენ ლაპარაკი გვაქვს, თემა თითქოს უნებლიეთ ამოტივტივდება ხოლმე.

საჭიროა, ვეცადოთ იმას, რომ ადამიანები გამოვიწვიოთ

¹ ვ. ი. ლენინი, ოსჯელებანი, ტ. 35, გვ. 652, 1953.

² იქვე, გვ. 602—603, 1953.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, რომ ისინი შეეკამათონ ერთმანეთს. თქვენ კი იქნეთ ერთგვარი მსაჯული, გამოარკვიოთ, რომელი მათგანია მართალი.

ბუნებრივობა იმას როდი ნიშნავს, რომ საჭირო არ იყოს საუბრის წარმართვა. წარმართვა საჭიროა, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ისე, რომ ადამიანები არ გრძნობდნენ, რომ თქვენ გარკვეული დავალებით მიხვედით მათთან“.¹

მიხეილ კალინინი აქვე დიდად საყურადღებო რჩევას ამლევს აგიტატორებს აგიტაციის ფორმაზეც. „თვით საუბრის ფორმა დამოკიდებულია ვითარებაზე. თუ აუდიტორია დიდია, საუბარმა შეიძლება ლექციის ან მიტინგის სახე მიიღოს. თუ თქვენ ბლინდაქში მიხვედით, შეგიძლიათ საუბარი ააგოთ, როგორც პასუხი შეკითხვებზე, ხოლო თუ სურვილი გაქვთ, რომ მეტროპოლებს ამა თუ იმ საკითხზე უფრო სრული შთაბეჭდილება დარჩეთ, შეგიძლიათ დაკმაყოფილდეთ მხოლოდ ამ საკითხით და მსმენელები გააფრთხილოთ, რომ მათთან ლაპარაკი გექნებათ მხოლოდ ამ თემაზე, ხოლო სხვა საკითხებზე შემდეგ ილაპარაკებთ.“²

სავარჯიშო 8. გაეცანით ვ. ი. ლენინის წერილს „პურისა და ზავისათვის“ (თხზულებანი, ტ. 6, გვ. 452—453, 1952) და აღნიშნეთ, რა სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა ამ წერილს მოცემული მომენტისათვის და როგორ არის გადმოცემული ყველაზე აქტუალური საკითხები, გაარკვიეთ, მასების დარწმუნებისათვის ვ. ი. ლენინი სააგიტაციო არსენალიდან რომელ ხერხებს იყენებს?

მიტინგზე წარმოსათქმელი სიტყვა. მიტინგზე წარმოსათქმელი სიტყვა შინაარსობრივად უაღრესად ემოციური, ამალღებული და შთამბეჭქდავი სიტყვაა. მისი შინაარსის ემოციურობასა და მღელვარე პათოსს უპირველესად განსაზღვრავს განსახილველი საკითხი, რომელიც ყოველთვის აქტუალურ, ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს გამოხატავს და ცხოვრებისეულ საჭირბოროტო პრობლემებს ეხება.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ნახევარსაუ-

¹ ვ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, გვ. 226—227, 1948.

² იგივე, გვ. 227, 1948.

კუნოვანზე მეტი ხნის ისტორია ბევრ მნიშვნელოვან ისტორიულ საზოგადოებრივ მოვლენას იცნობს (ოქტომბრის რევოლუცია, სამოქალაქო ომი, იმპერიალისტთა მიერ გაჩაღებული მტაცებლური ომები ესპანეთში, ვიეტნამში და სხვაგან), რის საფუძველზეც არაერთი და ორი სამიტინგო ორატორული სიტყვა შეიქმნა.

ასეთი შინაარსის სიტყვების ოსტატები ვ. ი. ლენინთან ერთად იყვნენ: ი. ბ. სტალინი, ს. მ. კიროვი, გ. კ. ორჯონიძე, ფ. ე. ძერჟინსკი, სამოქალაქო ომის გმირი ვ. ჩაპაევი, ვ. ვოლოდარსკი, მ. ურიცკი და სხვა მრავალი.

სამიტინგო სიტყვის ემოციურობას, მჩქეფარე პათოსსა და სიცხოველეს, ცხოვრებისეულ აქტუალურ საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს მოუბრის მიერ ზეპირ სიტყვაში სპეციალურად გამოყენებული ნაირფეროვანი ორატორული ხერხები. მაგალითად, დავაკვირდეთ ვ. ი. ლენინის მიერ წარმოთქმულ სამიტინგო სიტყვას იზმაილოვის პოლკის ჯარისკაცებისადმი. „არა პოლიცია, არა ხალხზე გაბატონებული მოხელეები, რომლებიც პასუხისმგებელი არ არიან ხალხის წინაშე. არა ხალხს მოწყვეტილი მუდმივი ჯარი, არამედ თვით საყოველთაოდ შეიარაღებული და საბჭოებად გაერთიანებული ხალხი, — არ, ვინ უნდა განაგებდეს სახელმწიფოს. აი, ვინ დაამყარებს საჭირო წესრიგს, აი, რომელ ხელისუფლებას არა თუ დაემორჩილებიან მუშები და გლეხები, არამედ პატივისცემითაც მოეპყრობიან“.¹

მოტანილ მასალაში ვ. ი. ლენინს სამიტინგო სიტყვის იდეური შინაარსის მსმენელთა მიერ შეგნებულად აღქმისა და მისი მტკიცედ დამახსოვრებისათვის ოსტატურად აქვს გამოყენებული ფიქსირებულ ფორმათა (არა, და აი, ვინ) მრავალგზის გამეორება. აქვეა გადმოსაცემი შინაარსის დაპირისპირების გზით კონტრასტულად გამოხატვაც. რაც, უდავოდ, წარმოსათქმელ სიტყვას მეტ სიცხოველესა და ემოციურობას მატებს.

სამიტინგო სიტყვა მსმენელთა ფართო აუდიტორიისათვისაა განკუთვნილი. ასეთი შინაარსის სიტყვათა თემატიკა, ერთი შეხედვით, მსმენელთათვის თითქოს არაა ახალი, მაგრამ დამატე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 11, 1951.

ბითი ახალი ფაქტების მოხმობითა და გაანალიზებით იგივე ნაცნობი თემა მსმენელთა მიერ აღიქმება უფრო ღრმად და ახლებურად.

ღროს მიხედვით მიტინგი შეიძლება გაგრძელდეს 10—15 წუთიდან ერთ საათამდე.

სავარჯიშო 9. გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ გ. კ. ორჯონიკიძის მიერ ქალაქ თბილისში 1921 წელს გამართულ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვას სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლისთავის გამო და აღნიშნეთ, აზრის ემოციურად და მაღალიდურ დონეზე გამოხატვისათვის მკვერ-მეტყველების რა ხერხებია მასში გამოყენებული?

„ამხანაგებო! დღევანდელი დღე დიადი დღესასწაულია არა მარტო სომხეთის მშრომელებისათვის, არამედ ამიერკავკასიის ყველა ხალხისათვისაც. ჩვენ გვახსოვს პარტია, რომელიც დალატობდა ხალხსა და თვით რევოლუციის ინტერესებს, ის სისხლი, რაც იღვრებოდა თურქეთის სომხეთში და აქ, მთლიანად აწევს დაშნაკთა პარტიას, რონელმაც მსხვერპლად მიიტანათავისი ხალხის ფიზიკური არსებობა. საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოფხვრა დაშნაკების ავანტიურა. ერთი წელია საბჭოთა ხელისუფლება არსებობს და არც ერთი ომი არ მომხდარა, მაშინ როდესაც დაშნაკებმა და მენშევიკებმა ერთიმეორეს დააჯახეს ორი ხალხი, რომლებიც ათასობით წლების მანძილზე ერთმანეთთან მეგობრულად ცხოვრობდნენ.

ეს არის ფაქტი, რომელიც წარუხოცელ სამარცხენო დალად აზის მენშევიკებსა და დაშნაკებს. რადგან ჩვენი ამხანაგების სისხლით მოირწყო სომხეთის მინდვრები.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენმა პარტიამ სომხეთში გააკეთა ის, რაც წინათ არ გაკეთებულა მთელ ამიერკავკასიაში. ვინ არ ახსოვს სომეხ-თათართა შეტაკების საშინელებანი? ვინ დაამყარა იშვიდობა ამიერკავკასიის ხალხთა შორის? ვინ გადმოისროლა ომის ნაცვლად მოძმე ხალხთა მეგობრული თანაცხოვრების ლოზუნგი?

— ჩვენმა, კომუნისტურმა პარტიამ¹.

¹ გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 273, 1957.

სასამართლო პროცესზე წარმოსათქმელი სიტყვა. სასამართლო პროცესი აზრის ზეპირად გადმოცემის შემდეგი ძირითადი სახის სიტყვებს იცნობს: პროკურორის საბრალდებო სიტყვა, ადვოკატის დაცვითი შინაარსის სიტყვა და, ბოლოს, საზოგადოებრივ-საბრალდებო და საზოგადოებრივ დაცვითი შინაარსის სიტყვები. დასახელებულ სიტყვებს ერთიმეორისაგან განასხვავებს შინაარსობრივი მხარე და აახლოებს აზრის გადაცემის ფორმა—ზეპირად თქმა.

«Чтобы быть настоящим обвинителем или защитником на суде, надо уметь говорить»¹.

შინაარსობრივი თვალსაზრისით საბრალდებო სიტყვა შეიცავს კითხვებს: რა ბრალი ედება სამართალში მიცემულ პირს? როგორია პროცესის სოციალურ-სახელმწიფოებრივი და აღმზრდელობითი ღირებულება: რა რეკომენდაციებია საჭირო ბრალდებულის მიმართ გასატარებლად და სხვ.

ასევე, დაცვითი შინაარსის სიტყვაც გულისხმობს კითხვებს: რა ფაქტების დაპირისპირება შეიძლება სამართალში მიცემული პირის ბრალდების მთლიანად გასაქარწყლებლად? რა ფაქტების მოძებნა შეიძლება ბრალდებულის მდგომარეობის შესაძლო შესარბილებლად თუ მის შესაწყენარებლად? როგორ აიხსნას წაყენებული ბრალდება იმგვარად, რომ პროკურორისა და დამცველის სიტყვებს შორის არ გამოვლინდეს იდეური ხასიათის წინააღმდეგობა და სხვ.

პროკურორისა და დამცველის სიტყვათა აღნიშნულ თავისებურებათა თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია:

«Прокурору, или, как писал А. Ф. Кони, публично говорящему судье, всегда легче. Он—обвинитель, выступающий от имени государства, а в Советском Союзе (добавим от себя) — и от имени народа. Структура прокурорской речи чаще всего состоит из характеристики рассматриваемого дела, из оценки установленных фактов, формулировок, определения и разбора, из характеристики подсудного, его деяний, заслуг перед обществом, если они есть, морального облика привлеченного к суду».

ხოლო «Адвокату всегда труднее выступать; ибо защи-

² П. Сергеевич, Искусство речи на суде, стр. 31, 1960.

та обывшего при всех случаях—дело не такое уж легкое. По логике вещей адвокатская речь направлена на выпячивание былых заслуг подсудимого, смягчающих его вину перед обществом. Адвокатская речь в советском суде исполнена чувства гуманности и снисхождения».¹

საბრალდებულო და დაცვითი შინაარსის სიტყვების ასეთი ზოგადი სახით განხილვის შემდეგ ვნახოთ, როგორაა გაგებულნი ორივე სიტყვის ფუნქცია ლიტერატურულ მასალაში.

ნიმუშისათვის დავაკვირდეთ ვაჟა-ფშაველას ცნობილი პოემიდან („ალუდა ქეთელაური“) ალუდას მიმართ ბერდიას მიერ წარმოთქმულ საბრალდებულო სიტყვასა და, მეორე მხრივ, მინდიას დაცვითი შინაარსის სიტყვას. მოკლულ ქისტს—მუცალს ალუდა მოზვერს უკლავს. ამის გამო ხევისბერი ბერდია სახალხოდ ადანაშაულებს მას.

„ბერდია ჯაგარაშლილი
ხალხისკე იზამს პირსაო;
—გაგონილაა,—იძახდა,
ასრე აგდება რჯულისა:
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,
მამხსენე ქისტის სულისა.
ხალხო, მინდარის გავიგო
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი — დიდნი, მცირენი, —
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
კოლ-შვილის ამატირენი.
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ლრუბლის შანამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.
ცეცხლი მიეცით სამნოვარს, —
ცასა სწედებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები.
შატილს კოლ-შვილი უტირეთ,
გუდანს—შინშნი და ქალები,

¹ Г. З. Апресян—Ораторское искусство, стр. 75—76, 1972.

პრისხამდეს ჩენი ბატონი,
არ არის შასაბრალები“.

როგორც ვხედავთ, ბერდიამ ალუდას ორი მთავარი ბრალდება წაუყენა: კერძოდ, ოდითგანვე განმტკიცებული რჯულის შეურაცხყოფა — აქ იგულისხმება ქისტი მუცალისადმი ზვარაყის შეწირვა და, მეორე, დადგენილი წესის დაუტყველობა მოკლულისადმი მარჯვენა ხელის მოკვეთის შესახებ.

აშკარაა, ეს მეტად მძიმე ბრალდებაა. ალუდას გამოუჩნდება ქომავი მინდიას სახით, რომელიც ბერდიასა და მის მსგავსთა დასაწყენარებლად წავა, ნახავს ალუდას მიერ მოკლულ მუცალს, მოკვეთს მარჯვენა ხელს და ალუდას გასამართლებლად მოიტანს სოფელში.

— მოხველ მშვიდობით! — მინდიას
ტეესურთა შაუძრახიან.
რა მაიტანე ამბავი?
შორითვე დაუძახიან.
—ახლებო, სისხლი გიფუისთ,
სკრითა და ჰკერავთ გულითა,
გულს ათრევენებთ გონებას,
თავს აკრევენებთ ცულითა,
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
მის ვაჟკაცურის რჯულითა!
ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ,
გული-დ გონება ძმანია.
მართალი არი ალუდა,
თავს არ დამექცენ ცანია!
თუ არა გჯერათ, ქისტისა,
აი, მოჭრილი მკლაუია.
ენა ქარქაშში გეკიროსთ,
ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,
ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე,
ირა ვარგაო, იმასა!

ამ დაცვითი ხასიათის სიტყვიერ მასალაში მინდია ხევსურებს, კერძოდ, ახალგაზრდებს, უსაყვედურებს გამოუცდელობას, გონების ნაცვლად გრძნობის მომეტებულად აყოლას, ალუდას პიროვნებისა და საქციელის არაობიექტურად შეფასებას, უსაბუთებს მოვლენების შეფასებაში გრძნობისა და გო-

ნების ურთიერთმოქმედების აუცილებლობას, თავდაქერილობასა და სიბრძნის გამოვლენას ვაჟკაცის შეფასებისას და სხვ.

როგორც ვხედავთ, მინდიას დაცვით სიტყვაში ალუდას გამართლება, მართალია, ცალმხრივად, მაგრამ მაინც არსებითად სწორადაა არგუმენტირებული.

სავარჯიშო 10. წაიკითხეთ ქვემოთ წარმოდგენილი მასალა და დაადგინეთ, რა ბრალდებას უყენებს მოხუცი პეტრესადმი მიწერილ წერილში მახათას მთაზე დახრჩობილი ბიჭის ძმა ოჯახს, სკოლას, საზოგადოებასა და ხალხს? ახსენით, როგორაა წარმოდგენილი წერილში ლოგიკური და გამომსახველობითი საშუალებების მიხედვით საზოგადოებისადმი წაყენებული ბრალდება.

„მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურიშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორნი ძმანი პატარები დავრჩით, დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ერთი ვიღაც აზნაურიშვილი, ქალაქში მსახურობდა. რაც მამისაგან დედულ-მამული გვექონდა,—ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუქის ილაჯი გვექნებოდა—სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დავგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი, ვეხეტებოდით, სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა, ყველანი შინაურები, ვისაც კი შეეძლო გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდან, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ, ვაიდან ვუიში ჩაგვაგდო. აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყუპითა. ვითმინეთ და ველარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეციით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველი სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთი ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგე-

შოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ, გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი. გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა—რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი. სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დავუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს, იქ სამართალი არ გაბრუნდება.

„...გახსოვს, ამ ოთხი წლის წინად ლოკინის ხევის პირს რომ ურმები გამოშვებულები გქონდათ? გახსოვს, ორი ყმაწვილი რომ მოგადგათ? ისინი ჩვენ ვიყავით, ორის დღის უჭმელები. საწყალმა ჩემმა ძმამ, ბეჟანს რომ ვეძახოდი, ბევრი ტყუილი ილაპარაკა მაშინ... მე მწყინდა ეგ, მე მაგას ვთაკილობდი, მაგრამ ვერა გავაწყე—რა. ჩემი საცოდავი ძმა უჯათი იყო, თვითრჯული, და ვაი რომ ამასთანავე გულნამცეცაც იყო. ღმერთმა მიპატიოს ის ერთად-ერთი სული, ის ერთად-ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილის-მყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული. დღეს ჩემის თვალით ვნახე, 'რომ კატასავით დამირჩეს!.. განა ამას შევარჩენ ქვეყანასა, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზედ ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა!

„შენ მაშინ გულის-ტკივილით დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინადამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელ გულამდე, კინადამ შენმა გულკეთილობამ არ მომიხადირა. მთელი ღამე არა მძინებია, გამიკრთა მაშინ ძილი, თუმცა ძალიან დაღალული ვიყავი, როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ქრა

დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალუზედ შემიდ-
გა. მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე. გაწყდეს საცა წვრილია-
მეთქი!.. ეგეც ჩემი მძარცველია, ეგ რომ კაცი ყოფილიყო, მე
არ გამაძარცვინებდა-მეთქი.

„გაგჭურდეთ და ჩამოვედით ქალაქს. აქ ცოდვაც და მად-
ლიც უფრო ხალვათად დადის. ორივეს დიდი შარა-გზა
აქვს. მას აქეთ დღე არ გამოსულა, რომ არავენ არ გაგვეძარც-
ვოს. ჩვენი დანაკარგი, ვინც შეგვხვდა, ვაზღვევინეთ, ამით
ვირჩენდით თავსა, ამითვე ვიფხანდით ისარნაკრავს, გამწარე-
ბულს და გაბოროტებულს გულსა. გული მაინც არ დაგვიც-
ხრა, რაღაცას ლამობდა, საითღაც იწევდა და ვერ დავაამეთ
და ვერა...“

„ამ ორი წლის წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა
შიგვიყვანა მამინაცვლის სახლშიო. დედა-ჩვენი მაშინ შინ
არ იყო, სოფელში გაესტუმრებინა ქმარს. შევუცვივდით ღამე
ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო
იქაურობა და ვეღარ მოვასწარიო. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს
დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოეწყვიდი-
ათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალთ ვნახე,
რომ ჩემი ერთად-ერთი. ძმა, ერთად-ერთი კეთილის-მყოფელი
კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყუ-
რებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდო... არ შეგარჩენთ, არა,
ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზლას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს,
მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფ-
რო. ჩვენ შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას
დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით, განკითხვის დღემ გამოაჩინოს
საით არიან მართალნი და საით მტყუანნი... „არ ვიცი რად და
ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო. — აჰა,
გადაგიშალე და ლოდი ამეცალა.“

„შენს სამს და ათ შაურს ერთი ათად გიბრუნებ. შენმა
გულკეთილობამ რომ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში და კი-
ნალამ არ დამიმორჩილა. აქამდის კიდევ გულში მიღვივის, რო-
გორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება, ვი-
ცი. განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვალისა? განა

შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“¹

ბრალდებულის თავდაცვითი სიტყვა. ზეპირი სიტყვის ამ სახეობას მეორენაირად ბრალდებულის ოფიციალურად კანონით ნებადართულ სიტყვას უწოდებენ. „ის თავისი არსით ფაქტიურად ესაზღვრება ადვოკატის ზეპირ სიტყვას, თუმცა წარმოითქმება განსხვავებული ფორმითა და შედარებით მძიმე პირობებში“ (გ. აპრესიანი).

ბრალდებულის მიერ წარმოთქმული საჯარო სიტყვის სპეციფიკა კარგად არის ცნობილი ჩვენს მდიდარ და მრავალსაუკუნოვან მწერლობასა და კულტურაში. მაგალითად, დავაკვირდეთ ისევ ვაჟა-ფშაველას ცნობილი გმირის — ალუდას თავდაცვითი სიტყვის შინაარსს. როგორც ვიცით, ალუდაში იღვიძებს ჰუმანიზმის იდეალები და ამის გამო იგი მოკლულ ქისტს, მუცალს, არ მოკვებს მარჯვენას, როგორც ამას თემის ადამიანი მოითხოვს. ამ ფაქტით ალუდამ აშკარად დაარღვია მთაში გამეფებული ძველი წესი. თემი სასტიკად დაუპირისპირდა თავისი კანონის დამრღვევს.

ალუდას არ აშინებს თემთან შეტაკება. იგი ხალხის წინაშე საქვეყნოდ გმირად აღიარებულ მინდიას, რომელმაც თემს წარუდგინა ალუდას მიერ მოკლული ქისტის მარჯვენა, როგორც უტყუარი ნიშანი ალუდას მამაცობისა, ასე მიმართავს:

„თუ ხელის მოკრა მდომიყო,
გან ვერ მოვსპრიდი თავადა?
ვერ ვიქნავ კარგად, მინდიაჲ,
საქმე მოგირთავ ავადა;
რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა;
მთაში წავილო, არ მითიბს,
არც მარგებს თივის კავადა.
წაიღე, თუ გწამ უფალი,
ნუღარ მაჩვენებ თვალითა.
კაის ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რაად სწყრებიან ხეესურნი,

¹ ი. ჰავეკაძე, თხზულებანი, გვ. 332, 333, 334.

რაად ტყერებიან ჭაერთა?!
მტერს მოკვლავ, კიდევ არ მოესქრო
ზარჯენას შაგათ ჭაბრითა
„წესი არ არ-ს მტრის მოკვლა,
თუ ხელ აო მასკერ დანითა“
ეაი ეგეთსა სამართალს,
მონათლულს. ცოდვა-ბრალითა“.

ამ თავდაცვით სიტყვაში ნათლად ჩანს ალუდას მაღალი სა-
ზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი სახე. თავისი ჰუმანისტური
იდეებით ალუდა უპირისპირდება ძველ, დრომოქმულ ადათს
და მეზობელ ხალხთა შორის ურთიერთგაგებასა და მეგობ-
რულ თანამშრომლობას ქადაგებს.

ძველი და ახალი იდეების ასეთი პრინციპული დაპირის-
პირება აძლევს ალუდას ამ თავდაცვითი შინაარსის სიტყვას
მანძილებელსა და დიდ მხატვრულ-ემოციურ ძალას...

ბრალდებულთა დაცვით სიტყვებს პოლიტიკური სიმახვი-
ლე კიდევ მეტად შეემატა კაპიტალიზმის განვითარებითა და,
მაშასადამე, ამის საფუძველზე კლასობრივი ბრძოლის გამძაფ-
რებით. ამ პერიოდის თავდაცვითი ორატორული სიტყვებიდან
განსაკუთრებით გამოყოფენ კ. მარქსის მიერ წარმოთქმულ
ორ სიტყვას: 1849 წლის 7 და 8 თებერვალს, სადაც უცილო-
ბელი არგუმენტებით დახასიათებულია მოქმედი კანონმდებ-
ლობის ულოგიკობა და ანტიხალხურობა.

სავარჯიშო 11. გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ მასალას
და აღნიშნეთ: რა ფაქტებს ეყრდნობა პაველ ბრალდების გა-
საბათილებლად, როგორია ამ სიტყვის იდეური სარჩული? გა-
არკვიეთ, ორატორული მეტყველების რა საშუალებებია გა-
მოყენებული სიტყვაში მეფის რუსეთის ბიუროკრატიული სა-
სამართლო პროცესის თვალთმაქცობისა და ანტიხალხურობის
გამოსააშკარავებლად?

„— როგორც პარტიის წევრი, მე მხოლოდ ჩემი პარტიის
სასამართლოს ვცნობ; მე იმიტომ კი არ ვილაპარაკებ, რომ თა-
ვი დავიცვა, არამედ ჩემი ამხანაგების სურვილით, რომლებმაც
აგრეთვე უარი განაცხადეს დაცვაზე, ვეცდები აგიხსნათ ის,
რაც თქვენ ვერ გაიგეთ. პროკურორმა ჩვენ გამოსვლას სოცი-
ალ-დემოკრატიული დროშის ქვეშ ამბოხება უწოდა უზენაესი
ხელისუფლების წინააღმდეგ და ჩვენ ყოველთვის გვანახიათებ-

და, როგორც მეფის მოწინააღმდეგე მემამბოხეებს. მე მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი თვალსაზრისით თვითმპყრობელობა არ წარმოადგენს ერთად-ერთ ჯაჭვს; რომელსაც შებოჭილი ჰყავს მთელი ქვეყანა. ის მხოლოდ პირველი და უახლოესი ჯაჭვია; რომლის დამსხვრევა ჩვენი მოვალეობაა, იმისათვის, რომ ხალხი განთავისუფლდეს...

— ჩვენ სოციალისტები ვართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კერძო საკუთრების მტრები ვართ, რადგან კერძო საკუთრება ხალხს ერთმანეთისაგან სთიშავს, ერთიმეორის საწინააღმდეგოდ ამხედრებს, ინტერესთა შეუთრეველ წინააღმდეგობას ჰქმნის და ცრუობს იმისათვის, რომ ეს წინააღმდეგობა მიჩქმალოს ან გაამართლოს, ის ყველას რყენის თავისი სიცრუით, ფარისევლობითა და ბოროტებით. ჩვენ ვამბობთ: ის საზოგადოება, რომელსაც ადამიანი მხოლოდ თავისი გამდიდრების იარაღად მიაჩნია, არაადამიანურია, ჩვენთვის მტრულია და ჩვენ ვერ შევუთრეგდებით მის ორპირსა და ცრუ მორალს: ჩვენ ზიზღს გვგვრის მისი ცინიკური და უღმობელი დამოკიდებულება პიროვნებისადმი, ჩვენ გვინდა და ვიბრძოლებთ კიდევაც ასეთი საზოგადოების მიერ ადამიანის მორალურ და ფიზიკურად დამონების ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. ანგარების გულისათვის ადამიანის დაქუცმაცემის ყველა საშუალების წინააღმდეგ. ჩვენ მუშები ვართ, ჩვენ ვართ ის ხალხი, რომლის შრომითაც იქმნება ყველაფერი. უზარმაზარი მანქანებიდან დაწყებული საბავშვო სათამაშოებამდე, ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელსაც არა აქვს უფლება იბრძოლოს თავისი ადამიანური ღირსებებისათვის, ყველა ცდილობს და ყველას შეუძლია მუშა თავისი მიზნების მისაღწევ იარაღად გამოიყენოს, ჩვენ ახლა გვინდა იმდენი თავისუფლება მოვიპოვოთ, რომ შემდეგში შეგვეძლოს მთელი ძალაუფლება ხელში ჩავიგდოთ. ჩვენი ლოზუნგები უბრალოა: ძირს კერძო საკუთრება. წარმოების ყოველგვარი საშუალება—ხალხს. მთელი ძალაუფლება—ხალხს, შრომა ყველასათვის სავალდებულოა, თქვენ ხედავთ—ჩვენ მემამბოხეები არა ვართ!...

— ჩვენ რევოლუციონერები ვართ და რევოლუციონერებად დავრჩებით ვიდრე ერთნი მხოლოდ ბრძანებლობენ, მეორენი კი მხოლოდ შრომობენ. ჩვენ იმ საზოგადოების წინააღმ-

დევნი ვართ, რომლის ინტერესების დაცვა თქვენა გაქვთ ნაბრძანები, ჩვენ ამ საზოგადოების და თქვენი შეუზღებელი მტრები ვართ და ჩვენი შერიგება შეუძლებელია, იმ დრომდე სანამ საბოლოოდ არ გავიმარჯვებთ! და გავიმარჯვებთ ჩვენ, მუშები!«¹

საიუბილეო ანუ სახოტბო სიტყვა. საიუბილეო სიტყვა შინა-არსობრივად მიემართება ერთ შემთხვევაში რომელიმე თვალსაჩინო პიროვნებას, რომლის დამსახურება სახალხოდ აღინიშნება და მეორე შემთხვევაში—რაიმე მნიშვნელოვან თარიღს, მოვლენას, ორგანიზაციასა თუ დაწესებულებას: ორივე შემთხვევაში ზეპირ სიტყვას საზეიმო ხასიათი აქვს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საიუბილეო სიტყვა, როცა იგი ეძღვნება რომელიმე თვალსაჩინო პიროვნების დამსახურებას, უფრო მეტად შეიცავს მოუბრის ლირიკულ მაჟორულ ტონებს, ვიდრე ორგანიზაციის ან დაწესებულების საიუბილეო თარიღის აღნიშვნისას...

ამასთან, ასეთი შინაარსის სიტყვებში მოკლედ, ერთგვარი შეჯამების სახით წარედგინება მსმენელს პიროვნებისა თუ იუბილარ დაწესებულებათა და ორგანიზაციების დამსახურება ხალხის წინაშე. მაგალითად, ამ მხრივ საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ცნობილი ქართველი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით ლ. ქიაჩელის შემდეგი სიტყვა:

„ბრწყინვალეა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება. მან არაერთი ჭეშმარიტი გამარჯვება მიანიჭა უახლოეს ქართულ მხატვრულ სიტყვას და თავის სახელსაც გზა გაუხსნა უკუდავებისაკენ. მიხეილ ჯავახიშვილის რომანები, საოცარი მოთხრობები და ნოველები მარად დაამშვენებენ ქართველი ხალხის სულიერ საგანძურს, რომელსაც მათ ახალი ძალა და ღირებულება შემატეს“.²

საიუბილეო სიტყვაში პიროვნების საქვეყნოდ ცნობილი ღვაწლის საზეიმო ვითარებაში აღნიშვნისას ნაკლებ არ ლაპა-

¹ მ. გორკი, „დედა“ გვ. 360, 361, 362.

² ლ. ქიაჩელი „ბრწყინვალე შემოქმედი,“ ლიტერატურული გაზეთი № 36, 1962.

რაკობენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ სიტყვებში მინიშნების სახით მაინც არ იყოს ნათქვამი, ხუმრობისა თუ იუმორის კვალობაზე, იუბილარის ზოგიერთი ისეთი არარსებითი თვისების შესახებ, რომელსაც თითქოს ერთგვარი დისონანსი შეჰქონდა მის პიროვნულ ქცევაში. მეორე მხრივ, ასეთი ხუმრობითი ელემენტი საიუბილეო სიტყვაში დაშვებულია იმისათვის, რომ ამ ხერხით კიდევ უფრო ფართოდ დახასიათდეს იუბილარის დადებითი თვისებები და საგანგებოდ გამოიკვეთოს მისი მაღალი მოქალაქეობრივი სახე.

ასეთი სიტყვის საინტერესო ნიმუშია მოცემული ი. გრიშაშვილის სიტყვაში, რომელიც მიუძღვნა ფილიპე გოგიჩაიშვილს 50 წლის მოღვაწეობის გამო. აი ისიც: „როცა მე პირველად გავიცანი პატივცემული ფილიპე (ეს იყო 1907—1908 წელს, კარგად არ მახსოვს), მასზე მთელი ლეგენდები დადიოდა, როგორც კარგ რედაქტორზე და სასტიკ კრიტიკოსზე.

ერთხელ თურმე კოტე მაყაშვილს ლექსი მიუტანია „ივერიაში“ დასაბეჭდად (მაშინ ფილიპე „ივერიის“ რედაქტორი ყოფილა—შ. ქ.). ფილიპეს გადაუკითხავს, კიდევ გადაუკითხავს, ზევით აუწევია თავი და ასე მიუმართავს ახოვანი პოეტისათვის — კაცო, არა გრცხვენიან, მაგოდენა კაცი ხარ და ლექსებსა სწერო?... ზემოთ მოგახსენებთ, რომ პატივცემულ იუბილარს სასტიკი კრიტიკოსის სახელი ჰქონდა დარხეული. ერთი შეხედვით, მართლაც, მისი მოღუშული სახე, სათვალებქვეშ მომზირალი თვალები თითქოს ამის დამადასტურებელია. ვიდრე გავეცნობოდი ჩემს უფროს მეგობარს — ფილიპეს, მეც ასე მეგონა — ცივი, კუშტი, ხეკაცი, მაგრამ ბევრმა როდი იცის, რა პოეტური გული აქვს წელთა დაზიდულობით დამშვრალ ჩვენს მოღვაწეს, რა უბრალო, რა სათუთი, თბილი და ამაღელვებელია მისი გულის ყოველი კუნჭული“.¹

საიუბილეო შეხვედრაზე მსმენელი განსაკუთრებული სიამოვნების გრძნობით ისმენს ექსპრომტად თქმულ მკვევრ სიტყვას, რომელიც ჩვეულებრივ, გულის კარნახით წარმოითქმება და მცირე დროის ფარგალში, დიდი სიტყვიერი ეკონომიურობით, ბუნებრივობით წრფელად მიემართება იუბილარსა და მსმენელს.

¹ ი. გრიშაშვილი, ტ. V. გვ. 283—287. 1965.

სავარჯიშო 12. წაიკითხეთ გულმოდგინედ ქვემოთ წარმოდგენილი ცნობილი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის სიტყვა, თქმული ზ. ფალიაშვილის მუსიკალური მოღვაწეობის 30 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით და გაარკვეეთ, რა ხერხებია მასში გამოყენებული ზაქარია ფალიაშვილის დამსახურების კონკრეტულად დახასიათებისათვის, აღნიშნეთ, ეს ხერხები როგორ ახასიათებს თვით კოტე მარჯანიშვილს.

„აბესალომ და ეთერი“

დიდი დღესასწაულია!

დღესასწაული ნამდვილ ხელოვნებისა!

დღესასწაული კულტურული გამარჯვებისა!

სარკმელია ევროპისაკენ!

გასაოცარი ლეგენდაა — სამშობლო ქვეყნის ჰანგებით მოსევადებული, ევროპული ოსტატობით შემუშავებული. მელანდება და მგონია, ხორცს ისხაპს ჩვენი შესიანობა ხელოვნებაში, მსოფლიო ხელოვნებაში.

მწამს საქართველო — ორი დიდი დამოუკიდებელი კულტურის საზღვარზე მდგარი: აღმოსავლეთის გასაოცარი სულიერი სინოაყვირისა და ევროპის გასაოცარივე ოსტატობისა — თვით თავის არსებაში ამყნობს ამ ორ კულტურას და ოდესმე მისცემს ქვეყნიერებას იმპულსს ხელოვნების აღორძინებისა ახალი ეპოქის შექმნისათვის, ახალი ფორმებისა და მათი ახალი აზრით აღვსილობისათვის.

დიდება პიონერს, ამა გზით მიმავალს, დიდება კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს!

„აბესალომის“ გარჩევა მე არ შემეძლია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მუსიკოსი არა ვარ, მეორე და უმთავრესად იმიტომ, რომ მოტრფიალეს არ ძალუძს თავისი სატრფოს ავ-კარგის აწონ-დაწონა — მე კი ნამდვილი ტრფიალი ვარ „ეთერისა“.

სამწუხაროდ. „ეთერი“ მითია, არც მუსიკაა შენივთებული რამ და ამიტომ არ შემეძლიან მათ ჩემი ბავით შევეხო.

სამაგიეროდ, სულითა და გულით ვეამბორები ზაქარია ფალიაშვილს“.¹

მოსახსენებელი სიტყვა. ზეპირი სიტყვის ეს სახეობა მკვერ-

¹ კ. მარჯანიშვილი, შემოქმედებითი შემკვიდრეობა, ტ. 1, გვ. 196, 1972.

მეტყველების პრაქტიკაში უძველესი დროიდანაა დამკვიდრებული. იგი ხასიათდება დიდი მწუხარებითა და ტრაგიკული შინაარსის ინტონაციით. სიტყვის ასეთ შინაარსს და ელფერს განსაზღვრავს თვით ფაქტი — სიტყვა ეძღვნება მახლობელ ადამიანს, რომელთანაც წლების მანძილზე შედუღებებულია და შემტყვიცებულია თითოეული ჩვენთაგანის სულიერი სამყარო და, ბუნებრივია, როცა ჩვენი სიტყვა ასეთი ადამიანის სამუდამო განშორებას ეხება, არ შეგვიძლია მძიმე სევდისა და დიდკ სულიერი ტკივილების გარეშე წარმოვთქვათ იგი და მეორე მხრივ, ამ მძიმე სიტუაციურმა მდგომარეობამ და ჩვენმა მღელვარებამ არ შეიძლება, გარკვეული ასახვა არ პოვოს მასში...

ასეთი ხასიათის სიტყვაში ყოველთვის მოკლედ და შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი გარდაცვალებულის პიროვნული თავისებურება, მისი ღვაწლი. ცხადია, რაც უფრო ცნობილსა და დამსახურებულ პიროვნებას ეხება სიტყვა. მით უფრო ფართო საზოგადოებრივსა და ეპოქალური შინაარსის შეფასებას ლებულობს იგი. წარმოსათქმელი სიტყვის შინაარსის ღირებულება დიდადაა დამოკიდებული იმაზეც. თუ ვინ, როგორი ინტელექტისა და ცოდნის პიროვნება წარმოსთქვამს მას.

მიცვალებულის ღვაწლისა და ამაგის ასეთი შემფასებლობითი შინაარსის სიტყვათა საუყეეთესო ნიმუშებია შემონახული მდიდარ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და კლასიკურ მწერლობაშიც. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

დალაი

(მიცვალების გლოვა თეშებში)

დალაი თქვით, დალა, მხედრებო!

დალაი, დალაი...

ძნელი არს დალაობაი,

დალაი, დალაი...

ბრალი ხარ,¹

შენი ულაშქროდ სიკვდილისა, დალაი...

ჩვენ ნუ ვის შევატყობინებთ

ლომის ერეკლეს სიკვდილსა, დალაი...

იარ, არ წამოხვიდოდე

¹ აქ მოიხსენიებენ იმის სახელს, ვისაც ეძღვნება სამგლოვიარო სიტყვა.

მაგ შენის წითლის ცხენითა, დაღაი...
 ლაშქარს გიკითხვენ სწორები,
 წინ აღარ გაუძღვებია, დაღაი...
 მტერთან ხმალამოღებულო,
 სწორში თავგამოდებულო, დაღაი...
 სულ მამა-პაპის დროიდან
 მტრისათვის რისხვის მიმცემო, დაღაი...
 კეკიანო, საქციელიანო,
 გამპრელო, მოსამართლეო, დაღაი...
 იმედო თავის ქვეყნისა,
 გამრიგვე თუშეთისაო, დაღაი...¹

როგორც ვხედავთ, მოტანილ ხალხურ ლექსში დახასიათებული და შეფასებულია მეფე ერეკლეს დამსახურება ქვეყნის წინაშე. ამასთან, ჩანს, ძველ საქართველოში ასეთი შინაარსის სიტყვების წარმოთქმის გარკვეული წესიც ყოფილა შემუშავებული. ხალხი მახლობლის გარდაცვალებისას ზაპეციალურად იწვევდა სატირალში ისეთ პიროვნებებს, რომელთა მიერ წარმოთქმული ზეპირი სიტყვა უფრო უკეთ გამოხატავდა მიცვალებულის დამსახურებას და აგრეთვე თვით ჭირისუფალთა სულიერ განწყობასაც.

ასეთი წესის შესრულების ცოცხალი სურათია წარმოდგენილი ა. ყაზბეგის თხზულებაში („ელგუჯა“) სვიმონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

„ხანდისხან, როდესაც მოსულნი მთლად შემოიკრიბებოდნენ და დერეფანში აღარავინ ელოდა, სახლში მყოფთ შორის რომელიმე მოხუცი მანდილოსანი ცხედარის მკერდიდგან თოფს აიღებდა, ზედ დაეყრდნობოდა და მიცვალებულს ლექსად შესხმას ეტყოდა, მის ცხოვრებას ხალხს მოუთხრობდა. მომთქმელს დანარჩენები, დრო გამოშვებით, მისცემდნენ ბანსა და მოპყვებოდნენ შემაწუხებლის ხმით, ზარით ტირილსა.

ყოველი მოქმედება, ყოველი სამსახური, ყოველი სახსენებელი საქმე, რომელიც მიცვალებულს ცხოვრებაში ჩაედინა, ახლა საქვეყნოდ მოიხსენიებოდა და მსმენელთა შორის თანაგრძნობას და მადლობას გამოიწვევდა.

¹ ხალხური სიბრძნე, ტ. IV, გვ. 296. 1965.

მიცვალებულის სახელთან ერთად იმ დაკლებულთ სახელებსაც არ ივიწყებდნენ, რომელთაც ხალხისთვის ოდესმე შესამჩნევი სამსახური გაეწიათ და ვაჟკაცობის სახელი დაემსახურათ. ყველას, ვინც კი იქ იყო, და მომთქმელთ სიტყვები სწვდებოდა, ამგვარი გამოსალმება უმაღლეს ჯილდოთ მიაჩნდა და მოძმეთაგან ამ პატივით მოხსენებას ნატრობდა.

როდესაც მოტირალი ლექსს გაათავებდა, წყნარად მივიდოდა მიცვალებულთან, თოფს ისევ გულზედ დაადებდა და მოწიწებით წარჟღისთქვამდა: „შენ ცხონება და დამრჩენთ დღეგრძელობა“. ხალხი მიუღწდებოდა და სანამ ახალი მომთქმელი წამოდგებოდა, და ხელახლად დაიძახებდა: „ახა ვაითა ავი მე“. ყველანი ერთმანეთში კრთხულობდნენ: ვინ იყო მომზენებელი, ან რა სამსახური გაეწია? ამგვარად მთელი ხალხი ტყობულობდა თავიანთ გმირების სახელებს და მათი მოქმედების ამბავი საშვილიშვილოდ გადადიოდა.

ის იყო ერთმა მოხუცმა გაათავა ტირილი და მისმა გრძნობიერმა და გულს ჩამთუთქველმა ხმამ იქ მყოფნი მთლად დაიმონავა, როდესაც ერთბაშად მოისმა ფანდურის მკენესავი, მგლოვიარე ხმა და ზედ ქვითინი და ძახილი. ძლიერი და მწვავე იყო ეს ხმა, რომელმაც ხალხი შეატოკა, აამღელვარა და მოძრაობაში მოიყვანა.

— ელგუჯაი მოდის, ელგუჯაი! — ნიავსავით წყნარად მოისმა სულშეტაცებულთ და ხმაგაკმენდილთა შორის.

ხალხი ორად გაიყო და მათ შუა გამოჩნდა ლომებრივ ვაჟკაცი, რომელსაც თმა გასწეწოდა, საკინძი ჩამოსწყვეტოდა და გული გადაღელოდა: შესაზარი იყო მისი მხნე და გმირული, კმუნვით მოცული მღუღარე ცრემლებით დალორთხილი სახე.

ელგუჯას ხელში ეპყრა ფანდური და მთრთოლვარე თითებით სიძებს დასთამაშებდა. ის გამოვიდა შუა ადგილას და შესდგა; რამდენჯერმე გადაავლო იქ მყოფს ხალხს თვალი და ყველამ იგრძნო ნამდვილად შეწუხებულის კაცის გული, ყველა დაემორჩილა, გაჩუმდა, გაქუჩდა. იმ წამში ბუზი რომ გაფრენილიყო, იმის მოძრაობის ხმასაც კი გაიგონებდით.

მოხევემ ჩაჰკრა და ჩაჰკრა უანდურის ძალებს. დაათამაშა თითები და პაერი მკენესავის ხმით შეირყა. ბოლოს გაივლო

ტუჩებს კბილები და ისე ძალზედ მოუჭირა. თითქოს მოკვნი-
ტას უპირებსო, მოჰყვა უსიტყვოდ ზუზუნს და ამ ხმაზედ ყვე-
ლას გული ამოუჭდა, ცახცახი დააწყებინა. თითქოს თვით
ჰაერსაც კი ეგრძნო ხევის მწუხარება და მისი გულის თრთო-
ლვას აპყლოდა. მოხევემ ფანდურს კიდევ ჩაჰკრა, ჩაჰკრა და
ერთბაშად დაიძახა:

შენ რომ გეშორდები, გმირთ-გმირო?
რალას გვიპირებ ჩვენაო?
გიყურებთ, გული დუღდების,
ძლივს-ლა გვიბრუნავს ენაო!
წავიდა ჩვენი კაცობა,
ველარ ეიხილეთ ლხენაო,
ბლავის ცხორი და ბატკანი,
სადღა იმათ სმენაო?!

როდესაც ეს სიტყვები გაათავა ფანდური უკუაგდო, მიც-
ვალბულს დააქქერდა, დააქქერდა და ჩაწითლებულის თვა-
ლებიდან ცრემლები ხელახლად. ღაპა-ღუპით გადმოსცვივდა.
კიდევ რამდენიმე გულის ჩამთუთქავი სიტყვა უთხრა და ხე-
ლის ჩაქნევით წარმოსთქვა:

„ფუი! ცრუ და მუხთალო წუთისოფელო!“¹

გარდაცვალებულის მოღვაწეობის მოსახსენებელი სიტყვა
შინაარსობრივად კიდევ უფრო გაღრმავდა და პოლიტიკურად
გამახვილდა კლასობრივი ბრძოლების გამწვავების პირობებში.
ამ ეპოქის სამგლოვიარო სიტყვებიდან აღსანიშნავია ფ. ენგელ-
სის სიტყვა, რომელიც წარმოითქვა კ. მარქსის საფლავზე 1883
წლის 14 მარტს და ვ. ი. ლენინის სიტყვა, წარმოთქმული 1919
წლის 18 მარტს, სვერდლოვის გარდაცვალებასთან დაკავშირე-
ბით.

საერთოდ კი, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული,
XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუ-
კუნის დასაწყისის მუშათა რევოლუციური მოძრაობა
იცნობს არა ერთსა და ორ მოსახსენებელ სამგლოვიარო მკვერ
სიტყვას, რომელთა შინაარსი, ამ შინაარსის გადმოცემის მრავალ-
ვალსახოვანი ორატორული ენობრივი საშუალებანი დღესაც

¹ ჩვენი საუნჯე, ტ. II, გვ. 144, 145, 146. 1960.

კოცხლად და შთამბეჭდავად წარმოგვიდგენენ მშრომელი ხალ-
ხს, თავდადებული ადამიანების ნათელ სახეს, მათ აურაცხელ
ღვაწლსა და ამაგს.

საგარკიშო 13. გაეცანათ ფ. ენგელსის სიტყვას, წარმოთ-
ქმულს კ. მარქსის საფლავზე 1883 წლის 14 მარტს, აღნიშნეთ
როგორაა შეფასებული მასში „კაპიტალის“ ავტორის დამსა-
ხუკრება მუშათა კლასის რევოლუციური თეორიის შექმნაში და
ამასთან, გაარკვიეთ, რა მკვევრმეტყველურ ხერხებს იყენებს
სიტყვის ავტორი თავისი მეგობრის ცხოვრებისა და მოღვაწე-
ობის მოკლედ დასახასიათებლად?

სუფრაზე წარმოსათქმელი ზეპირი სიტყვა. ქართული სუფ-
რა საქვეყნოდაა განთქმული გულუხვობითა და მომსახურების
ნაირფეროვანი რიტუალებით. ზეპირი სიტყვა-სადღეგრძელო
ჩვენი სუფრის ორიგინალური შინაარსისა და ფორმის ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სუფრაზე წარმოსათქმელი ზეპირი სიტყვა შინაარსობრი-
ვად, როგორც მიუთითებენ, ორი სახისაა: ოფიციალური და
ჩვეულებრივი, ე. ი. არაოფიციალური. სუფრაზე ოფიციალური
ზეპირი სიტყვა წარმოითქმის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებ-
რივი და საზოგადოებრივი შეხვედრებისას, განსაკუთრებული
საერთაშორისო და კულტურული ღირებულების მოვლენების
აღნიშვნისას და სხვ.

ქართულ სუფრაზე წარმოთქმულ სადღეგრძელოს რომ ამ-
შვენიებდა სახალხო სახელმწიფოებრივი ინტერესების წინა-
პლანზე წამოწევა, ეს კარგად ჩანს ძველი რიტუალის მიხედვით
გაცოცხლებულ პოეტურ სურათში, რომელიც წარმოდგენი-
ლია აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“. აი ისიც:

„მთერალობა და „სადღეგრძელო“
სათვითოთ არ იცოდნენ;
ჩვენი ლხინი რომ ენახათ,
სირცხვილითაც დაიწვოდნენ,
პირველ სმაზე ახსენებდნენ
საქართველოს და უფალსა,
დღეგრძელობით თაყვანს სცემდნენ
შეფესა და დედოფალსა;
ბოლოს გამირებს იგონებდნენ
მამულისთვის ომებში მკედარს,

და მღვდელთმთავრის კურთხევით:
სვამდნენ იმათ შესანდობარს...
სულ ამითი თავდებოდა
მაშინდელი სადღეგრძელო,
თუმცა მათში მეტი იყო
საქები და სასახელო“.

ასეთი შინაარსის სადღეგრძელოებს შედეგიც შესანიშნავი ჰქონია, ყოფილა „საამოვნო“ (არჩილი) ლხინი და „ზომიერი ჰამა და სმა“ (აკაკი). სუფრაზე წარმოთქმული სიტყვა ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად საზეიმო ხასიათისაა; სიტყვის წარმოთქმა წარმოებს წინასწარ შერჩეული საკმაოდ გამოცდილი პირის — თამადის ხელმძღვანელობითა და შეხედულებისამებრ და არა სტიქიურად. „ამგვარი სუფრის აღწერილობა ხშირად გვხვდება მხატვრულ, საისტორიო და მემუარულ მწერლობაში; მისი სურათი აღბეჭდილია ენთოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებშიც. ამ წყაროებით ვეცნობით ჩვენში გავრცელებული ლხინისა და გართობის, შექცევისა და დროის ტარების მამაპაპურ წესს, რაც არსებითად შეუცვლელი სახითაა ჩვენამდე მოღწეული და დაცულია დღევანდელ განახლებულ ყოფაცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში მას იმდენი ცვლილება არ განუცდია, რამდენიც გლოვის წესმა განიცადა და არც მის მსგავსად გამარტივებულა“ (ნ. კანდელაკი).

სავარჯიშო 14. გაეცანით აკაკი წერეთლის სიტყვას, თქმულს თელავში 1882 წლის 17 აგვისტოს და გაარკვიეთ, საზეიმო განწყობილების გამოსახატავად და ეროვნული იდეალების საქადაგებლად რა ხერხებია მასში გამოყენებულნი.

ზეპირი სიტყვის აგების გეგმა და მეთოდები. ზეპირად წარმოსათქმელი სიტყვის იდეურ-თემატიკური საფუძვლების სწორად გაგებას ბუნებრივად უნდა მოყვეს მისი მთლიანი შინაარსის შესატყვისი გეგმის შედგენა. ყოველ გეგმაში მოკლედ აისახება წარმოსათქმელი ზეპირი სიტყვის ძირითადი საკვანძო საკითხები.

ჩვეულებრივ, როგორც ზეპირი, ისე წერიითი თხზულების გეგმის შედგენა არაა ადვილი. ამიტომ სკოლაში ბევრი მასწავლებელი ხელს იღებს ამ მეტად მნიშვნელოვან სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობაზე. ეს გარემოება კიდევ უფრო მე-

ტად აუცილებელს ხდის სტუდენტების საგანგებო მუშაობას ზეპირად თუ წერილობით შესასრულებელი სიტყვის გეგმის შედგენაზე.

გარეგნულად ყოველი ზეპირი სიტყვის მოდელი ძირითადად ერთნაირია, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება ამა თუ იმ სახეობისა და თემატიკის ზეპირი სიტყვის ცალკეული კომპონენტი სხვადასხვა იყოს. მაგალითად, გვირის დახასიათების გეგმა გარკვეულად განსხვავდება მხატვრული ნაწარმოების გაანალიზების გეგმისაგან;

საანგარიშო მოხსენების გეგმა განსხვავდება სამიტინგო თუ აგიტატორის მიერ მომზადებული სიტყვის გეგმისაგან; პოეტური თხზულების პრობლემური ანალიზის გეგმა განსხვავდება იმავე მხატვრულ ნაწარმოებში ასახული მოვლენების თანმიმდევრულად ანალიზის გეგმისაგან. ამრიგად, გეგმის შინაარსობრივი განსხვავება მეტად თუ ნაკლებად ყოველი სახის ზეპირსა თუ წერილობით ფიქსირებულ სიტყვაში ჩნდება.

ყოველი ზეპირი სიტყვა შეიძლება გადმოიცეს ორი სახის მოდელის მიხედვით. პირველ შემთხვევაში აღინიშნება არსებული ნაკლოვანებანი, შემდეგ ყურადღება გამახვილდება ნაკლოვანების მიუხედავად არსებულ მიღწევებზე და, ბოლოს, დაისახება ღონისძიებანი მთლიანად სიტყვაში დასმული საკითხის წარმატებით შესრულებისათვის. ანდა პირიქით: სიტყვის შესავალი დაეთმოა წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში, შემდეგ გაგრძელდება მსჯელობა ნაკლოვანებებზე და, ბოლოს, აღინიშნება დებულების სახით ის ღონისძიებანი, რომელნიც ნავარაუდევია შემჩნეული ნაკლის გამოსწორებისათვის (ვ. გოლუბკოვი).

ზეპირი სიტყვის შინაარსის აგებისათვის გარკვეულ უპირატესობას ანიჭებენ ინდუქციის მეთოდს, თუმცა, ამასთან ერთად, არ ივიწყებენ დედუქციის მოთხოვნილებასაც და გვირჩევენ, საჭიროების მიხედვით იქნეს გამოყენებული ორივე მეთოდი. ინდუქციური მეთოდი ეხმარება მოუბარს ზეპირად. გადმოსაცემი რაიმე მასალის შერჩევაში საკუთარი ცხოვრებისეული სფეროდან. კერძოდან ზოგადისაკენ წასვლით, ე. ი. კერძო მოვლენიდან, ფაქტიდან ზოგადი დებულების გამოყვანით ნათელი გახადოს საქმის ვითარება.

თავისთავად ზეპირი სიტყვის აგების ეს მოდელი არაა დასაწუნი, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ მისი უნივერსალიზაცია არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ აღსაზრდელებს ყოველ ასაკში არ შესწევთ უნარი მხოლოდ და მხოლოდ ინდუქციური მეთოდით იაზროვნონ. მაგალითად, დაბალი კლასის მოსწავლეები უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენენ დედუქციური ტიპის აზროვნებისადმი, ვიდრე ინდუქციურისადმი. მაღალ კლასებში კი წინა პლანზე იწევს ინდუქციური ტიპის აზროვნება. ამიტომ ზეპირი მეტყველების ძირითად მეთოდად არ ჩაითვლება ინდუქცია.

მეორე მხრივ. პეტად თუ ნაკლებად, საშუალო სკოლასა და, მით უმეტეს, უმაღლეს სასწავლებელში ზეპირი მეტყველები-სას მოუბრის აზროვნებაში ჩნდება როგორც ინდუქციური, ისე დედუქციური მეთოდის მოთხოვნილება. ამიტომ უფრო მართე-ბულია ვთქვათ, ორივე მეთოდი, სხვადასხვა დოზით, ზეპირი მეტყველების ძირითადი მეთოდებია.

ახლა ვნახოთ, როგორ აისახება ზეპირი სიტყვის აგებისა და მისი შინაარსის გადმოცემისას აღნიშნული მეთოდების ურთი-ერთდამოკიდებულება. საილუსტრაციოდ დავაკვირდეთ ქარ-თველი ხალხის საყვარელი გმირის ამირანის დახასიათებას.

ამირანის დახასიათების გეგმა:

1. ამირანის ვინაობა;
2. ამირანის პორტრეტი;
 - ა) გარეგანი ნიშან-თვისებანი;
 - ბ) შინაგანი ნიშან-თვისებანი;

3. ამირანის ღმერთთან შებრძოლება, როგორც ადამიანის სიძლიერისა და მისი თავისუფლებისადმი სწრაფვის კონკრე-ტული გამოხატულება;

4. ამირანის იდეალის შთამაგონებელი ძალა.

ასეთი გეგმით აგებულ დახასიათებაში ჯეროვანი ზომიერე-ბით არის გამოყენებული როგორც ინდუქციური, ისე დედუქ-ციური მეთოდები. კერძოდ, ინდუქციური მეთოდით ჩვენ გავცნობით ამირანის ვინაობას, ხოლო დედუქციურით მის გმირულსა და ეთიკურ ბუნებას.

სავარშიჯო 15. გაეცანით ი. ჭავჭავაძის სიტყვას, თქმულს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის დაარსების გამო და შეადგინეთ მისი შინაარსის მოკლე გეგმა.

სავარჯიშო 16. იმავე სიტყვაში მოძებნეთ, ძირითადი იდეური შინაარსის გადმოცემისათვის რა გზები და მეთოდებია გამოყენებული; დაასახელეთ, კონკრეტულად სიტყვის რა ნაწილშია მოხმობილი თითოეული მათგანი.

III თ ა ვ ი

ზეპირი მიტყველების კულტურა

ზეპირი სიტყვის წარმოთქმის ნორმატივი. მოუბარსა და მსმენელს შორის უშუალო კავშირი ზეპირი სიტყვის წარმოთქმით მყარდება. ყოველი ზეპირად გადასაცემი აზრის მსმენელამდე მიტანა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება შერჩეული და გამოყენებული მოუბრის საწარმოთქმო შესაძლებლობანი. „ფართო გაგებით „წარმოთქმა“ გულისხმობს მოცემული ენის შინაარსის ენობრივი გამოხატველობის ყველა საშუალებასა და მათი გამოყენების დამახასიათებელ ხერხებს, რომლებსაც ურთიერთ გაგებისათვის ვიყენებთ“.¹

ზეპირი სიტყვის პრაქტიკულ-საშემსრულებლო ფვალსაზრისით რაიმე შინაარსის ენობრივი გამოხატვის საშუალებებიდან და ხერხებიდან უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს: აქცენტუაციას, ხმის სიძლიერეს, ხმის ელფერს, ტემპს, ტონს (ტონაციას) და სხვ.

აქცენტუაცია. აქცენტი ნიშნავს ხმის აწევას სიტყვის რომელიმე მარცვალზე, „აქცენტუაცია“ კი ამა თუ იმ ენაში შემჩნეული მახვილთა სისტემაა, მის ძირითად მოთხოვნილებათა დახასიათებაა. ამის გამო ყოველი ენისათვის შესაფერისი აქცენტით მეტყველება ნიშნავს, დაეუფლო ამ ენის ცალკეულ

¹ ს. ელენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965, გვ. 105.

სიტყვათა მახვილიან და უმახვილო მარცვალთა ერთობლიობაში სწორად აღქმასა და, რაც მთვარია, წარმოთქმას.

როგორც პრაქტიკით ირკვევა, ზეპირ სიტყვაში სალაპარაკო ენის აქცენტუაციის უგულვებელყოფა იწვევს ამ ენის ბუნებრივი ჟღერადობისა და მუსიკალობის დაკარგვას. „ენის გრამატიკულ წყობასა და ლექსიკურ შემადგენლობასთან ერთად აქცენტუაცია და ინტონაცია მეტყველების მთლიანობას ქმნის და მას მუსიკალობას აძლევს“.¹

ამჟამად დადგენილია რომ ერთმარცვლიან სიტყვებს ქართულში აქცენტი. ანუ მახვილი, არა აქვთ. რაც შეეხება ორ და სამ მარცვლიან სიტყვებს, აქ სამეტყველო ხმის აწევა, ანუ მახვილი ზოდის პირველ შემთხვევაში ბოლოდან მეორე მარცვალზე. (დე-და, მბ-მა, პა-პა), ხოლო მეორე შემთხვევაში — ბოლოდან მესამე მარცვალზე (ა-რა-ბეთს, რბ-სტე-ვან, ბ-მოდო, ჩბ-მო-დი და სხვ.). ოთხმარცვლიან სიტყვაში, მართალია, მახვილი ზოდის ბოლოდან მესამე მარცვალზე. მაგრამ, როგორც მიუთითებენ, ამ შემთხვევაში მესამე მარცვალს ტონის მოძრაობის საყრდენად მეოთხე მარცვალი აქვს.

ხუთ და ექვს მარცვლიან სიტყვებში, ახალი ექსპერიმენტული გამოკვლევების მიხედვით, არ დასტურდება ე. წ. მთავარი და თანამახვილის სისტემა. „მრავალმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მესამე და შემდეგი მარცვლები თანაბარმახვილიანებია. ისინი ერთი საერთო რიტმიკული მახვილით წარმოითქმიან“.² ამის გამო „ქართული აქცენტუაციის არსებობა მომენტს შეადგენს სიძლიერის ერთგვარობა, გარდა პირველი და მეორე მარცვლებისა“.³

ამასთან მიუთითებენ, რომ ყოველ სიტყვაში, სადაც შეიმჩნევა აქცენტი ან აქცენტთა გარკვეული სისტემა, მოუბრის საწარმოთქმო ტონი ორგვარია: აღმავალი და დამავალი. მაგალითად, სიტყვაში „მა-სწა-ვლე-ბე-ლი“ პირველ მარცვალში ტონი აღმავალია, სიძლიერეც შესაბამისად გაზრდილია: მეორე მარცვალში ტონი ფონეტიკურ მწვერვალს ქმნის, სიძლიერე

¹ ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, 1965, გვ. 69.

² იქვე, გვ. 92.

³ იქვე, გვ. 102.

პირველი მარცვლის თანაზომიერია; მესამე მარცვალი („ვლე“) წარმოითქმის პირველი მარცვლის სიმალლეზე, სიძლიერე პირველი და მეორე მარცვლის თანაზომიერია; მეოთხე მარცვალი („ბე“) წარმოითქმის თანდათანობით დამავალი ტონით. სიძლიერეც თანდათანობით კლებულობს; მეხუთე მარცვალში („ლი“) ტონი დამავალია, სიძლიერე ნულს უდრის“ (ს. ქლენტი).

მეორე მხრივ, თუ ტონის ბგერობრივი ხმიერების შესწავლას ფრაზას დაუკავშირებთ და დაწვრილებით განვიხილავთ მის ადგილსა და მიმართებას მოცემული ფრაზის საერთო შინაარსთან, აღმოჩნდება, რომ დამავალი ტონით წარმოითქმის თხრობითი, ძახილისა და ისეთი კითხვითი წინადადებანი, რომლებიც კითხვით სიტყვებს შეიცავენ, ხოლო აღმავალი ტონით ისეთი წინადადებანი, რომლებშიც კითხვითი სიტყვები არაა; აგრეთვე კითხვით-ძახილის წინადადებანი.

სავარჯიშო 17. გაეცანით ქართული აქცენტუაციის შესახებ წარმოდგენილ ცნობებს. მოიგონეთ, აქ მოცემული ცნობების დამადასტურებელი ნებისმიერი მაგალითები და აწარმოეთ მისი წარმოთქმა ცალ-ცალკე და შემდეგ ფრაზაში შესატყვისი აქცენტი.

სავარჯიშო 18. გაიცანით წარმოდგენილი მასალა, მოძებნეთ მასში ხუთი და ექვსმარცვლიანი სიტყვები. გაარკვიეთ, რა განსაზღვრავს ამ სიტყვებში ქართული აქცენტუაციის სიძლიერის ერთგვარობას და ტონის სიმალლის მსუბუქ მოდულაციას, გარდა პირველი და მეორე მარცვლებისა.

„პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია; მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ქრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი ღენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს...“

როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულნი ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრძანა, — წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო... დიდ ტვირთადვე იცნო იგი

ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და ჩას ყველაფერი ანაცვალა... ყველაფერს შეესწირავ განწირულის სულის კვეთებამდეთ... რომლებიც წინასწარპეტყველებად გადაექცა ბოლოს.

...ეს ჭავრი თან ჩაიყოლა ამ ჩვენმა განმადიდებელმა კაცმა... მაგრამ რა არის ორმოცდაშვიდი წელიწადი უკვდავებისათვის... უკვდავებისათვის არც რაიმე ქვეყნიერობაზე გვიანია, არც რაიმე ადრე.

...ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შეჰკრიბა წარსომადგენლობა მთელის საქართველოსი, მაგალითია იმისი. რომ ჩვენი ერი ამალლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჰკუთავახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდბუნებოვან კაცისა...

რა დასადარია ხელთქმნილი ძეგლი, თუნდა დიდფასიანი, იმ ხელთქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა დიდბუნებოვნებამ ჩვენს გულში ალაგო“. (ილია).

სავარჯიშო 19. გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილი ზეპირი სიტყვის ნაწყვეტს და გაარკვიეთ, რა აქცენტის (ტონის) მოდულაციით გადმოიცემა ცალკეული წინადადების საერთო შინაარსი?

„ნუ ჰყოვნი, მეფეო! მეფე ერისათვის და ერი მეფისათვის! ერი იმერთა ითხოვსა ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოულო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამლუპავი ქვეყნისა. — ვითარ მოულო მეფობა ქართლისა ქართლის მეფეთა და რაი დაჰკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოელო მემამოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი? ვითარ მოელო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება“ (მზეჭაბუკ ორბელიანი).

ლოგიკური და ემოციური მახვილი ზეპირ სიტყვაში. ზეპირ სიტყვაში სათქმელი შინაარსის იდეური მიმართულების თავჩენისათვის და მკითხველთა ინტერესისა და ყურადღების მობილწებისათვის ჰარბად გამოიყენება ლოგიკური მახვილი.

ჩვეულებრივ ლოგიკური მახვილი დაერთვის სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს და მსმენელის ინტერესსა და ყურადღებას აქცენტის საშუალებით მეტყველების დაწყებისთანავე მიზნობრივ მიმართულებას აძლევს.

დავაკვირდეთ თამარ მეფის მიმართვას მხედრობისადმი შამქორის ომის წინ. ეს ომი, როგორც ცნობილია, ქართველი ხალხისათვის სამართლიანი იყო და ორატორიც სწორედ ომის ამ მხარეს წაძოწევს მსმენელთა გასამხნეველად.

„ძმანო ჩემო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათუის და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთან არს“. ამ მიმართვაში, როგორც ვხედავთ, ორი წინადადებაა, აქედან პირველ წინადადებაში სიტყვის საერთო იდეური შინაარსის თვალსაჩინოდ გადმოსაცემად ლოგიკური მახვილი მოდის სიტყვებზე. „ძმანო ჩემო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან“, ხოლო მეორეში კი—„ღმერთი ჩვენთან არს“.

მეორე მაგალითი: დავაკვირდეთ დავით აღმაშენებლის სიტყვის დასაწყისს, რომელიც სახელოვან მეფეს მხედრობის წინაშე წარმოუთქვამს დიდგორის ომის დაწყების წინ.

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ლეთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით. არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ“. ამ კონტექსტში ლოგიკური მახვილი მოდის მიმართვაზე. „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო“. და სიტყვებზე „წესიერად ვიბრძვით“, „ეშმაკის“ და „თვით ეშმაკებსაც“.

აღსანიშნავია, რომ მახვილი გამოიყენება რაიმე აზრის გამოჩინებისათვის სიტყვასა და სიტყვათა ჯგუფში. ამასთან ერთად, მისი მეშვეობითვე გამოიხატება მოუბრის ემოციური დაძოკიდებულება გადმოსაცემი შინაარსისადმი. ასეთ მახვილს სპეციალურ ლიტერატურაში ემოციურ მახვილს უწოდებენ.

ჩვეულებრივ ადამიანის ემოციური განწყობილება უპირატესად გადმოცემულია მხატვრული განსაზღვრებით, განმეორებით, ტროპებითა და რიტორიკული ფიგურებით. ამის გა-

მო ემოციური მახვილიც სწორედ ამ სიტყვებსა და გამოთქმებზე მოდის.

მაგალითად, ერეკლე მეფის გარდაცვალებით უზომოდ შეწუხებული სოლომონ ლიონიძე თავის ცნობილ 'სიტყვაში ასულიერებს ციურ სამყაროს და ასე მიმართავს მას: „განკრთი, განჰკვირდი, სტიროდე, ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკულავთაცა აბრაჰამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალეზი საუკუნოდ დაბნელდა!“ ამ კონტექსტში სიტყვის ავტორის ემოციური განწყობილება გადმოიცემა მეტაფორული ძიმართვით — „განკრთი, განჰკვირდი, სტიროდე, ცაო“ და ემოციური მახვილიც ამავე სიტყვებზე მოდის.

ზეპირმეტყველებაში ლოგიკური და ემოციური მახვილების დაუფლება-გამოყენება მოუბრის სერიოზულ ზოგად განათლებასა და სპეციალურ ვარჯიშს მოითხოვს. ვარჯიშის ობიექტი შეიძლება იყოს საკუთარ ან სხვის მეტყველებაზე დაკვირვება. ანდა შესაძლებელია, შევისწავლოთ ცნობილი ორატორების სიტყვები და ამის საფუძველზე დაავადგინოთ, რა კანონზომიერებით გამოიყენებიან ჩვენს წინაპრებს ზეპირ სიტყვაში აღნიშნული მახვილები.

სავარჯიშო 20. მოიფიქრეთ მოკლე ზეპირი სიტყვა იმ კინოსურათის ან მხატვრული ნაწარმოების გმირის შესახებ, რომელიც მოგწონთ, შეარჩიეთ აზრის ლოგიკურად და ემოციური განწყობილების გადმოსაცემად სათანადო ენობრივი მასალა და შემდეგ ზეპირად წარმოთქმისას დაუკვირდით, როგორ გამოიხატება წინასწარ შერჩეული გადმოსაცემი ენობრივი მასალებით როგორც ლოგიკური, ისე ემოციური მახვილების ხმეირება.

სავარჯიშო 21. გაეცანით წარმოდგენილ ტექსტუალურ მასალას და გაარკვიეთ, რა სახის საინტონაციო საშუალებებით, ამ შემთხვევაში მახვილებითაა გადმოცემული აკად. გ. ახვლედიანის დიდი პატივისცემა და სიყვარული ჩინებული მოწაფის — პროფესორ ს. ჟღენტისადმი.

„...უამისოდაც კარგად გაიკვლევს გზას ჩვენი გამოჩენილი

ფონეტიკოს-ენათმეცნიერის პროფესორ სერგი ჟღენტის შრომათა ეს კრებული, ისედაც შეასრულებს იგი თავის დანიშნულებას; მიაღწევს ახალგაზრდა თუ ძველ ფილოლოგებამდე. რომელნიც სიამოვნებით, მაგრამ გულისტკივილით წაიკითხავენ დაუვიწყარი სერგი ჟღენტის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ შრომებს...

ს ი ა მ მ ვ ნ ე ბ ი თ — იმიტომ, რომ მათში, როგორც წესი, ჩანს ავტორის მაღალი ნიჭიერება, მისი სრული აღქურვილობა კვლევის ნაცადი მეთოდებით, მისი კვლევის ფართო დიაპაზონი (მხოლოდ იგი იკვლევდა ყველა ქართველური ენის ფონეტიკას ექსპერიმენტულად), მისი აზროვნების სიღრმე და დამოუკიდებლობა და, ყოველივე ამის შედეგად, მისი დამარწმუნებლობა.

გ უ ლ ი ს ტ კ ი ე ი ლ ი თ — იმიტომ, რომ მკითხველს ეცოდინება კრებულის ავტორის ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის ამბავი¹

პაუზა ზეპირ მეტყველებაში. პაუზა საგანგებო ფუნქციას ასრულებს ზეპირი სიტყვით გათვალისწინებული იდეური შინაარსის მსმენელამდე მიტანისა და მის მხატვრულ-ლოგიკურ გააზრებაში. გამომეტყველებითი კითხვის მსგავსად ზეპირ მეტყველებაშიც პაუზა სამია: ლოგიკური, მხატვრული, ანუ ექსპრესული, და გრამატიკული. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ გამომეტყველებითი კითხვისას მკითხველს აღნიშნული პაუზების გამოყოფაში გარკვეულად ეხმარება ტექსტი. ხოლო ზეპირი სიტყვისას ეს დამხმარე საშუალება მოუბრისათვის არ არსებობს.

ამიტომ ზეპირ მეტყველებაში მოუბრის დამხმარე, მარეგულირებელი საშუალება უნდა იყოს: სათქმელი შინაარსის ღრმად ცოდნა, მისი მსმენელამდე მიტანის ტექნიკური მოთხოვნილებანი და, ბოლოს, საკუთარი მსჯელობის, თვით სმენისა და კონტროლის უნარი. აი. ძირითადად ამ მოთხოვნილებათა საჭიროებისამებრ გამოყენებით უნდა წარმართოს ზეპირი სიტყვის ავტორმა გადასაცემი შინაარსის ბუნებრივი მდინარება.

¹ ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, გვ. 5. 1965.

ლოგიკური პაუზა. ისევე როგორც წერილობით ტექსტში, ზეპირმეტყველებაშიც ლოგიკური პაუზა გამოიყენება მთავარი აზრის მკაფიოდ გამოსახატავად. მაგალითად, დავაჯვირდეთ მზექაბუჯ ორბელიანის ცნობილი სიტყვის ნაწყვეტს: „ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოულო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამლუპავი ქვეყნისა“.

ამ კონტექსტში ლოგიკური პაუზა ოთხგან გვხვდება, კერძოდ, დაწყვილებული სიტყვების შუაში. „მეფობა (შვილიშვილსა“, „უბედურებითი) იმერთათვის“, უსარგებლო (ქვეყნისათვის“, და „დამლუპავი) ქვეყნისა“. საანალიზო მასალაში სათქმელი სიტყვის მთავარი აზრის გამოჩნატველ პაუზათა ამგვარად ამოცნობა და მისი მართებულად გამოხატვა მეტყველებაში უფრო მკაფიოსა და ნათელს ხდის მსმენელისათვის მზექაბუჯ ორბელიანის სიტყვის პათოსს — ქართველი ხალხის ხსნა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შენებაშია და არა განცალკევებაში.

სავარჯიშო 22. წაიკითხეთ წარმოდგენილი ნაწყვეტი ნიკო დადიანის სიტყვიდან „თქმული გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე“. დაადგინეთ, რომელ სიტყვებზე ან ფრაზებზე მოდის ლოგიკური მახვილი ტექსტში და ამის შემდეგ დაეუფლეთ მის პრაქტიკულად გამოყენებას იმავე ტექსტუალური მასალის წარმოთქმისას.

„შემძრწუნებული გულით ვუშეერთ საფლავად ჩამავალს მუშაკს „მადლისა და ქეშმარიტებისას“, გულის ტკივილით ვეთხოვებით „მშვიდობისა და სიყვარულის“ მოძღვარს, სიობლის მწუხარებით ვაბარებთ სამარეს საყვარელსა და სანატრელს მამას... აქ ნუგეში ძნელი სათქმელია, რომ თვითონვე არ იყოს ნუგეშინის მცემელი სიცოცხლის ღვაწლითა და სიკვდილის დიდებითა: მან განადვიდა და გამოიწვია გულში მთვლემარე წმინდა გრძნობა კაცობისა და ქრისტიანობისა ჩვენ შორის; გაგვიცოცხლდა და წინ დაგვიყენა დიდი სახე დიდთა მოძღვართა ჩვენის ეკლესიისა, ჩვენის ერისა, ჩვენის სულიერის ღონისა; ამოიგო მსოფლიო ისტორიაში სამშობლო ქვეყნის წილი გონების მოღვაწეობისა; პირი დაუყო უმეცარ მოჩემართა; ასწია

თავისი მხრებით მძიმე ლოდი სამარისაგან მივიწყებულის სა-
ერო მოღვაწისა და გაჰობრწყინვა მისი სახელით მთელი ქვეყ-
ნის წინაშე სახელი მშობლის ქვეყნისა; ღრმად გაავლო ნათე-
ლი კვალი წასულსა და მომავალს შუა; გვიანდერძა სიყვარული,
შრომა და სწავლა, გვიჩვენა გზა ნიჭთა და ღონეთა ხმარები-
სა“...!

მხატვრული ანუ ემოციური პაუზა. მხატვრული პაუზით ხა-
ტოვნად, ემოციურად გადმოიციემა მოუბრის სუბიექტური და-
მოკიდებულება ზეპირად გადმოსაცემი შინაარსისადმი. ამ შემ-
თხვევაში ზეპირი სიტყვის ობიექტი შეიძლება იყოს ვინმე
თვალსაჩინო პიროვნების დამსახურების გაცნობა ან ხალხის
ცხოვრებიდან რომელიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის დახა-
სიათება.

ასეთი შინაარსის ზეპირი სიტყვის გადმოცემისას მხატვრუ-
ლი პაუზა გამოიყენება როგორც წყალგამყოფი ხაზი სწორედ
იმ სიტყვის წინ, რომლის გამოყოფაც გესურს და, მაშასადამე,
ამის მიხედვით მსმენელში ვქმნით გარკვეული მოლოდინის გან-
წყობილებას. მაგალითად, სოლომონ ლიონიძე მეფე ერეკლეს
გარდაცვალებისას ამბობს: „ცამან მისტაცა ქვეყანას სიმდიდ-
რე, ძლიერთა—ძალი, ბრძენთა — გონიერება, ერთა—გვირგვი-
ნი, მხედართმთავართ — სარდლობა და თვითმპყრობელთა —
სახელმწიფო ზრდილობა“.

ამ კონტექსტში მეფე ერეკლეს მხედართმთავრული ნიჭი და
სახელმწიფოებრივი დამსახურება უპირატესად გადმოცემუ-
ლია იმ სიტყვებით, რომელთაც ხაზი აქვთ გასმული. მეფე
ერეკლეს დახასიათების ამ ხერხით აშკარაა ორატორის განწყო-
ბილების არსიც. ამიტომ ზეპირი მეტყველებისას აღნიშნული
სიტყვების წინ კეთდება პაუზა, იქმნება სათანადო მოლოდინი
სათქმელი შინაარსის დაკონკრეტებისა თუ ხაზგასმით წარმოჩე-
ნისა და ამის შემდეგ წარმოითქმება სიტყვა.

სავარჯიშო 28. გაეცანით წარმოდგენილ მასალას, აღნიშნეთ,
რომელი სიტყვების წინ მოდის მხატვრული პაუზა და ამის შემ-
დეგ გაარკვიეთ, რა ფუნქციას ასრულებს თქვენ მიერ ფიქსი-
რებული მხატვრული პაუზა გადმოსაცემი სიტყვის იდეური ში-

¹ ქართული მკვებრმეტყველება, გვ. 265, 1958.

ნაარსის წარმოჩენასა და, რაც მთავარია, სიტყვის მხატვრული ღირებულების შექმნაში.

„თუ სპარსთ დაიპყრეს შენი უმაღლესი ტახტი, — შენგან წინაპართ შობილთ მეფეთ შარავანდედი—მეფე ერეკლე ცოცხლებდინ საუკუნოდ. რომელმაც საქართველო ნადირავშარისაგან გამოიხსნა და ფათალი-ხან, ავშარის მეფე აზატხან ათასი ერთით წარიქცია, რომლისაც დიდება მეორემ აღექსანდრემ — პრუსიის მეფემ ფიდერიკოს — თეთრზე დაწერა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში — ღერკულეს უძლეველი, საქართველოს გიორგიანთ მეფეო“.

ხმის ძალისა და თხრობის სტილისტიკური ნაირფეროვნება ზეპირსიტყვაში. ზეპირსიტყვაში ესა თუ ის მასალა ხმის სხვადასხვა ძალითა და, აგრეთვე, თხრობის განსხვავებული სტილისტიკური შეფერილობით გადმოიცემა. მაგალითად, ზეპირი სიტყვა უპირველესად მისი იდეურ-თემატიკური შინაარსის თავისებურების გამო ერთ შემთხვევაში შეიძლება წარმოითქვას დაბალი ხმის, მეორე შემთხვევაში—ამაღლებული ხმის, მესამე შემთხვევაში კი—მაღალი ხმის ძალით.

დავაკვირდეთ წინამძღვრიანთკარში წარმოთქმულ ილიას ცნობილ სიტყვას. ამ მასალაში დაბალის ხმის ძალით გადმოიცემა სიტყვის დასაწყისი: „ერთი ორიოდ სიტყვა მეც მინდა გითხრათ, და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები:

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო“.

ამაღლებული ხმის ძალით გადმოიცემა:

„თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაიბლერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო საესეა, არც ჩვენ თითონ ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული, მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია; ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული

ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი, — მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.“

მ ა ლ ა ლ ი ხ მ ი ს ძ ა ლ ი თ გ ა დ მ ო ც ე მ ა :

„იმიტომ, რომ არ ვიცი — სად რა სიმდიდრე სძევს, სად რა განძია, არ ვიცი — საიღამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯათაც ადვილი იყოს და ნაჯათაევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ — ის, რაც თქვენისავე სიტყვით თითონ ღონესაც სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს. რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა. ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო. ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით — უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო“.

ასევე ნაირფეროვანია ყოველი ზეპირი სიტყვის თხრობის სტილისტიკური მხარეც. ამ შემთხვევაშიც სიტყვის სტილისტიკური ელფერი განისაზღვრება გადმოსაცემი შინაარსით, მასში ასახული მოვლენების ხასიათით. კერძოდ, ამ მოთხროვნის მიხედვით ზეპირი სიტყვა შეიძლება იყოს მ შ ვ ი დ ი, მ ლ ე ლ ვ ა რ ე და მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე (პ ა თ ე თ ი კ უ რ ი).

თხრობის აქ დასახელებული სტილისტიკური ფერადოვნება, არსებითად, ყოველი ზეპირი სიტყვისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა აქ ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ყოველ სიტყვაში თხრობის ეს ნაირფეროვნება შესაძლებელია ერთნაირი სიმკვეთრით არ ჩანდეს.

მაგალითად, ბექა ჯაყელის სიტყვაში მ შ ვ ი დ ი თ ხ რ ო ბ ი თ გადმოიციემა:

„დიდმან და სახელოვანმა, სკიპტრისა და პორტირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამხო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა. მას უამითგან აქო-აქამისმდე არღარა ჩენილან თურქნი“.

მ ლ ე ლ ვ ა რ ე თ ხ რ ო ბ ი თ გ ა დ მ ო ი ც ე მ ა :

„აწ ცოდვათა ჩუენთათვის, და კუალად ალაობრეს მძვინვარად ტაო და ურიცხუი სული ტყუე-ყუეს და მოსწყვიდეს პირ-

თა მახვილისათა. ეკლესიანი დასცნეს და სიწმიდენი შეაგინეს, და კუალად განმზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტიანეთა და მოხრებად. ვინათგან მეფე შემცილებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანნი განდგომილან. და არავენ არს წინააღმდეგომ თურქთა“.

მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე — პ ა თ ე თ ი კ უ რ ი თ ხ რ ო ბ ი თ გ ა დ მ ო ი ც ე მ ა :

აწ ისმინეთ ჩემნი, ტომნო და ერთნებანო, და შეეკრბეთ ყოველთა ძალითა ჩუენითა და მივმართოთ თურქთა, და არა მივსცეთ თავნი და შვილნი ჩუენნი, და არა განგუწირნეს ღმერთმან მოსავნი მისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ ზედა, ვითარ მამათა ჩუენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგინებლობისათვის და ძმათა ჩუენთათვის: უეჭველად ღმერთი მოგუანიქებს ცხოვრებასა“.

სავარჯიშო 24. გაეცანით წარმოდგენილ მასალას და გაარკვიეთ, როგორი ხმის ძალითა და თხრობის სტილისტიკური ელფერიტაა გადმოცემული სამგლოვიარო სიტყვის ამ ნაწილში ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის დამსახურება სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

„ჩვენი ქვეყანა მრავალ პირგამოვლილი, აწინდელთა შვილთა თვისთა მიერ ვერ იყო ღირსეულად შეგნებული, ევროპიელნი ან სულ არ გვიცნობდნენ. ან გვიცნობდნენ მრუდეთ და შემცდარად. მრავალი სახლი ჩვენის სამშობლოსი ძველთაგან აცდენდა ბევრს საჩინო მეისტორიეს, დღეინდელნი მეცნიერნი, არა მცოდნენი ჩვენთა წერილთა და წყაროთა უარისყოფით უყურებდნენ ჩვენს საისტორიო გონებითს განვითარებას, საისტორიო დიდებას.

აი, ამ მეცნიერთა კითხვას ამან უპასუხა არა წერით მხოლოდ, არა ფრაზებით და პოლემიკით, არა... აჰან აალაპარაკა ქვები, აალაპარაკა საფლავეები, აალაპარაკა ნანგრევები და ამათ ათქმევინა უტყუარი პასუხი ჩვენის წარსულის სიმართლისა, რომელსაც ვერავითარი შაშარი საისტორიო კრიტიკისა ვერ შეარყევს. ეს იყო გმირი. მაგრამ როგორი?... ღვთის მაღლით, ახლა ჩვენში სამხედრო გმირობა ისე საჭირო აღარ არის, როგორც ძველად. ახლა არის საჭირო გმირობა სამოქალაქო;

არის საჭირო და საძნელოც, რადგან სამოქალაქო გმირობა არის განუწყვეტელი, დაუძინებელი ომი უმეცრებასთან, სიავესთან, სიცრუესთან. ამ ბრძოლას უნდა მთელი სიცოცხლე, და ამ მოღვაწემ, ვინც ეს არის ახლა ჩაგვისვენდა საფლავს, მონადრომა თავის პატიოსანი გრძნობა, მრავლის მცნობელი გონება, მტკიცე ხასიათი, სრული თვისი არსება და სიცოცხლე“.¹

სავარჯიშო 25. გადმოეცით ზეპირად გიორგის ტრაგიკულად დაღუპვის ეპიზოდი ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით, დაადგინეთ, თხრობის რა სტილისტიკურ ფორმებს გამოიყენებთ და როგორი ხმის ძალით წარმოთქვამთ სიტყვას.

ზეპირი სიტყვის ტემპი. ზეპირი სიტყვის ტემპი, მისი სიხშირე, ზომიერება და სიღრმე ზეპირი სიტყვის შინაარსის ხშიერი პარამეტრებია. თუ წარმოსათქმელი სიტყვის შინაარსს შეესაბამება მოუბრის სამეტყველო ტემპი, მაშინ მსმენელი იხიბლება და ზეპირი სიტყვაც დიდი ინტერესით აღიქმება. ყოველივე ამის გამო ზეპირ მეტყველებაში ტემპის ტექნიკურ მოთხოვნათა დაცვა მოუბრის საკმაო მომზადებასა და კულტურაზე მიგვითითებს.

ძირითადად ზეპირი სიტყვის ტემპი შეიძლება იყოს: შენელებული, საშუალო, აჩქარებული და ჩქარი. დავაკვირდეთ გუბაზ მეფის სიტყვას, წარმოთქმულს მხედრობის მიმართ; ამ სიტყვიდან შენელებული ტემპით გადმოიცემა: „მე არ ვიცი, ვაყვაცებო, საჭიროა თუ არა კიდეც რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი თქვენ აღსაფრთოვანებლად“...

საშუალო ტემპით — „ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებათა საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული, რასაც ჩვენთან ამჟამად აქვს ადგილი“.

აჩქარებული ტემპით — „საფრთხე არსებობს ხომ ცოლებისათვის, შვილებისათვის, სამშობლო ქვეყნისათვის და,

¹ ქართული მკვლევარების მიხედვით, გვ. 262, 1958:

ერთი სიტყვით, ყველაფრისათვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მიიტანეს“.

ჩქარი ტემპით — „არავინ არ დაუთმობს იმათ, ვინც რასმე ართმევს მას ძალით მისი ქონებიდან, ვინაიდან ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს თავისი საკუთრებისათვის. თქვენ კარგად იცით, რომ წინ აღარაფერი უდგება სპარსელების ანგარებას, როდესაც მათ ეს შეუძლიათ; თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არც თუ მხოლოდ დაგვიმორჩილებენ ან ხარკს დაგვადებენ ან სხვა რამესაც დაისაკუთრებენ — ნუ დაივიწყებთ იმასაც, რაც ამას წინათ ხოსრომ ჩაიდინა ჩვენ მიმართ — მაგრამ დე სიტყვის ფარგლებში ნუ დაგვირჩევა სპარსთა საქმეები, დე ნუ აღიგვება სახელი ლაზთა. ძნელი არ არის, ვაუკაცებო, მიდთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე ხელჩართულ ბრძოლაში. მიჩვეული-სათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიღუბსჯირე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით. ასე რომ, შესაფერისი იქნება გძულდესთ მტრები, როგორც ბრძოლაში დამარცხებულნი და არა თქვენსაკით აღფრთოვანებულნი. ერთხელ დამორჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ, ველარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედით“.¹

სავარჯიშო 26. წაიკითხეთ ი. ჭავჭავაძის სიტყვა წარმოთქმული გრ. ორბელიანის დასათვლავებაზე და დაადგინეთ მისი წარმოთქმის ტემპი. ახსენით, როგორ შეესატყვისება სიტყვის საერთო იდეურ შინაარსს თქვენ მიერ დადგენილი საწარმოთქმო ტემპის სახეობანი.

სავარჯიშო 27. გადმოეცით თხრობით განდევილის და მწყემსი ქალის შეხვედრა ი. ჭავჭავაძის პოემა „განდევილის“ მიხედვით, დაადგინეთ თქვენ მიერ მომზადებული ზეპირი სიტყვის ტემპი, ახსენით, როგორ იჩენს თავს თქვენს თხრობაში დადგენილი სატემპო საზომები.

¹ ქართული მკვლევარების მიერ, გვ. 104.

მიმიკა და ქესტი

ყოველ ზეპირ სიტყვას მეტ-ნაკლებად ახლავს მოუბრის სხეულის ნაწილის ან ნაწილების მოძრაობა. სახის ნაწილების მოძრაობას მიმიკას უწოდებენ, ხოლო ხელის კიდურების მოძრაობას — ქესტს.

ზეპირ სიტყვაში მიმიკაც და ქესტიც, ენობრივი მასალის მსგავსად, გადმოსაცემი აზრის ფორმობრივი მხარეა. ამ შემთხვევაში გადმოსაცემი შინაარსი განსაზღვრავს როგორც ზეპირი სიტყვის, სიძლიერესა და ტონაციას, ასევე მის გამომხატველ ისეთ არასიტყვიერი კომპონენტების ხმარებასაც. როგორცაა, მიმიკა და ქესტი. შინაარსისა და მისი გამომხატველი ფორმობრივი კომპონენტების ეს ურთიერთგანპირობებულობა კარგად შენიშნა არისტოტელემ. იგი ორატორებს მიუთითებდა: „მკაცრი სიტყვები არ წარმოთქვათ არამკაცრი ხმით, არ მისცეთ სახეს მკაცრი გამომეტყველება და არ გააკეთოთ სხვა მსგავსი მოქმედება“.¹

მარკ ტულიუს ციცირონი ამტკიცებდა, რომ ზეპირსიტყვაში მიმიკა რაიმე გადმოსაცემი შინაარსის ახსნააო.

უკანასკნელ პერიოდში მიმიკისა და ქესტის მეტყველებასთან მიმართების საკითხები სპეციალურად შეისწავლეს ლინგვისტებმა, ფსიქოლოგებმა, პედაგოგიკის სპეციალისტებმა და სხვებმა. გაირკვა, რომ მიმიკასა და ქესტს ადამიანის ზეპირ მეტყველებაში აქვს მხოლოდ დამხმარე. მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.

სხვადასხვა სიტუაციისა და შინაარსის გადმოცემისას შესატყვისი მიმიკისა და ქესტის გამოყენების სპეციალური საკითხები საგანგებოდ გამოიკვლია პ. ლესგაფტმა. მისი აზრით, ადამიანის სულიერი მოძრაობის ასახვის უტყუარი სარკეა სახე და მისი მგრძნობიარე კუნთების მოძრაობა. პ. ლესგაფტი გამოყოფს მიმიკისა და ქესტის შემდეგ საექსპოზიციო მოდელებს:

1. განყენებული, აბსტრაქტული აზროვნების დროს ადამიანის სახეზე შეიძინევა ერთგვარი დაკვიმულობა, თვალები

¹ „ორატორული ხელოვნება“, 1943, 1961.

მიპყრობილია ზეცისაკენ; სახის ნაწილების ასეთი კონფიგურაცია დამახასიათებელია, აგრეთვე, პოეტური აღმაფრენისათვის.

2. მწუხარების ან ადამიანისათვის დამამცირებელი, საჩოთირო სიტუაციის დანახვისას მოუბრის მზერა მიპყრობილია ქვემოთ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოუბარს სურს დამალოს თავისი ჰირადული მიმართება შექმნილი სიტუაციისადმი.

3. თუ მოუბრის სულიერი განწყობილება განსაკუთრებით მწვავეა, მაშინ ზეპირმეტყველება პერიოდულად წყდება, მოუბარი ხელებს იფარებს სახეზე, ცდილობს რაც შეიძლება მალე გაშორდეს ხალხს, განმარტოვდეს და ყველაფერ იმას, რაც ნახა, საკუთრივ გაუყეთოს ანალიზი.

და, ბოლოს, როდესაც საქმე ეხება მსმენელთათვის სასურველი, რეალური, ცხოვრებისეული შინაარსის გადმოცემას, მაშინ ადამიანის სახეზე აღიბეჭდება სანდომიანი, ხალისიანი განწყობილება, მოუბრის მზერა უშუალოდ მიპყრობილია მსმენლისადმი, იგრძნობა მისი გულმკერდის და საერთოდ სხეულის ერთგვარად შემართებულად წინა პლანზე წამოწევა და ყოველივე ამით იქმნება მოუბრისა და მსმენელის სააზროვნო ურთიერთკავშირში ახლო ყოფნა.

შინაარსობრივი თვალსაზრისით ესეტი შეიძლება იყოს: ა) მიმართებითი. ამ შემთხვევაში ხელის (ან ორივე ხელის) გარკვეული მიმართულებით მოძრაობა ერთგვარად აზუსტებს გადმოსაცემი სიტყვის შინაარსს. ამახვილებს მსმენელის ყურადღებას იმ გარემოებაზე ან ფაქტზე, რომლის გამოყოფა-გამოჩინება სიტყვიერი საშუალებით გვსურს. მაგალითად, როდესაც გ. ტაბიძის ლექსს „დროშები ჩქარა“ ზეპირად ვამბობთ. მაშინ ბოლო ტაეპის —

„გათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით,
დროშები, დროშები, დროშები—ჩქარა!“—

წარმოთქმას თან ერთვის ხელის ნახევრად მაღლა აწევით ენერგიული მოძრაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ხელის მოძრაობაც დაახლოებით ისევე რიტმულია, როგორც და-

სახელმწიფო ტაქტიკის ლოგიკურ მახვილიანი ცალკეული სიტყვების წარმოთქმა.

მეორე შემთხვევაში ქესტი შეიძლება იყოს მითითებითი, თუ იგი საგანზე ან პიროვნებაზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას. ასეთ შემთხვევაში მოუბრის ყურადღება ერთ საგანს ან საგნებს ეხება და ამდენად იგი სტატიკურია. მაგალითად, კონტექსტში „და თქვენ, მტირალნო, ნათესავნო ქართლოსისანნო, სარკინოზთაგან უძლეველნო მხედარნო“ ხელის ძუნწი მითითებითი მოძრაობით გამოიყოფა ის პირები, ვისაც შინაარსობრივად მიემართება სიტყვა.

ზოგჯერ ხელის მოძრაობა თან ერთვის კითხვითი სიტყვით დაწყებულ რიტორიკულ მიმართვას ან შეძახებას და ამის საფუძველზე კიდევ უფრო კონკრეტდება მოუბრის განწყობილება, წარმოთქმული სიტყვის იდეური შინაარსი. მაგალითად, კონტექსტში — „რად სტირით, ძენო, ობოლნო მამისაგან, და შენ, შესაკრებლო სახლო ივერიელთ ნათესავთაო, ტაძარო ათორმეტისა სკიპტრისაო?! რად სტირი, სადავითოვ სახლო?“ — კითხვითი სიტყვის („რად“) წარმოთქმას თან დაერთვის ხელის რამდენადმე მალლა აწევით შემართული მოძრაობა, რაც კიდევ უფრო სრულყოფს მოუბრის დიდ სულიერ დაჭიმულობას, მის განუზომელ მწუხარებას.

ბ) გამომეტყველებითი ქესტი იხმარება ისეთ შემთხვევაში, როდესაც წინადადებიდან ან წინადადებათა კონტექსტიდან გამოეყოფთ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს და მას ხელის ენერგიული მოძრაობით ხმის გარკვეულ სიძლიერესა და ელფერთან ერთად განსაკუთრებული ემოციურობა და ექსპრესულობა ეძლევა.

ჩვეულებრივად ასეთი ქესტი მოდის ფსიქოლოგიური პაუზის წინ, კერძოდ, კითხვითსიტყვიან რიტორიკულ მიმართვაში ზმნების ან იმ საგნებისა და მოვლენების გახსენების შემდეგ, რის საფუძველზეც უფრო მძაფრად შეიგრძნობა ის სიტუაცია, რომლის დახატვა და კონკრეტულად წარმოდგენა სურს მოუბარს.

შინაარსობრივი თვალსაზრისით გამომეტყველებითი ქესტი შეიძლება იყოს ა) გაკვირვებითი, რომელიც

ჩნდება ფსიქოლოგიური პაუზის წინ. მაგალითად „...რად გინდოდა სახელმწიფო პორფირი—თუკი დასაძინებელს სუდარს გარს მოიხვევდი? რად გინდოდა განსაგებელი სკიპტრა—თუკი სკიპტრის მპყრობელს ხელებს გულზე დაიკრეფდი?! რად გინდოდა ქვეყნის მაჩრდილობელი დროშა—თუკი მტერზე გარდახურვილს შენის შიშის ფარდას ახდიდი?! რად გინდოდა სახელმწიფო ტახტი—თუკი დასამიწებელს საფლავს იშენებდი?!“

საანალიზო კონტექსტში ფსიქოლოგიური პაუზა მოდის სიტყვა „თუკის“ წინ ოთხჯერ. მოუბარი ზეპირად მეტყველებისას ჩერდება ამ სიტყვის წინ, აკეთებს გაკვირვების გამომხატველ ძუნწ ექსტს — ხელის კიდურის სანახევროდ ზევით აწევით.

ბ) კითხვითი შინაარსის გამომხატველი ექსტი.

დავაკვირდეთ ქვემოთ მოტანილ საანალიზო მასალას: „სად დაჰხედ, მზეო, სამეფოთა სირათა და პანკრატით გვართაო, რომლისა დისკოსა ნათელს იღებდენ გონიერნი?! სად არის, ხელმწიფევ, შენი ხელმწიფური განგება?!.. რად შემოიხსენ ხრმალი, რომლისაც სადღესასწაულო გამარჯვება რიცხვით ღსოვნას ასცილდა?! რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომელსაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყანას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩხუბებოდა, სადა ღერკულეს მეფის უძლეველობის სტამბა ზეცას იბეჭდებოდა?!“

ანდა კიდეც:

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვრსკლავები,
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ, მკლავები?“.

წარმოდგენილ მასალებში კითხვითი სიტყვის გამომხატველი ექსტი — ხელის კიდურის უცბად ენერგიული ზევით აწევა თან ერთვის ხაზგასმულ კითხვით სიტყვებს, რომელთა შესაფერისი ტონაცია და ექსტი ერთიმეორეს ავსებს, აზუსტებს და უფრო მეტ აზრობრივსა და ემოციურ ელფერს აძლევს გადმოსაცემ შინაარსს.

გ) დაძაბული სიტუაციისა და მოქმედების გამომხატველი ექსტი.

„განკრთი, განჰკვირდი, სტიროდე, ცაო, რომ შენის სითალხისა და ვარსკვლავთა აბრაჰამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმაღლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა!“

დაბნელო, მზევე, რომელსაც გაქვს მოსასწავებელი დაბნელებით ჰირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა — მეფე ერეკლე — შენს ბრწყინვალეებას ველარაჰხედავს!“

მეორე მაგალითი:

„გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,

გასწო, გაჰკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!“

ორივე მაგალითში ლირიკული გმირის განწყობილებას უშუალოდ გამოხატავს ხაზგასმული ზმნები, რომელთა კონტექსტისეული შინაარსის მდინარებას თითქმის რიტმულად უკავშირდება ხელის მალლა აწევითა და მყისვე დაბლა დაშვებით მოძრაობა, რის საფუძველზეც მსმენელი უფრო ცხოვლად აღიქვამს გადმოსაცემი შინაარსის იდეურ აზრს. კერძოდ, პირველი მაგალითის მიხედვით სოლომონ ლიონიძის დიდ მწუხარებას მეფე ერეკლეს გარდაცვალების გამო, მეორე შემთხვევაში კი—ნ. ბარათაშვილის საბრძოლო პათოსს.

დ) ექსტი შორისდებულებთან.

პრაქტიკულად მიმიკაც და ექსტიც ყველაზე ქარბად შორისდებულებთან გამოიყენება. ამის საფუძველი კი ისაა, რომ შორისდებულებით გადმოიცემა ადამიანთა ნაირფეროვანი ემოციები.

ამიტომ სავსებით სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ რა შინაარსის ან სიტუაციის გამომხატველ შორისდებულსაც გამოვიყენებთ ზეპირმეტყველებაში, ექსტ-მიმიკაც ამის შესაბამისად გამოიყენება.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ სკოლაში გამომეტყველებითი კითხვისა თუ ზეპირი მეტყველების სწავლებისას თვით-

მიზნად არ უნდა გადაიქცეს ექსტ-მიმიკის გამოყენება. მასწავლებელმა ყოველთვის ზუსტად, ეკონომიურად, ძუნწად უნდა მიმართოს ექსტს და ასეთივე მოთხოვნა წაუყენოს მოსწავლეებსაც.

უნდა გვახსოვდეს, რომ მიმიკაც და ექსტიც, მართალია, გადმოსაცემ შინაარსს შეესატყვისება, მაგრამ, ამასთან ერთად, მეტყველების ეს კომპონენტი გვეხმარება თვით მოუბრის შინაგანი განწყობილებისა და, აგრეთვე, ორატორული მეტყველების კულტურის შესწავლაშიც.

მეორე მხრივ, საჭიროა შეგნებულად მოვერიდოთ ექსტისა და მიმიკის მექანიკურ გამოყენებას. არაა სასურველი, მიემართოთ მას აღწერილობითი, თხრობითი და სხვა მსგავსი სიტუაციების გადმოცემისას. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში თვით გადმოსაცემი შინაარსის კონტექსტისეული ენობრივი მასალით მსმენელისათვის ყველაფერი ნათელია. მაგალითად, დავაკვირდეთ ი. ჭავჭავაძის ცნობილი ნაწარმოებებიდან ზოგიერთ ადგილს. „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა—ორსართულიანი სახლი ქვიტკირისა“. ანდა კიდევ: „ჩვენ სოფელს ქვემოლამ ერთი თხუთმეტიოდე ვერსტი რომ გაგველოთ, კაი სანადირო ადგილები იყო რა იქ!.. ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც — გლეხისა არ იყოს—„ქრისტე ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბლერტია“, ყველგან კაი ადგილებია“.

ჩვენი აზრით, თუ საანალიზო კონტექსტურ მასალას წავიკითხავთ შესატყვისი ტონაციით, მაშინ მსმენელი ექსტის გარეშეც უთუოდ სწორად შეიცნობს წაკითხული ტექსტის შინაარსს.

როგორც სამართლიანად არის მითითებული, არაა საჭირო მექანიკური ექსტის ისეთი გამოვლინება, როგორცაა, მაგალითად, ან რაიმე საგანზე კაკუნის, თმაზე ხელის გადასმა, მეტყველების პროცესში ხელების ჩიბებში ჩაყოფა, ერთიმეორეზე ჯადაჭდობა ან სრესა, ჩახველება კითხვის დაწყებისა თუ ზეპირი სიტყვის წარმოთქმის წინ და სხვ. (ლ. გორბუშინა).

ზეპირსიტყვასთან შეხამებული ექსტ-მიმიკის გამომუშავებისათვის მოსწავლეებს სისტემატურად უნდა მოეთხოვოთ შესაფერისი ტექსტუალური მასალის ზეპირად წარმოთქმის პრაქტიკულად დაუფლება და გამოყენება. მაგალითად, საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს ძირითადად დრამატურ მეცადინეობაზე და, აგრეთვე, დაწყებითი განათლებისა და ფილოლოგიის სპეციალობათა ფაკულტეტების სტუდენტებს გამომეტყველებითი კითხვისა და ზეპირი მეტყველების კულტურის დონის ამაღლებისათვის შეიძლება მიეცეთ შემდეგი სახის სავარჯიშოები:

სავარჯიშო 27. წაიკითხეთ აკ. წერეთლის სიტყვა, წარმოთქმული ი. ჭავჭავაძის მკვლევობასთან დაკავშირებით, და აღნიშნეთ, როგორი მიმიკა და ექსტი შეიძლება იქნას გამოყენებული ამ სიტყვის წარმოთქმისას.

სავარჯიშო 28. მოიგონეთ თქვენი ცხოვრებიდან ან ნახული კინო-ფილმებიდან რაიმე ძლიერი განცდის, შთაბეჭდილების გადმომცემი ამბავი ან მოვლენა და დაადგინეთ, მისი ზეპირად გადმოცემისას რა სახის ექსტ-მიმიკას გამოიყენებთ.

სავარჯიშო 29. ყურადღებით გაიცანით მ. მრევლიშვილის „დაბალი ღობე“ და მ. თოიძის „მცხეთობა“, გარკვეულ თითოეულ სურათში რა სახის მოძრაობებია გამოკვეთილი. აღნიშნეთ, როგორ ახასიათებს თქვენ მიერ დადგენილი ექსტ-მიმიკა საანალიზო ნამუშევრების თითოეულ პერსონაჟს, რა ადგილი უკავია ცალკეულ პერსონაჟთა სხეულის მოძრაობას საანალიზო ტილოების იდეურ-მხატვრული შინაარსის სწორად გაგებასა და გადმოცემაში.

წარმოდგენილ სავარჯიშოებთან ერთად მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების საერთო კომპლექსში ექსტ-მიმიკისათვის კუთვნილი ადგილის დამკვიდრებისათვის საჭირო იქნება სათანადო ყურადღება მიექცეს მისი მოთხოვნების შესწავლასა და პრაქტიკულად განხორციელებას ქრესტომათიული მასალების დამუშავებისას. ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ ცალკეული ზეპირად შესასწავლი მასალის, აგრეთვე, დიდი მოცულობის თხზულებათა დამუშავებისას სპეციალურად გამოვყოფთ ეპიზოდებს და მოვთხოვთ მოსწავლეებს ექსტ-მიმიკის

პრაქტიკულად მიგნებასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

გასაგებია, რომ ასეთი მუშაობა უპირველესად უნდა აისახოს საშუალო სკოლის პროგრამებში.

ზეპირმეტყველების ფორმები

გამოყოფენ, ერთი მხრივ, ზეპირი მეტყველების თხრობით ფორმას და, მეორე მხრივ, ზეპირად დასწავლასა და გადმოცემას.

თხრობა. სათხრობი ობიექტი შეიძლება იყოს: ა) წერილობითი ტექსტუალური მასალის შინაარსი და ბ) არაწერილობითი, გარკვეულ სიტუაციაში შთაბეჭდილების საფუძველზე წარმოშობილი სათქმელი შინაარსი.

ორივე შემთხვევაში თხრობა შეიძლება იყოს: ვრცელი და მოკლე, მხატვრული და არამხატვრული, პირთაშენაცვლებითი და გამოკრებითი, ტექსტთან დაახლოებული და შემოქმედებითი და სხვ. ამასთან ერთად, არის გამონაკლისიც და ეს გამონაკლისი ეხება სწორედ წერილობითი ტექსტუალური მასალის შინაარსის თხრობას და არა საერთოდ ზეპირ მეტყველებას. მაგალითად, წერილობითი ტექსტის შინაარსის თხრობა შეიძლება მხოლოდ ტექსტთან მიახლოებით, შემოქმედებითად, ტექსტის სიუჟეტურ-კომპოზიციური ქარგის მიხედვით და სხვ.

თხრობის ეს მექანიზმი არ გააჩნია ეგრეთ წოდებულ ექსპრომატული ანუ არაწერილობით საფუძველზე წარმოშობილ ზეპირ სიტყვას. ჩვეულებრივ, ასეთი შინაარსის სიტყვა მოცულობით მცირეა, შინაარსობრივად მოკვეთილი და მხატვრულად ემოციური...

ადგილის, დროისა და მსმენელთათვის შესაფერისად წარმოთქმული ექსპრომატული სიტყვა მჭევრმეტყველის დიდ ინტელექტუალურ მომწიფებასა და გემოვნებაზე მიგვანიშნებს. თხრობის ასეთი უნარი და მანერა უპირველესად ხანგრძლივი მეცადინეობითა და ვარჯიშის საფუძველზე უმუშავდება ადამიანს. კერძოდ, თხრობის ზემოთ დასახელებული სახეების

მთლიანი მექანიზმის დაუფლებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) სათხრობი ამბის ფორმისა და შინაარსის შესატყვისობა,
ბ) სუბიექტის ინდივიდუალური შესაძლებლობანი და მიდრეკილება ზეპირმეტყველებისადმი,

გ) მოუბრის თვით კონტროლის უნარი საკუთარი მეტყველების ავ-ჯარგიანობისა და იმ რეაგირებისა, რასაც ამჟღავნებს მსმენელი წარმოთქმული სიტყვისადმი. აღნიშნულთან ერთად, მოუბარმა ზეპირი სიტყვის მომზადებისას ყურადღება უნდა მიაქციოს წერილობითი ტექსტის თხრობის ისეთ მოთხოვნილებას, როგორცაა, მაგალითად, ზეპირი სიტყვის შთაგონების სიტუაციური მომენტები და მასტიმულირებელი ფაქტორები, შესასწავლი ტექსტის დამუშავებისათვის განკუთვნილი დრო, ნაწარმოების იდეური შინაარსი, ჟანრობრივი, სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურება და სხვ.

მხატვრული მასალის ზეპირად დასწავლა. ზეპირი მეტყველების გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა მხატვრული მასალის ზეპირად დასწავლა.

პოეტური თხზულების ზეპირად დასწავლა და მისი წარმოთქმის მეცნიერული საფუძვლების ცოდნა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს, ამ მოთხოვნათაგან მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა განწყობისა და მეხსიერების როლი მასალის ზეპირად დასწავლაში, ტექსტის ზეპირად დასწავლის ტემპი და დროის ფაქტორი, მასალის ზეპირად დახსომების ტიპები (სახეები), ლექსის ზეპირად დასწავლის მეთოდები და სხვ.

მოსწავლეთა განწყობისა და მეხსიერების როლი ტექსტუალური მასალის ზეპირად დასწავლაში. როგორც ცნობილია მოსწავლეთა მიერ რაიმე ტექსტუალური მასალის ზეპირად დასწავლა-ათვისება რთული ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესია. ამ პროცესის ერთ-ერთი უშუალო მარეგულირებელი ფაქტორი დასასწავლი მასალისადმი, სასწავლო-შემეცნებითი ამოცანებისადმი მოსწავ-

ლეთა შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავებაა. ასე, რომ ჩვეულებრივ, მეცადინეობისას მოსწავლე იპეორებს რამდენჯერმე ამა თუ იმ ტექსტუალურ მასალას არა იმიტომ, რომ მას ეს განმეორება აინტერესებს, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ამ გამეორებით მიიღწევა მისი უმთავრესი მიზანი — ტექსტუალური მასალის ზეპირად დასწავლა.

ცხადია, „მეხსიერება ამ შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებულ როლს თამაშობს; იგი ის ძირითადი ფუნქციაა, რომელიც სწავლის უძირითადეს პირობას შეადგენს“.¹

ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ მეხსიერება, როგორც რაიმე ტექსტუალური მასალის დასწავლის ერთ-ერთი ფაქტორი განიხილება თვით მოსწავლის მთლიან პიროვნულ მესთან ურთიერთ კავშირში².

მასასადავე, თუ მოსწავლეს აქვს მოთხოვნილება, ე. ი. განწყობა შესასწავლი ტექსტუალური მასალა დაისწავლის მტკიცედ და დიდი ხნის მანძილზე პრაქტიკულად გამოყენებისათვის, მაშინ, როგორც მიუთითებენ, მის წინაშე დასახული ამოცანაც წარმატებით წყდება... ამის განსხვავებულ პირობებში კი ტექსტუალური მასალის ზეპირად დასწავლის შედეგები არადაამაკმაყოფილებელია.

აქედან გამომდინარე — მოსწავლეთა გააქტიურებისათვის, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობის ერთი მიმართულებით წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება:

ა) მასწავლებლის წინასწარ მოფიქრებულ შესავალ მუშაობას ზეპირად დასასწავლი მასალისადმი მოსწავლეთა გარკვეული ინტერესის აღძვრისათვის.

ბ) მასწავლებლის მიერ შესასწავლი ტექსტის ზეპირად წაკითხვას.

გ) და ტექსტის კითხვის პროცესში გამომეტყველებითა კითხვის ტექნიკური მოთხოვნების აკადემიურ დაცვას.

ზეპირად დასასწავლი ტექსტუალური მასალის ათვისების ტემპი და დროის ფაქტორი. შემჩნეულია, რომ მკითხველთა ერთი ნაწილი ტექსტუალური მასალის დაზეპირების მიზნით

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 301. 1945.

² ა. ფრანგიშვილი, „სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები“, გვ. 22, 23. 1969.

სწრაფი ტემპით კითხულობს, მეორე კი — შედარებით ნელი ტემპით. ამასთან მიუთითებენ, რომ რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ტექსტუალური მასალის კითხვის ტემპი შეპირობებულია თვით მკითხველთა ინდივიდუალური მონაცემებით. ცხადია, ასეთი მკითხველებისათვის „სწავლის ერთნაირი ტემპის რჩევა დაუსაბუთებელი იქნებოდა, ვინაიდან სწავლის ტემპიც თითოეულის ბუნებრივ ტემპზეა დამოკიდებული“ (დ. უზნაძე).

რაც შეეხება დროის მონაკვეთს, ინტერვალს, რომლის გავლის შემდეგაც უნდა მოხდეს ტექსტუალური მასალის კიდევ განმეორება ცოდნის განმტკიცებისათვის—ფსიქოლოგები გვიჩვენებენ, რომ ამ ინტერვალად შეიძლება მივიჩნიოთ 24 საათის ფარგალი.

თუ ამ ინტერვალის ნაცვლად ავიღებთ დროის უფრო დიდ მონაკვეთს, მაშინ ნაცვლად მტკიცე დასწავლისა. უფრო დაავიწყდება მკითხველს ყველაფერი ის, რაც უკვე ისწავლა გაზრდილი ინტერვალის წინა პერიოდში.

ტექსტუალური მასალის ზეპირად დახსოვნების ტიპები და ვარბი განმეორების საკითხი. ფსიქოლოგიაში გამოყოფენ ტექსტუალური მასალის დამახსოვრების სხვადასხვა ტიპებს... დაკვირვებიდან ცნობილია, რომ ზოგს ოპტიკური მასალის დახსოვრება უადვილდება, ზოგს აკუსტიკურისა და ზოგს კიდევ უფრო მოტორულის... მაგრამ წმინდა სახით ეს ტიპები ძლიერ იშვიათად გვხვდება, და იაიცი თითქმის მხოლოდ შემოქმედ ხელოვანთა შორის—სახელდობრ, წმინდა ოპტიკური ტიპის მხატვარი. აკუსტიკურის—მემუსიკე და მოტორულის—მოცეკვავე. ჩვეულებრივ ადამიანთა შორის კი როგორც წესი შერეული ტიპის ხალხი უფრო გვხვდება. (დ. უზნაძე)

ძირითადად ასე დგას საკითხი ტექსტუალური მასალის დამახსოვრების ტიპების დადგენისას, თუცა გამოწვევისა და აღნიშნავენ. ჩვენი აზრით ასეთ ვითარებაში სკოლის მუშაკებისათვის მთავარია უპირატესად მკითხველთა ისეთი ტიპი, რომელიც რაიზე მასალის დასწავლისათვის შერეულად დამახსოვრების სხვადასხვა ხერხს მიმართავს. საკითხის აშდაგვარად დაყენება თავისთავად გულისხმობს ერთგვარად გამო-

ნაკლისის გათვალისწინებასაც. მაგრამ დასასწავლი ძასალის ზეპირად დახსომების რომელ ტიპთანაც არ უნდა გვეკონდეს საქმე, მთავარია ვიცოდეთ, რომ ყველა მათგანისათვის შესასწავლი მასალის დასამახსოვრებლად ჭარბ განმეორებას დადებითი მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან, როგორც მიუთითებენ ასეთ შემთხვევაში დასასწავლი ტექსტის შინაარსი და ფორმა უფრო ხანგრძლივად გვაძახსოვრდება, ვიდრე მაშინ, როცა ამ ზერხს არ იყენებენ.

ლექსის ზეპირად დასწავლის მეთოდები. ლექსის ზეპირად დასწავლის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში არაა ერთნაირი აზრი. ზოგი მხარს უჭერს ლექსის მთლიანად ზეპირად დასწავლას, ზოგი — ნაწილ-ნაწილ და ზოგი კი დასახელებული მეთოდების კომბინირებას ამჯობინებს.

კერძოდ, ლექსის მთლიანად დასწავლის მომხრენი ვარაუდობენ, რომ პრაქტიკულად მკითხველთა გარკვეულ ნაწილს თითქოს ლექსის ზეპირად დასწავლა ეგრეთ წოდებული სატექსტო მასალის რამდენჯერმე მთლიანად, ე. ი. თავიდან ბოლომდე წაკითხვით ეადვილება.

მეორენი ფიქრობენ, რომ პრაქტიკულად უფრო ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლეები ლექსს ზეპირად დასწავლის მიზნით ყოფენ ფრაგმენტებად და ცალკეულ მათგანს თანამიმდევრულად შეისწავლიან, ხოლო მესამენი ამტკიცებენ, რომ პრაქტიკაში ყოველი მასალის ზეპირად დასწავლისათვის აუცილებელია როგორც მთლიანი წაკითხვა, ისე მთლიანი ტექსტიდან აზრობრივი ფრაგმენტების გამოყოფა და მისი დასწავლა და, ბოლოს, ისევ მთელი ტექსტის კვლავ გამთლიანებული წაკითხვა.

ამას იმით ასაბუთებენ, რომ ლექსის ზეპირად დასწავლის ასეთ დიფერენცირებას საფუძვლად უდევს მკითხველის ინდივიდუალური მონაცემები და სხვ.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? უწინარეს ყოვლისა ის, რომ ლექსის ზეპირად დასწავლის პედაგოგიური შინაარსი, ამ შინაარსის მთლიანი დიდაქტიკურ-მეთოდოკური ალგორითმი, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად გათვალისწინებული სპეციალურ ლიტერატურაში.

ლექსის ზეპირად დასწავლის მთლიანი კითხვის მეთოდი.

ყოველი მოსწავლე საზეპირო მასალას მთლიანი კითხვით დაიწყებს თუ ფრაგმენტებად დაყოფს, თავდაპირველად (სურს მას ეს, თუ არა სურს.) მაინც ზეპირად დასასწავლ მასალას დიფერენცირებულად უდგება. აზრობრივად ახლომდგომ ცალკეულ სტროფებს ითვისებს და ამის საფუძველზე, მასალას მთლიანად სწავლობს (იზეპირებს).

ზეპირად დასასწავლი მასალის ათვისების ეს პროცესი, ერთი შეხედვით შეუმჩნეველია (თავიდანვე მთლიანი კითხვით იწყებენ და რამდენიმე ასეთი წაკითხვით სულ უფრო და უფრო ითვისებენ მას). ასეთ შემთხვევაში მასალის პირველი მთლიანი წაკითხვის შემდეგ ყოველი მსგავსი წაკითხვა უკვე გამიზნულია არა საერთოდ დასასწავლი მასალის მთლიანი შინაარსის გასაგებად, არამედ ამ შინაარსის ცალკეული სტროფების დასასწავლად. ამიტომ ვამბობთ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს შესასწავლი ტექსტისადმი მკითხველის დიფერენცირებულ მიდგომას. მაგრამ, რადგან ფაქტობრივად სტროფები ცალკეულ ფრაგმენტებად არაა გამოყოფილი, ამიტომ გვესახება, რომ აქ თითქოს ნაკლებად შესამჩნევია ტექსტის მთლიანად კითხვის პროცესში მასალისადმი დანაწევრული მიდგომა.

ლექსის ზეპირად დასწავლის კომპლექსური მეთოდი.

ლექსის ზეპირად დასწავლისათვის ყველაზე ხელსაყრელია რიდის, მოიძანის, სმირნოვისა და სხვათა დაკვირვება. მათი აზრით ჩვეულებრივ ლექსის ზეპირად დასწავლაში კომპლექსურად წარმოგვიდგება დასასწავლი მასალის როგორც მთლიანად წაკითხვა, ისე იმავე ტექსტის ფრაგმენტებად დაყოფა და გამოყოფილი მასალის გააზრება-დაზეპირება. და, ბოლოს, ტექსტზე მუშაობის ეს პროცესი ყოველთვის მთავრდება შესწავლილი თხზულების თავიდან ბოლომდე რამდენჯერმე წაკითხვით. რაც პირველ ყოვლისა, თხზულების იდეურ-მხატვრული შინაარსის მთლიანობაში აღქმისა და შეძენილი ცოდნის გამოვლინება-განმტკიცებას ისახავს მიზნად.

ვფიქრობთ, დიდი დაკვირვება არაა საჭირო, გაირკვეს რომ ამ წესის მიხედვით რაიმე მასალის დაზეპირება იწყება რამდენჯერმე მთლიანი წაკითხვით, რომლის მიზანია: ა) წასაკით-

ჩავი ტექსტის საერთო შინაარსის შეგნებულად აღქმა-გაგება. ბ) მთლიანი ტექსტის აზრობრივ ერთეულად (ან სტროფებად) მიზნობრივად დაყოფა და საგანგებო მუშაობის ჩატარება მისი ზეპირად დასწავლისათვის.

ლექსის კომპლექსურად დასწავლის მეთოდის მოკლე საფეხურებრივი დახასიათება: დიდაქტიკური თვალსაზრისით უალრესად საყურადღებოა ტექსტის დასწავლის ამ მოდელის თითოეული საფეხურის შინაარსი. აქედან ჩვენთვის უფრო ადვილად გამოსაყენებელია ეგრეთ წოდებული მთლიანი კითხვა, მაგრამ სულ სხვა სიძნელეები იჩენს თავს დასასწავლი მასალის ფრაგმენტებად დაყოფისას. კერძოდ, მოსწავლეებს ხშირად უჭირთ ლექსიდან აზრობრივად ურთიერთდამოკიდებული ტაეპებისა და სტროფების გამოყოფა. ზოგჯერ ასეთი სიძნელის საფუძველს თვით დასასწავლი ტექსტიც იძლევა. მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ ბევრ თხზულებაში დასასწავლი მასალის შინაარსის გადმოსაცემი აზრობრივი სტრუქტურული საფეხურები ადვილად მისაგნებია. მაგალითად, დავაკვირდეთ გ. ტაბიძის ცნობილ ლექსს „განახლდა გული“:

„განახლდა გული... დღეს ის აღარ ვარ,
რაც უწინ ვიყავ... ფერი ვიცვალე...
გზა დამიძალე, შავო ბურუსო,
წყულო ღამევ, გზა დამიძალე!
წინ ვივლი, სანამ დავმიწდებოდე,
ბედს კი მაინც არ შევეურიგდები.
წინ ნუ მიხვდები, შავო ბურუსო,
წყულო ღამევ, წინ ნუ მიხვდები!
ნუთუ არ მეყო, რაც დასაბამით
გაუნელებელ ცეცხლში ვეწვალე?
ჩამომეცალე შავო ბურუსო,
წყულო ღამევ, ჩამომეცალე!
ვიეიწყვებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილეს
გამოთხოვების ცრემლებს ვაპკურებ,
გავანადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,
წყულო... ღამესაც გავანადგურებ...“.
წამების ცეცხლში განახლდა გული,
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე
გზა დამიძალე, შავო ბურუსო,
წყულო ღამევ, გზა დამილოცე!“¹

¹ გ. ტაბიძე. თხზ. ტ. I, გვ. 200, 1966.

ამ ლექსში გამოიყოფა ხუთი ეგრეთწოდებული, საფეხურებრივი სტროფი, რომელთა დასაწყისიდანვე მკითხველი აშკარად გრძნობს ნაწარმოებში ასახული იდეური შინაარსის უშუალოებასა და თანამიმდევრობას, რაც, ერთი მხრივ, ბუნებრივად გამომდინარეობს ნაწარმოების ლირიკული გმირის ცხოვრებიდან და, მეორე მხრივ, ცნობილი ისტორიული მოვლენის სწორად გაგებიდან.

ყოველივე ამის გამო ამ ლექსის ზეპირად დასწავლა მთლიანად წაკითხვის შემდეგ თანამიმდევრულად სტროფებად დაყოფით გამართლებულია, მაგრამ პროგრამით საშუალო სკოლაში ისწავლება ბევრი ისეთი თხზულება, რომელთა იდეური შინაარსის გადმომცემი, აზრობრივად ახლო მდგომი სტროფების, საფეხურებრივი კავშირის დადგენა ძნელდება. ნიმუშისათვის შეიძლება ავიღოთ იმავე ავტორის უაღრესად პოპულარული ლექსი „მთაწმინდის მთვარე“.

ამ თხზულების ფრაგმენტებად დაყოფა, ეგრეთ წოდებული აბსოლუტური თანამიმდევრობით, აშკარად მიუღებელია. ჩვენი აზრით, ლექსის პირველი სამი სტროფი წაკითხება თანამიმდევრული გამოყოფით, მაგრამ შემდეგი მე-4—5—6 სტროფები კი—ერთ მთლიანობაში. ცალკე გამოიყოფა სალექსო ტაეპი „რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი“, რომლის წინ კეთდება საკმაო პაუზა და ამის შემდეგ ხდება მისი წაკითხვა და, ბოლოს, დასახელებული სალექსო ტაეპის წაკითხვის შემდეგ კეთდება უფრო ხანგრძლივი ლოგიკური პაუზა და იკითხება დამამთავრებელი ტაეპი: „ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“.

ისმის კითხვა: რა უძევს საფუძვლად დასახელებული ლექსის აზრობრივი შინაარსის ასეთ პირობით დეფინიციას? ცხადია, თვით ნაწარმოების იდეური შინაარსის—კლასიკური და თანამედროვე მოწინავე პოეზიის ურთიერთობის ორგანული კავშირის ჩვენება.

ამიტომ ლექსის ზეპირად დასწავლისას ცალკე უნდა გამოიყოს ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ადგილის, მთაწმინდის მთვარის, თბილისის ისტორიული სახისა და მწუხარე სასაფლაოს ამსახველი სტროფები და ამ მასალის ზეპირად დასწავ-

ლას, როგორც საფუძველს, უნდა დაუკავშირდეს გალაკტიონისეული შეფასება თავისივე ქნარისა და, საერთოდ, ხელოვნებისა.

ახლა თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ, რომ განხილული ლექსის ზეპირად დასწავლისას ჯეროვნად არ იქნება გათვალისწინებული აღნიშნული მოთხოვნილებანი, მაშინ გასაგები გახდება, თუ რამდენად მექანიკურსა და უშინაარსო სახეს მიიღებს მოსწავლეთა მუშაობა დასახელებულ თხზულებაზე.

საბოლოოდ, სქემატურად ლექსის ზეპირად დასწავლისათვის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საორიენტაციო დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური პროცესი დაახლოებით ასეთი თანამიმდევრობით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. მოსწავლეთა დაინტერესება შესავალი მეცადინეობით ზეპირად დასასწავლი მასალისადმი.

2. მასწავლებლის მიერ ზეპირად დასასწავლი ტექსტის გამომეტყველებით წაკითხვა.

3. მასწავლებლისა და მოსწავლეთა ძალებით ზეპირად დასასწავლი ტექსტის სტრუქტურის დადგენა და ცალკეული აზრობრივად გამოყოფილი საფეხურებიდან, შესაძლებლობის ფარგლებში, მთავარი და არამთავარი ნაწილების გამოყოფა.

4. ზეპირად დასასწავლი ნაწარმოების აზრობრივად დაყოფილი სტროფების ურთიერთმიმართების იდეურ-მხატვრული პრინციპის გაგება.

5. მოსწავლეთა მიერ ტექსტის ცალკეული ნაწილების ურთიერთკავშირში ზეპირად დასწავლა.

6. მოსწავლეთა მიერ ზეპირად დასასწავლი ტექსტის გამომეტყველებით წაკითხვა.

7. დასასწავლი ტექსტის რამდენჯერმე თავისთვის ზეპირად წარმოთქმა მოსწავლეთა მიერ.

8. ამ მასალის დამატებითი კითხვა შეძენილი ცოდნის განმტკიცებისათვის.

ცოცხალი სიტყვისა და მისგან მიღებულ შთაბეჭდილებათა მნიშვნელობა ზეპირმეტყველების კულტურის განვითარებისათვის

ზეპირი მეტყველების კულტურის შეგნებულად ათვისებისა და პრაქტიკულად გამოყენებისათვის თეორიული ცოდნის

დაუფლებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოჩენილ მკვერმეტყველთა ცოცხალი ზეპირი სიტყვის უშუალო მოსმენას. პედაგოგიური ღირებულება ცოცხალი ზეპირი სიტყვის მოსმენისა იმაში მდგომარეობს, რომ მსმენელს შესაძლებლობა ეძლევა კომპლექსურად აღიქვას და გააცნობიეროს არა მარტო გადასაცემი სიტყვის შინაარსი, არამედ მკვერმეტყველის მთლიანი შემოქმედი პიროვნება, გამოყოს ცალ-ცალკე და გაანალიზოს ენობრივ მეტყველებასთან ერთად მკვერი პიროვნების ორატორულ ოსტატობაში რა როლს ასრულებს ისეთი დამხმარე შესაძლებლობანი როგორცაა, მაგალითად, მეტყველების ტექნიკურ-ორგანიზაციული მხარე, ექსტი და მიმიკა, მსმენელთან სიერცობრივი დამოკიდებულება და სხვ.

ზეპირი მეტყველების შინაარსობლივი და ფორმობრივი მხარის გასაცნობად კარგ საშუალებას წარმოადგენს, აგრეთვე გამოჩენილ მკვერმეტყველთა წარმოთქმული სიტყვების ფირფიტაზე ჩაწერა და დანიშნულებისამებრ მოსმენა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ზეპირი მეტყველების დაუფლების ეს ტექნიკური შესაძლებლობა, თუნდაც იმ ჩანაწერების სახით, რაც პედაგოგიურ მეცნიერებათა საკვლევი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიათა განყოფილების მუშაკების მიერ არის გაკეთებული. მთლიანად არ არის გამოყენებული. ვფიქრობთ. კარგი იქნება გატარდეს. ღონისძიებანი ცნობილი მწერლების, მეცნიერებისა და მსახიობთა ჩვენამდე შემორჩენილი მხატვრული კითხვისა და ზეპირი მეტყველების იშვიათი ნიმუშების გრამფირფიტაზე ჩაწერისა და მისი მასობრივად წარმოებისა. არა გვეგონია, რომ ქართველი კაცის ესთეტიკური მოთხოვნილება ჩვენი კულტურის ამ იშვიათმა საუნჯემ ჯაზურ სიმღერებზე ნაკლებად დააკმაყოფილოს.

მეორე მხრივ ზეპირმეტყველებაზე დაკვირვების, ცნობილ მკვერმეტყველთა ორატორული ხელოვნების შესასწავლად ძვირფას ცნობებს გვაწვდის უშუალოდ შესწავლა იმ შთაბეჭდილებათა, რომელიც ჩვეულებრივ ყალიბდება სანიმუშო მკვერი სიტყვის მოსმენისას. მეტ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილებათა შემეცნებით-პედაგოგიურ ღირებულებას ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ეს შთაბეჭდილებანი განეკუთვნება-

საქვეყნოდ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებს, მეცნიერებს, მწერლებს და, საერთოდ, ჩვენი კულტურის აღიარებულ პიროვნებებს.

დღეს-დღეობით ეროვნული კულტურის ეს საინტერესო შემკვიდრობა გაბნეულია სხვადასხვა დარგობრივ გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მათი შეკრება, შესწავლა და გამოყენება კი უთუოდ მრავალ მხრივია საყურადღებო. კერძოდ, ჩვენ საკითხთან დაკავშირებით ასეთ შთაბეჭდილებებში კონკრეტულად დახასიათებულია დიდად ცნობილ პიროვნებათა სიტყვის ხელოვნება, ე. ი. წარმოთქმული სიტყვის ადგილი, დრო, ვითარება, მიზნობრიობა და საშემსრულებლო მანერა, სიტყვის შინაგანი ლოგიკურ-სტრუქტურული მხარე და, ბოლოს, წარმოთქმული სიტყვის შინაარსის მსმენელამდე ემოციურად მიტანის უძდიდრესი საგანძური.

ქვემოთ, ვნახოთ კონკრეტულად, როგორ არის ასახული ნოსმენილ სიტყვაში მჭევრი მეტყველების ჩვენს მიერ აღნიშნული ნიშან-თვისებანი.

1. იაკობ გოგებაშვილის შთაბეჭდილება ილია ჭავჭავაძის ზეპირი მეტყველებისა და კითხვის ხელოვნების შესახებ:

„საქმე თ. ი. ჭავჭავაძეზედ მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზედ რვეული და დაიწყო კითხვა „ოთარაანთ ქვრივიდგან“ გიორგის სიკვდილისა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ზალაში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდის არ შესუსტებულა. მაგრამ მოეწია იგი მიზანს? სამტირალო სცენის წამკითხველმა ცრემლი უნდა მოკვაროს მსმენელს, — მხოლოდ ამ შედეგით ცხადყოფს იგი თავის ხელოვნების ღირსებას. გიორგის სიკვდილი სწორედ სატირლად არის აღწერილი, ხოლო ავტორის კითხვამ ვერც ტირილი გამოიწვია საზოგადოებაში და ვერც ცრემლები დააბნევია ვისმე. მართალია, სრული მართალი, რომ თეატრში დატრილდა ნამდვილი სიმწუხარის ატმოსფერო, მაგრამ ეს ნახევარ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. რად მოხდა ესა? რატომ ცოტადენი ცრემლი მაინც არ დაიფრქვა? იქნება კითხვის ნაკლის ბრალი იყო? არა გვგონია. მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიცს მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ბუნებრი-

ვის- მკითხველის ღირსებით: ხმა აქვს მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწვევ-დაწვევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შესაბამება წასაკითხის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა კაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობასა, რომელსაც-კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები წასაკითხისა. მაშ რატომ არ გამოიწვია მსმენელებში მისმა კითხვამ შესაბამისი ძალის გრძნობა? იმიტომ, რომ ილია წიგნში კითხულობდა და არა ზეპირად ამბობდა. როდესაც მკითხველმა ზეპირად არ იცის წასაკითხი, წიგნში იხედება, ხმა მოკლებულია თავისუფლებას, მიდის ქვევით, იატაკისაკენ, და იქითგან უკუქცეული იფანტება თეატრში. ხმას ეკარგება სიმკვირცხლე, გამომეტყველება, სიმკაფე და შთაბეჭდილება ერთი ორად და სამად სუსტდება. სამაგიეროდ, როცა მკითხველი წიგნში არ იხედება, პირი საზოგადოებისაკენ აქვს მიქცეული და ზეპირად ამბობს, მაშინ მისი ხმა სრულიად თავისუფლად მოძრაობს, კაფიოდ გაისმის, პირდაპირ მიდის მსმენელთა ყურებამდის და შესაფერ ჩასახულებას ჰბადავს მათ გულსა და გონებაში... ამგვარადვე უცვლის სიმღერას ზეპირად მისი თქმა და ნოტებში ცქერა. შეადარეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც გიორგის სიკვდილმა მოახდინა, იმ ძლიერ ჩასახულებასთან, რომელიც დაჰბადა მსმენელებში ლექსების ზეპირად წარმოთქმამ ილიასავე მიერ და თქვენ დამეთანხმებით, რომ ჩვენ სწორედ მართალს ვამბობთ, ან წარმოიდგინეთ, რომ კ. მესხის რკინის გზის სცენარეულში წაეკითხნა და არა ზეპირად ეთქვა და ოდნავადაც არ ამიხირდებით, თუ გეტყვით, რომ ერთი ხუთად წააგებდნენ სცენაც და არტისტიც ამ ცვლილებით. ისიც-კი უნდა ვთქვათ, რომ გიორგის სიკვდილი მარჯვე არჩევანს არ შეადგენს სცენისათვის. ავტორის ნაწერებში მოიპოვება ბევრი ათჯერ უფრო სცენაზედ ზედ გამოჭრილი ადგილი და რატომ დასდგა ამ არჩევანზედ, არ გვესმის. თუნდა ავიღოთ „კაცია ადამიანიდგან“ ლუარსაბის სიზმარი. ილიას რომ ზეპირად დაესწავლა ეს ადგილი, მაღალნიჭიერობით და მახვილობით სავსე, და თავისუფლად წარმოეთქვა საზოგადოების წინაშე, ისეთს ინტენსიურს სიამოვნებას დაჰბადებდა მასში, ისეთს

ძლიერს ტაშის კვრას გამოიწვევდა, რომ ვგონებ, თეატრი მალე აიწვედა.¹

2. ი. სტალინი ვ. ი. ლენინის მკვებრი სიტყვის შესახებ.

ლოგიკის ძალა

„შესანიშნავი იყო ლენინის ორი სიტყვა, წარმოთქმული ამ კონფერენციაზე: მიმდინარე მომენტის და აგრარული საკითხის შესახებ. სამწუხაროდ, ეს სიტყვები არ შენახულა. ეს იყო შთაგონებული სიტყვები, რომლებმაც მთელი კონფერენცია უდიდეს ალტაცებაში მოიყვანეს. დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის სიმარტივე და სიცხადე, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანჰვა-გრეხა, არავითარი თავბრუდამხვევი ეესტები და ეფექტიანი ფრაზები, რომელთა მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა,— ყველაფერი ეს ხელსაყრელად განასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი „საპარლამენტო“ ორატორების სიტყვებისაგან.

მაგრამ მე მაშინ ლენინის სიტყვების ამ მხარემ კი არ მომხიბლა. ლენინის სიტყვებში მე მომხიბლა ლოგიკის იმ უძლეველმა ძალამ, რომელიც რამდენადმე მშრალად, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანად იპყრობს აუდიტორიას, თანდათან აჯადოებს მას და შემდეგ, როგორც იტყვიან, მთლიანად ატყვევებს. მახსოვს, თუ როგორ ამბობდა მაშინ ბევრი დელეგატთაგანი: „ლოგიკა ლენინის სიტყვებში — ეს რაღაც ისეთი ყოვლადძლიერი იარაღია, რომელიც ყოველი მხრით მარწუხად შემოგვეჭდობა და რომელსაც ველარ გაუსხლტები: ან დანებდი, ანდა იცოდე, რომ სრული მარცხი მოგივა“.

ვფიქრობ, ლენინის სიტყვების ეს თავისებურება მისი ორატორული ხელოვნების ყველაზე ძლიერ მხარეს წარმოადგენს“.

3. ს. ჩიქოვანი ტ. ტაბიძის მკვებრი სიტყვის შესახებ.

„მაგონდება, 1929 წლის ივლისში ქართველი მწერლების მრავალრიცხოვანი დელეგაცია სომხეთში სტუმრად იმყოფებოდა. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა. ახლანდელ ლენინის მოედანზე ერთ ეზოში სუფრა გაიშალა. სუფრა გრძელი და

¹ ი. გოგებაშვილი, თხზ, ტ, 2, გვ. 191—192.

ვიწრო იყო. აღმოსავლეთით, სუფრის თავში თამადა იჯდა. თამადის პირდაპირ, მეორე თავში ტიცინი და მე ვისხედით, ჩვენს მარჯვნივ ალ. აბაშელი, დერენიკ დემირჭიანი, ცოლაკი და სიმონ ფორუმოვი ისხდნენ, ხოლო თამადის მარჯვენა მხარეზე ავეტიქ ისააკიანი, მარტიროს სარიანი და გალაკტიონ ტაბიძე. თამადიდან დაწყებული, ყველა ერთმანეთს ეჭიბრებოდა ნქვევრმეტყველებასა და მოსწრებულ თქმაში. სუფრაზე. როგორც ყოველთვის, გონებამახვილობით გამოირჩეოდნენ სიმონ ფორუმოვი, პაოლო იაშვილი, თამადა და ცოლაკი. რამდენიმე მოხდენილი სადღეგრძელო თქვა ალექსანდრე აბაშელმა და ყველას ძალიან მოეწონა. მერე ადგა ცოლაკი და შესანიშნავი სიტყვით მიმართა გალაკტიონ ტაბიძეს და სიტყვა თავისებური თხოვნით დაასრულა: მე ვიცი, რომ თქვენ და ისააკიანი პოეტური ბუნებით ერთმანეთს ენათესავენით და სომხეთის მწერლობა დიდად მადლობელი იქნება თქვენი, თუ ისააკიანის ლექსებს გადათარგმნითო.

ტიცინმა მითხრა: ახლა დროა, მე და შენ ჩავერიოთ სადღეგრძელოებში. ჩვენ უნდა დავლიოთ პირველ რიგში ისააკიანის და სარიანის სადღეგრძელოო. მე სიტყვას ვეტყვი ისააკიანს და ამ სუფრას რია-რია წავიღებ. შენ კი მარტიროსს უთხარიო. გაკვირვებულმა შევხედე. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტად ვითვლებოდი. ენა გაწაფული არ მქონდა და ასეთ საპატივცემულო ადგილას სიტყვის თქმა მერიდებოდა. შიში გაეუზიარე ტიცინს. ნუ გეშინიაო, თქვა და თამადას გასძახა: სიტყვა სიმონ ჩიქოვანს მიეციო. შეშინებული ავდექი. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა, ამ წუთამდე არ ამომიღია ხმა და ალბათ ყველას ყურადღება ამან გამოიწვია. ჯერ ხმა ამიკანკალდა, მერე ავღელდი და, მგონი, აღელვებამ ეშნი შემატა ჩემს სადღეგრძელოს. მე ვუთხარი მარტიროს სარიანს, როგორ მომწონდა მისი მხატვრობა და როგორ გამოხატავდა მისი ფუნჯი სომხეთის ბუნებას. მარტიროსის სადღეგრძელოს შემდეგ თამადამ სიტყვა მისცა ტიცინ ტაბიძეს. ტიცინი წამოდგა მძიმედ, აღელვებით, აენტო, აუწია ხმას და დაიწყო, თუ რა ღრმა და გამჭვირვალეა სევანის ტბა, როგორია სომხეთის ცა, რა ძვირფასია სომხეთის პოეზიის თვალი ავეტიქ ისააკიანი,

მისი გაშვებული აბულ-ალა მაარის ქარავანი და ქარავანის ზარის წკრიალი, ავეტიქ ისააკიანის სტრიქონის წკრიალი, და გააგრძელა და გააგრძელა...

ისეთი შთაბეჭდილება იყო, იგი ხმას იმაღლებდა და თითქოს მთელი სუფრა მალღებოდა, თანდათან მალლა იწევდა, ყველა სმენად იქცა, წამოძახილები შენელდა. ავეტიქ ისააკიანი გამოიქცა, გადაკონა ტიციანი და რატომღაც მეც. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენმა მხარემ გაიმარჯვა. მთელი ყურადღება ჩვენსკენ გადმოვიდა. და ეს მოხდა არა ღამით, როდესაც სუფრას თავისთავად რომანტიული იერი აფენია, არამედ დღისით, თუ არ ვცდები, დღის ორ საათზე. გაიმარჯვა არა ვირტუოზობამ, არამედ გულით აღმოთქმულმა წმინდა აღსარებამ“.

ზეპირმეტყველების ესთეტიკური მხარე

ზეპირი მეტყველება, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ხელოვნებაა. მისი ამოცანაა, დაიპყროს მსმენელთა გული და გონება და ამის საფუძველზე აღძრას მათში გადაცემული შინაარსისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. პირველ ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რამდენად შეესატყვისება ესა თუ ის წარმოსათქმელი სიტყვა მსმენელთა განწყობას, ცოდნას. და, მეორე, როგორაა დაცული წარმოთქმულ სიტყვაში აზრის ხატონად გამოხატვის ტექნიკურ-ორგანიზაციული მოთხოვნები. ზეპირი სიტყვის წარმოთქმის ამ სპეციფიკას იმის გამო ექცევა ყურადღება, რომ მხოლოდ სიტუაციის შესატყვისად შერჩეული და სათანადო ტექნიკური მოთხოვნებით მომზადებული სიტყვა მოქმედებს მსმენელზე ემოციურად, აღელვებს მას, აღაგზნებს იმ საკითხებისა თუ მოვლენების მიმართ, რაზეც ლაპარაკია ზეპირ სიტყვაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსმენელთა ემოციურობის გამოწვევა, მათში გარკვეული განწყობილების გამომუშავება წარმოთქმული სიტყვის ესთეტიკური ღირებულების მხოლოდ ერთი ასპექტია. ცნობილია, რომ ესთეტიკის, როგორც მეცნიერების, მთავარი პრინციპია არამარტო ის, რომ აღამიანებში აღძრას სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება, არამედ გამოუმუშაოს მათ გარკვეული მიმართულებით მოქმედების მოთხოვნილებაც, აღაგზნოს ისინი ცხოვრებისეული

მოვლენების ესთეტიკური თვალთახედვით გარდაქმნისათვის.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ზეპირი მეტყველების მსმენელზე ზემოქმედების ზემოთ აღნიშნული ცალკეული ასპექტი, საჭიროა კონკრეტულად ვიცოდეთ: 1. რაში გამოიხატება ზეპირი მეტყველების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი და 2. როგორია ცხოვრებისეული სილაპაჯის, მშვენიერების ზეპირსიტყვაში გადმოცემის ენობრივი შესაძლებლობანი.

ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი კარგად გლინდება იმ იდეალით, რომლის მხარდასაჭერად წარმოიქმება ესა თუ ის სიტყვა. ამ შემთხვევაში მსმენელთა გულისა და გონების დაპყრობა უშუალოდ დამოკიდებულია თვით ამ იდეალის სიცხოველესა და აქტუალობაზე, მის მაღალ ეროვნულსა და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. სხვათა შორის, ჩვენამდე მოღწეულ თითქმის ყველა მკვერ სიტყვას ძირითადად მხოლოდ ამ საზომით გაუკვლევია მსმენელთა გულამდე ძნელად მისასვლელი გზა და შემდეგ სავსებით ლოგიკურად მათი ეროვნული თუ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების წყაროდ გადაქცეულა.

აღსანიშნავია, რომ მაღალმოქალაქეობრივი ესთეტიკური იდეალი ზეპირსიტყვათა დიდ უმეტესობაში პირდაპირაა გადმოცემული, რის საფუძველზე მსმენელებს უჩნდებათ არა მარტო მოწონებითი მიმართება ამ იდეალისადმი, არამედ თავდადებული ბრძოლის ჟინიც ცხოვრებაში მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის. მკვერი სიტყვის მსმენელზე ზემოქმედების ეს ესთეტიკური ფენომენი შესანიშნავად განსაზღვრა ციცერონმა: „მკვერმეტყველების თვისებაა ადამიანის გულის დაპყრობა და მისი აძგერება ყოველგვარი საშუალებით. იგი ხან შეიჭრება, ხან კი შეიპარება აზროვნებაში, უესავს ახალ რწმენას, აღმოფხვრის დამკვიდრებულს“.¹

მსმენელთა გულსა და გონებაში შეჭრა მოსმენისთანავე შეუძლია არსებითად ისეთ იდეალს, რომლის არსი სიტყვის დასაწყისშივე მისაწვდომია ადამიანთა ფართო მასებისათვის და შეესატყვისება მათ სასიცოცხლო ინტერესებს. ჩვეულებ-

¹ ორატორული ხელოვნება, გვ. 157—158. 1961.

რივ. ასეთი იდეალი მსმენელს ეძლევა პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე. მაგალითად, დავაკვირდეთ გიორგი მესამისა და თამარის სიტყვებს:

გიორგი მესამის სიტყვის შესავალი:

„კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთსჯულნო, უწყით, თუ რაზომ დიდად კეთილ არს საღმრთოთა სჯულითა და ქრისტეს სახიერებისათვის სიკუდილი, რომელნი სამარადისოდ ვჰნატრით ქრისტეს კულთა შემდგომთა და მომკუდართა მისთვის მოკუდავითა სხეულითა“.

თამარის სიტყვების შესავალი:

„ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს“.

ორივე სიტყვის მაღალი იდეალია ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადება, ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის. ამ სიტყვების მიხედვით მსმენელთა საბრძოლო განწყობილების შესაქმნელად ყურადღება მახვილდება ისეთ სასიცოცხლო მოვლენებზე, როგორცაა სამშობლოსა და თვით ხალხის თავისუფლების პრობლემა, რის გამოც ზეპირ სიტყვათა ესთეტიკური პათოსიც ნათელია—სამშობლოს განსაცდელზე მითითებით, სამშობლოს კრიზისული მდგომარეობის გაცნობით საბრძოლო განწყობილება და მტერზე შურისგების გრძნობა აღანთოს მსმენელის სულსა და გულში.

გვაქვს ისეთი ზეპირი სიტყვებიც, სადაც სინამდვილისადმი მოუბრის ესთეტიკური დამოკიდებულება ყალიბდება ეგრეთ წოდებული მეორადი გზით.

კერძოდ, მოუბარი მსმენელს აცნობს მისთვის საჭირო და საინტერესო მოვლენებსა და საკითხებს მუქ, შემადრწუნებელ ფერებში არაპირდაპირ, გადატანითი ხერხით და ამის საფუძველზე აღძრავს მასში საბრძოლო განწყობილებას. მაგალითად, დავაკვირდეთ იოანე ზოსიმეს ოდას „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ეს თხზულება, როგორც ცნობილია, შეიქმნა არაბობის მძიმე ბატონობისას. აგრესორს ქვეყნის პოლიტიკურ დაპყრობასთან ერთად სულ უფრო და უფრო დაუუძღურებია და შეუბღალავს ეროვნული ენა. მშობლიურ ქართულს დამუქრებია დალუპვა... და აი, ასეთ მძიმე ვი-

თარებაში ხმას იმაღლებს იოანე ზოსიმე და შესანიშნავი მჭევ-
რი სიტყვით ხატავს აწებულ მდგომარეობას: „დაძარხულ
არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მისისა საწა-
მებლად...“

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე...

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლი-
საითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მე-
ორედ მოსლვისა უფლისასა...“

მეორე მაგალითი: ილია ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის ნეშ-
ტის გადმოსვენებისას დედუქციური მეთოდით იწყებს სიტ-
ყვას, მსმენელებს ჯერ საზოგადოდ ებაძება პოეზიისა და პოე-
ტის რაობაზე ხალხისა და ქვეყნისათვის და ამის შემდეგ ახა-
სიათებს ნ. ბარათაშვილს, როგორც ქართველი ხალ-
ხის ერთ-ერთ უპირველეს მთქმელს, პოეტურ მოაზროვნეს:
„თვითეული ცემა გულის ძარღვისა გეპირის და გვაწყულებს
ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე ქრილობიდან სისხლის შეუწყ-
ველები დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფი-
ლაყო“—სთქვა ერთმა ბრძენმა.

დმეტრი რომ ერს, ქვეყანას, მოწყალეების თვლით გადმო-
ხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის პაღლით ცხებულსა.
როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა,
ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს.—რამდენი მთქმელი და მწე-
რალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მართო ამ საწ-
ყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ესლა ცხადი უნდა იყოს, რა
ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტყერი, რომლას წინაშე ვდგე-
ვართ ჩვენ დღეს“.

მოტანილ მასალებში, როგორც ვხედავთ, საგანგებო ყუ-
რადღება ექცევა გადმოსაცემი სიტყვის ძირითადი აზრის მსმე-
ნელამდე თანდათანობით, ეგრეთ: წოდებული განმარტებითი
გზით გადაცემას. ბუნებრივია, სათქმელი სიტყვის ძირითადი
შინაარსის ასეთი განმარტებითი გზა მსმენელთა ემოციების
შესატყვისი ფარლობით აღძვრას და გარკვეული მიმართულე-
ბით ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამიტომ ასეთი კონსტრუქცი-
ის სიტყვების მხატვრულ-ესთეტიკური დამოკიდებულება
ცხოვრებისეული მოვლენებისადმი მსმენელთა მიერ აღიქმება
არა პირდაპირ, ვთქვათ, სიტყვის ძირითადი თემატიკური თუ

იდეური აზრის გადმოცემისას, არამედ მისი სათანადო განმარტების საფუძველზე, ე. ი. შეპარვით— როგორც გვასწავლის ციცერონი.

აღსანიშნავია, რომ მსმენელთა ესთეტიკური ტკობის წყაროს წარმოადგენს არამარტო ამა თუ იმ ზეპირი სიტყვის იდეალი, არამედ, ამასთან, ერთად, ამ იდეალის მსმენელამდე მიტანის ის ენობრივი საუნჯე, რომელიც სპეციალურად შეურჩევია მოუბარს ზეპირი სიტყვისათვის. მსმენელის გულს, მის გრძნობათა სამყაროს ვერ დავაკმაყოფილებთ, თუ შერჩეული ცხოვრებისეული იდეალის გადაცემისათვის მიზნობრივად არ გამოვიყენებთ ხალხისათვის მისაწვდომ და მოსაწონ ენობრივ სამოსელს.

ზეპირ სიტყვაში ენობრივი მასალის მსმენელზე ზემოქმედების შესაძლებლობანი უპირატესად ვლინდება: ა) ცოცხალი ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი მასალების შერჩევაში და ბ) რაიმე აზრის გადმოცემის დროს პოეტური მეტყველების კანონზომიერებათა თავის ადგილზე გამოყენებაში.

მოუბარს ზეპირსიტყვაში ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან შეაქვს უაღრესად გავრცელებული. აზრობრივად ნათელი და ხატოვანი, დარბაისლური საუბრისათვის დამახასიათებელი ადვილად გასაგები და საამოდ მოსასმენი ენობრივი მასალები. ნიმუშისათვის დავაკვირდეთ ილიასა და აკაკის ცნობილი სიტყვების დასაწყისს:

„ერთი ორიოდ სიტყვა მეც მინდა გითხრათ. და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები.

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეველი სიძლიდრე ჩაუდვა და აღანიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიძლიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო“ (ილია).

„ბატონებო!

ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირათ დავსწრებივართ ქართულ სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულგახსნილობა ყოფილა.

მაგრამ ისიც კი არ დავგრჩენია შეუნიშნავად, რომ ხანდა-

ხან იმ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხიარულ სახეს კმუნვის ღრუბელი გადაკვრია; თითქოს იმათ იმ დროს რაღაც სწყვეტდათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღაცას ისაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზედ“ (აკაკი).

ორივე სიტყვის ციტირებული მასალიდან ნათქვამის სწორად გაგებასა და აქედან გამომდინარე მსმენელთა შესატყვის ემოციურ სიამოვნებასა და ესთეტიკურ ტკობას იწვევს, უპირველესად, ცოცხალი სალაპარაკო ქართულის უზადოდ დაცვა. კერძოდ, მდიდარი ეროვნული ენის საგანძურიდან ისეთი ხატოვანი ფრაზეოლოგიზმების მომარჯვება, როგორიცაა „ყური რომ მათხოვოთ“, „გულის გადახსნა“, „გულგახსნილობა ყოფილა“, „კმუნვის ღრუბელი“, „გულის დაწყვეტა“ და სხვ.

ზეპირ სიტყვაში ჩვეულებრივ, მსმენელის ცხოვრებისეული იდეალისა თუ სილამაზისადმი ყურადღების გამახვილება წარმოებს მეტყველების იხეთი პოეტური სპეციფიკური ხერხებით, როგორიცაა: რიტორიკული შეკითხვა. რიტორიკული მიმართვა, განმარტება, კონტრასტი, გმირული ისტორიული მოვლენებისა თუ პიროვნებათა გაცოცხლება, ჰუმური, ფიქსირებული ფორმის განმეორება და სხვ.

პოეტური ფიგურებით აღვილდება სათქმელი სიტყვის იდეურ-თემატიკური შინაარსის ემოციური აღქმა და ჭეროვნად შეიგრძნობა მსმენელთა მიერ მოუბრის განწყობილება, მისი მხატვრულ-ესთეტიკური მიმართება სათქმელისადმი. ყოველივე ეს დიდ ემოციასა და ესთეტიკურ ტკობას იწვევს მსმენელში.

რიტორიკული შეკითხვა ზეპირ სიტყვაში:

„რად ასწავლე საყვარულს ქალებს საქალო კრძალულება — თუკი თავმოხდით ატირებდი?! რად გაათავამე გული ღმობიერთა მემკვიდრეთა — თუკი სიპყარე უძლეველი მოეშლებოდი?! რად გვასწავლე ზრდილობა მხედრობისა ვაჟაკობითურთ — თუ შენს წინ სისხლს არ დაგვაქცევინებდი?!“

რიტორიკული მიმართვა

„დიდნო მვლობელნო! დიდნო იპკერატორნო! სტიროდეთ ახლად ქვეყნისა დიდებასა, სტიროდეთ სახლსა უაელუსტესსა თქვენსა, შერაცხდეთ ცუდად სოფლისა დიდებასა...“ ანდა კიდევ: „დიდის მეფის ალექსანდრესაგან დიდებულო სახლო,

თეიმურაზ პირველისაგან ამალღებულს სახლო, წმინდის ქეთე-
ჯან დედოფლის სისხლით ცხებულს სახლო“.

არის ისეთი შემთხვევაც როდესაც რიტორიკული შეკით-
ხვაცა და შიძართვაც ერთდროულად არის მოცემული კონტექს-
ტში. ეს გარემოება, ცხადია, კიდევ უფრო აძლიერებს წარმოთ-
ქმული სიტყვის ექსპრესიულობასა და მის ემოციურ ზემოქ-
მედებას მსმენელზე.

მაგალითად: „ხელმწიფე მფლობელო, საზოგადოე მამაე,
შეფეე ირაკლი! ვის მივსცე შენის უმაღლესის თავისა და უძ-
ლეველი ტანის უზომო ტრფიალება?! ვის დროშას ვემსახურო?
ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოკვდე?! ვისთვის ვიცოცხლო შენს
უკან სიცოცხლე საზრახავად განმწარებულმან?!“

კონტრასტი: „მაგრამ, ხელმწიფე, რად გვიხაროდა შე-
ნი ხელმწიფედ ცხებულება—თუკი სამკდროს ზეთს იცხებდი?!
რად გინდოდა სახელმწიფო პორფირი—თუკი დასამიწებელს
სუდარს გარს მოიხვევდი?! რად გინდოდა განსაგებელი სკიპ-
ტრა—თუკი სკიპტრის მპყრობელს ხელგებს გულზე დაიკრეფ-
დი?! რად გინდოდა ქვეყნის მაჩრდილებელი დროშა—თუკი
მტერზე გარდახურვილს შენის შიშის ფარდას ახდიდი?! რად
გინდოდა სახელმწიფო ტახტი—თუკი დასამიწებელს საფლავს
იშენებდი?!“

ფიქსირებული ფორმის განმეორება: „თქუ-
ენ სიტყუითა, ხოლო მე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო
მე განსწავლით, თქუენ წურთით, ხოლო მე განწურ-
თით ზოგად ხელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმართთა შე-
უგინებლად, რათა არა ზოგად ვიზღუივნეთ: თქუენ, ვითარცა
მღდელნი, ხოლო მე, ვითარცა მეფე, თქუენ, ვითარცა მნენი,
ხოლო მე, ვითარცა ებგური“.

ამ კონტექსტში გადმოსაცემ შინაარსს ლოგიკურ უცი-
ლობლობას და ხატოვანებას აძლევს ფიქსირებული ფორმების
„თქუენ“, „ხოლო მე“, „თქუენ ვითარცა“ და „ხოლო მე“ კა-
ნონზომიერად გამოყენება.

ხშირად ზეპირ სიტყვაში ფიქსირებული ფორმის როლს
ასრულებს მოქმედების გამომხატველი სიტყვა — ზმნა.

კერძოდ, ყოველ წინადადებას იწყებენ ზმნით და ამ ზერხით კიდევ უფრო აძლიერებენ წარმოთქმულ წინადადებათა შინაარსობლივ ტონაციას, ხმის ძალას, ხელს უწყობენ გადმოსაცემი მთლიანი შინაარსიდან მთავარი სათქმელი აზრის წინა პლანზე წამოწევას. მაგალითად, გიორგი მცირომ ამ ზერხით ასე დაიტირა გიორგი მთაწმინდელი: აწ დაგუეხშა პირი იგი, რომელი გუწურთიდა შჯულსა უფლისასა დღე და ღამე, წარვიდა გონებისა განზრახვაი ქეშმარიტად ღმრთისა მიერ აღქრული, დაწუხნა თუალი იგი მართლიად მხედველი და განმარჩეველი კეთილისა ბოროტისაგან და უმჯობესისა უდარესისაგან, დაღუმნეს ბაგენი იგი მცველნი შჯულისა ულფისასა. შეიკრა ენაი იგი ოქრო სიტყუაი და საღრმთოთა ბრძანებათა ხმამალლად მლალადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღმრთივ სულიერთა წიგნთაი, დაყუდნა ხელი იგი შუენიერად მწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიანი ჩუენნი, დადგეს ფერხნიცა იგი შუენიერნი განკაფულნი ღამის თევათა შინა ზედგომითა, დაყუდნა გონებაი იგი მხედველი და სიღრმეთა სულისათა გამომძიებელი, დაიფარა მიწასა შინა გუამი წმიდაი, მოღუაწებისა შრომითა განლეული!“.

ხაზგასმული ზმნებით („დაგუეხშა“, „წარვიდა“, „დაწუხნა“, „დაღუმნეს“, „შეიკრა“, „დაყუდნა“, „დადგეს“, „დაიფარა“) იწყება გიორგი მთაწმინდელის მოქალაქეობრივი ღვაწლის დამახასიათებელი წინადადებები. იმავე ზმნებზე მოდის არსებითად, სიტყვის წარმოთქმისას ლოგიკური მახვილი, რის საფუძველზეც გამოკვეთილად აღიქმება როგორც მოუბრის სამგლოვიარო განწყობილება, ისე თვით გარდაცვალებულის დიდი დამსახურება.

განმარტება ზეპირ სიტყვაში: „ვაი თუ ის მაღალი და ზეცას ანგელოზთაგან სამწიგნობრო სახელი-- მეფე ერეკლე, რომელიც ცის კალთებზე იწერებოდა და ქვეყნის მპყრობელთა ხელმწიფეთა ფხიზელად აძინებდა და მძინარეთ საშიშრად ესიზმრებოდა, — ამ სადღესასწაულოს სახელის მოხსენებას საქართველოს ეკლესიები მოჰკლებოდეს!

დაბნელდი, მზევ, რომელსაც გაქვს მოსასწავებელი დაბნელებით ჰირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა

— მეფე ერეკლე — შენს ბრწყინვალეობას ველარ ხედავს! —

ამ ტექსტში განმარტების ობიექტია მეფე ერეკლე. ხოლო მისი განმმარტველი ანუ დამახასიათებელი მისივე 'მეუღარე-ბელი მოქალაქეობრივი და გმირული ბუნება. დავაკვირდეთ ციტირებული მასალის ბოლო აბზაცს. აქ, ორატორის აზრით, მზემ დაბნელებით უნდა გამოხატოს ქირისუფლობა იმის გამო, რომ აღარ არის „მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა—მეფე ერეკლე“. ამ უიშვიათესი მეტაფორული წინადადების პირველი ნაწილის „მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა“ განმარტებაა მისივე მეორე ნაწილი — „მეფე ერეკლე“.

გ მ ი რ უ ლ ი ის ტ ო რ ი უ ლ ი წ ა რ ს უ ლ ი ს გ ა ც ო -
ც ხ ლ ე ბ ა. „ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც წარმოშობა: ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი. თამარი. გიორგი ბრწყინვალე. დიდი მოურავი, მთაწმინდელები. პეტრიწი, რუსთაველი და სხვები... მსოფლიო გვირგვინი... კიდევ წარმოშობს იმისთანა გვირგვინს, რომელნიც თქვენ გეპირვებათ და მოელოთ“. (აკაკი).

ზეპირი მეტყველების ეთიკური მხარე. ზეპირი მეტყველების მხატვრულ-ესთეტიკური შესაძლებლობანი უშუალოდ შეიცავს ეთიკური ნორმების მთელ კომპლექსსაც. ჩვეულებრივ, მსმენელს ესა თუ ის ზეპირი სიტყვა მოსწონს არამარტო იმიტომ. რომ მასში შესატყვისი ენობრივი ინვენტარით გადმოცემულია ცხოვრებისეული მაღალი იდეალი, არამედ, ამასთან ერთად, იმიტომაც, რომ ეს იდეალი მსმენელში აყალიბებს ისეთ ეთიკურ თვისებებს, უნარსა და ქცევებს, რომლებიც ნამდვილად ამშვენებს და აღამაზებს ადამიანს.

დავაკვირდეთ თამარ მეფის სიტყვას, თქმულს დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ: „ოი. წმიდანო მამანო, თქვენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართველად წმიდისა ეკლესიასა და თანაგაც სიტყუის მიცემა სულთათუის ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა. რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთისა მბრძოლობისა. ნუ თუალ — ახუაძთ მთავართა სიმდიდრისათუის, ნუცა გლახაკთა უღებ-ჰყოფთ სიმცირისათუის. თქვენ სიტყუითა, ხოლო მე საქმით, თქვენ სწავლით, ხოლო მე განს-

წავლით, თქვენ წურთით, ხოლო მე განწურთით ზოგად ხელი
:მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რათა
არა ზოგად ვიზღუფივნეთ: თქვენ, ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე,
.ვითარცა მეფე, თქვენ, ვითარცა მნენი, ხოლო მე, ვითარცა ებ-
.გურა“.

ამ მქვერი სიტყვის ესთეტიკური იდეალი—ჰუმანიზმის ქა-
დაგება—ორგანულად ითავსებს შესატყვის მაღალ ეთიკურ ში-
ნაარსს. ცნობილია, რომ ამ იდეალის წინა პლანზე წამოწევა და
.ოფიციალურად მისი მხარდაჭერა დიდ წინააღმდეგობას იწ-
ვევდა ბნელით მოსილ შუა საუკუნეებში. თამარ მეფე კარგად
გრძნობს ამას და დარბაზის პირველ კაცთ, ვისაც ევალებათ
უპირველესად თვალი გაუსწორონ ცხოვრებისეულ მოწინავე
იდევებს, მიმართავს—იყვნენ კაცთმოყვარულნი, დაივიწყონ ან
შეარბილონ კლასობრივი დიფერენციით წარმოშობილი უთა-
ნასწორობანი. ერთნაირად შეაფასონ და პატივი სცენ ყველა
ადამიანს მათი პიროვნული ღირსების მიხედვით, გაერთიანდეს
მონარქისა და დარბაზის წარმომადგენელთა ნება ამ დიდმნიშ-
ვნელოვანი სოციალური და კულტურული ფენომენის დასაცა-
ვად.

ასეთია, მოკლედ მოტანილი ზეპირი სიტყვის ესთეტიკური-
სა და ეთიკური ღირებულების ურთიერთმიმართება. როგორც
ვნახეთ, სიტყვას ესთეტიკურ სიმაღლეს აძლევს დროის შესა-
ფერისი ჰუმანისტური იდეალის ქადაგება, ხოლო ეს უკა-
ნასკნელი თავის მხრივ, ხიბლავს ხალხს იმის გამო, რომ შეესა-
ბამება საუკუნობით ნანატრ სულისკვეთებას, ზნეობას, ადამი-
ანური ქცევებისა და წესების დაცვას.

აქედან გამომდინარე, საანალიზო სიტყვის ეთიკური მხა-
რე ვლინდება, საერთოდ, ადამიანისადმი პატივისცემის გრძნო-
ბის აღზრდაში, კეთილისა და მართლისადმი მხარდაჭერაში,
საუკუნეების მანძილზე შექმნილი კლასობრივი დიფერენცია-
ციის ზღუდეების აღიარებული ნორმების გადასინჯვაში და ბო-
ლოს, რაც არსებითია, ხალხისადმი, სამშობლოსადმი უპირ-
ველესი სამსახურის წინა პლანზე წამოწევაში.

მეორე მხრივ, თუ ზეპირ სიტყვაში ორგანულად არ აღიქ-
მება ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთშემაპირობებელი

ლოგიურობა, მაშინ საქმე გვექნება ამ ორი ფენომენის სრულ-დაპირისპირებასთან:¹ ასეთია მოკლედ, ესთეტიკურისა და ეთიკურის ურთიერთდამოკიდებულების ერთი ასპექტი. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზეპირი სიტყვის ეთიკურ მხარეს აქვს მსმენელზე ზემოქმედების სპეციფიკური დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მხარეც, რომლის გათვალისწინების გარეშე არ იქნება სრული აქ დაყენებული საკითხის ანალიზი.

როგორც მიუთითებენ, ზეპირი სიტყვის ეთიკური შინაარსი ვლინდება მოუბრის გულწრფელობასა და პირდაპირობაში, პრინციპულობასა და სიმტკიცეში, ზომიერებასა და კეთილშობილებაში.

თუ მოუბარს ზეპირ სიტყვაში ემჩნევა გადმოსაცემი შინაარსისადმი არაგულწრფელი დამოკიდებულება, მაშინ ასეთი სიტყვა შეურაცხყოფს მსმენელს, არ აძლევს მას ობიექტურ ცოდნას გადმოსაცემი მოვლენის შესახებ. გასაგებია რომ ასეთი სიტყვა ვერავითარი ეთიკური ქცევის შესრულების მოთხოვნას ვერ აღძრავს მსმენელში.

ჩაოდენ საზიანო შედეგს იძლევა ზეპირ სიტყვაში არაგულწრფელობა, ამის საუკეთესო ნიმუშია VI საუკუნის კოლხი ორატორის ფარტაზის სიტყვა, თქმული სახალხო კრებაზე კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო:

„ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს. უძლეველი რაღაც არის მქვერმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დავეუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება. ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ თქვენ, რომ ის თავისი ძოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო. კარგად უნდა შეიგნოთ, რომ, რაგინდ სასიამოვნ-

¹ ნ. ჯაში, ვ. ი. ლენინი და ესთეტიკა, გვ. 24, 1971.

ნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოირჩიოთ იქიდან ის, რაც უმჯობესია: იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოსტყუვდით, ის გამოდგება, რომ თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს. ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაქიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიქრულე: რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემაართათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუვდით. სხვა თუ არაფერი, ის კი მაინც ნათლად უნდა შეგემჩნიათ, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ“...

ამრიგად, მთქმელის არაგულწრფელობა და მსმენელის არპრინციპული დამოკიდებულება არასასურველ შედეგს იძლევა. საპირისპირო შედეგს იწვევს მოუბრის პრინციპული დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი, გულწრფელობა და სიმტკიცე. დავაკვიდრეთ ვ. ი. ლენინის ცნობილ სიტყვას „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები“. ამ მქვერი სიტყვის ეთიკური იდეალია—ახალგაზრდობაში კომუნიზმის მშენებლობის სულისკვეთების შეგნებული ჩანერგვა. „მთელმა ახალგაზრდობამ, ნათქვამია ამ სიტყვაში,—რომელსაც სურს გადავიდეს კომუნიზმზე, უნდა ისწავლოს კომუნიზმი“.¹

თავის მხრივ, საანალიზო სიტყვა ახალგაზრდობაში აყალიბებს შემდეგ მორალურ თვისებებს:

1. შემოქმედებითი, აკადემიური დამოკიდებულების გრძნობას პროგრესული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობისადმი („კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს. როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუუმუშავებია“).²

2. ერთგულებისა და პატივისცემის გრძნობას პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისადმი („ჩვენ აზნეობა გამოიყ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31. გვ. 339. 1952.

² იქვე, გვ. 344.

ვანება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესები-დან“).¹

3. საკუთარი ძალებისადმი რწმენას („თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივალწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე“).

4. შეგნებული წინააღმდეგობისა და ბრძოლის სურვილს შრომის ექსპლუატაციისაგან გათავისუფლებისათვის („ზნეობა იმას ემსახურება, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამალ-ღლდეს, გათავისუფლდეს შრომის ექსპლუატაციისაგან“).²

5. საერთო-საზოგადოებრივ შრომაში შეგნებულად ჩაბმის იდეალს („კომუნისტი იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდო-ბამ, იმ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებმა, რომელნიც ახალგაზრდობის კავშირში არიან, თქვან: ეს ჩვენი საქმეა, ჩვენ შევერთდებით და წავალთ სოფლად, რომ მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინა-რობა, რომ ჩვენს მოზარდ თაობას აღარ ჰყავდეს წერა-კით-ხვის უცოდინარნიო“).³

6. კომუნისტური ზნეობის მაღალი მიზნის სწორად გაგებას და სხვ. („კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნისტების განმტკიცებისა და დამთავრებისათვის“).⁴

ზემო აღნიშნულთან ერთად ზეპირი სიტყვის ეთიკური მხარის გამოვლენის უმნიშვნელოვანესი თვისებებია ზომიერება და კეთილშობილება. ადამიანის ქცევის ეს ორი მნიშვნელოვანი თვისება დიდ ესთეტიკურსა და ეთიკურ ღირებულებას ანიჭებს ზეპირ სიტყვას. კერძოდ, ზომიერებასა და კეთილშობილებაში უშუალოდ ვლინდება მოუბრის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, სათქმელი აზრისადმი და, მეორე მხრივ, მსმენლისადმი. ამიტომაც, რომ როცა მსმენელი ხედავს, რომ მოუბარი ზეპირ სიტყვაში იჩენს მისადმი ზომიერებასა და პატივისცემას — არ ამცირებს, ან არ აზვიადებს რაიმე გადმოსაცემ აზრს, მოვლენას, გულწრფელად გამოხატავს თავის მაღალმოქალაქეობრივ დამოკიდებულებას გადმოსაცემი შინაარსისადმი, მაშინ იგი (მსმენელი) ასეთ მოუბარს პატივისცემს,

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 349.

² იქვე, გვ. 353.

³ იქვე, გვ. 357.

⁴ იქვე, გვ. 354.

სჯერა მისი და, მაშასადამე, სათანადო ეთიკურ დასკვნებსაც აკეთებს ასეთი სიტყვის მოსმენისას.

საილუსტრაციოდ დავაკვირდეთ აკაკი წერეთლის სიტყვას, რომელიც წარმოთქვა თელავში სადილზე. ჩვენი აზრით, ამ სიტყვის ოპტიმისტური იდეალი მსმენელში აყალიბებს თავაზიანობას, ზომიერებისა და კეთილშობილების ჭეროვან ეთიკურ ნორმებს. თავისი პიროვნული ღირსების ზომიერი და მოკრძალებული შეფასების ნიშნში მოგვცა აკაკიმ ამ სიტყვაში: „მე რომ დარწმუნებული არ ვიყო ადამიანის არარობაზე საზოგადოდ და კერძოდ ჩემსაზე, ჩემი თავი თქვენ ხელში რაღაც მეგონებოდა!... მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ ვიცნობ ჩემს თავს და თქვენი გრძნობის უხვობაც გათვალისწინებული მაქვს და აღარ ვსტყუვდები“...

ამასთან ერთად, ამ მკვერ სიტყვაში მოუბრის კეთილშობილება ვლინდება გმირული ისტორიული წარსულის კანონიერ შეფასებაში, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინების ობიექტურ განსაზღვრაში: „თქვენს გადაჭარბებულ სურვილს წარმოუდგენივართ ჩვენ გმირებად — მე ჩემს თავზე მოგახსენებთ — მაშინ, როდესაც ჩვენ მხოლოდ აჩრდილი ვართ იმ გმირების, რომელსაც თქვენ მოელით და თქვენ გეკადრებათ. დიახ, ჩვენ ვართ მხოლოდ წინამორბედი, ძალიან სუსტი წინამორბედი და მახარობელი მათი!... შემოძლია გიმახარობლოთ, რომ ის გმირი მოგვევლინებათ. ამ შავ დღეში, როგორც ახალგაზრდა ქალებში, ისე ახალგაზრდა კაცებშიაც მე ვხედავ ნიშნებს“.

სავარჯიშო 30. წაიკითხეთ იოანე საბანიძის თხზულება „ქებაი წმიდისა ჰაბოისი“, აკ. წერეთლის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე და გაარკვიეთ, ზეპირი მეტყველების როგორი ხერხებითაა გადმოცემული ამ მასალებში ავტორთა ესთეტიკური იდეალი.

სავარჯიშო 31. გაეცანით ს. ლიონიძის ცნობილი სიტყვის ნაწყვეტს და აღნიშნეთ, რა პოეტური ხერხებია გამოყენებული ავტორის ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებათა გადმოსაცემად:

„განკრთი, განჰკვირდი, სტიროლდე, ცაო, რომ შენის სითალ-

ხისა და ვარსკულავთაცა აბრაჰამისებრ განკვირვებით მხედველი მეფის ერეკლეს უმადლესი თვალები საუკუნოდ დაბნელდა!

დაბნელდი, მზევე, რომელსაც გაქვს მოსასწავებელი დაბნელებით ჭირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა—მეფე ერეკლე— შენს ბრწყინვალეობას ველარ ჰხედავს“.

სავარჯიშო 32. წაიკითხეთ ი. ჭავჭავაძის სიტყვა, თქმული ნადიმზე ევგენი მარკოვის მიმართ და გაარკვიეთ, რა ურთიერთმიმართება შეინიშნება ამ სიტყვაში ავტორის ესთეტიკურსა და ეთიკურ იდეალებს შორის?

სავარჯიშო 33. გაეცანით აკ. წერეთლის სიტყვას, თქმულს თელავში სუფრასთან და აღნიშნეთ, რა ეთიკური იდეალები შეიძლება გაუჩნდეს მსმენელს ამ სიტყვის შინაარსის მოსმენისას. ამასთან ერთად, გაარკვიეთ, ამ სიტყვის ზეპირად წარმოთქმისას მეტყველების რა ტექნიკური და ორგანიზაციული მოთხოვნების დაცვაა საჭირო.

სიტყვა, თქმული ნადიმზე ევგენი მარკოვის მიმართ

ნება მიბოძეთ, მეც სხვათა შორის საღამო მოგართვათ ჩემის მრავალტანჯულის სამშობლოს მხარეში, რომელმაც, დასასრულ, თავისი მშვიდობიანობა მოიპოვა მფარველობის ქვეშე რუსეთის სულგრძელ ერისა, რომლის წინამძღოლთა შორის გონებითის და ზნეობითის განვითარების და წარმატების გზაზე ერთი უცილობელად თქვენცა ბრძანდებით. გთხოვთ გვწყალობდეთ და გიყვარდეთ ჩვენ, დავიწყებულნი მოქალაქენი რუსეთის ქვეყნისა, ჩვენის საერთო მამულისა. ვამბობ დავიწყებულნი იმიტომ კი არა, რომ არავის ვახსოვართ, არამედ იმიტომ, რომ არავინა გვცნობს. იშვიათია, რომ რომელსამე რუსს ასჩენოდეს სურვილი და ხალისი იცოდინოს რამ ჩვენი, ჩაინედოს ჩვენს გულში, გაიგოს ჩვენი გულთნადები და ჩვენის ჭეშმარიტის და არა მოგონილის ზრახვისა და სასოების კვალობაზე მოგვიწყას, რაც გვეკუთვნის ყოველს საქმესა და დაწყობილებაში, რომელთაც სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ქვეყანაში. მე ამას ვამბობ არა ვისიმე საწყენად და საყ-

ვედურად, არამედ სურვილით, რომ დაიდგინოს ჩვენს შორის სულიერი კავშირი, რომელიც აღმოიშობება ხოლმე მარტო ურთიერთის გაცნობისაგან.

რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობელად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ცხადია, ისეთი ადვილად გასაგებია საგანთა არსების მიხედვითა. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოფილ წამებისა და ტანჯვის განმეორებისაგან, მან გაუკურნა ჩვენ სამშობლოს მისი წყლულნი. თვით სისხლ-მსმელი მხეცი, რომელიც ყოველ წუთს მზად არის გაჰგლიჯოს ასო-ასოდ ადამიანი, ისიც-კი ლბილდება და სიყვარულით და მადლობით შეჰყურებს კაცს, რომელიც უწმენდს და უხვევს წყლულსა, და რა საფიქრებელია, რომ გონიერი სულიერი, რომელსაც მომადლებული აქვს ღვთიური ნიჭი განიმსკვალოს ზნეობურ აზრითა, გულში მალულად ინახავდეს თესლს მტრობისასა, ანუ თუნდ უგულოდ, გულ-გრილად ექცეოდეს მხსნელს და მფარველს მისდა წმიდათა წმიდისას, რომელსაც სამშობლო ჰქვია, ეს სიყვარული ჩვენი ჩვენის სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერს ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ჰხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენის სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთესს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან. სწორედ ამ ჩვენის სამშობლოს სიყვარულში უნდა მოიძებნოს ნასკვი ნაწილთა დაახლოებისა და გაერთიანებისა მთელთან საკეთილდღეოდ ყოველთა და ყოვლისათვის. წაართვით ადამიანს ეს სიყვარული სამშობლოსი და მის გულში ვეღარ იპოვით ამისთანა ღრმას და მაგარს ადგილს, რომ ზედ ამოიყვანოთ საფუძველი ერთგულებისა და სიყვარულისა.

სამწუხაროდ ჩვენდა, ესე არ ესმის ყველას კეთილ-მომქმედი მნიშვნელობა სამშობლოს სიყვარულისა. ამიტომაც მცირედი გამოცხადება ამ სიყვარულისა იმისთანა წყნარ და მშვიდობიან საქმეში, როგორც ეტნოგრაფიული თვით-მყოფელო-

ბაა, ჰგონიათ რაღაც შეუნდობელ ცოდვად, და ესე ყოველი წარმოსდგება იქიდან რომ ჩვენ არ გვიცნობენ. ჩვენ გვიყურებენ და არა გვხედავენ, გვისმენენ და არა ესმით ჩვენი. ამაშია მთელი ჩვენი უბედობა, ამაშია დასაბამი ყოველის პო-არაობისა ჩვენს ქვეყანაში.

საბედნიეროდ რუსეთისა და მის მფარველობის ქვეშ მყოფ სხვადასხვა ერთა, მარტო ამისთანა კაცებზე არ არის შემდგარი საქმე. არიან რუსეთში იმისთანა კაცნიც, რომელთაც ნამდვილად გაუგიათ ჭეშმარიტი დანიშნულება რუსის მოღვაწეობისა რუსეთის განაპირა ქვეყნებში. ნება მომეცით, ევგენი ლეონისძევ, განსაკუთრებულ სიამოვნებით ამისთანა კაცთა შორის დაგასახელოთ თქვენც. თქვენს წერილში კავკასიის გამო თქვენს განათლებულს გულთახედვას არ გამოჰპარვია საჭიროება ამ დიად დანიშნულებას რუსისას განაპირა ქვეყნებში თქვენი მსჯავრი დასდოთ. თქვენ, თქვენდა კუთვნილ დამოუკიდებელ რწმენისამებრ, წარმოსთქვით დიდებული აზრი მოკლედ, მაგრამ ზედმიწევნით, რომ უნდა ვეცადნეთო სიმტკიცე და ძალ-ღონე სახელმწიფოსი, დამყარებულ იქნას ერთსახეობაზე კი არა, ერთსულობაზეო, ეს აზრი მიდგა მე გონების თვალწინ მთელის თავისის შეურყეველის ჭეშმარიტების დიდებითა და ამიტომაც ძლევა-მოსილობა მისი უეჭველია დღესა თუ ხვალე. მე ვსვამ, ბატონებო, სადღეგრძელოს ამ ნაყოფიერ აზრის მალე გახორციელებისას და მის მახარობელის და მოციქულის ევგენი ლეონისძის მარკოვისას.

სიტყვა, თამული თელავში სუფრასთან

როგორც მომეტებული ჯავრი და მწუხარება, ისე უზომო და გადაჭარბებული სიხარულიც ხშირად ენას უბამს კაცსა და უნებურად აღუმებს. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლავართ ამჟამად, და მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, თორემ მე-ასეთადაც რომ შემეძლოს იმის გამოთქმა, თუ რა სიამოვნება მაგრძნობინა კახეთმა, მაშინ თქვენ ან პირ-მოთენობად მიიღებდით ჩემს სიტყვებს, ან სიგიჟედ ჩამითვლიდით და ორივე შემთხვევაში შემცდარი იქნებოდით. სწორედ ალტაცებაში ვარ კა-

ხეთისაგან და მხოლოდ ეს კი მკბენს გულში, რომ ეს მშვენიერი მხარე მისთანა მდგომარეობაში ვერ არის, როგორც ეკადრება. ამას მე არავის სასაყვედუროდ არ ვამბობ... ეს მოიტანა აუცილობელ ისტორიულმა მიზეზებმა: უხსოვარ დროთგანვე ამ მშვენიერ ქვეყანას ურიცხვი მტრები ყოველის კუთხით მონავრად ეხვეოდნენ. ამის გამო ჩვენი წინაპრების გრძნობა-გონება მხოლოდ იმაზედ უნდა ყოფილიყო მიქცეული, რომ მტერი არ შემოეშვათ, და ეს კიდევაც საკვირველად აღასრულეს... გაუკეთეს საქართველოს სიმაგრეები და საკუთარის ძვლების გალავანი შემოავლეს!..

ბევრისაგან მესმის აქ კახეთის მიწების ქება: — ისე მდიდარია, რომ რამოდენიც უნდა გადააბრუნო, არ ილაღებო. — მე ეს არ მიკვირს. ეს ყველგან ასეა ჩვენში. ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზედ ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს დაპოხიერებული და მათის სისხლით დამბალი — ისე ლუკმა პურს ვერ ჩაიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩაყუპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი „წმიდა-წმიდათა“. ზიარება ჩვენთვის, რომელიც სიწმიდითა და სასობით უნდა მოვილოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინაპართ ღვაწლსა, და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ მხოლოდ დროების შესაფერისად კი: თუმცა ხმალ-და-ხმალ დღეს აღარ გვეხვევიან მტრები ყოველის კუთხით, მაგრამ მშვიდობიანობა კი მაინც არსად არის და ბრძოლა საჭიროა, მაგრამ, ბრძოლა უფარ-ხმლო, სადაც ნაცვლად სისხლისა პატიოსანი ოფლი და ცრემლი უნდა იღვრებოდეს. მაშასადამე, საჭირო არიან მეომარი-გმირი-მამულიშვილები იმავე გრძნობითა და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაპრები იმსჭვალებოდნენ.

ეს სურვილი რომ თვითოეულს თქვენგანში აღძრულია, ამას იმითი ამტკიცებთ, რომ მცირე რამესაც უზომო ფასსა სდებთ; ეს პატივისცემა, რომელსაც მე ვხედავ, და ის სიტყვები. რომელიც მესმის თქვენგან, ამტკიცებენ ერთის მხრით თქვენს სტუმართ-მოყვარეობას და მადლიერ გულს და მეორით იმას,

რომ თქვენ გენატრებათ გყავდესთ ნამდვილი მამულისშვილები და ამის გამო მათს „ჩრდილოებსაც“, ესე იგი მე და ჩემისთანებსაც არ ივიწყებთ და წინამორბედთ შეჭხარით. მაღლობით და სიხარულით პატივს-ვსცემ ამ თქვენს გრძნობას! — არ შემძლიან წინააღმდეგობა გაგიწიოთ საზოგადოდ, მხოლოდ ერთ რამეს კი ვერ შეგარჩენთ, ბრძანებთ: „ღმერთმა ქნას შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გეყოლოდესო“. ამის წინააღმდეგ ვალდებული ვარ მოგახსენოთ, რომ, — ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი თხოვნა! — ეგ ხომ წყევლა იქნება?! რასაც დღესა ვსჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმე... ჩვენი დრო მოითხოვდა, ხანგრძლივის უკუღმართობის შემდეგ პირველი ნაბიჯის წინ სწორად წადგმას, — რომ მიათი ის აზრები აღძრულიყოს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ამ ოცის წლის წინეთ, როგორც ბატონი როსტომაშვილი ბრძანებს, ყველას ეუტხოვებოდა, და დღეს კი თვითეულის თქვენგანის გულშიაც ჰღვივის.

როდესაც დროზედ მამალი ჰყივის, მუშაკი იღვიძებს მის წმაზედ და მიდის სამუშაოდ; ხშირად პატარა ფინია, ერთის დროზედ შეყვით, ძლიერ მპარავსა და ავაზაკს, შეშინებულს, უკუ აბრუნებს ხოლმე. ჩვენი ღვაწლიც სწორედ ამგვარივე იყო და დღეს სიხარულით ვხედავთ, რომ სურვილი არ დაგვლუპვია: ხალხი გამოღვიძებულია და მტერი შეშინებული! ერთი ბიჯი გადადგმულია! რაც ჩვენ წვა და დაგვით მიგვილია, რაც სისხლის ოფლით და მწარე ცრემლებით მოგვიპოვებია, დღეს იმას ჩვენ სიხარულით და ადვილად გადავსცემთ შემდეგ დგმას და იმიტომაც შემდეგის დგმისაგან მეტს მოვიტხოვთ და მამულისშვილობაც მით მეტი უნდა გამოიჩინონ! ჩვენისთანობა მათ აღარ შეჰფერისთ და ჩვენი ხელობა აღარ არგებსთ. მომავალმა დრომ უნდა მოგვცეს ნამდვილი მამულისშვილები ყოვლის უნაკლულად.

ძველადაც, საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავ-განწირულ მამულისშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიც იმედია, თქვენი შვილები თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოუარჩებიან. ჩვენ დროსაც მეთაური და

მოწინავე იყო თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე. რომელსაც დარწმუნებული ვარ ყოველი თქვენგანი სიამოვნებითა და ამპარტავნებით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც ახლა მე გაიხლება, იმედი მაქვს თქვენივე თანხმობით.

ვისურვოთ, რომ მალე გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულისშვილები! და ეს ადვილად ასრულდება, თუ კი ჩვენი დედები მოინდომებენ და თავის პაწაწა შვილებს, ერთად ძუძუსთან შეაწოვებენ მამულის სიყვარულს და ერთგულობას, და თუ მამებიც უფრო სწორ განათლების გზაზედ დააყენებენ რომ იმათ სწავლას, უცხოობიდან გამოსულს, საძირკვლად ექმნეს ჩვენის ცხოვრების წარსული, აწმყოზედ დაკავშირებული, და დიდებული ტაძარი ჩვენის ცხოვრებისა გაახლდეს. ჩვენის ქვეყნის წარსულ ცხოვრებაში უპირველესი ადგილი უჭირავსთ საზოგადოდ დედებს და განსაკუთრებით კახელ ქალებს. თვით უპირველესმა ჩვენთვის მოღვაწე დედამ, წმინდა ნინომ, კახელი ქალები გამოირჩია ტოლ-ამხანაგებად, აქ გადმოესახლა და აქაურ დედებს ძეგლად და სახსოვრად დაუტოვა თავისი საფლავი, იმედია რომ აწინდელი დედებიც, ძველი დედების მიბაძვით, შეუდგებიან ქვეყნის სამსახურს და შვილების სამაგალითოდ ზრდას!.. ღმერთმან მოგასწროსთ იმ დროს, რომ თქვენი შვილები ქვეყნის სასახელონი გამოსულიყვენ და მითი თქვენი მშობლობაც ხალხთაგან კურთხეულ იყოს. მაშინ, სწორედ მაშინ გაიშლის გულს საბრალო ჩვენი, დღეს დაჯავრიანებული ქვეყანა და ყოველის კუთხით გაისმის „ვარხარალო“ აღტაცებულის სიტყვებით: „ისა სჯობს მამულისთვის, შვილი რომ სჯობდეს მამასო!“.

IV თავი

აუდიტორიის ფიზიკური მდგომარეობა, სტრუქტურა და რეაგირება

ზეპირად წარმოსათქმელი სიტყვის შემეცნებითი და მხატვრული ესთეტიკური დონე უშუალოდაა დაკავშირებული აუ-

დიტორიას ფიზიკურ მდგომარეობასა, სტრუქტურასა და რე-
აგირებასთან.

აუდიტორიის ფიზიკურ მდგომარეობაში უპირველესად
იგულისხმება ზეპირი სიტყვის წარმოსათქმელი დარბაზის მო-
ცულობა. ყურადღება ექცევა აგრეთვე აუდიტორიის ფართისა
და მსმენელთა ოდენობის შეფარდებას. რაც უფრო დიდ აუ-
დიტორიასთან გვაქვს საქმე, მით უფრო ამოღლებული და სა-
ზეიმო განწყობილება ეუფლება როგორც მსმენელებს, ისე
მოუბარს და პირიქით. თუ დიდ აუდიტორიაში მცირე ოდენო-
ბის მსმენელთან მოუხდება ორატორს ლექციის წაკითხვა, მა-
შინ, სასურველია, მსმენელები მოუბრის ახლოს, აუდიტორიის
წინა ნაწილში დასხდნენ. გვირჩევენ, აუდიტორიაში შემოსას-
ვლელი თუ გასასვლელი კარი მსმენელთა უკანა მხარეს იყოს
მოთავსებული, რომ ლექციის დაწყების შედეგ დაგვიანებული
მსმენელის შემოსვლამ ანდა რაიმე მიზეზების გამო რომელიმე
მსმენელის გასვლამ მსმენელთა ყურადღება არ მიიპყროს.

რასაკვირველია, აუდიტორიის ფიზიკურ მდგომარეობაში
იგულისხმება მისი გაფორმება და, აგრეთვე, მოუბრის სივ-
რცობრივი და გლობალური მიმართება მსმენელისადმი.

უმჯობესია, მოუბარი 2—3 მეტრით იყოს დაშორებული
მსმენელთა პირველი რიგიდან. არასასურველია აუდიტორიის
ნაირფეროვანი თვალსაჩინოებით გაფორმება, რაც ხელს უშ-
ლის მსმენელებს ლექციის მოსმენაში. მაგრამ ამა თუ იმ ლექ-
ციის ღრმად გაგებისა და მთლიანობაში აღქმისათვის არსებითი
მნიშვნელობა მაინც აუდიტორიის შემადგენლობას ენიჭება.
როგორც წესი, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა წი-
ნაზე უფრო ძნელია ორატორისათვის რაიმე ზოგად თემებზე
ლექციის წაკითხვა, ვიდრე ერთნაირი პროფესიის მსმენელთა
აუდიტორიის წინაშე პროფესიონალურ თემაზე გამოსვლა. ამი-
ტომ, უპირველეს ყოვლისა, აუდიტორიის შემადგენლობის თა-
ვისებურების გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ მსმენელთა
მომზადების დონე, ე. ი. მსმენელთა განათლება და სოციალური
მდგომარეობა (მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია), აუ-
დიტორიის პოლიტიკური შემადგენლობა (პარტიული, უპარ-
ტიო). ლექტორმა უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის შემად-
გენლობა. მაგრამ ამით არ უნდა დაზარალდეს ლექციის მეც-

ნიერული დონე, იდეურ-პოლიტიკური მიმართულება და პოლიტიკური პრინციპულობა.¹

პროფესორი ნ. კანდელაკი წერს: „ლექტორი ნათლად უნდა ერკვეოდეს ამ რთული საქმის ყოველ წვრილმანში: ისწავდეს საკუთარ ხმას, უკვირდებოდეს მსმენელთა რეაგირებას, ხედავდეს ყველას და ყველაფერს, აწარმოებდეს სამეტყველო ფაქტორების შესაფერის მონაცვლეობას და ერთ განუყოფელ მთელში აქცევდეს საჯარო გამოსვლას“.²

რა შემადგენლობისა და ინტერესის აუდიტორიის წინაშეც უნდა მოგვიხდეს გამოსვლა, მოუბარსა და აუდიტორიას შორის გარკვეულად მყარდება ურთიერთგაგებისა, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. თავისთავად მოუბრისა და აუდიტორიის ასეთი ცნობიერი დამოკიდებულება უნდა რეგულარულად შემოქმედებითი ხასიათისა; კერძოდ, იგი შეპირობებულია მოუბრის მიერ თხრობის პროცესში იმ რეაგირების ზუსტად ამოცნობითა და სწრაფად გაანალიზებით, რასაც აუდიტორია ავლენს ხოლმე მტკადად თუ ნაკლებად ამა თუ იმ ლექციის მოსმენისას.

თავის მხრივ, თვით აუდიტორიის ესა თუ ის რეაგირება მოსმენილ ლექციაზე განისაზღვრება ლექტორის სამეტყველო ოსტატობითა და აუდიტორიისადმი მიპართებით. ამჯერად ჩვენ გვიინტერესებს გავარკვიოთ, როგორი შინაარსისა შეიძლება იყოს აუდიტორიის რეაგირება ლექციის მიმართ და როგორი რეაგირება უნდა მოახდინოს მასზე ლექტორმა

ვ. სიკორსკის აზრით, ლექტორის ინფორმაციაზე არსებობს ხუთი სახეობის დომინირებული რეაგირება. „უწინარეს ყოვლისა ეს არის კონსტრუქციული რეაგირება, როცა ლექტორის მიერ მიწოდებული ახალი ინფორმაცია განამტკიცებს, ამკვიდრებს, კიდევ უფრო აღუღაბებს ადამიანის შინაგან პოზიციას, ამ შემთხვევაში ახალი ინფორმაცია და შინაგანი პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა და ლექტორის მიერ დათესილი თესლი. ჯერ ერთი, ხვდება ნაყოფიერ ნიადაგში, მეორეც, აღმოცენებისას,

¹ დ. ენუქიძე, ორატორული ხელოვნება, 1958, გვ. 32.

² ნ. კანდელაკი, საჯარო ლექციის მომზადება, შეთვისება და წაკითხვა, 1956, გვ. 20.

თავის მხრივ, ზრდის მის ნაყოფიერებას, მეორე—რეაქცია აგრეთვე კონსტრუქციულია—ახალი ინფორმაცია, ახალი თვალსაზრისი ამა თუ იმ მოვლენაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცვლის ადამიანის შინაგან პოზიციას. ე. ი. ხდება ახლებურად აღზრდის, გადარწმუნების პროცესი.

მესამე რეაგირებას შეიძლება პირობითად შემთანხმებლური ვუწოდოთ: მსმენელის შინაგანი პოზიცია და ახალი ინფორმაცია არსებობენ პარალელურად, თავისთავად, ისე, რომ ერთმანეთთან რამდენადმე არსებითად არ არიან დაკავშირებული. ხომ ხდება, რომ ადამიანი ერთს ფიქრობს და სხვას ლაპარაკობს, იქცევა სხვა გვარად, ვიდრე გარემოებანი მოითხოვენ. ხოლო მისი შინაგანი პოზიცია სავსებით საწინააღმდეგოა. რაღაც ამდაგვარი ხდება შემთანხმებლური რეაგირების დროსაც. მეოთხე რეაგირებას ჩვენ ინტანტილური ვუწოდეთ. ამ დროს ახალი ინფორმაცია არავითარ გავლენას არ ახდენს ადამიანის შინაგან პოზიციაზე. ეს ის შემთხვევაა, როცა ინფორმაცია, ასე ვთქვათ, ერთ ყურში შედის და მეორეში გადის. ასეთი რეაგირება შესაძლებელია, მაგალითად, მაშინ როცა ლექტორი ხმარობს გაუგებარ ტერმინებს. ინტანტილურ, წარმავალ რეაგირებას იწვევს ისიც, თუ ლექტორი არ განმარტავს რთულ. მოცემული აუდიტორიისათვის გაუგებარ დებულებებს, ცნებებს, ტერმინებს, რომლებიც სულაც არ ეკარება მსმენელის გულსა და გონებას, ისევე, როგორც ხდება ხოლმე, როცა ადამიანს მისთვის უცხო გაუგებარ ენაზე ელაპარაკებიან.

უკანასკნელ, მეხუთე რეაგირებას კომფალენტური ვუწოდეთ. ამ დროს ახალი ინფორმაცია, ახალი მონაცემები კონფლიქტში შედის ადამიანის შინაგან პოზიციასთან და ჭერჭერობით ნათელი არ არის, თუ რითი დამთავრდება ეს კონფლიქტი, გადაჭრილი არ არის საკითხი: „ვინ ვის?“, მაგრამ საბოლოო ანგარიშით იგი გადაიჭრება; ან შეიცვლება შინაგანი პოზიცია და გაიმარჯვებენ ლექტორის ახალი ინფორმაცია და ახალი არგუმენტები, ან შინაგანი პოზიცია უცვლელი დარჩება და სწორედ ის გაიმარჯვებს. კონფლიქტის შედეგი შეიძლება მალეც

გამოვლინდეს და შოგვიანებითაც, მაგრამ ადაჰიანში უკვე და-
იწყო შინაგანი მუშაობა“.¹

მოსასმენი ლექციისადმი აუდიტორიის სათანადო განწყო-
ბილების შექმნაზე დიდად მოქმედებს ის ფაქტიც, თუ ვინ და
როგორი ორგანიზაციით აწყობს ლექციას; მოსასმენი ლექცი-
ისათვის მსმენელების რამდენიმე დღის წინ გაფრთხილებას,
ჩასატარებელი ლექციისადმი დაწესებულების ხელმძღვანელი
მუშაკების სერიოზულ დამოკიდებულებას, მოსასმენი
ლექციის თემატიკის გარკვეულ აფიშირებას, უთუოდ თვალსა-
ჩინო გავლენის მოხდენა შეუძლია მსმენელზე და წინასწარ
განაწყობს მათ დადებითად საინფორმაციო საკითხისადმი.

ჩასატარებელი ლექციის ხელმძღვანელობისათვის პრეზი-
დიუმში ლექტორთან ერთად სასურველად არ თვლიან ხალხ-
მრავლობას; აქ შეიძლება ლექტორის მსმენელთა წინაშე წარ-
დგენისათვის და, საერთოდ. ჩასატარებელი ღონისძიების ორ-
განიზაციისათვის იყოს დაწესებულების წარმომადგენლობიდან
ერთი ან ორი ამხანაგი.

ლექტორი – აუდიტორიის ინფორმატორი და ხელმძღვანელი

ლექტორის პირველი შეხვედრა აუდიტორიასთან, მისი პირ-
ველი გამოსვლა მსმენელების წინაშე ისევე დიდ ოსტატობასა
და ხანგრძლივ წვრთნას მოითხოვს როგორც თვით გადასაცემი
ლექციის შინაარსისათვის მზადება და ათვისება. ე. ნოჟინი
წერს: „როგორ კარგადაც არ უნდა გვექონდეს მომზადებული
სიტყვა, როგორ გულმოდგინებითაც არ უნდა გვექონდეს შერ-
ჩეული ცალკეულ მოსაზრებათა დამადასტურებელი არგუ-
მენტები და შესავალი სიტყვის ენობრივი სამოსელი. არასა-
სურველ ორატორულ ტექნიკასა და აუდიტორიასთან შემოქმე-
დებითი კავშირის დამყარების უნარის უქონლობას ბუნებრი-

¹ ვ. სიკორსკი, „აზრობრივი ბარიერის დაძლევის გზით“, იხ. კრებუ-
ლი „ლექტორის ოსტატობის ზოგიერთი პრობლემის შესახებ“. 1974. გვ.
76—77.

ვად მოჰყვება წაკითხული ლექციის ღირებულების მკვეთრად შემცირება“.¹

ამ შემთხვევაში, ცხადია, არ უნდა იქნას დავიწყებული ის გარემოება, რომ ლექტორი როდესაც იწყებს ლექციის მომზადებას, მაშინვე განაპირობებს თავის შემოქმედებით კავშირს მსმენელებთან. მაგრამ როდესაც თეორიულად მომზადებული ლექტორი აუდიტორიის წინაშე აღმოჩნდება, მაშინაც იგი ვალდებულია, შექმნილი სიტუაციის გამო, აუდიტორიის მოთხოვნილების შესაფერისად ან სრულიად ახლებურად ააგოს გადასაცემი ლექცია, ანდა რიგი კორექტივი შეიტანოს მის შინაარსობლივსა და სტრუქტურულ მხარეში.

სამართლიანად მიუთითებს ა. კოჩკუროვი: „მეთოდისტები ლექტორებს თავიანთი გამოსვლების მშენებლებს უწოდებენ. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, ოღონდ დაზუსტებაა საჭირო. თავის ლექციას ლექტორი აშენებს არა მარტო ტრიბუნაზე გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, არამედ გამოსვლის დროსაც. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, იცის თუ არა როგორ უნდა აშენოს და მოეპოვეს თუ არა საჭირო რაოდენობით კარგი ხარისხის საშენი მასალა“. ამიტომ „როცა ლექტორი მიდის აუდიტორიაში, მას უნდა ჰქონდეს მარაგად გაცილებით მეტი მასალა, ვიდრე გამოსვლის დროს დასჭირდება, ვინაიდან მსმენელებთან ფსიქოლოგიური შებრძოლებისათვის იგი ვალდებულია აღჭურვილი იყოს სიმძლავრის დიდი რეზერვით...

ადამიანის ფსიქიკის უმნიშვნელოვანესი თვისებაა აღიქვას რომელიღაც ერთი ინფორმაცია, არ მიიღოს და უარყოს მეორე. ჰოდა, ლექტორის წინაშე ისახება ამოცანა პირველივე წუთიდანვე დაიპყროს აუდიტორია, აიძულოს იგი გამოეთიშოს ყოველივე დანარჩენს. ვინც ძლიერი აღმოჩნდება, ის გაიმარჯვებს.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მსმენელებს შეუძლიათ ყოველ მომენტში ყურადღება სულ სხვა საგანზე გადაიტანონ, თუკი ლექტორი დათმობს დაპყრობილ მიჯნებს, თუ არ ეყოფა

¹ Е. А. Нотин, Основы советского ораторского искусства, стр. 210
1973.

ლექციისათვის საჭირო საშენი მასალა, ან თუ ეს მასალა უვარგისი აღმოჩნდება“.¹

აუდიტორიის წინაშე ლექტორის პირველი გამოსვლისას დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე მის ფსიქო-ფიზიოლოგიურსა და ფიზიკურ მდგომარეობას. ეს მოთხოვნები გამოცდილ ორატორებს კარგად აქვთ გათვალისწინებული; წლების მანძილზე დაგროვილი დიდი გამოცდილება და ამის საფუძველზე შექმნილი აუდიტორიის მართვის უნარი საშუალებას აძლევს მათ ადვილად გაართვან თავი ყოველ აუდიტორიასთან შეხვედრისას ეგრეთ წოდებულ ლექტორის ციებ-ცხელებას.

სულ სხვა მდგომარეობაშია ასეთ შემთხვევაში დამწყები ორატორი, რომელსაც ჯერჯერობით არა აქვს აუდიტორიის მართვისა და მსმენელთა წინაშე საკუთარი ჭკევის გარკვეული უნარ-ჩვევები შექმნილი, არ აქვს განმტკიცებული ზეპირი მეტყველების ტექნიკა, ვერ უწევს სათანადო კონტროლს თავისივე ფსიქოლოგიურ რეაქციებს გარეგან გამლიზიანებლებზე და სხვ.

ამიტომ მიზანშეწონილია, აქვე მოკლედ გავეცნოთ დამწყები ლექტორებისათვის საჭირო აუდიტორიასთან შეხვედრის, აუდიტორიის მართვის მთლიანი კომპლექსის ცალკეულ საკითხებს.

ლექციის წაკითხვის წინ გასათვალისწინებელი ლონისკიბანი

ლექციის წაკითხვის წინ, პირველ ყოვლისა, ლექტორმა უნდა იზრუნოს თავისი მთლიანი პიროვნული მეს განწყობის მოწესრიგებისათვის. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მან თვითონვე უნდა შეუქმნას თავის თავს ისეთი მოთხოვნილება და სიტუაცია, რომელიც ხელს შეუწყობს გადასაცემი ლექციის შინაარსის აღქმაში, აღუძრავს სურვილს დამუშავებული ლექციის შინაარსის თავიდან ბოლომდე გამეორებისა, განამტკიცებს მის სულიერსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს.

¹ ა. კონკუროვი, ლექტორი — ცხოვრების მკვლევარი, (კრებული — „ლექტორის ოსტატობის ზოგიერთი პრობლემის შესახებ“, 1974, გვ. 52, 53).

„ყოველი საჯარო ლექციის დროს ლექტორმა უნდა დაიცვას საგანგებო რეჟიმი—„სამეტყველო ჰიგიენა“. ლექციამდე საჭიროა კარგად დასვენება, ფიზიკური ძალის მოკრება. ეს შეიძლება სრული დასვენებით—უმოდრავო ყოფნით და კუნთების მოშვებით. ამ დროს უნდა მოვერიდოთ კითხვასა და ლაპარაკს. ლექციის დღეს საჭიროა მსუბუქი და ნაყოფიერი საკმლის მიღება: — დაუშვებელია მჟავე, ცხარე და მლაშე საკვები“.¹

ლექციის დაწყებამდე რეკომენდებულია დათვალიერება იმ დარბაზისა თუ კაბინეტისა, სადაც გამოსვლა მოუხდება ლექტორს. აქ ლექტორმა უნდა შეარჩიოს ტრიბუნაზე გამოსვლის ადგილი, შეამოწმოს, სად დგას კათედრა, გაითვალისწინოს, რა მანძილია კათედრამდე პრეზიდენტის მაგიდიდან და ამის მიხედვით აირჩიოს თავისი დასაჯდომი ადგილი, გასინჯოს დარბაზის ვენტილაციისა და მიკროფონის ვარგისიანობა, ერთი სიტყვით, აღიქვას მთლიანად ის გარემო, სადაც მას მოუხდება გამოსვლა.

ზოგიერთი ლექტორი ლექციის დაწყებამდე აუდიტორიისაგან განმარტობულად, ფარულად, ყოფნას ამჯობინებს. გვირჩევენ, რომ უკეთესია ლექტორი დარბაზში მისვლისთანავე დაუახლოვდეს მსმენელებს, გაეცნოს მათ, რამდენადმე გაიგოს, რა ინტერესით მოვიდა მსმენელი ლექციის მოსასმენად, რაც დიდად დაეხმარება ლექტორს აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას.

„უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია აუდიტორიისთან შეხვედრა. უნდა გამოვიმუშაოთ აუდიტორის ისეთი „აღქმა“, რომ იგი კი არ ბოჭავდეს ლექტორს, არამედ, პირიქით, ქმნიდეს იმ განსაკუთრებულ, ხალისიან განწყობილებას, იმ მობილიზაციურ მზადყოფნას, რომელიც დაეხმარება მას სწრაფად, ინტუიციურად ამოკრიფოს თავის შინაგან „საკუჭნაოლან“ ის, რაც ესაჭიროება.

აუდიტორიისთან შეხვედრას ლექტორი წარმოიდგენს აზრით, მსმენელებთან პრაქტიკულ კონტაქტამდე, და უკვე მაშინ იბა-

¹ ნ. კანდელაკი, საჯარო ლექციის მომზადება, შეთვისება და წაკითხვა, 1956, გვ. 19.

დება ღელვა, რომელიც აუცილებელია მუდამ, გამოსვლამდეც, გამოსვლის დროსაც და მის შემდეგაც. ლექტორი დიდხანს ვერ „ცხრება“ ლექციის დამთავრების შემდეგ, განიცდის მას, თვალწინ უდგას აუდიტორიის რეაქცია. აქ ემოციურობა ფრიად მნიშვნელოვანია, თუმცა მიმდინარეობს აგრეთვე შინაგანი ლოგიკური ანალიზი. შინაგანი კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ უფრო უკეთესი, უფრო ცოცხალი იყოს შემდეგი ლექცია.

მაგრამ ერთია შემოქმედებითი ღელვა და მეორეა უბრალო ღელვა, რომელიც შიშში გადაიზრდება. ცხადია, რომ მარტო მრავალი გამოსვლის პრაქტიკით დასძლევს ლექტორი აუდიტორიის შიშს, ნამდვილი პროპაგანდისტისათვის ლექცია დღესასწაულია და აუდიტორიასთან შეხვედრა განსაკუთრებულ ემოციურ და ფსიქოლოგიურ განწყობილებას უქმნის ლექტორსაც და მსმენელებსაც. აი ამ განწყობილების შექმნისათვის უნდა ვზრუნავდეთ სისტემატურად, ვანაიდან უამისოდ ვერ მივიღებთ გეგმისა და იმპროვიზაციის ოპტიმალურ შეხამებას.¹

როგორც აღნიშნულია, ლექციის დაწყებისას ლექტორი დინჯად, აუჩქარებლად უნდა მივიდეს კათედრასთან, დააღოს სათანადო ადგილას ლექციისათვის საჭირო მასალები, მოინხნას საათი და დაიდოს წინ თვალსაჩინოდ და მოემზადოს ლექციის წასაკითხავად. არასწორად იქცევა ის ლექტორი, რომელიც კათედრისკენ გაემართება აჩქარებულად და ამასთან ერთად, ვიდრე კათედრაზე ავიდოდეს. უკვე იწყებს ფაქტიურად ლაპარაკს სათქმელის შესახებ. აქ ნაკლი ისაა, რომ მსმენელს არ ესმის კარგად ლექტორის მიერ წარმოთქმული ყველა სიტყვა. კიდევ უფრო მეტი წინდახედულება და საკუთარი თავისადმი კონტროლია საჭირო, თუ დარბაზში, სადაც ლექციის ჩატარებაა გათვალისწინებული, არ არის კათედრა. ასეთ შემთხვევაში ლექტორი ან მაგიდასთან ირჩევს თავის სამუშაო ადგილს, ანდა ოდნავ მოშორდება საორგანიზაციო მაგიდას და

1 ს. ღუდელი, „გეგმისა და იმპროვიზაციის თანაფარდობა“. იხ, კრებული „ლექტორის ოსტატობის ზოგიერთი პრობლემის შესახებ“ 1974, გვ. 41—42.

მსმენელთათვის თვალსაჩინო ადგილიდან იწყებს ლექციის კითხვას.

ლექციის კითხვის დროს ლექტორს გარეგნულად უნდა ემჩნეოდეს სიმშვიდე, თავისი საქმისადმი დაჯერებ/ლი დაპოკიდებულება და სიმტკიცე, ლექციის კითხვის პროცესში ლექტორი არ უნდა მოძრაობდეს, ანდა კათედრაზე არ უნდა იყოს დამზობილი და ცოცხლად. ზომიერი ქესტებით აუდიტორიისაკენ ოდნავ წინ წამოწეული პოზით, უნდა გადასცემდეს თავის სათქმელ აზრს მსმენელებს.

„ლექტორის მხედველობა მიმართული უნდა იყოს მსმენელებისაკენ; ხედვის არეში უნდა ვაქცევდეთ მთელ აუდიტორიას — ერთსა და იმავე დროს უნდა ვხედავდეთ მსმენელთა შემადგენლობაში ყოველს ცალკე და ყველას ერთად. მსმენელს ერთად თვალი არ უნდა მოვარიდოთ—თვალში ბევრ რამეს კითხულობს ის. მიუღებელია მზერის საგნად ერთი წერტილის ამორჩევა, ან ყურება შორს სივრცეში და ხანგრძლივად ერთი მიმართულებით თვალის გაშეშება“. (ნ. კანდელაკი).

მოუბრის საწყისი პაუზა. გამოცდილი ლექტორები ჩვეულებრივ საწყის პაუზას ლექციის წაკითხვის წინ მიმართავენ. აი, უკვე გამოცხადდა წასაკითხი ლექციის თემა და ლექტორის ვინაობა; იგი ჩვეულებრივ ადის კათედრაზე და წასაკითხი ლექციის შინაარსის გადაცემას დაიწყებს არა მაშინვე, უცბად, არამედ ოდნავი შეყოვნების შემდეგ. დროის ამ მცირე მონაკვეთს დაახლოებით 10—15 წამს ლექტორი გამოიყენებს აუდიტორიის ერთ მთლიანობაში აღქმისათვის, გარკვეულად დაამყარებს მხედველობით კავშირს ყველა მსმენელთან, შეეცდება თავისი დამოკიდებულებით მიიქციოს მსმენელის ყურადღება და ამით შექმნას აუდიტორიაში ლექციის ორგანიზებულად მოსმენის მოთხოვნილება.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ვიხელმძღვანელოთ მარკტულიუს ციცერონის შემდეგი მითითებით. „ლექტორი, თუ ის მსმენელებს არ შეამზადებს და დაიწყებს მგზნებარე სიტყვას.

შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ის შლეგივით იქცევა ჯანსაღთა თვალწინ და ლოთივით ბორგავს ფხიზელთა შორის“.¹

მეორე მხრივ ლექტორს საწყისი პაუზა სჭირდება საკუთარი თავის კონტროლისათვის. ცნობილია, რომ დამწყებ ლექტორებს მსმენელის წინაშე პირველად გამოსვლისას დიდი სულიერი მღელვარება ეუფლება;

ჰაერი არ ყოფნის, პირი უშრება, კანკალებს, ვერ ახერხებს ერთ ადგილზე დგომას, ეცელება ფერი, უჭირს სათქმელი შინაარსის თავმოყრა და სხვა მრავალი.

ასეთ შემთხვევაში ლექტორმა საწყისი პაუზა უნდა გამოიყენოს საკუთარი ძალების მოკრებისა და, როგორც კონსტანტინე სტანისლავსკი ამბობდა, „თავდაჭერილობისათვის.“ ლექტორის თავდაჭერილობა კი, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის კონტროლს ნიშნავს. ფსიქოლოგიურად ლექტორის ქცევაში ეს ისეთი აქტივობაა, როდესაც აუდიტორიის წინაშე მისი ყოველგვარი მოქმედება (მეტყველება, სხეულის მოძრაობა და სხვ.) განსაზღვრულია წინასწარ გათვალისწინებული მკაცრად რეგლამენტირებული ინტელექტუალური ჩანაფიქრით; ლექტორის სულიერი და ფიზიკური მონაცემების ასეთი ადეკვატური ურთიერთდამოკიდებულების მიღწევა კი არაა ადვილი. იგი ხანგრძლივ გამოცდილებასა და დიდ ნებისყოფას მოითხოვს.

ვფიქრობთ, დამწყებ ლექტორებს ამ სიძნელის დაძლევაში უთუოდ გამოადგებათ კ. სტანისლავსკის ქვემოთ მოტანილი შემდეგი დაკვირვება: „ძლიერი აღმაფრენის წუთებში, რომელიც ადრე შთაგონებათ მიმაჩნდა, მე კი არ განვაგებდი ჩემი სხეულის მოძრაობას, პირიქით, სხეული თავად მიმორჩილებდა და მიმონებდა. მაგრამ რა უნდა გააწყოს სხეულმა იქ, სადაც საჭიროა შემოქმედებითი გრძნობების ამოქმედება! ასეთ წუთებში ნებისყოფამოდუნებული მთელი სხეული მეძაბება, ხოლო არანორმალური დაძაბულობისაგან ყველგან, ყველა ცენტრში რაღაც მენასკვება, მეკრუნჩხება, რის გამოც ფეხები

¹ ორატორული ხელოვნება, 1961, გვ. 158.

მერთმევა, ძლივსლა დავდივარ, ხელები მიხვედება, სუნთქვა მეკერის, ყელში მიჭერს, ტანი მიშეშდება. ანდა პირიქით, გრძნობათა უძლურებისაგან მთელ ორგანიზმში იწყება ანარქია: კუნთების უნებლიე შეკუმშვას თან სდევს გაუთავებელი მოძრაობა, უაზრო პოზები, ქესტები, ნერვიული ტიკი და სხვ. საერთო ქაოსში გრძნობა იმალება, საიდუმლო კუნძულებს აფარებს თავს. ამგვარ ყოფნაში განა შეიძლება შემოქმედებითი მუშაობა, აზროვნება?! ბუნებრივია, პირველ ყოვლისა ქაოსს უნდა ვძლიოთ, ე. ი. ბოლო მოვულო ანარქიას, კუნთების ბატონობას და გრძნობას დავეუმორჩილო ისინი.

სიტყვა „თავდაპერილობაში“ მაშინ მხოლოდ ამ ცნების გარეგნულ მხარეს ვგულისხმობდი და ამიტომაც პირველ ყოვლისა, შევეცადე აღმეკვეთა ყოველგვარი ქესტიკულაცია და ზედმეტი მოძრაობა, ე. ი. ვსწავლობდი სცენაზე უძრავად დგომას. მაგრამ ათასობით მაყურებლის წინაშე უძრავად დგომა ადვილი როდია. მართალია, მე როგორღაც ვახერხებდი ასე ყოფნას, მაგრამ ისევ და ისევ მთელი ტანის ძლიერი დაძაბვის შედეგად, ამიტომ, რომ ჩემს თავს ვაიძულებდი არ გავნძრეულიყავი და ამ ახალი ძალდატანებისაგან კიდევ უფრო ვხვედებოდი. მაგრამ თანდათანობით ყოველ ახალ რეპეტიციასა თუ სპექტაკლზე ნელა-ნელა თავს ვაღწევდი კუნთების კრუნჩხვებს. საერთო დაძაბულობა დამყავდა ადგილობრივ დაძაბულობაზე. ე. ი. მთელი ტანის დაძაბულობას თავს ვუყრიდი ერთ რომელიმე გარკვეულ ცენტრში: ხელებსა თუ ფეხების თითებში ან დიაფრაგმაში, უფრო სწორად, იმ ადგილას, რომელიც მე მაშინ დიაფრაგმად მიმაჩნდა. რაც ძალი და ღონე მქონდა, ვმუშტავდი ხელებს, რის გამოც ფრჩხილები ღრმად მესობოდა ხელისგულებში და ხშირად იარებიც კი მრჩებოდა. ან მოვკრუნჩხავდი ფეხის თითებს და ტანის მთელი სიმძიმით ვაწვებოდი იატაკს, რის გამოც აგრეთვე ხშირად მინახავს სისხლი ფეხსაცმელებში. ამგვარი ადგილობრივი დაძაბულობის შექმნით სხეულს ვათავისუფლებდი საერთო დაძაბულობისაგან და ეს საშუალებას მძლევდა თავისუფლად ვმდგარიყავი სცენაზე ერთ ადგილას. შემდგომი მუშაობის მანძილზე თანდათან ვისწავლე ხელებში,

ფეხებში და სხვაგან ჩემ მიერვე ჩასახული დაძაბული კვანძების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ კარგა ხანს ძალიან მიჭირდა მათი დაძლევა“.¹

ლექტორს, სულიერი და ფიზიკური დაძაბულობის განსამუხტავად ურჩევენ, აგრეთვე, ღრმად ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას, უმნიშვნელო ფიზიკური მოძრაობის შესრულებას, მაგალითად, სკამის, ან მაგიდისა თუ კათედრაზე რაიმე საგნის უმნიშვნელო გადაადგილებას, სარკმელის გაღებასა და სხვ.

მაგრამ, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული, ყოველი ლექტორისათვის საკუთარ თავზე კონტროლის დასაწესებლად და ეგრეთ წოდებული ორატორული ციებ-ცხელების აღსაკვეთად, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად შეგნებულად და ღრმად ფლობს იგი ლექციით გადასაცემ მასალას, რამდენად არის იგი დარწმუნებული თავისი ქცევისა და საქმიანობის სამართლიანობაში და, ბოლოს, რამდენად ცოცხლად და შეუმჩნეველად შეუძლია მას გაზოიყენოს ძველი ორატორული მემკვიდრეობა.

ცხადია, ზემოთ აღნიშნული ორატორული „ციებ-ცხელება“, ე. ი. სულიერი მღელვარება არ უნდა გავაიგივეოთ ლექტორის ჩვეულებრივ მღელვარებასთან. ყოველ ლექტორს—გამოცდილსა და დამწყებსაც, თუ მსმენელის წინაშე გამოსვლისას არ აღანთებს შინაგანი მგზნებარება და მსმენელთან შეხვედრით გამოწვეული მღელვარება, მაშინ მისი ლექცია ვერ დაიპყრობს აუდიტორიას, ნაკლებად დამაჯერებელი იქნება მსმენელისათვის ყველაფერი ის, რის თქმასაც მოინდომებს ასეთი ლექტორი. კარგად შენიშნა თავის ერთ-ერთ ასპირანტს ტიმირიაზოვის აკადემიის პროფესორმა პ. ჟუკოვსკიმ: „იმ მომენტიდან, როცა თქვენ შეწყვეტთ მღელვარებას, ჩათვალეთ, რომ თქვენი პედაგოგიური კარიერა დამთავრებულია.“ ყოველივე ამის გამო შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ლექტორის მღელვარებასა და შინაგან მგზნებარებას აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს

¹ კ. სტანისლავსკი, „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“, 1972, გვ. 144—145.

მსმენელთან შემოქმედებითი კავშირის დამყარებისა და მისი მობილიზაციისათვის.

საწყისი პაუზის დროს არა მარტო ლექტორი აღიქვამს მთლიანობაში აუდიტორიას, არამედ თვით აუდიტორია — მსმენელები ეცნობიან მის პიროვნებას; მსმენელთა პირველი შთაბეჭდილების ობიექტია ლექტორის გარეგნობა, თმის ვარცხნილობა და, საერთოდ, ჩაცმულობა, გვირჩევენ, რომ ყველა ვითარებაში, სადაც არ უნდა უხდებოდეს გამოსვლა ლექტორს, საჭიროა მისი გარეგნული მდგომარეობა შეესატყვისებოდეს მის შინაგან მოწოდებას. მსმენელებზე ძალზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ის ლექტორი, რომელიც არ უფრთხილდება თავის ჩაცმულობას. საქმე იმაშია, რომ ჩაცმულობის მანერაში, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ვლინდება არა მარტო ლექტორის შინაგანი კულტურა, არამედ, რაც არსებითია, მისი დამოკიდებულება გარემოსადმი.

როგორი ხმის ძალით, როგორი ტონაციითა და როგორი ტემპით უნდა დაიწყოს ლექტორმა საწყისი პაუზის შემდეგ სიტყვა?

ჩვეულებრივ, ნორმალურ მდგომარეობაში ლექტორი ლექციის კითხვას დაიწყებს დაბალი ხმით, თხრობითი ინტონაციითა და რამდენადმე შენელებული ტემპით. ლექტორის ხმის მოძრაობა და საუბრის ტემპი შემდეგ გადმოსაცემი შინაარსის შესატყვისად იცვლება. რეკომენდებულია, ლექცია დასრულდეს აწეული ხმით, აჩქარებული ტემპითა და ძახილის შინაარსის ტონაციით.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როდესაც საქმე გვაქვს ხმაურთან აუდიტორიასთან? ასეთ შემთხვევაში გვირჩევენ, იმისათვის, რომ „ვაიძულოთ“ აუდიტორია, მოგვისმინოს, საჭიროა ლექცია დავიწყოთ შედარებით აწეული ხმით, მაგრამ ყვირილისა და განრისხების გარეშე. როდესაც შევამჩნევთ რომ მსმენელთა შორის ხმაური შეწყდა, მაშინ ლექტორმაც თანდათანობით, შეუმჩნევლად ლექციის ტონაციას ჩვეულებრივი ყლერადობა უნდა მისცეს.

აუდიტორიის მართვა. აუდიტორიის მმართველი ლექციის დაწყებიდან დამთავრებამდე ლექტორია. ლექციის

მომზადების მთელ იმ კომპლექსთან ერთად, რასაც შრომის წინა ნაწილში გავეცანით, მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ ყოველ კონკრეტულ მომენტში როგორ შემოქმედებითად გამოიყენებს ლექტორი ლექციის ჩატარებისათვის შეძენილ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში ერთგვარად სადავოდ არის მიჩნეული ლექციის ჩატარების ფორმის საკითხი. პროფ. ნ. კანდელაკი თვლის, რომ გადასაცემი ლექციის შინაარსი ნაწილობრივ ზეპირად უნდა დაისწავლოს ლექტორმა და გადასცეს მსმენელებს, ხოლო ე. ნოეინის აზრით გადასაცემი მასალის ზეპირობა ბოკავს და ხელს უშლის ლექტორს შემოქმედებითი შინაარსის ლექციის წაკითხვაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადასაცემი ლექციის შინაარსი ყოველმა ლექტორმა უნდა იცოდეს ღრმად და შეგნებულად. აქ ყოველგვარი მექანიკურობა და მშრალი დაზუთხვა გამორიცხულია, მაგრამ ეს, ცხადია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ლექტორმა აზრის ხატოვნად გადმოცემისათვის არ გამოიყენოს ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ბრძნული და ნატოვანი ფრაზეოლოგიური მასალები, რომელიც კარგადაა ცნობილი სალიტერატურო ენისათვის და დიდად უწყობს ხელს გადასაცემი ამბის მიმზიდველად გამოხატვას.

ზემოაღნიშნულთან ერთად, აუდიტორიის განწყობილებაზე ძალზე ცუდად მოქმედებს გადასაცემი ლექციის დაწერილი ტექსტიდან კითხვა. ორატორული ხელოვნების თითქმის ყველა სპეციალისტი უარყოფითად ეკიდება დაწერილი ტექსტიდან ლექციის წაკითხვას. საილუსტრაციოდ მრავალთაგან დავიმოწმებთ ერთ-ერთი მათგანის მითითებას. პროფ. ნ. ვეიცმანი შრომაში „ლექცია დიდი მოვლენაა“ სპეციალურად გამოყოფს ქვეთავს და ასე ასათაურებს: „ნუ წაიკითხავთ ლექციის ტექსტს აუდიტორიაში“. „გადაჭრით გაფრთხილებთ... — ნათქვამია ამ შრომაში,— არ წაიკითხოთ, არამედ ილაპარაკეთ. თუ ლექტორი, განურჩევლად იმისა, მოხუცია ის, თუ ახალგაზრდა, გადაშლის კათედრაზე სახლიდან მოტანილ თავისი ლექციის ტექსტს და შემდეგ დაიწყებს მის წაკითხვას, იგი მაშინვე დამცირდება სტუდენტების თვალში. ისარგებლეთ კონსპექტით,

ჩაიხედეთ მასში საჭიროებისამებრ, ნუ შეგრცხვებათ იმისაც კი, რომ მოვიყვანოთ თქვენს გამოსვლაში ცალკეული ციტატები, მხოლოდ ნუ გააიგივებთ ცოცხალ საუბარს მონოტონურ ბუტბუტთან.“¹

მაგრამ აღნიშნული მოთხოვნები, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, არ ეხება პოლიტიკური შინაარსის მოხსენებებს, განცხადებებს და ანგარიშებს, სადაც მკაცრი ლოგიკური და ენობრივი სიზუსტითაა გაშუქებული ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობის პრობლემატური საკითხები. გასაგებია, რომ ასეთი დონის მოხსენებები ტექსტუალური მასალის წაკითხვითა და მისი ზუსტი შესაბამისობით უნდა მოხსენდეს მსმენელს. მსმენელთა განწყობილებაზე გავლენას ახდენს გასაშუქებელი საკითხის საკონფლიქტო შინაარსი, ლექციის ძირითადი აზრის სხვადასხვა ფორმით არაერთგზის განმეორება, ამა თუ იმ დასამტკიცებელი აზრის ურყევი არგუმენტებით დასაბუთება, იუმორის ჩართვა ლექციაში და სხვ.

საკონფლიქტო შინაარსისა და სასურველი აზრის მსმენელისათვის დამარწმუნებლად გადაცემის ჩინებული ნიმუშია მ. კალინინის სიტყვა, რომელიც წარმოითქვა ქ. მოსკოვის საწარმოთა პარტიული მუშაკების თათბირზე 1942 წლის 21 აპრილს. „ამხანაგებო... ჩვენ ბევრი ლაპარაკი გვესმის პარტიულ-მასობრივი მუშაობის შესახებ. მის შესახებ ყველა ლაპარაკობს, მაგრამ ცოტა ღრმად რომ მოვჩხრიკოთ, დავინახავთ, რომ საკმაოდ ნათელი, გარკვეული, კონკრეტული გაგება ამ საკითხისა ბევრს არა აქვს“. ორატორის ამ მოსაზრებას მოსდევს შესაბამისი არგუმენტაციაც. აი ისიც: „რა არის პარტიულ-მასობრივი მუშაობა? რას ნიშნავს იქონიო კავშირი მასებთან? ხოლო ჩვენ ხომ სწორედ ამას ვაფასებთ განსაკუთრებით ჩვენს პოლიტიკურ მუშაობაში, უნდა ითქვას, რომ სწორედ მასებთან კავშირში შეიძლება მეტად მრავალფეროვანი იყოს.

ვთქვათ, გვყავდეს ნაცნობთა ფართო წრე, ვიაროთ სტუმრად ერთიმეორესთან და სტუმრად ყოფნის დროს, რა თქმა უნდა, შეიძლება რაიმე გავიგოთ თუ რა ხდება ქარხანაში, მუ-

¹ ნ. ვეიკმანი „ლექცია—ღიღი მოვლენა“, 1970. გვ. 12—13.

შათა წრეში, დაწესებულებაში. ესეც ხომ ადამიანთა კავშირია.

ძმაკაცობა მუშებთან დამოკიდებულებაში. ვთქვათ პარტორგი ან პროფორგი დადის საამქროებში, მუშებს მხარზე არტყამს ხელს, სახელითაც კი მიმართავს, საქმეს კი არ წვდება, მუშათა ყურადღებას არ ამახვილებს ნაკლოვანებებზე. პარტკომის ამგვარ მდივანზე ან პარტორგზე ზოგჯერ შეიძლება გავიგონოთ: „აი რა ახლო დგას მასებთან ეს ადამიანი, მუშას მხარზე არტყამს ხელს, ივანე პეტრეს ძეს უწოდებს, ჩვენი ბიჭიაო“.

კულში მისდევს მასებს — ეს მასებთან „კავშირია“, შენ შემოგჩივიან ამასა და იმაზე, შენ კი აქეზებ, მათთან ერთად ცრემლით ისველებ ჟილეტს. შენ გიმღერიან და შენც ბანს აძლევ: „მართალია, სინათლე არ არის, სიცივეა, პროდუქტები მართლაც რომ ცოტააო“. რაიმე გაუგებრობა რომ მოხდება წარმოებაში თუ დაწესებულებაში და შენც დადისარ და ხმას აყოლებ: „ოხ, ეშმაკმა წაიღოს, რა ბიუროკრატები არიან, აი, რა გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაგდესო!“ შენ კი ყურს გიგდებენ და შეიძლება ეს ზოგ ვინმეს კიდეც მოეწონოს პირველ ხანებში!

მაგრამ მასებთან განა ასეთ კავშირზე ვფიქრობთ ჩვენ. ბოლშევიკები? რა თქმა უნდა, არა. გაჰყვე მასებს იქით, საითაც ისინი მიდიან, ზოგჯერ ჩამორჩენილი ელემენტების გავლენით,—ეს მენშევიკური ხაზია. ჩვენი ბოლშევიკური ხაზია — წაიყვანო მასები, მეურვეობა არ დაუწყო, მაგრამ წაიყვანო წინ შეგნებულ ავანგარდთან ერთად.¹

როგორც ე. ნოჟინი მიუთითებს, აუდიტორია ძირითადად ყურადღებას ამახვილებს და დაინტერესებას იჩენს ლექტორის ინფორმაციაში იმ აზრებისადმი, რომელთა კონკრეტიზაცია ორატორის მიერ ხდება არაერთგზის განმეორებით. ოღონდ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ასეთი განმეორებისათვის ლექტორმა ყოველთვის უნდა მოძებნოს ახალი, ორიგინალური ფორმა.

აუდიტორიის ყურადღების მობილწებისა და მასზე კონ-

¹ მ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1948, გვ. 182—161.

ტროლის დამყარების აღნიშნული ხერხი ორიგინალურად გამოიყენა ვ. ი. ლენინმა მოხსენებაში შაბათობების შესახებ რკპ (ბ) მოსკოვის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 1919 წლის 20 დეკემბერს. „კომუნისმის“ და „სოციალიზმის“ ცნების ახსნა-განმარტება მსმენელებს ამ მოხსენებაში ეძლევა შემდეგი სახით.

„უნდა ვთქვათ, რომ სოციალიზმი არის ისეთი საზოგადოება, რომელსაც უშუალოდ წარმოშობს კაპიტალიზმი, ეს არის ახალი საზოგადოების პირველი სახე“.

„კომუნისმი კი არის საზოგადოების უფრო მაღალი სახე, და ის შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა სავსებით განმტკიცდება სოციალიზმი“.

„სოციალიზმი გულისხმობს მუშაობას კაპიტალისტების დაუხმარებლად, საზოგადოებრივ შრომას ორგანიზებული ავანგარდის, მშრომელთა მოწინავე ნაწილის მხრივ უსასტიკესი აღრიცხვის, კონტროლისა და მეთვალყურეობის პირობებში“.

„კომუნისმს კი ჩვენ ვუწოდებთ ისეთ წესწყობილებას, როცა ადამიანები ეჩვევიან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებას იძულების განსაკუთრებული აპარატის უქონლად, როცა უსასყიდლოდ მუშაობა ყველას სასარგებლოდ საყოველთაო მოვლენა ხდება“.

„თუ დავაყენებთ საკითხს, რას წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის თანამედროვე ეკონომიური წყობილება, უნდა ვთქვათ, რომ ეს არის სოციალიზმის საძირკვლის ჩაყრა მსხვილ წარმოებაში, ძველი კაპიტალისტური მეურნეობის გარდაქმნა კაპიტალიზმის ფრიად შეუპოვარი წინააღმდეგობის პირობებში, რაც უამრავ სახეს იღებს“. „კომუნისტური“ რამ მხოლოდ მაშინ იწყება, როცა ჩნდება შაბათობები, ვ. ი. ცალკეულ პირთა უსასყიდლო შრომა საზოგადოების სასარგებლოდ ფართო მასშტაბით, რომლის არავითარ ნორმირებას არ ახდენს ხელისუფლება, სახელმწიფო. ეს არ არის მეზობლის დახმარება, რაც მუდამ არსებობდა სოფლად, ეს არის შრომა, ფართო მასშტაბით ორგანიზებული და უსასყიდლო“.¹

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 30. გვ 336—338, 1972.

აუდიტორიის მართვის ხერხებად თვლიან აგრეთვე, ლექტორის ხმის სიძლიერესა და ტონის მონაცვლეობას, პაუზას მეტყველების პროცესში, სპეციალურ მიმართვას მსმენელებისადმი, თვალსაჩინო მასალების გამოყენებას რაიმე აზრის ან ფაქტის ნათლად ახსნა-განმარტებისათვის, ლექციის მოულოდნელად შეწყვეტას და სხვ.

ლექციის ჩატარების პროცესში ხმის სიძლიერის მიმატებით, ტონის ამაღლებითა და ტემპის ცვალებადობით შესაძლებელი ხდება მსმენელთა ყურადღების მობილიზება. ანეთ შემთხვევაში ზომიერების გრძნობა არ უნდა დაკარგოს ლექტორმა და ლექციის ზომიერად ხმამაღალი წაკითხვა ყვირილად არ უნდა გადაიქცეს. ხდება პირიქითაც; მსმენელთა ყურადღების შეჩერება ერთი გარკვეული დებულების ირგვლივ ჩინებულად ხერხდება დაბალი ხმიანობითა და შენელებული მეტყველებით: ამასთან ერთად მიუთითებენ, რომ ზოგჯერ აუდიტორიის ყურადღების მობილიზებისათვის დიდ როლს ასრულებს მსმენელთათვის მოულოდნელად ლექტორის შეჩერება, პაუზა. ჩვენ ვნახეთ, რა როლს ასრულებს პაუზა ლექციის დაწყების წინ, ახლა კი მივუთითებთ, რომ აუდიტორიაში ან მსმენელთა ხმაურის დროს ანდა სხვა მოულოდნელი გარეგანი გაღიზიანებით გამოწვეულ მსმენელთა ყურადღების გაფანტვისას გამოცდილი ლექტორები უცბად შეწყვეტენ ლექციის კითხვას. ორატორული ხელოვნების სპეციალისტები გვიჩვენებენ, რომ სჯობია, აუდიტორიაში რაიმე მოულოდნელ გაღიზიანებელს ლექტორმაც მსმენელისავით მიაქციოს ყურადღება. გაარკვიოს შექმნილი მდგომარეობა და ამის შემდეგ განაგრძოს ლექცია.

ზეპირი მეტყველების პროცესში მსმენელთა ყურადღების ერთი მომენტიდან მეორეზე გადასატანად, ანდა, საერთოდ, ყურადღების გამახვილებისათვის მიღებულია პრაქტიკაში ისეთი მიმართვების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ამხანაგებო, მეგობრებო და სხვა.

მსმენელთა ყურადღების გადახალისებისა თუ ერთი მოვლენიდან მეორე მოვლენაზე გადატანისათვის სახელგანთქმული ორატორი პროფ. ნ. კანდელაკი ლექციაში ოსტატურად

იყენებდა ხოლმე ასეთ მიმართვას, „გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება“. და ეს მიმართვა გამოყენებული იყო ხოლმე არა მაშინ, როდესაც აუდიტორიაში ვთქვათ რაიმე მიზეზით არ იყო მსმენელთა სმენადობა. არა. ასეთი რამ ნ. კანდელაკის ლექციაზე არ შეიძლება მომხდარიყო, არამედ მაშინ, როდესაც ორატორი „თაფლ-მწოთლვარითა ენითა“ ბუნებრივად დასასრულს უახლოვდებოდა ან იწყებდა ამა თუ იმ ახალი აზრის გადაცემას.

აუდიტორიის ყურადღების მობილიზებისა და აქტივობისათვის ფართოდ იყენებენ (ვერბალურ საშუალებასთან ერთად) თვალსაჩინოებასაც. ცხადია თვალსაჩინო მასალების რაობასა და ოდენობას განსაზღვრავს ლექციის თემა. მაგრამ თვალსაჩინო მასალების გამოყენებას სხვადასხვა ინტერესით ეკიდებიან განსხვავებული ასაკისა და ცოდნის დონის მსმენელებიც. „სასკოლო და ახალგაზრდული აუდიტორია მოითხოვს უფრო დინამიკურ ჩვენებას, უფრო ადვილად ამყარებს კონტაქტს ლექტორთან, რომელიც ისწრაფვის, რომ მსმენელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ლექციის აგებაში, თვით დემონსტრაციის პროცესში, ლექციაში მოყვანილი ფაქტებიდან ლოგიკური დასკვნის გამოტანაში.“

ხანდაზმულ მსმენელებს ჩვეულებრივ ურჩევნიათ ისეთი თვალსაჩინო სახელმძღვანელოების მშვიდი და აუჩქარებელი დემონსტრაცია, რომლებიც ჩასაფიქრებელ მასალას მიაწვდიან და არც მხედველობის მეტისმეტ დაძაბვას მოითხოვენ“.¹

თვალსაჩინო მასალა უმჯობესია ლექციის კითხვის პროცესში გარკვეული მოსაზრებების დასადასტურებლად იქნას გამოყენებული. ერიდებიან ლექციის თვალსაჩინო მასალებით გადატვირთვას; არც ისაა სასურველი, რომ მსმენელებს ვურჩიოთ ლექციის ბოლოს გაეცნონ თვალსაჩინო მასალას და სხვ.

ზეპირი სიტყვის სპეციფიკურ თანხლებას მოითხოვს ისეთი თვალსაჩინო საშუალებანი, როგორცაა კინოფილმები და დიფილმები. ასეთი საშუალებების გამოყენების წინ ლექტორი

¹ ა. ეგოროვი, თვალსაჩინო სახელმძღვანელოები და ინფორმაციის ტექნიკური საშუალებანი სალექციო მუშაობაში, იხ. კრებული, „ლექტორის ოსტატობის ზოგიერთი პრობლემის შესახებ“, 1973, გვ. 133.

გარკვეულ ინფორმაციას მისცემს მსმენელებს საჩვენებელი შოკლენებისა და ფაქტების შესახებ და შემდეგ, ილუსტრირების პროცესში, თუ ეს საჭიროა. გამომსახველობით ეპიზოდებს ურთავს მოკლე ახსნა-განმარტებას.

მსმენელთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად, გადმოსაცემი შინაარსის ნათლად და გასაგებად ასახსნელად და, აგრეთვე, იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეთა პოზიციების განსაჭიქებლად ზეპირმეტყველებაში ხშირად მიმართავენ ხოლმე იუმორს. ორატორული მეტყველების ეს ხერხი თუ თავის ადგილასაა მოხმობილი, მაშინ აუდიტორია დიდი სიამოვნებით ეკიდება მას და იზრდება მოსასმენი ლექციის ღირებულება.

იუმორის გამოყენების კლასიკური ნიმუშებია მოცემული ვ. ი. ლენინის გამოსვლებში. ერთ-ერთი ასეთი ნიმუშია დადასტურებული მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც მიეძღვნა III ინტერნაციონალის წლისთავს (1920 წ. 6 მარტს):

„და როდესაც საზღვარგარეთიდან დრო და დრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს იღებ, როდესაც, არ გაქვს რა შესაძლებლობა თვალყური ადევნო მთელ პრესას, წაიკითხავ, მაგალითად, ყველაზე მდიდარი ინგლისური გაზეთის „ტიმისის“ ნომერს, როდესაც კითხულობ, თუ როგორ მოჰყავთ იქ ბოლშევიკური სიტყვები იმისათვის, რომ დაამტკიცონ, რომ ბოლშევიკები უკვე ომის დროს ქადაგებდნენ სამოქალაქო ომსო,—მაშინ იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ბურჟუაზიის თვით უჭკვიანესმა წარმომადგენელმაც კი სრულიად დაკარგეს გონება. თუ ინგლისური გაზეთი აღნიშნავს წიგნს „მდინარების წინააღმდეგ“, ურჩევს ინგლისელ მკითხველებს წაიკითხონ ის და მოჰყავს ციტატები, რათა ცხადყოს რომ ბოლშევიკები არიან ცუდზე უცუდესი ადამიანები, რომლებიც ლაპარაკობენ იმპერიალისტური ომის დანაშაულებრიობაზე და სამოქალაქო ომს ქადაგებენო,—რწმუნდები, რომ მთელი ის ბურჟუაზია, რომელსაც ვძულვართ, ჩვენ გვეხმარება, — თავს ვუხრით და მადლობა მოგვიხსენებია! (ტაში)

ჩვენ არა გვაქვს ყოველდღიური პრესა არც ევროპაში, არც ამერიკაში, ინფორმაცია ჩვენი მუშაობის შესახებ ძალიან მცირეა, ჩვენს ამხანაგებს გაათვრებით სდევნიან. მაგრამ რო-

დესაც ხედავ, რომ მოკავშირეთა უმდიდრესმა იმპერიალისტურმა პრესამ, საიდანაც თავიანთ ცნობებს იღებენ ასეულ ათასობით სხვა გაზეთები, იმდენად დაკარგა ზომიერების გრძნობა, რომ მას ბოლშევიკების გასაგმირავად უხვად მოკყავს ციტატები თხზულებებიდან, ციტატები, რომელთაც ჩხრეკს ომის დროს დაბეჭდილ გამოცემებში, რათა დაამტკიცოს, რომ ჩვენ ვლახარაკობდით ომის დანაშაულებრიობაზე და ვცდილობდით გადაგვექცია იგი სამოქალაქო ომად,—ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი, ეს უჭკვიანესი ვაჟბატონები, ისეთივე სულელები გახდებიან, როგორც ჩვენი კერენსკი და მისი ამხანაგები. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, მტკიცედ ვთქვათ, რომ ეს ადამიანები, ინგლისური იმპერიალიზმის ხელმძღვანელები, კომუნისტური რევოლუციის დახმარების თავიანთ საქმეს სუფთად და მტკიცედ გააკეთებენ!“¹ (ტაში)

იუმორს ხშირად მიმართავდა ხოლმე თავის გამოსვლებში მ. კალინინი:

„მე ფეიქრობ, თქვენ ხშირად გესმით ამხანაგებისაგან: „საგანი მე მესმის და კარგადაც ვიცი ის, მაგრამ არაფრით არ შემიძლია მისი მოყოლა“. (სიცილი) ხოლო რატომ არ შეუძლიათ მოყოლა? იმიტომ, რომ ვერ ფლობენ მშობლიურ ენას. წარმოიდგინეთ, რომ ახალგაზრდა კაცმა მონდომა წერილი მიწეროს თავის სიმპათიას. დავუშვათ, რომ ეს იყო 50 წლის წინათ და აი იგი სწერს: „ჩემო ძვირფასო, უსაზღვროდ მიყვარხარ (სიცილი). ჩემი გრძნობები იმდენად დიდია, რომ არ ძალმიძს მათი გამოთქმა. ამისათვის სიტყვები არ მყოფნისო“. (სიცილი). რა თქმა უნდა, უბრალო, გულუბრყვილო ქალიშვილი იტყვის: „რა კარგია!“ მაგრამ თუ ის იქნა არა გულუბრყვილო, უბრალო, არამედ ძალიან მცოდნე ქალიშვილი? მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ქალიშვილი იტყვის „საბრალო ბიჭო, რა პატარა თავი გქონიაო“ (სიცილი, ტაში)².

იუმორის ლექციაში გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნას აუდიტორიის შემადგენლობა და ორატორული მეტყველების ამ ხერხის გამოყენების აუცილებლობა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 30. გვ. 505—506,

² მ. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, გვ. 131—132. 1948.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3

I თავი

ზეპირმეტყველების ზოგადმეთოდოლოგიური და ზოგადპედაგოგიკური საკითხები	8
ზეპირმეტყველების პრინციპები	9
მშობლიური ენისა და მხატვრული ლიტერატურის როლი ზეპირმეტყველების განვითარებაში	15
ელემენტარული ცნობები ლოგიკის შესახებ	18
მოკლე ცნობები ზეპირმეტყველების კულტურის განვითარების შესახებ	28
ვ. ი. ლენინი — ახალი ეპოქის უდიდესი ორატორი	55

II თავი

ზეპირი სიტყვის შინაარსობრივ-სტრუქტურული მხარე	71
ილიას სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე	76
ილიას სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე	81
აკაკის სიტყვა, თქმული თელავში სადილზე	88
მწევრმეტყველების გვარობრივად და სახეობრივად დაყოფისათვის	91
ზეპირი სიტყვის საშემსრულებლო საკითხები	94

III თავი

ზეპირი მეტყველების კულტურა	129
მიმიკა და ფესტი	143
	205

ზეპირმეტყველების ფორმები	150
ცოცხალი სიტყვისა და მისგან მიღებულ შთაბეჭდილებათა მნიშვნელობა ზეპირმეტყველების კულტურის განვითარებისათვის .	158
ლოგიკის ძალა	162
სიტყვა, თქმული ნადიმზე ივგინი მარკოვის მიმართ	178
სიტყვა, თქმული თელავში სუფრასთან	180
აუდიტორიის ფიზიკური მდგომარეობა, სტრუქტურა და რეაგირება	183
ლექტორი — აუდიტორიის ინფორმატორი და ხელმძღვანელი .	187
ლექციის წაკითხვის წინ გათვალისწინებული ღონისძიებანი	189

რედაქტორი თ. ჯიჯეიშვილი
გარეკანის მხატვარი ნ. ბიძინაშვილი
მხატვრული რედაქტორი ს. ბოტკოველი
ტექნიკური რედაქტორი ზ. მახარაშვილი
კორექტორი ნ. ძოწენიძე

გადაეცა ასაწყობად 17/III-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-76 წ.
ქალაქის ზომა 84×108¹/₃₂. საბეჭდი ქალაქი № 1.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,92 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,51
ტირაჟი 3 000 უე 12736 შეეკ. № 1676

ფასი 44 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Ганатლება», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1976

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, ი. ჰავეჯაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.